



# ჩვენი მზერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

18 აპრილი 2014

№ 8 (216)

ბილოჯაბთ  
აღდგომის  
ბრწყინბაღე  
ღღესღსღაღღს!



# შინაარსი

უსხოური ესეი	2	ჯონ ქრიუ რენსომი პრიტიკის წარმოება
ლიბერალური სმოვრება	7	იასე ჯორჯაძე ილიას გავლით, დავითისაკენ? (შეხვედრა გიორგი სოსიაშვილთან)
მოგონებათა სკივრი	8	ნანა კოტეტიშვილი ვახუშტი და გუგუნი (თბილისის ომიდან აგვისტოს ომამდე 1991-2008)
ახსარს-ინტერვიუ	10	ლაშა თაბუკაშვილი „ვინც ყველაზე მეტად შეიძრა...“ (მოამზადა იოსებ ჭუმბურიძემ)
პროზა	11	გიზო თავაძე შურისმაძიებლები
წარსული მომავლისათვის	17	თეო კაპანაძე „...სული ღმერთს, გული სამშობლომ, გვამს რაც გსურდეთ, ის უყავით“ (განხილვა ამბროსი ხელაიას ნაშრომისა „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“)
პოეზია	18	გურამ პეტრიაშვილი შავრა ცხანი და სხვა ლექსები
უსხოეთის სმოვრებიდან	22	თამარ რაზმაძე ***მასსოვს, მითხარი, რომ არ ვპარდები
სად წაიყვან სადაურსა	24	სერგეი ავერინციევი სულ უფრო ციცაბოდ მაღლებიდან საფეხურები (დიალოგი ნიგნაკიდან „ცდანი თვითგარკვევისა“)
სილუაზი	26	მაია ნინიძე „ჩაშტრალი კარიის ცაცხლი“ (ზურაბ კალანდაძე)
გამოსაურება	30	ნინო ჩხიკვიშვილი ჩამი ოთარ მაღვინეთუსცესნი
ღებამხივის მავიარ	31	დავით წერეთლიანი ისევ გალაკტიონი
რამორტაჟი	32	თემურ შავლაძე ფიქრი ფიქრისათვის (როსტომ ჩხეიძის პიესა „26 ივნისის საიდუმლო“)
თეატრალური პორტრეტები	35	ნინო დეკანოიძე ძიების გზაზე არის... მწვერვალები (განხილვა გვანცა ჯობავას პოეტური კრებულისა „კარდიოგრამა“)
კრიტიკა	38	ნათელა არველაძე ოჯახიშვილოვის მაღლი (ია ხობუა, რეზო ხობუა)
	41	ნინო ვახანია ყოველსმოდველი სიყვარულის აპოთეოზით (თამაზ ბაძალუას თანამედროვე დრამები)
	43	მარინე ტურავა საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი ფრინველი (თამაზ ბაძალუას მონოპიესები)
	45	მაია ჯალიაშვილი თავისუფლების ტკბილ-მწარე გემო (თამაზ ბაძალუას ისტორიული ხედვა)
წუთები და წლები	46	გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრინები (სიმონ ჩიქოვანი, ანა კალანდაძე, რეზო ინანიშვილი, შოთა ნიშნიანიძე)
ლიბერალური სმოვრება	53	შოთა ნოზაძე ლექსი ფირმაც უნდა მოინდოს (მარიამ ნიკლაურის პოეტური კრებული „მზის დაუფლომელი“)
ახალი წიგნები	54	ნატა ვარადა ერთი გვარის მთისშვილოვისაკენ სიტყვითა ფარდავის გზამკვლევი (მარიამ ნიკლაურის „მარადისობის რიტუალი“)
ესეისტიკა	56	მურმან ჯგუბურია რედაქტორი
გამოსაურება	59	ელგუჯა თავბერიძე მაანდარქაბლის ოინი (იან ჰუდეცის ნოველა)
ახალგაზრდობა, ან კი თქვენი	60	ნანი ჭელიძე ლექსები პროზად
პოეზიის მერიდიანები	62	სოჭრან სეფეჰრი სველი შუქურა
ახალი წიგნები	65	გივი გამრეკელი ცილისნამეხიდან ჭეშმარიტებაამდე (დავით გურგენიძის მონოგრაფია ანდრია დადიანზე)
ახალი თარგმანები	67	ვარლამ შალამოვი ორი ნოველა
ამ მთისა და იმ გარისა	71	მარტყოფი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 2 მაისს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯობაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: გზა უფლისაკენ  
ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

ჯონ ქროუ რენსომი დაიბადა 1888 წელს ტენესის შტატის ქალაქ პულასკოში. 1909 წელს დაამთავრა ვანდერბილტის უნივერსიტეტი, სწავლობდა ოქსფორდში, როგორც როუდესის სტიპენდიანტი და მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. ჯერ ვანდერბილტის უნივერსიტეტში მუშაობდა პროფესორად, შემდეგ კი კენიონ კოლეჯში გადავიდა; აქ დააარსა „კენიონის მიმომხილველი“ და აქვე დარჩა პენსიაზე გავსვლამდე. გამოაქვეყნა ლექსების სამი მცირე ტომი და აღიარებაც ხვდა წილად, მაგრამ 1927 წელს უარი თქვა პოეტის კარიერაზე და მთლიანად კრიტიკას მიუძღვნა თავი. იყო წინამძღოლი „დევენილითა“ მოძრაობისა, მწერალთა იმ ჯგუფისა, რომელიც აცხადებდნენ, დაგვალა სამხრეთის შტატებში გატარებულმა სოციალ-კულტურულმა ცვლილებებმაო. „დევენილიტი“ ცდილობდნენ შეენახათ ტრადიციული ესთეტიკური იდეალები, რაც ღრმად ჩანერგილიყო კლასიკურ ფორმებსა და ღირებულებებში. როგორც კრიტიკოსმა, დიდი გავლენა მოახდინა თავისი თაობის პოეტებსა და აკადემიურ წრეებზე, ვინც მას შეუერთდნენ მისი „ახალი კრიტიკის“ დოქტრინას. მისი იდეალი იყო ჯონ დონი და ინგლისური მეტაფიზიკური პოეზია. პოეზიისაგან ელოდა სირთულეს, ირონიას, ვერსიფიკაციის მრავალფეროვნებას. ჯონ ქროუ რენსომი გარდაიცვალა 1974 წელს.

## ჯონ ქროუ რენსომი კრიტიკის წარმოება

I.

უცნაურია, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს ჩვენთვის, ზუსტად რა უნდა იყოს კრიტიკის საქმე. მრავალი კრიტიკოსია, ვისაც შეეძლო ეთქვა, მაგრამ ისინი ძირითადად მოყვარულები არიან. და საზოგადოდ, კრიტიკოსები თითქმის ყოველთვისაც მოყვარულები არიან; მათ შორის საუკეთესონიც. ისინი საკმარისად არ არიან განვრთნილი კრიტიკაში, რადგან უბრალოდ მოჰკიდეს ხელი საქმეს, რასაც სპეციფიკური მომზადება არ ესაჭიროება. ამიტომაც ძალზედ სავარაუდოა, რომ რასაც ჰქმნიან და რასაც კრიტიკას ეძახიან, სულაც არ არის ნამდვილი.

არსებობს სამი სახის განვრთნილი შემსრულებელი, ვისაც უნდა ჰქონდეს ის კომპეტენცია, რაც კრიტიკოსს ესაჭიროება. პირველი თვითონ ხელოვანია. იგი სცნობს ხელოვნების კარგ ნიმუშს, როდესაც ხედავს მას; მაგრამ მისი წვდომა ინტუიტიური უფროა, ვიდრე დიალექტიკური — ამიტომაც ვერ შეძლებს კარგად ახსნას საგნის თეორია. ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვანი ლიტერატორი, იმის წყალობით, რომ ენას ფლობენ, უკეთესი კრიტიკოსები არიან თავისი, საკუთარი ხელოვნებისა, ვიდრე სხვა ხელოვანნი; ალბათ პოეზიის საუკეთესო კრიტიკოსები, ვინც კი გვყავს, პოეტები არიან. მაგრამ იოლი წარმოსადგენია, რომ ხელოვანის კომენტარი ხელოვნების ნიმუშზე ღირებულება იმდენად, რამდენადაც ესება ტექნიკურ ეფექტებს, რაც დაწვრილებით იცის და რაზეც უთუოდ კარგად შეუძლია საუბარი, თუკი მოისურვებს.

მეორე ფილოსოფოსია, ვინც უნდა იცოდეს ყველაფერი ხელოვნების ქმნილების დანიშნულებაზე. მაგრამ ფილოსოფოსი ხედავს ტყვეს და არა ხეებს, მისი თეორია ძალზე ზოგადია და ხელოვნების ცალკეულ ქმნილებას არ იცნობს ახლოს და სიღრმისეულად, განსაკუთრებით ტექნიკურ თავისებურებებს. ან ვფიქრობ, ფილოსოფოსებს ჯერ წერილობით არ დაუმტკიცებიათ, რომ შეუძლიათ გამონვლილვითი კრიტიკა; და ვგრძნობ, რომ თუნდაც მათი დახვეწილი გააზრებანი აღძრავენ ეჭვს, რაც დაფუძნებულია უფრო მეტად სხვა, მათი წინამორბედ ფილოსოფოსთა გააზრებებზე, ვიდრე კონკრეტულის ფხიზელ შესწავლაზე.

მესამე გახლავთ ლიტერატურის მასწავლებელი უნივერსიტეტისა, ვისაც პროფესორს უწოდებენ და ვინც უნდა იყოს კარგი პროფესიონალი, და ჩაბმული კრიტიკულ საქმიანობაში. იგი არაფრით ჩამორჩება ფილოსოფოსს როგორც კრიტიკოსი და არც პოეტზე დაბლა უნდა იდგეს, მაგრამ აქ უფრო დიდ იმედგაცრუებას ვხვდებით, რადგან უფლება გვაქვს მისგან მეტს ველოდეთ. ლიტერატურის პროფესორები განსწავლულნი კი არიან, მაგრამ კრიტიკოსები არ გახლავან. ამ მხრივ პროფესიული შემართება საუნივერსიტეტო წრეებისა ამკარად დაბალია. თითქოსდა შეგნებული თუ შეუგნებელი

ემშაკობით ყველანაირად ცდილობენ გაექცნენ ღირსეულსა და თანამდებობრივ პასუხისმგებლობას; ასე რომ, ნებისმიერისათვის იოლია მთელის სიცოცხლე გაატაროს ლიტერატურულ კომპილაციათა შედგენაში, არ ჩაერიოს საჯარო კამათში და არც ლიტერატურულ განსჯას შესწიროს თავი.

და მაინც, ვიმედოვნებ, რომ სწორედ ლიტერატურის პროფესორები, ჩვენში ინგლისურის პროფესორებს რომ უწოდებენ, წამოსწევენ გონივრულ სტანდარტებს კრიტიკისა. ეს მათი საქმეა.

კრიტიკა უფრო მეცნიერული უნდა გახდეს, უფრო ზუსტიც და სისტემატიკიც, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა განვითარდეს გუნდურად და განსწავლულ პიროვნებათა შემწეობით — რაც გულისხმობს, რომ კრიტიკისათვის შესაფერისი სამყოფელი უნივერსიტეტებია.

მეცნიერული: მგონია არ უნდა გვეშინოდეს, რომ კრიტიკა, მეცნიერულად გადაქცევის მცდელობისა, აუცილებლად დამარცხდება და იმედგაცრუებული ხელს აიღებს მცდელობაზე, ანდა დამარცხდება, ვერაფერს გაიგებს და დატკბება რალაც ფშუტე და ბრჭყვიალა მიღწევებით. კრიტიკა ვერასოდეს გახდება ძალზე ზუსტი მეცნიერება ან თუნდ მიახლოებით ზუსტი მაინც. მაგრამ ვერც ფსიქოლოგია გახდება ზუსტი, თუკი გააგრძელებს საქმე ჰქონდეს ფსიქიკასთან და არა ფიზიკურ ფენომენთან; და ვერც სოციოლოგია — რაკი პარეტომ, თავისი მიზნის საპირისპიროდ, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მოგვცა; და თვით ეკონომიკაც ვერ იქნება ზუსტი. მეცნიერებებს ვუნდობთ თუ მხოლოდ სისტემატიკ კვლევას, მნიშვნელობა არა აქვს იმისათვის, რომ თვითეული მცდელობამ შედეგი მოიტანოს, განმტკიცდეს და გაგრძელდეს. ჩამოთვლილი კვლევები განუზომლად დანიანურდნენ შემცენების მხრივ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტებში დაიდეს ბინა და იგივე კარიერა შესაძლებელი კრიტიკისათვისაც.

იმის ნაცვლად, რომ ხანდახან, მოყვარულები შეეჭიდონ, ვფიქრობ, ინიციატივა ხელთ უნდა იგდონ პროფესიონალებმა. ეგებ უგემოვნო სახელი შევუარჩიე, მაგრამ მაქვს იდეა, რომ გვჭირდება კრიტიკის წარმოება.

ამგვარი მოსაზრების მოწინააღმდეგენი პროფესორულ კათედრათა დღევანდელი ქურუმები იქნებიან, მაგრამ მისი გამზიარებელნიც მათ შორის მოიძებნებიან. ეს იდეა რა თქმა უნდა პირადად ჩემი საკუთრება არ გახლავთ. დიდი ხნის წინათ რომ მიელოთ, ყველაზე მეტად ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ რონალდ ს. კრეინის დამსახურება იქნებოდა. დიდ პროფესორთაგან სწორედ იგი იცავდა ამ მთავარ პოლიტიკის ინგლისურის კათედრებისათვის. ალბათ სწორედ მან შექმნა რალაც მნიშვნელოვანი აკადემიური ისტორია.



II.

პროფესორმა კრეინმა ახლახან აკადემიური წრეებისათვის დიდად საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა ინგლისური ლიტერატურის კურსების რეფორმის შესახებ. სტატია ინგლისურ ჟურნალში დაიბეჭდა სათაურით — „ისტორია კრიტიციზმის წინააღმდეგ ლიტერატურის სწავლებისას უნივერსიტეტში.“ იგი ამტკიცებს, რომ ისტორიის სწავლება გადაჭარბებულია ინგლისური ლიტერატურის სწავლებისას, ყურადღება არ ექცევა, რომ ამგვარი სწავლებისას უკუგება მცირდება, და დროა ყურადღება გადავიტანოთ კრიტიკის სწავლებაზე.

ჩემთვის ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მომავალში სტუდენტებს უფლება უნდა მიეცეთ ისწავლონ ლიტერატურა და არა ლიტერატურის შესახებ. და ვფიქრობ კარგ სტუდენტებს ყოველთვისაც ეს სურდათ. გასაკვირია, რომ ისინი ურიგდებოდნენ ამდენ ხანს არაფრად ჩაგდებას. მაგრამ არც დიდ მადლიერებას გამოხატავენ ამის გამო და მთელი ეს ამბავი საკმაოდ კომიკურ სურათს წარმოგვიდგენს.

დარწმუნებული ვარ, პროფესორი კრეინი ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სხვებთან ერთად, რევილიუციურ შედეგებს აღწევს სწავლებისას, თუმცა ძალზე მოკრძალებული პროგრამის გამო — ძირითადად არისტოტელეს კრიტიკულ მოსაზრებათა ხარჯზე (სულაც არ გამაჩნია ზუსტი ინფორმაცია მათი პროგრამების შესახებ). ჩიკაგოს უნივერსიტეტი მდიდარი არ არის და არცთუ მდიდარი გამოცდილება აქვს რეფორმატორული მგზნებარების მიმოქცევაში, მაგრამ ცუდ ჩვევათაგანაც დაცულია. ინგლისური ლიტერატურის აქაურ დეპარტამენტს მრავალი მოძველებული სწავლებანი ნაუქებებია, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არ არის კრიტიკის სასარგებლოდ გამოსვლისა. ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორებს შორისაა რობერტ მორს ლოვეტი, ალბათ ჩვენთვის საუკეთესო ნიმუში ექვმიუტანელი „სწავლულისა“, ვინც იცის, თუ როგორ უნდა წეროს, და ვისაც აქვს მინიჭებული მადლი კრიტიკისა, თუმცა გარკვეული მიდრეკილებითა და პრინციპებით არ გამოირჩევა. თუკი მათი დეპარტამენტი ბევრითად და ცოდნით ააშენებს ლიტერატურული კრიტიკის სკოლას, მჯერა, რომ აკადემიური სტანდარტების მიხედვით შთაბეჭდვად გამარჯვებასაც მოიპოვებენ. იმას ვგულსხმობ, რომ მთელი ქვეყნის ბრწყინვალე, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა სწავლულები მოინდომებენ იქ სამუშაოდ წასვლას. ისინი გამორჩეულ სიახლეს შესძენენ უნივერსიტეტს და ამით ბოლოს და ბოლოს ძირფესვიანად გარდაქმნიან სხვა ინსტიტუტებში დანერგილ პრაქტიკასაც. და ეს უფრო ღირებული იქნება, ვიდრე პროფესორ კრეინის მიერ ფრთხილად შემოთავაზებული თეორია.

პირველად არ ხდება ინგლისური ლიტერატურის პროფესორთა გალაშქრება ისტორიკოსთა თუ „სწავლულთა“ ანუ იმ გამაბეზრებელი მნიშვნელობის წინააღმდეგ, რაც ამ სიტყვამ შეიძინა. მათ იმ სხვა დროშიც დიდად არ უღვანიათ. შესაძლოა არცთუ გამოჯიკილი იყვნენ ისტორიულ სწავლაში, რადგან — პატიოსნად უნდა განვაცხადო — დიდი არაფერი საბუთი მოეპოვებათ, რომ ამ საქმეში თავი გამოუჩინათ. და ამავე დროს ძალზე უნაყოფონი გახდნენ კრიტიკაში, რომ მგზნებარე ალტერნატივა წარმოედგინათ.

ყველაზე ღირსშესანიშნავი გადახვევა აღიარებული კურსიდან ამ ბოლო დროს ლიტერატურის დარგში ახალმა ჰუმანისტებმა მოახდინეს. ვნუხვარ, რომ ის მიმართულება არ არის, რომელსაც მე ვქოძიებო; არც ის გახლავთ, პროფესორი კრეინი რომ იწინებდა, ვინც მოკლედ შენიშნავს მათდამი წინააღმდეგობას. რა თქმა უნდა, ჰუმანისტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათმა შემოტანილმა სიახლემ გაახარა ყველა, ვინც უკმაყოფილო იყო ისტორიული სწავლების მიერ მათი მიდრეკილების უარყოფისთვის. მაგრამ უფრო შორიდან თუ გამოვხედავთ, ეს მიმართულება ისეთივე არალიტერატურული გამოდგა, როგორც ის სწავლება, რომელსაც თვითვე გაემიჯნა. და არავითარი რთული იდეები არ შემოუთავაზებიათ.

ახალი ჰუმანისტები მორალისტები იყვნენ და არიან; უფრო ზუსტად, ისტორიკოსები არიან და გარკვეულ მორალურ

სისტემას ექომაგებიან. კრიტიციზმი არის მცდელობა, განსაზღვროს და მოინონოს ლიტერატურის ესთეტიკა თუ დამახასიათებელი ფასეულობანი, და მიმაჩნია რომ ჰუმანისტები ისევე შეკრებიან „ესთეტიკის“ ხსენებაზე, როგორც რიგითი ისტორიკოსი სწავლულები. და განა რომელიმე ჰუმანისტი ოფიციალურად გამოსმაურებია ამ ტერმინს? რაღაც არ მაგონდება. ტერმინი „ხელოვნება“ ოდნავ ორაზროვანია და ჰუმანისტებმაც მას მიმართეს; რაკი საუკუნეებია, თავისუფლად გამოიყენებოდა, ხელოვნება, მათთვის ვინც იწონებს, გულისხმობს ამაღლებულ სერიოზულობას, ხოლო ამაღლებული სერიოზულობა გულისხმობს მორალურ თვითშემეცნებასა და თვითშეზღუდვას, დაბოლოს, პლატონსა და არისტოტელეს.

მისტერ ბებიტი თანამიმდევრულად თამაშობს ტერმინებით — კლასიკური და რომანტიკული. თვითული ეს ტერმინი მრავალ რამეს აღნიშნავს, ასე რომ, უეჭველია მრ. ბებიტს შეეძლო ომი გამოეცხადებინა რომანტიზმისათვის პირმინდად მორალური მიზნებით; და მისი საზრუნავი ეთიკური იქნებოდა და არა ესთეტიკური. მორალისტიკისათვის სრულიად კანონიერია თავს დაესხას რომანტიკულ ლიტერატურას და შეჭმნას თავისი სარჩელი — უფრო ემოციურ და არა პრინციპულ საფუძვლებზე, იმის საფუძველზე, რომ რომანტიკოსი ავტორი საკუთარ თავს წარმოაჩენს უნიათო, თავშეუკავებელ, განდეგილ, არაფილოსოფიურ ან უბრალოდ მოუშნიფებელ პირად. მორალური უარყოფა სავარაუდოდ სამართლიანია; რომანტიკული ხანას წარმოაჩენს მნიშვნელოვან მარცხს შეგუებაში და იცავს კიდევ ამ მარცხს, სოციალური და პოლიტიკური გარემოსადმი შეუგუებლობას; გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ჰუმანისტები დამეთანხმებიან, როცა მოწინავე ვხდებით საზოგადოების მარცხისა ინდივიდის მოთხოვნილებათა აღქმასა და გაგებაში. მაგრამ ეს რათქმუნდა არ არის ის ბრალდება, რასაც ლიტერატურის კრიტიკოსი მისტერ ტ. ს. ელიოტი უყენებს რომანტიზმს. მისი ბრალდება, თუ არ ვცდები, ესთეტიკურია, თუნდ არც ანაღვლებდეს მისი მკვეთრად განსაზღვრა. სხვა სიტყვებით, ლიტერატურის კრიტიკოსს აქვს სათქმელი რომანტიზმის შესახებ და ალბათ დაახლოებით ასეთი რამ: რომ რომანტიკული ლიტერატურა არასრულყოფილია ობიექტური ან „ესთეტიკური მანძილიდან“, და რომ ამ არასრულყოფილებიდან მოდის სისუსტე სტრუქტურისა; რომ რომანტიკოსი პოეტი ნაკლულად აცნობიერებს ესთეტიკურ მიმართებას და არ არის ჭეშმარიტი ხელოვანი. ან სხვა რამ შეიძლება ითქვას. და ძალზე ნაჩქარევი იქნებოდა იმის განცხადება, რომ თუ მორალისტი იძულებულია დაიწუნოს ლიტერატურის კრიტიკოსის ნაშრომი, ვალდებულიცაა ასე მოიქცეს.

ჰუმანისტთა ახალი მიმართულების გამოჩენით მოტანილ გამოცოცხლებას ახლა უკვე მეორე, მემარცხენეთა ანუ პროლეტარების მიმართულება მოჰყვა, რაც ასევე გადახვევაა ძველი გზიდან. მათი გადახვევაც მორალური ხასიათისა. მათთვის ნიშნდობლივია, კლასობრივი ცნობიერება შეაძვრინონ ლიტერატურაში, და ლიტერატურა ამხანაგთმოყვარეობის სამსახურში ჩააყენონ, ისევე როგორც ჰუმანისტები ახდენენ რომანტიზმისა და ლიტერატურულ ექსპონატთა რევიზიას, რათა გამოაცოცხლონ არისტოტელეს მორალური კანონი. მიმაჩნია, რომ ეს ყოველივე ერთგვარი პროცედურებია. ჰუმანისტებსა და მემარცხენეთა შორის დებატები არასოდეს გაიმართება ესთეტიკურ საკითხებზე, რადგან ეთიკურ საკითხებზე კამათს იზრახავენ. მაგრამ დებატები ეთიკურ საკითხებზე ისეთი გამოაცოცხლებელი იქნება და ისე აამოძრავებს ლიტერატურის სწავლების განყოფილებას, რომ აღიარებული სწავლულები დაინახავენ, რომ სძინავთ და რომ მათი მოსწავლეები ლიტერატურისაგან იღებენ ახალსა და მაცდუნებელ სასიცოცხლო ძალას, რაც მათ გადაიბირებს ინგლისური ლიტერატურის პროგრამული სავარჯიშოებიდან.

მთლიანობაში, რაც უნდა იყოს, მორალისტები, როგორი გამოჩენილიც უნდა იყვნენ, იმათ ჰგვანან, ვინც ეჩხუბნენ არსებულ ისტორიულ სწავლებას უფრო სუფთა და უფრო ესთეტიკური პოზიციიდან: მათ ინგლისური ლიტერატურის სწავ-

ლებში პროფესიული მნიშვნელობის პოზიციები არ უპყრიათ. ინგლისური ლიტერატურის დეპარტამენტში, სხვა წარმოებულ ბიზნესისა არ იყოს, მესაკუთრული ინტერესები კანონიერია, და ძველსა და პატივსაცემ დეპარტამენტში სხედან უცვლელი მესაკუთრე ჯენტლმენები, ვინც ისტორიულ ქარხნებში გალიეს დღენი. მათი შრომატევადი სადოქტორო ხარისხები და ისტორიული ქმნილებანი მათივე პატენტებია. ბუნებრივია, ისინი სრულიად სპონტანურად შეეცდებიან გაახანგრძლივონ სისტემა, სადაც ძალაუფლება და დიდება მათ ეკუთვნობდათ. მაგრამ ინგლისური ლიტერატურის სწავლულებს ამ ქვეყანაში ძნელად თუ მოეძებნებათ მეტი საბუთი, ვიდრე პროფესორ კრეინს მოუპოვებია თავის საკვლევ ვრცელ ეპოქაში, XVIII საუკუნეში. ამიტომაც ენიჭება მის უკმაყოფილებას მნიშვნელობა.

მართლაც სისასტიკე იქნებოდა დეპარტამენტისათვის, უარი ეთქვა საკუთარ პატივსაცემ თავისებურებებზე. ინგლისური ლიტერატურის დეპარტამენტი აღვსილია ლიტერატურის, როგორც ხელოვნების უწყვეტი ცოდნით, და მაინც, ყოველთვის ავინყდება ლიტერატურის ნაყოფის გამორჩეული აგებულება და შემადგენლობა. ინგლისურ ლიტერატურას ისიც შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიჩნევს თავს ავტონომიურ ერთეულად, არამედ ისტორიის დეპარტამენტის ნაწილად იმ გამონაკლისით, რომ თავს ხანდახან ეთიკის დეპარტამენტის განშტოებადაც აცხადებს. ისიც მართალია, რომ ისტორიული და ეთიკური სწავლებანი შემოიკრებენ ისეთ საგნებს, რომელთაც რაღაც მიზეზით ხელოვნების საგნებს ვუნოდებთ. მაგრამ თვით საგანზე პროფესორებს ფიქრი არ ევალებათ; და მხოლოდ შარშან გაზაფხულზე მოხდა, რომ დამამთავრებელ კურსზე რაღაც ჯადოსნობით იმპროვიზებული უარი სტიკიცეს ერთ-ერთ მსხვერპლს, ვინც უკმაყოფილო იყო თავისი კურსის მობეზრებული მიმართულებით: „აქ სწავლების ზუსტად განსაზღვრულ გეზს მივდევთ, ხოლო თქვენ კრიტიკა გასურთ. ჩვენ აქ ნებას ვერ დავრთავთ კრიტიკას, რადგან ეს ისეთი რამაა, რაც ყველას შეუძლია“.

მაგრამ იმპროვიზაციები არ ვარგა, როცა საკუთარ პროფესიაზე მსჯელობ. ეს სიტყვები ამჟღავნებს პირფერობას საკუთარი თავის შეფასებისას, რისი საჯაროდ გატანაც არ ღირს: თურმე არ შეგიძლია იყო კრიტიკულიცა და ზუსტიც ერთსა და იმავე დროს, თურმე ისტორია უფრო მტკიცე საფუძველია, ვიდრე ესთეტიკა, და თურმე, სიმართლე რომ ვთქვათ, კრიტიკა ძნელი საქმეა ისეთი გონებისათვის, რომელსაც სურს დარწმუნებული იყოს საგანში. ასე არ იღვწოდა არისტოტელე თავის წერილთა ერთ ნაწილში; არც ახალგაზრდა მოაზროვნენი არიან განწყობილნი ასე ამ ბოლო დროს, ვიდრე ოდესმე, როცა ყველგან იმას ცდილობენ, რომ გააფხავონ და სწორად მიმართონ კრიტიკული იარაღები.

და ყველას არც შეუძლია კრიტიკის წარმართვა. მაგალითისათვის, რაც უფრო გაბოჩინილია ინგლისური ლიტერატურის კრიტიკოსი (როგორც ისტორიკოსი), მით ნაკლებ შეუძლია კრიტიკის წერა, თუ მეორე, ასევე ისტორიულ დარგში მომუშავე პროფესორზე არა წერს. პროფესორს ეგებ შეუძლია კიდევ ესთეტიკური მსჯელობა ძველ ნაწარმოებზე, განსაკუთრებით „თავისი პერიოდიდან“, რადგან ამ ნაწარმოებზე მრავალ იმ ავტორიტეტს უმსჯელია, ვისაც პატივს სცემს. მაგრამ ახალ ნაწარმოებს რომ შეხვდება, ვშიშობ, იშვიათად რომ რაიმე კონკრეტულის თქმა მოახერხოს. თანამედროვე კრიტიკა სულაც არ არის იმათ ხელში, ვინც წარმართავს ინგლისური ლიტერატურის სწავლებას. თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც თითქმის ვალდებულა შემოიტანოს კრიტიკის სწავლება, თუკი საერთოდ შემოაქვს რაიმე, იმის გამო, რომ ჩვეულებრივი ისტორიული კომენტარის დართვაც კი არ შეუძლია, ძნელად თუ შეიძლება ოფიციალურად ჩათვალოს სერიოზული სწავლების სფეროდ.

და აი, თანამედროვე ლიტერატურა ელის კრიტიკას; სად არიან ლიტერატურის პროფესორები? ისინი რწყავენ საკუთარ ბაღჩებს, ნათელს ჰყენენ ლიტერატურის ისტორიას თავიანთი პატივსაცემი პერიოდებისა. ასევე იქცევიან მათი საყ-

ვარელი მოწაფეებიც. ისინი კი, ვისაც შველა შეუძლიათ, იძულებულნი არიან ნაადრევად დატოვონ უნივერსიტეტები, რადგან ხედავენ, რომ უბრალო ისტორიკოსებად გადააქციეს; ზოგი კი გამძლე გამოდგება, სასჯელს აიტანს და უფლებას არ მისცემს, შთანთქან და ნაახდინონ. ისინი თვითნასწავლი კრიტიკოსები არიან. ბუნებრივია, დიდი სიბრძნე არ გააჩნიათ ამ მოყვარულებს, ვინც რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს გვანვდიან. მაგრამ როცა რომელიმე გამოირჩევა, რაც აუცილებლად ხდება, რადგანაც გამორჩევა შედარებას მოსდევს, იმ უნივერსიტეტებს, სადაც ისინი სწავლობდნენ, ძნელად თუ ექნებათ უფლება წილი დაიდონ მათ სახელ-დიდებაში.

ასე არც ეკონომიკაში ხდება, არც ქიმიასა, სოციოლოგია-სა, თეოლოგიასა თუ არქიტექტურაში. ამ დარგებში აღიარებულია, რომ შესრულებული სამუშაოს შეფასება იმ ადამიანთა უპირატესობაა, ვისაც ფორმალური წვრთნა აქვს გავლილი თეორიასა და ტექნიკაში. ისტორიული მეთოდი საჭიროა და შეიძლება ყველანაირი ნაშრომისათვის გამოვიყენოთ, რაც უნდა იყოს. მაგრამ მისი გამოყენება ახირებად არ გადაქცეულა უნივერსიტეტელეებისათვის სხვა დარგებისა; მხოლოდ ლიტერატორ სწავლულებს სურთ გადაიქცნენ სრულ ისტორიკოსებად. ამას კი იქით მივყავართ, რომ, სხვათაგან განსხვავებით, მეტ ველარაფერში ვიყენებთ დეპარტამენტის პერსონალსა და მასში არსებულ უხვ შესაძლებლობებს.

### III.

ინგლისური ლიტერატურის დეპარტამენტები — სავარაუდოდ — იმიტომ არსებობს, რომ შეეშველონ ლიტერატურული ხელოვნების წვდომას. ეს მოიცავს ორივეს, კრიტიკასაც და „შეფასებასაც“, რაც უნდა იგულისხმებოდეს მასში. ამ ბოლო ტერმინის არსს, როგორც ჩანს, ინტუიტიურად უნდა ჩაენვდომოდით, შეუსწავლულად, იმით, რომ იძულებული იყო ეარსება ლიტერატურული ნაყოფის გვერდით. მართალია, რომ საუკეთესო ნაშრომები დეპარტამენტებში იმ ადამიანთა მიერ იქმნება, ვისაც ხმაბალა კარგად ნაკითხვავზე ოდნავ მეტი თუ შეუძლიათ და სტუდენტებს გადააბარებენ, ნაწარმოები პირადად შეაფასეთო. გვახსოვს, თუ რა კარგი საქმე შეიძლება აქედან გამოვიდეს, და ნამოგვაგონდება პარვარდის პროფესორი კოუპლენდი და დინ ქროსი გრილის მასწავლებელთა კოლეჯიდან. არიან ისეთებიც, ვინც იმავეს მიღწევას სხვაგვარად ცდილობენ, და ამას უფრო დამაჯერებლად მიიჩნევენ: მშენიერ პოეზიასთან გასამინაურებლად ბევრ საზეპიროებს მოითხოვენ. მათი სტრატეგიის დასაცავად ის შეიძლება ითქვას, რომ რაც უნდა იყოს მათი მოთხოვნები ისეთი ისტორიული ინილო-ბინილო არ არის, რის გაზუთხვასაც სწავლულები სთხოვენ თავიანთი მოწაფეებს, რადგან საგანი ლიტერატურაა და მასში ჩანვდობა, და არა რაღაც გარეგანი ინფორმაცია. მაგრამ მაინც ტერმინოლოგიურად არასწორი იქნება, რომ სიტყვა „სწავლება“ გამოვიყენოთ იმ პროფესორებთან მიმართებით, ვინც კითხულობენ და საზეპიროებს ითხოვენ.

ამგვარად მომუშავე პროფესორები კურატორები არიან და მზრუნველობენ მუზეუმს, სადაც თავმოყრილია ლიტერატურული შედეგები, ისევე როგორც სხვა მუზეუმში შესაძლოა მხატვრობის შედეგები იყოს თავმოყრილი. ისინი თავიანთ რაზმებს მიმართავენ ერთი ნაწარმოებიდან მეორისაკენ, ჩერდებიან წესის მიხედვით და პატივს მიაგებენ, მაგრამ მათი ამკარა პატივისცემა შედეგების მიმართ ინფექციის შემტანია და გააზრება — ნაძალადევი. ბუნებრივია მათი მაღლიერება იმ ნაყოფიერად მშრომელი კოლეგების ჯგუფის მიმართ, ვინც ჩარჩოებში ჩასვეს შედეგები, ჩამოკიდეს შესაბამისი სკოლებისა და ქრონოლოგიის მიხედვით და მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტი მხატვრებისა და მოვლენების შესახებ. თავის მხრივ კოლეგები ალბათ საკმაოდ ბედნიერად გრძნობენ თავს, საქმის ამ ნაწილს რომ ასრულებენ, ფიქრობენ, რომ მართლაც ნაყოფიერად იშრომეს და ახლა დროა ნაკლებად შემძლე ადამიანებმა გაყიდვას მაქციონ ყურადღება.

კერძო შეფასებისა და ინგლისური ლიტერატურის სწავლების ბოლო ეტაპის გამომხატველი საჯარო და სამსჯელო კრიტიკის მიღმა დგას ისტორიული სწავლება. ეს უდავოა. მაგრამ ის იარაღი და ვერ იქნება თვითკმარი. ამ მიმართებით ისტორიულ სწავლებას იგივე ადგილი უკავია, რაც ლინგვისტურ სწავლებას: ენა და ისტორია დამხმარე საშუალებანია.

ისტორიული სწავლების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უმისოდ ვერაფერს მოუხერხებდით, მაგალითისათვის, ჩოსერს. შემძლია მოვიტანო ნაცნობი წყარო „მიმი“ სწავლებიდან, ინგლისური ლიტერატურის სწავლების ნებისმიერი პროგრამა, რითაც სტუდენტი გაბედულად და ერთხელ და სამუდამოდ შეჰყავთ ისტორიულ სწავლებაში. ჩოსერის წერს ალგორითებით, რაც უნდა გამოფრონ ისტორიკოსებმა, იგი მოიხილავს ჩვენთვის უცნობ ინსტიტუტებსა და ჩვეულებებს. მის უკან დგას მრავალი სხვადასხვა ენაზე მწერალი, ვისგანაც სესხულობს ფორმასა და მასალებს. მისი აზრი გამუდმებით დასტრიალებს თავს კლასიკურსა და შუა საუკუნეთა ფილოსოფიებსა და მეცნიერებებს, რაც გამქრალია ჩვენი აქტიური ცოდნის მარაგიდან. საჭიროა უზარმაზარი შრომა ისტორიული ადაპტაციისათვის, რათა ჩვენი გონება მოემზადოს ჩოსერის ესთეტიკასთან მისაახლოებლად.

ან თუნდაც ჩვენი ეპოქის ნებისმიერ ავტორს დაუფკვირდეთ. აზროვნებას, რითაც ძველ თხზულებას მივყავს, არაა ის აზროვნება, რითაც ვცხოვრობთ ან ახალ თხზულებასთან მივივართ. ეს თხზულება უფრო მკაცრად შეზღუდული და სრულიად განსხვავებულად მორთმეული. ჩვენი თანამედროვე რეალური აზროვნებიდან უნდა ამოვშალოთ ის დიდი ნაწილი, რაც იქ თანამედროვე პირობებს შეჰყვება, მაგრამ საერთოდ არ ყოფილა უფრო ადრეულ აზროვნებაში. ეს ნეგატიური მხარის ტექნიკაა, შეჩერების ტექნიკა; ძნელია პრაქტიკულ პირთათვის, მეცნიერ ლიტერატორთათვის, აგრესიულ თანამედროვეთათვის, ვინც ამაყობენ „სიმართლით“ ან „პროგრესით“, რაც თავის საქმეში კარგად წარმოდგენილ, განათლებულ კაცს მოუპოვებია. პოზიტიური მხარისათვის აზროვნება უნდა აღჭურვოს სიზუსტითა და დამაჯერებლობით; აზროვნების ისეთნაირი წარმართვით, წინა ეპოქაში რომ იყო, სპეციფიკური შინაარსით, რასაც ისტორია გვასწავლის; ეს თავის მოტყუების ტექნიკაა. ისტორიული ადაპტაციის მთელი აქტი — ამგვარი ტექნიკების გავლით — მოქნილობის განსაცვიფრებელი ხელოვნებაა. რა თქმა უნდა, საუნივერსიტეტო სწავლების განსამტკიცებლად საკმაოდ მყარი რამაა. მაგრამ უკმარია ინგლისური ლიტერატურის პროგრამისათვის.

თანამედროვე ისტორიული განსწავლულობის მიღწევები ინგლისური ლიტერატურის სფეროში, მთლიანობაში, შთამბეჭდავია. და ალბათ ყველაფერს ეყოფა, სავარაუდოდ რა ლიტერატურული როლიც უნდა შევასრულებინოთ; თუმცა, რასაკვირველია, თუკი ისტორიული განსწავლულობა თვითკმარი იქნებოდა, როგორც ისტორიკოსებს სჯერათ, მაშინ თავის მუშაკათვის ზღვარის დანესება აღარ დასჭირდებოდათ. უმალ გაგვიჩნდება კარგი წარმოდგენა დღეს ხელმისაწვდომ ისტორიულ სწავლებაზე ინგლისური ლიტერატურის სტუდენტებისათვის, თუ რამდენიმე თავს გადავხედავთ კემბრიჯის მიერ გამოცემულ ისტორიისა, ბიბლიოგრაფიითურთ. ან უკეთესი იქნება, თუ ერთ-ერთს იმ უამრავი წიგნიდან, კემბრიჯის ისტორიის რომ მოჰყვა თან: სახელმძღვანელოებს, რომლებიც მოგვითხრობენ ისეთ ავტორებზე, როგორებიცაა შექსპირი, მილტონი და თან ტომობით ბიბლიოგრაფიაც ახლავთ; ან წიგნებს ცალკეულ პერიოდებზე, რომლებიც ლიტერატურის ამ მონაკვეთებზე მოგვითხრობენ ბევრ რამეს.

სტუდენტებს შორის ესთეტიკური ნიჭით დაჯილდოებულთათვის ისტორიული შრომით მიღებული ჯილდო შეუფერებლად კნინი იქნება. ჩოსერის ოფიციალური კურსი ალბათ ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტით ისტორიისა და ლინგვისტიკისაგან შედგება და მხოლოდ ხუთი პროცენტია ესთეტიკა და

კრიტიკა. მშვენიერების საგანი მარადიული სიხარულია. მაგრამ წინ ვერ წავა, რადგან სტუდენტმა ენა უნდა ჩაიგდოს მის წინაშე. ის ხელოვნების ქმნილებაა, გმირული შრომით შექმნილი, და ამის გამო საჯარო განხილვისაკენ მოგვიწოდებს. უსაზღვროა დიალექტიკური შესაძლებლობანი და როცა ამით დავკავდებით, აღმოვაჩნით, რომ კრიტიკას შევდგომივართ.

IV.

რა არის კრიტიკა? უფრო ადვილი იქნება ვიკითხოთ, რა არ არის კრიტიკა? ამჟამად ესაა ავადსახსენებელი, ახირებული და განუსაზღვრელი ქმედება. დარწმუნებულნი ვართ, კრიტიკული აქტი არ არის ის, რასაც ლიტერატურის პროფესორები ჩვეულებრივად ახორციელებენ ან თავის სტუდენტებს აგულიანებენ ამისათვის. და ამიტომაც გვიჩნდება სევდიანი შთაბეჭდილება, რომ ხშირად ვერ ვხედავთ პირწმინდა კრიტიკას დალაგებულ თხზულებებში სრულიად განუსაზღვრელი კვალიფიკაციის მწერლებისა, წიგნების მიმოხილვის სახელით რომ ჩნდება პრესაში.

პროფესორი კრეინი კრიტიკად არ მიიჩნევს ისტორიულ სწავლებას და ახალ ჰუმანიზმს, მაგრამ მეტის გამორიცხვაც შეიძლება. მე ვისურვებდი კრიტიკად არ მიგვეჩნია:

1. პიროვნული ჩანაწერები, რაც კრიტიკოსზე — როგორც მკითხველზე — მხატვრული თხზულების მიერ მოხდენილი შთაბეჭდილების გამომხატველობაა. პირველი კანონი, რაც შეიძლება კრიტიკას მიენეროს, თუკი ვიტყვირთებთ ამ პასუხისმგებლობას, ისაა, რომ ობიექტური უნდა იყოს, მსჯელობდეს ობიექტის ბუნებაზე და არა სუბიექტზე მოხდენილი შთაბეჭდილებაზე. ასე რომ, კრიტიკა სულაც არ იქნება, თუ ვამტკიცებთ, რომ ღირებული ლიტერატურული ქმნილება ის არის, რომლის ორჯერ ნაკითხვაც შეიძლება; ან რომელიც გამორჩეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, ვთქვათ, დაგვაინყებს გარემოცველ სამყაროს, ცრემლს გვადვრვინებს, ყელში ბურთი გავგვწრება და სხვა ამისთანანი; ან ისეთი, სრულ ილუზიას რომ შექმნის ან სულიერ ექსტაზს მოგვგვრის, ანდა გრძნობათა კათარზისს გამოიწვევს. არისტოტელემ აღწერა კათარზისი, როცა ტრაგედიას განსაზღვრავდა — თუმცა არ დაიზარა და ამ ჟანრის ობიექტურ თვისებებზეა და არა ანალიზზე მანვე მოგვანოდა. სადალაც ნავიკითხე, ზოგიერთი თანამედროვე ბროდვეელი კომედიის პროდიუსერი სანდო პირებს სთხოვს შესაბამის მაცურებლებში ჩასხდნენ და სიცილი აღნუსხონო; შემომწეების მათეული მეთოდი ისეთი დახვეწილი არ არის, როგორც არისტოტელესი, მაგრამ ორივეს აინტერესებს ზემოქმედება. ამგვარი დაინტერესება აირეკლავს თვალსაზრისს, რომ ხელოვნება იმიტომ არსებობს, ხელოვანი და მისი დამქირავებელი მიზნად ისახავენ შექმნან მაცურებლისათვის ან მაღალზეობრივი, ან საღალარო შესავსები თხზულებანიო. ორივე შემთხვევაში ეს საძაგელი თვალსაზრისია, რადგან უარჰყოფს ხელოვანის დამოუკიდებლობას — შეთხზას როგორც თვითონ სურს, და ხელოვნების ნიმუშის დამოუკიდებლობას — იარსებოს როგორც არის (შეგვიძლია გამოვარჩიოთ ქიმიური ნივთიერება რაღაცის განკურნება რომ შეუძლია, მაგრამ ქიმიკოსისათვის ასე სულაც არ არის; ან შეიძლება სათამაშო გამოვარჩიოთ, თუ მშობელი ვართ, რომელიც ბავშვს ართობს, მაგრამ სათამაშოს შემქმნელისათვის ასე სულაც არ არის). ამას გარდა, არაკრიტიკულად უნდა მივიჩნიოთ აღმატებული სიტყვები, რაც სინამდვილეში სუბიექტურია, მაგრამ ობიექტს კი მიენერება, როგორცაა: შემძვრელი, ამაღლევებელი, გასართობი, შესაბრალისი; დიადი, თუ არ ვცდები, მომხიბვლელი, ოდნავ განსხვავებული, მკაცრად აგებული, და თავისთავად მშვენიერი.

2. მოკლე მიმოხილვა და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა (სინოპსისი და პარაფრაზი). ეს პროცედურები ყველაზე იოლია ლიტერატურულ თხზულებათა სისტემური განხილვისას და მოსწონთ სკოლებსა და ქალთა კლუბებში. იმას კი არ ვამბობ,

რომ კრიტიკოსი არასოდეს იყენებს ამ ხერხებს პროზისა თუ პოეზიის განხილვისას, მაგრამ იგი სიუჟეტსა და ამბავს ნამდვილ არსთან არ აიგივებს. სიუჟეტი არის მოკლე შინაარსი.

3. ისტორიული შესწავლა, რაც ძალზე ბევრ სფეროს მოიცავს — აქ შედის საერთო ლიტერატურული ფონი, ავტორის ბიოგრაფია და ცხადია, საგანგებო მითითებანიც ავტობიოგრაფიულ დეტალებზე თვით თხზულებაში; ბიბლიოგრაფიული მინიშნებანი; ციტატები ორიგინალური ლიტერატურიდან, ანალოგიები და, აქედან გამომდინარე, რასაც ზოგადად კომპარატიული ლიტერატურა ეწოდება. მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ხდება ზედაპირულად, როდესაც შედარებანი ზერელე და მექანიკურია, როდესაც სწავლული მხოლოდ პარალელურ ციტირებას ახდენს.

4. ლინგვისტური შესწავლა მოიცავს იშვიათი სიტყვებისა და იდიომების მნიშვნელობათა განსაზღვრას არქაულისა და უცხოურის ჩათვლითა და ალუზიების გამოცნობით. ლინგვისტიკის მიერ კრიტიკოსისთვის მოტანილი მთელი სარგებელი სანიშნადარია, რომ სარგებელი დაეფუძნება შინაარსის საფუძვლზე ლოგიკურ გააზრებას ან „ინტერპრეტაციას“. მსოფლიოს ყველა ენისა თუ ლიტერატურის გაცნობა აუცილებელი არ არის კრიტიკად შეფასდეს, თუმცა ამან შეიძლება კაცი საზიანო შეცდომებს აარიდოს.

5. ზნეობის სწავლა. ზნეობრივი სტანდარტების ცოდნა ერთობ მნიშვნელოვანი რამაა კრიტიკოსისათვის; ეს იქნება ქრისტიანული ეთიკა, არისტოტელური ეთიკა თუ ახალი პროლეტარული სახარება. მაგრამ ზნეობრივი შინაარსი არ არის მთლიანი შინაარსი, რაზეც უარს ვერასოდეს ვიტყვით.

6. სხვა სპეციალური სწავლანი, რაც მიემართება განზოგადებას ან პროზაულ შინაარსს თხზულებისა. სავარაუდოდ, ცოდნის ყველა სფერომ შეიძლება ნახოს მასალა ლიტერატურაში და გამოაცალკეოს. შესწავლილია ჩოსერისეული ხედეა შუასაუკუნეობრივი მეცნიერებისა, სპენსერის შეხედულება ირლანდიის საკითხზე, კანონის შექსპირისეული გააზრება ან მილტონის გეოგრაფია ან ჰარდის ტომპინიკა. კრიტიკოსს შეუძლია კარგად შეისწავლოს ეს ავტორისეული მასალები, მაგრამ მისი საქმე, როგორც კრიტიკოსისა, მათი ლიტერატურული დამუშავებაა.

**V.**

თვითონ კრიტიკული აქტი, თუ ვივარაუდებთ, რომ საზრიანი მკითხველი ამას თავისთვის ახდენს, ამ სასარგებლო სავარჯიშოებით ან მათ გარეშე ხორციელდება.

ცხადია, რომ მისტერ ოსტინ უორენი, ვისი ნაწერებიც კმაცოფილებას მანიჭებს, ერთგულია კრიტიკული პროექტის აკადემიური განვითარების იდეისა. და მაინც, იგი ვახლავთ მშვენიერი მაგალითი გავრცელებული აკადემიური მოსაზრებისა, როცა ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა ააგოს კრიტიკამ საკუთარი სახლი და რატომ უნდა გაეყაროს ისტორიულსა თუ სხვა სწავლათ; და რატომ არ უნდა გაიფურჩქნონ ყველანაირი სწავლანი ერთად, კრიტიკულის ჩათვლით, რომელიმე დაგეგმილი „კურსის“ მზრუნველობით გარემოცულნი? და დღეისათვის ხომ სწორედ ასეა? და მხოლოდ ერთს ვკითხავდი, განა კრიტიკა აყვავდა ამ ნესრიგში? ყოველთვის ჰქონდა შანსი განვითარებული ლიტერატურის პროფესორთა ხელში და ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. პოლიტიკის ცვლილება თვითონ გვთავაზობს თავს. სტრატეგია მოითხოვს კრიტიკამ მიიღოს თავისი ქარტია უფლებებისა და დამოუკიდებლად იმოქმედოს. და თუკი შიშობს სწავლების საფუძვლები გამომეტლებაო, სწავლულები ხომ აქვე იქნებიან, რათა დაამუნათონ, როცა არასრულფასოვან სწავლაში გადაიჭრებიან.

არა მგონია წიგნების რეცენზირება გაუმჯობესდეს, თუ პირნიშნა კრიტიკად გარდაიქმნება. რეცენზენტის მოტივები ისეთივე აღრეულია, როგორც შესრულებული სამუშაო და

მართლაც აღრეულ შედეგამდე მიდიან. რეცენზენტის საქმეც, კრიტიკოსისივით, წარდგენა და განმარტებაა. ყველაზე მეტი რაც შეიძლება მოვთხოვოთ, ისაა, რომ იცის, სად იწყება კრიტიკა, და ამას ისე ნათლად და სრულყოფილად აკეთებს, რის ნებასაც სამუშაო აძლევს. რა ავტორიტეტს უნდა მიმართოს?

მე არ ვიცი არავითარი ავტორიტეტი. ახლა თვითეული კრიტიკოსი თვითონვეა ავტორიტეტი. მაგრამ ვიცნობ ერთ დიდ კლასს სწავლულებისა, მართლაც კრიტიკული და საჭირო რომაა და შემძლია შემოგთავაზოთ კიდევ ერთი სწავლება კრიტიკოსის საყურადღებოდ, თუ მართლაც მიზანსწრაფული იქნება კრიტიკოსი.

სწავლებანი ხელოვნების ტექნიკისა უთუოდ კრიტიკას განეკუთვნება. სხვაგან ვერსად განვითავებთ, რადგან ტექნიკა არ არის ნიშანდობლივი ყველანაირი პროზაული მასალისათვის, რაც ხელოვნების ნიმუშში გვხვდება და არც არაფერს ახასიათებს, გარდა ხელოვნების უნიკალური ფორმისა. ამ კლასიფიკაციით სწავლებათა ძალზე დიდი კრებული შეგროვდება. ეს იქნება, მაგალითად, ტექნიკური სწავლებანი პოეზიისა, ხელოვნებისა, რასაც გამოჩინულად განვიხილავ, და შეეხება საზომებს, ინვერსიებს, სოლექციზმებს, პროზის ნორმებიდან გადახვევებს, გადახვევებს პროზის ლოგიკიდან, ტროპებს, შეთხზულს, გამოგონილს, რითაც პოეზია „ესთეტიკურ მანძილს“ ინარჩუნებს და შორდება ისტორიას, ან სხვა საშუალებას იმ ზოგადი აზრით, რომ ყველანაირი სისტემატური სიტყვათხმარება, რაც არ გამოდგება პროზისათვის, პოეტური საშუალებაა, მექანიზმი გარკვეული მიზნისათვის, რადგანაც მაღალი რანგის კრიტიკოსი არ დაკმაყოფილდება განყენებულ მექანიზმთა კომპილაციით; მას ისინი გაცილებით უფრო განზოგადებული საკითხისათვის ესაჭიროება. კრიტიკოსი გაიაზრებს, თუ რატომ ემიჯნება მთელი ძალით პოეზია თავის მექანიზმთა საშუალებით პროზას და რა არის ის, რის გამოხატვასაც ცდილობს და რის გამოხატვაც პროზას არ შეუძლია.

აქ საკუთარი იდეით ვიჭრები, რაც შეიძლება დისკუსიის საწყის წერტილად გამოდგეს. პოეზია პროზისაგან იმ ტექნიკური ხერხებითა და მექანიზმებით განსხვავდება, რაც შეიძლება იქნება თავი დააღწიოს პროზას. პროზა გამოქმენით კლავს, იმას რისი გადარჩენაც პოეტს სურს. მაგრამ ეს ფილოსოფიურად უნდა განვიხილოთ. ფილოსოფია ძიმედ ჟღერს, მაგრამ გამოცდილების ბუნებრივსა და ფუნდამენტურ ფორმებს ეყრდნობა.

კრიტიკოსმა ლექსი უნდა შეაფასოს, არც მეტი, არც ნაკლები, უიმედო ონტოლოგიურ და მეტაფიზიკურ მანერად. თვით პოეტი, თხზვის აგონიაში, რაღაც ასეთად აღიქვამს თავის შრომას. ლექსში პოეტი უკვდავყოფს არსებობის იმ წესრიგს, რაც რეალურ ცხოვრებაში გამოქმენით იშლება ხელის მიკარებისთანავე. მისი ლექსი აქებს ობიექტს, რაც რეალურიც არის, ინდივიდუალურიც და უზოგადესიც. იცის, რომ შესაძლოა პრაქტიკულმა ინტერესებმა ეს ცოცხალი ობიექტი რიგით სასარგებლო ნივთად აქციოს და განსწავლულობამ კი დაანანევროს და თავისი შეხედულებისამებრ განიხილოს. პოეტს სურს დაიცავს თავისი ობიექტის არსებობა მტრებისაგან, ხოლო კრიტიკოსს სურს გაიგოს, თუ რას სჩადის პოეტი და როგორ. კრიტიკოსმა ლექსში უნდა აღმოაჩინოს სრული პოეტური და ინდივიდუალური ობიექტი, რაც მიდრეკილია უნივერსალიზაციისკენ, მაგრამ ნება არ ეძლევა მიაღწიოს ამ ბედისწერას. კრიტიკოსი ეზიარება სასურველ პოეტურ ობიექტს, როგორც უნივერსალურს ან ბანალურს, რასაც იცავს მისივე ქსოვილი ან სრული ქვეტექსტი. როგორ გამოარჩევს იგი უნივერსალურ ობიექტს? ეს პროზაული ობიექტია, ნებისმიერი სწორხაზოვანი პროზაული მკითხველი რომ მიაგნებს უშუალო პარაფრაზით; რაც უნდა იყოს ამბავი, ხასიათი, სცენა თუ ზნეობრივი პრინციპი. და ის ქსოვილი რაღაა, რაც იცავს მას პოეტური ობიექტიდან გამოღწევისაგან? ეს კი, პროზაული ლოგიკის მიხედვით, მისი სიუჟეტი და ვიტყვით, შეუსაბამობაც კი.

პოეტზე ამბობენ, საკუთარი სტილით გამოირჩევაო. ეს მრავლისმომცველი სიტყვაა და ალბათ გულისხმობს ზოგად ხასიათს

მისი შეუსაბამობისა თუ ქსოვილებისა. პოეტის მთელი ტექნიკური ხერხები ამის სამსახურშია, ხვეწენ და აპიროვნულბენ უნივერსალურს, ძირითად ობიექტს; ისევე როგორც მთელი მასალის დეტალებს. თვითუღი ლექსისათვის, იდეალურ შემთხვევაში, გამოსარჩევი ლოგიკური ან უნივერსალური ობიექტი, მაგრამ ამავე დროს — შეუსაბამისობის ქსოვილიც, საიდანაც ის სინამდვილეში არ ამოსულა. კრიტიკოსმა ლექსი განყენებულად უნდა აიღოს და გააანალიზოს, რათა ფარდა ახადოს ამ თავისებურებებს. და მთელი დახვეწილობის მიუხედავად, ეს მაინც უხეში და ჭუჭყიანი საქმეა ლექსის ცოცხალ სინრფელესთან შედარებით. და მაინც, უამისოდ ძნელად თუ გავერკვევით პოეზიის ღირებულებას ან დასრულებული ლექსის ბუნებრივ ისტორიაში.

ეგებ მეტისმეტად მიმე მოგვჩვენოთ ენა, რომლითაც ამას ვწერ, მაგრამ, მაგონია, მივხვდი, რომ ღრმა კრიტიკა ძირითადად ასეთი მოსაზრებებით მუშაობს. როგორც უნდა წარმოთქვას კრიტიკოსმა, ორი რამ უტრიალებს გონებაში, პროზაული ბირთვი, რის გარემოც უნდა დაწნეხოს სასტიკად მთელი ობიექტი, და გასხვავებულობა, გამოთავისუფლებულობა ანუ ქსოვილი,

რაც ობიექტს პოეტურობასა თუ სისრულეს უნარჩუნებს. ლექსის ხასიათი კარგი კრიტიკოსისათვის გულისხმობს გამოთავისუფლებულ თავისებათა წარმოჩენის გზას. პოეტის ხასიათი განსაზღვრულია რაღაც პროზაული ობიექტით, რაც მის ყურადღებას აშკარად იპყრობს, ამას დაუმატე ის გზა, რითაც ეს ობიექტი შეჰყავს მტკიცედ გამოთავისუფლებულ ქსოვილში. და უეჭველია, რომ შემთხვევითი, ბრძენი კრიტიკოსი ხშირად ამოიკითხავს პოეტის საჯარო ხასიათს მიღმა მის პიროვნულ თავგადასავალს, კაცისა, ვისაც არაფერი გამოსდის კონკრეტულ სფეროში პროზაული თუ სამეცნიერო მონობისა.

იგივე მოსაზრებანი გამოდგება პროზაულ თხზულებათა თუ არალიტერატურულ ხელოვნებათა კრიტიკაში. ამას შევნიშნავ იმ ფილოსოფოსთათვის, ვისაც სამართლიანად სჯერათ, რომ ხელოვნება საფუძველში ერთია. მაგრამ ამის დამტკიცებას მას დავუთმობ, ვინც უკეთ არის მომზადებული.

ინგლისურიდან თარგმნეს  
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

## ილიას გავლით, დავითისაკენ!

ფაქტი არცთუ ორდინარულია, უფრო პირიქით: ერთი უნივერსიტეტი მეორე უნივერსიტეტის რექტორს შეხვედრას უწყობს.

გასაკვირი არ არის, რომ ამის მაგალითს საპატრიარქოს უნივერსიტეტი გვაძლევს.

მასპინძელი სწორედ ის არის.

სტუმარი კი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალგაზრდა რექტორია — პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**. ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ბევრი მოასწროო, — ამას ხაზგასმით აღნიშნავენ შეხვედრაზე, რომელიც, არსებითად, კონფერენციის ფორმატით წარიმართება.

შეხვედრა-კონფერენციას ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე** გახსნის და სტუმრის მრავალმხრივი მოღვაწეობის ზოგად შტრიხებს მოხაზავს, იმასაც იტყვის, რომ გიორგი სოსიაშვილი დიცში ცხოვრობს, იმ სოფელში, რომელიც დღეს კონფლიქტის ხაზთანაა, ოკუპანტის მიერ მონყობილ შლაგბაუმთან ახლოს. იმ სოფლის სკოლაში დადიან მისი შვილები.

ამას **რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, ტარიელ ფუტყარაძე** და **ნანა ზაგრატიონ-დავითიშვილიც** აღნიშნავენ და დასძენენ, რომ ახალგაზრდა რექტორი პატრიოტიზმის იშვიათ მაგალითს გვიჩვენებს. და ეს მაშინ, როდესაც იმ მხარეში რუსი ოკუპანტების მიერ გავლებულ მავთულხლართებს უმეტესობა პიარ-აქციებისათვის იყენებს.

გიორგი სოსიაშვილი ისტორიკოსია და პროფესორი **ელდარ მამისთვალშიშვილი** სწორედ საისტორიო მეცნიერებაში მის მიერ შეტანილ წვლილს წარმოაჩენს. სამეცნიერო ნაშრომებს რომ ჩამოთვლის, „შიდა ქართლის რელიგიის ისტორიის მასალებსაც“ ახსენებს.

**როსტომ ჩხეიძე** ამით უმაღვე დაინტერესდება და იტყვის, მეგონა, გიორგი სოსიაშვილის ყველა წიგნი ნაკითხული მქონდა და, თურმე, ეს ერთი ნაშრომი არ მცოდნიაო. უმეტესად კი გიორგი სოსიაშვილის მწერლურ მონაგარს შეაფასებს, მის მოთხრობებს შეაქებს, მხატვრულ-ენობრივი ძალმოსილებაც რომ გამოარჩევს და ზნეობის პრიმატიც, ასე რომ გაიშვიათებულა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მწერლებში... ქართული ენა მათ შეუძლიათ გიორგი სოსიაშვილისგანაც ისწავლონ.

„ერთი მოთხრობის სივრცე“ — ასე დაასათაურებს თავის გამოსვლას **ისუბ ჭუმბურიძე**. მოთხრობას „ნატყვიარი“ ჰქვია

და იმას გვიჩვენებს, თუ რა უბედურება მოიტანა საქართველოში ბოლშევიზმმა და, საერთოდ, რა შეიძლება დაგვმართოს უღმერთოდ ცხოვრებამ.

პერსონაჟს, რომელიც ეკლესიის გუმბათზე ჯვრის ჩამოსახსნელად ადის, სახურავზე ფეხი დაუცდება და სწორედ იმ ჯვარს ჩაებლავს. მაგრამ ეს ვეღარ უშველის, რადგან ყველაფერი დაგვიანებულია — სტიქაროსანს უკვე სული ეშმაკისთვის აქვს მიყიდული. ამიტომაც გუმბათიდან ჯვართან ერთად გამდოეშვება, სულს მის ქვეშ მოყოლილი განუტევენს...

და მაინც, — აღნიშნა გამომსვლელმა, — მთავარი არა ამბავი, არამედ მხატვრული ოსტატობაა. „როგორ უცბად ავიდა. ცოდვის ჩადენისას დრო სწრაფად გადის. — გაიფიქრა ვილაცამ“. — ეს ფრაზა ერთ მწერლად ღირს.

შეხვედრის მთავარი გმირი ბოლოს გულწრფელ სამადლობელს იტყვის და აღნიშნავს: „ჯერ არც ასაკი მაქვს ისეთი, რომ ნაღვანის შეჯამებაზე ვიფიქრო, იმდენიც არაფერი გამიკეთებია, რომ საამისო საფუძველი მქონდეს. მითუმეტეს, რომ ხმლის ქარქაში ჩაგებასაც არ ვაპირებ და ყველაფერი წინაა“.

რა თქმა უნდა, ყველაფერი, ანუ მთავარი წინაა და კიდევ ბევრ წარმატებას მივულოცავთ გიორგი სოსიაშვილს — რექტორს, მეცნიერს, მწერალს, პიროვნებას.

**P.S.** შეხვედრა მცირე, ანუ ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში უნდა გამართულიყო. მოზღვავებული ხალხი ვერ დაეცა და დიდ, ანუ დავით აღმაშენებლის დარბაზში გადაიტანეს. ერთ შეხვედრად მარტო ეს ფაქტი ღირს — სიმბოლური და იმედისმომცემი. მურმან ლებანიძის ის ლექსი გამახსენდა, ამას რომ ამბობს და ივედრება, დავითი იყო პირველი სვეტი, ილია იყო მეორე სვეტი, ღმერთო, გვალისე მესამე სვეტიო. ამინ!..



გიორგი სოსიაშვილი



ნანა კოტეტიშვილი

# ვახუშტი და მზეო

(თბილისის ომიდან ავვისტოს ომამდე 1991-2008)

ჩემი მარტოობის ბაღში,  
გაჩნდა უცხო ყოილი,  
როგორც უპატრონო ბავშვი,  
ნიავე ჩამოყოლილი...

ვახუშტისა და მზეოს ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს. ჩვენ გვიან გავიგეთ, მისმა ბიძაშვილებმა... თბილისის ომის მძიმე დღეები იდგა... სახლებიდან ვერ გამოვდიოდით... არ ვიცოდით, სად იყო ვახუშტი... ბოლოს ვნახეთ მისი დამწვარი სახლის წინ... ფერფლადქცეული სახლის ნარჩენებს ხშირი კვამლი ასდოდა... ამ სახლს ჩვენი ბავშვობაც თან გაჰყვა... და ყველაფერი, რაც ამ ოჯახთან იყო დაკავშირებული... ვახუშტის მამის, **ვახტანგ კოტეტიშვილის**, ცნობილი ხელოვანის, ლიტერატორისა და ფოლკლორისტის პირადი არქივი... უნიკალური ბიბლიოთეკა... ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების კოლექცია... ქართული ფარდაგების კოლექცია... ვახუშტის არქივი... ვახუშტის ლექსების რვა საერთო რეჟული, გადანერილი მისი აღმზრდელი დის, **ლეილას** ხელით... ფოლკლორული მასალები მთელი საქართველოდან... ვახუშტის დედის, **ნუსია დილევსკასგან** დანატოვარი **ქართველიშვილებისა და დილევსკების** ოჯახური რელიკვიები... და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ... დრო გადიდა... ვახუშტი არ ჩანდა... მდგომარეობიდან გამოსვლას დიდი დრო დასჭირდა... გავრცელდა დაუფერებელი ამბავი ვახუშტის დაოჯახებისა... დაგვანტერესა, ვინ იყო ის ქალი...

დაგვანტერესა და წავედით სანახავად, ამბის გასაგებად ვახუშტისთან ერთად გაზრდილი ბიძაშვილები, სამი და, სამი მული... **იათო, ელისო და ნანა**. ჩვენ ხალხის მითქმა-მოთქმით გაოცებულნი და „განრისხებულნი“, მივიჭერით მასთან... სახტად დავრჩით... ხელში შეგვრჩა ლამაზი, თბილი, ღიმილიანი პატარა გოგო... მოკრძალებით გვიამბო თავისი ამბავი... ბინა „მეიდანში“... სადაც ცხოვრება დაიწყო... მანამდე კი ვახუშტის დაუთმეს საცხოვრებლად მეგობრებმა... ახალ წელს მზეო სხვებთან ერთად ესტუმრა თურმე მისალოცად... ვახუშტი მისი ლექტორი იყო... ის მარტო იჯდა საახალწლო სუფრასთან, არავის ელოდა... სუფრა განყობილი იყო... თითქოს ვიღაცის მოლოდინში... შემწვარი გოჭი, ქათამი, საახალწლო ტკბილეული — გორიდან გამოგზავნილი... უცებ ყველაფერი შეიცვალა... ყველასთვის ლეგენდად დარჩა ის საღამო... განუმეორებელი ყოფილა ვახუშტი — თავისი იუმორით, დიდი ემოციით... ბევრი იცინეს, იმხიარულეს და თითქოს ყველასგან მიტოვებული ვახუშტის მოულოდნელი გადანყვეტილება... ცხოვრების თავიდან დაწყების დიდი სურვილი...

ყველაფერი კი იმ ლექციით დაიწყო, რომელსაც ვახუშტი კითხულობდა კულტურის უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე... **მზეომ** ლექციაზე დაიგვიანა... მან ის ხალხური ლექსი გააგრძელა, რომლის კითხვაც შეწყვიტა ვახუშტიმ მის დანახვაზე... ასე დაიწყო მათი ნაცნობობა... შემდეგ... შემდეგ შეხვედრები და დიდი სიყვარული... „ერთმანეთს ვხვდებოდით და ბოლოს ვახუშტიმ ეს გრძნობა გააღამაზა“ — მზეოს ბოლო სიტყვებია აფორიაქებული მუღების წინ თქმული... **მონამეთაში** დაინერეს ჯვარი... უჩვეულო და მოულოდნელობებით სავსე იყო მათი ცხოვრება... დაგვიბრუნდა ძველი ვახუშტი, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე, ახალი ენერჯით დამუხტული... თანაცხოვრების პირველი და ბოლო სიმძიმეებიც ერთად გადალახეს... გადადიოდნენ ბინიდან ბინაში... ხან ვინ უთმობდა ბინას და ხან ვინ... შვიდი წელი შენდებოდა ახალი სახლი... გასაოცარი გახლდათ პატარა გოგოს დიდი მოთმინება... მათი ცხოვრების დასაწყისი ოღროჩოღრო იყო... ხალხში ბევრი მითქმა-მოთქმა ტრიალებდა... დაუნდობელია ხალხი... ვახუშტისთვის თავგანწირვა იყო მესამედ ახალი ცხოვრების დაწყება ზრდასრულ შვილებთან და ქართულ საზოგადოებასთან შეთავსებით... ლალი და თავისუფალი ადამიანი გახლდათ... ძალიან ემოციური და რომანტიკული... ვახუშტი იყო ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე, მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი და მთარგმნელი. სერიოზული სამეცნიერო ნაშრომებისა და თარგმანების (**სპარსულიდან, რუსულიდან, გერმანულიდან**) გვერდით, „**სალალობოდ-სათრეველად**“ თქმული, მისი ქალაქური კაფიები მთელმა თბილისმა იცოდა. იყო კარგი თამადა, მომლხენი, ენამოსწრებული... სუფრებზე ხალხს სცილით ხოცავდა... სიყვარულში, ქალების ტრფიალში ტოლს არავის უდებდა... ერთ ზაფხულს, სტუდენტობისას, მითხრა — შვიდი **მანანა** მიყვარსო, თან იცინოდა... ჩამომითვალა... შვიდივე ვიცოდი, მართლა ძალიან ლამაზები იყვნენ... განსაკუთრებით ერთი... როგორც ჩანს, ის უფრო სილამაზეს ეტრფოდა... ხალხური პოეზიის სურნელი სულ თან სდევდა... უამრავი ხალხური ლექსი იცოდა ზეპირად... ამით ცოცხლობდა... ამ მხრივ მამის **ვახტანგ კოტეტიშვილის** პირდაპირი გამგრძელებელი იყო... დაგვიტოვა განუმეორებელი ფოლკლორული საღამოები... ხალხს ქართული სული შთაბერა... უამრავი სახალხო პოეტი სამზეოზე გამოიყვანა... მზეოც ასეთივე ლალი ბუნების იყო... ვახუშტიმ მზეოც ამ ხალხური პოეზიის ნაწილად აღიქვა... ისიც, მის წინამორბედთაგან განსხვავებით, ამით სუნთქავდა, ამით არსებობდა... ბევრი ჰქონდათ საერთო... მზეოსაც ოჯახიდან მოსდგამდა ხალხური შემოქმედების დიდი სიყვარული. ისიც ცნობილი ფოლკლორისტი მამა-ბიძების, **დავით და ნიკო გოგოჭურების** ჩამომავალია... საერთო საქმემ კიდევ უფრო დაახლოვა და განამტკიცა მათი ერთობა... ვახუშტი მზეოს „**ცოლ-შვილს**“ ეძახდა. როგორც ცოლს, პატივს სცემდა, და როგორც შვილზე, ისე ზრუნავდა, ტუქსავდა კიდევ, ხშირად უმიზეზოდაც. ამასაც იუმორში ატარებდა. ახალ სახლში ახალი ცხოვრება დაიწყო... ბინა ხალხით აივსო... უამრავი სტუმარი მოდიოდა... შინაური... გარეშე... მეგობრები, ნათესავები, ჟურნალისტები, მო-

ლექსები და სხვანი და სხვანი... ვახუშტის მონატრული ცნობილი და უცნობი ადამიანები... იყო ჟრიაშული და სიხალისე... ქეიფები, სიცილ-ხარხარი და დროსტარება...

მზეოს უახლოესი ნათესავები, დეიდები და დეიდაშვილები ეხმარებოდნენ... სახლი დიდი იყო და ყველაფერს ვერ გასწვდებოდა... ახალგაზრდები სასწავლებლად ჩამოდიოდნენ, უფროსები — ვახუშტის მოსაველელად.

მილება-გასტუმრებას ვერ აუდიოდნენ... ვის არ ნახავდით აქ — პოეტს, მხატვარს, აღმოსავლეთმცოდნეს, სტუდენტს, ნასტუდენტარს... სამუშაოდ ვახუშტის ცოტა დრო რჩებოდა... წყნეთური საღამოები და წყნეთური ცხოვრება ხომ განუმეორებელი იყო...

ეს ამ ოჯახის ძირძველი ტრადიცია გახლდათ. ვახუშტის მამისეულ სახლშიც სულ ხალხმრავლობა იყო. ვახტანგი, ვახუშტის მამა, ულამაზესი კაცი, ცნობილი მასპინძელი, განუმეორებელი თამადა, კარგი მოქართულე, მჭევრმეტყველი, საზოგადოების სული და გული იყო. ამ სახლში მაშინაც იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები — მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები და ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ...

მზეო განუმეორებელი მასპინძელი იყო... ყოველთვის ხალისიანი, თბილი, პირმცინარი... — ყველას გულშემატკივარი და ქომაგი. ეს იშვიათი თვისებაა, ღვთის მომადლებული ნიჭია, სხვისი ტკივილი გაითავისო და გაგჩნდეს დახმარების სურვილი. მარტო სურვილი კი არა, დაეხმარო კიდევ. სწორედ ამიტომ არის მზეოს ოჯახში ყოველთვის ხალხმრავლობა, მას ეს თვისება სხვაზე მეტად აქვს... გარშემო ყოველთვის შემოკრებილი ჰყავს ძვირფასი ადამიანები და, „დედა ტერეზასავით“, ყველას თავს ევლებოდა...

ვახუშტი მზეოს უახლოესი სანათესაოს საფიცარი იყო. ყველას უხაროდა მის გვერდით ყოფნა. ყველა ცდილობდა მცირედი წვლილი შეეტანა ვახუშტის სიცოცხლის გახანგრძლივებაში...

— ამათი ხმა რომ არ მესმოდეს, ან კიბზე მათი არბენჩარბენის ხმა, ვერ ვიცოცხლებდიო, — ამბობდა ხოლმე. ეს მოგვიანებით იყო, როდესაც თითქმის ვერ გამოდიოდა სახლიდან. ისინიც, დიდი თუ პატარა, უვახუშტოდ ვეღარ ძლებდნენ.

ასე მიდიოდა დღეები... უმძიმესმა ბედისწერამ ისევ იმძლავრა... უფროსი შვილის — ტატოს სიკვდილი მძიმედ გადაიტანა... იყო ბევრი ცრემლი და გულისტკივილი...

მერე სუნთქვის უკმარისობა დაემართა...

მზეომ გადაარჩინა, წყნეთიდან სწრაფად ჩამოიყვანა მე-9 საავადმყოფოში... სულზე მიუსწრეს...

მერე — საავადმყოფოები... ექიმები... ოპერაციები...

შემდეგ — სკამს მიჯაჭვული დღეები...

ყელში ჩადგმული სასუნთქი მილი...

მუხლებზე დაჩოქილი მზეო ჭრილობას უსუფთავებდა... ერთხელ მეც შევესწარი...

სულს უბერავდა ვახუშტის...

დასწულების შემდეგ ვახუშტი სულ სანერ მაგიდასთან იჯდა, თავის კომპიუტერთან... დღედაღამ მუშაობდა... დაუგროვდა სათქმელი... ახალი თარგმანები... არაჩვეულებრივი მოგონებები... სონეტები...

„ჩემი წუთისოფელი“... ამ წიგნით ვახუშტი თავის წინაპრებს, ბებო-პაპებს, ბიძებს სამარადისო ძეგლი დაუდგა... აგრეთვე ოჯახს — დედას, მამას, დილევსკებს, კოტეტიშვილებს... ბიძინაშვილებს...

ჩემი და ვახუშტის ბავშვობის წლებიც ამ წიგნშია... ერთად ვიზრდებოდით, თითქმის ტოლები ვიყავით... ყველაფერი გვახსოვდა... როგორ დავრბოდით... როგორ ვთამაშობდით... „ნეტავი სად არის ეხლა ნანა?“ — ამ სიტყვებით ამთავრებს ერთ-ერთ თავს...

ვახუშტი და მზეო ერთად კითხულობდნენ... ერთად არჩევდნენ... ერთად აფასებდნენ...

მზეომ თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა... ცნობილია მისი დოკუმენტური ფილმი მხატვარ თენგიზ მირზაშვილზე (ჩუბჩიკაზე)... დიდი მონონება დაიმსახურა...

ვახუშტიზე ფილმის მომზადებას აპირებს იმ დოკუმენტური მასალით, რომელიც მრავლად აქვს შემონახული... ადრე ლექსებს წერდა... ხატავდა... ახლა პროფესიად ექცა... მთელი დღეები ხატავს... ცნობილ მხატვარ ზურაბ ნიყარაძესთან ფერწერის კარგი სკოლა გაიარა... დაუგროვდა ნამუშევრები: ვახუშტის პორტრეტი... ავტოპორტრეტი... უამრავი ულამაზესი სხვადასხვა პეიზაჟი... ხევისურებს ხომ საოცარი ფერის შეგრძნება აქვთ...

ხევისურების შემოსვლა კოტეტიშვილების საგვარეულოში თითქოს განგების ძალით მოხდა. მამაჩემი, ცნობილი ექიმი და ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარი ლადო კოტეტიშვილი, სულ იმას ცდილობდა, როგორ დაეახლოებინა მთა — და კერძოდ ხევისურეთი, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქართული სული და ტრადიციები — ბართან. ეს მაინც საქართველოს გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. მას ამის თაობაზე არაერთხელ უსაუბრია თავის მეგობართან, ცნობილ პოლიგრაფისტ ბენო გორდეზიანთან, ვისგანაც გავიგეთ ეს ამბავი...

ყველაფერი, რასთანაც შეხება ჰქონდა ვახუშტის, მზეოსთანაა... რაც ზოგისთვის მხოლოდ ნივთებია, მისთვის ვახუშტისაგან დანატოვარი უძვირფასესი რელიკვიაა...

ორი წელი გავიდა ვახუშტის გარდაცვალებიდან... თითქოს უნდა განელებულიყო მზეოსთვის — ოდნავ მაინც — ამ ამბის სიმძიმე... მაგრამ არა... ყოველთვის ცრემლი ერევა თვალზე, როდესაც ვახუშტიზე ვლაპარაკობთ. „სანამ ცოცხალი ვიქნები, ვახუშტის დაბადების დღეს ყოველთვის აღვნიშნავო“ — ასე თქვა მზეომ წელს ვახუშტის საფლავთან.

სწორედ მისმა სიტყვებმა გადამანყვეტინა ამ წერილის დაწერა, არ განელებულა მასში ის დიდი სიყვარული, რომელიც პირველივე ნახვით ჩაისახა. ასაკობრივმა სხვაობამ არაფერი შეცვალა. სიყვარულს ხომ ასაკი არ გააჩნია. მზეოს ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვება. ამის მტკიცედ სჯერა. ვახუშტისთვის კი ხევისურეთი საფიცარი იყო... მან სხვა ბრწყინვალე ლექს-სონეტებთან ერთად „ფშავ-ხევისურეთის სონეტიც“ ამოთქვა:

აქ პირველითან იყო ლექსი, სიტყვა, ვით სეტყვა, აქ ყველა სიტყვის მეუფეა, თანაც ტყვე არი. ყველა კაი ყმას წელზე ლექსი ხმალივით ერტყა და გულზე ლექსის დალი აჩნდა, ვით ნატყვიარი.

ქართულმა სულმა აქ ოდითგან იხმლო, იმშვილდა, ქავ-ციხის ლიბო... არ დაშლილა არ გამოძვალა, აქ დღესაც ისმის მადლიანი ლოცვა ღვთისშვილთა, ხმობენ: ლაშარი, იახსარი, ბერი კოპალა.

აქ ყოველივე მიგემნია: ტკბილი თუ მწუთხე, გულზე ლექსების გუთნეული გამდევს ხნულებად,



ვახუშტი კოტეტიშვილი და მზეო გოგოჭური

ვეოფილვარ ბევრგან, მაგრამ ქვეყნად არცერთი კუთხე, ჩემი სულისთვის უფრო ახლო არ მეგულება.

ჩემი სამზო, საიქიო, შავ-ხევ-სულეთი აკლდამა ჩემთა ოცნებათა — ფშავ-ხევსურეთი.”

ეს ამბავიც, ისევე როგორც ბევრი სხვა, წლებს გაჰყვება და მხოლოდ მოგონებებში დარჩება... ამბობენ, დახურულ სივ-

რცეში დიდხანს რჩებაო ხმები... თუ ეს მართლაც ასეა, ვახუშტისა და მზეოს ოჯახში რამდენი საინტერესო რამ უნდა იყოს შემონახული, ვახუშტისა და სხვათა და სხვათა მიერ თქმული... რამდენი მნიშვნელოვანი თუ ენამოსწრებული ნათქვამი, რამდენი ლექსი, რამდენი მხიარული თუ სევდიანი ხმა... ეს ყველაფერი რაღაც მისტიკურ განწყობილებას ქმნის...  
ნეტავ, შეიძლებაოდეს ამ ხმების აღწერა... ვინ იცის... იქნებ ოდესმე შესაძლებელიც იყოს...

ლაშა თაბუკაშვილი

# „ვინც ყველაზე მეტად შემიძრა...“

- თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?
- როცა საყვარელ ადამიანებს თვალებში ვერ უყურებ და გრცხვენია.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- მხოლოდ საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- არ ვიცი.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- მერკუციო, ჯოყოლა, ალუდა, ათოსი...
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- სპარტაკი, დავით აღმაშენებელი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ვან გოგი, სეზანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- გააზრებულ გამბედაობას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას, ოღონდ არა მონურს, არამედ ბუნებრივს...
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?
- თვითონ სათნოება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- კითხვა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ასეთი ფიქრი ჩემთვის ორგანული არ არის.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- სიბარიტობა, რაც გულისხმობს სიზარმაცესა და განცხრომის სიყვარულს.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- გულწრფელობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- რა ჩამოთვლის...?
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- უკვე ვუპასუხე, რომ არ ვიცი...
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- იხილე პირველი კითხვის პასუხი.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავი?
- ბევრად უკეთესი.
- თქვენი საყვარელი ფერი?

- შინდისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ისამანი.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- იაღონი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ვინც ყველაზე მეტად შემიძრა — ვაჟა-ფშაველა.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- ისევე ვაჟა, გალაკტიონი, ცვეტაევა, ახმატოვა, ანა კალანდაძე, გიორგი ლეონიძე.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- სტენდალის მადამ რენალი, ვაჟას ალაზა, კეთრინ ბარკლი (ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღ“).
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- მამა და დედა.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ნინა პოლტარაცკაია — ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე.
- საყვარელი სახელები?
- მედეა, რეზო და კიდევ მედეა...
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ადამიანის დამცირებას.
- ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ორჯონიკიძე...
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- რაინდობა; ბონაპარტეს გაჭრა არკოლეს ხიდზე.
- რეფორმა რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- არ მესმის...
- ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- მუსიკალური.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- მოუბეზრებელი ჩემი საყვარელი ადამიანებისთვის.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- რთული.
- ქმედებანი რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?
- უამრავი, ლალატის გარდა.
- თქვენი დევიზი?
- არ გამაჩნია.
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- რომ მეპატიო...



გიზო თავაძე

# შურისმაძიებლები

როცა მარიტა მომიკვდა, ოცდახუთი წლისა ვიყავი. მარიტა ოცდასამისაც არა; დაბადების დღე ორმოცს დაემთხვა.

მეორმოცე დღეს, როცა საფლავთან დაჩოქილი ვტიროდი, გადავწყვიტე შური მეძია ყველაზე, კაცსა და ქალზე... ყველას უნდა ეწვნია სირცხვილი და დამცირება, არავინ უნდა მომიკვლა; მარიტაც ხომ სირცხვილმა გადაიყოლა; იმ საბედისწერო დღიდან მხოლოდ ცხრა დღე იცოცხლა, თუ ასეთ სიცოცხლესაც სიცოცხლე ჰქვია.

\*\*\*

მიზეზთა გამო სკოლიდან სკოლაში მიწვევა ხეტიალი. მარიტას სკოლაში მეცხრე კლასიდან გადავედი. ბოლო მერხზე, მარიტას უკან დამსვეს. მის ზურგსა და სიფრიფანა მხრებს ვუყურებდი ორი წელი. სიყვარულიც ზურგიდან დაიწყო... როცა გაკვეთილის მოსაყოლად ადგებოდა, ყრუანტილი მივლიდა. ამ დროს მის სახეს ვერ ვხედავდი. როცა სიყვარულში გამოვუტყდი, გავეხუმრე, ზურგს უკან არ მიყვარს ლაპარაკი, მაგრამ ამჯერად თვალბუსა და სახეში ცქერას მიჩვენებია, ზურგით მდგარმა გესაუბრო-მეთქი, სიყვარულის გამოცხადება ისე მიიღო, თითქოს გამარჯობა მეთქვას. მგონი მასაც მოვწონდი, იქნებ ვუყვარდი კიდევც!..

ხელკავით გამომყვა ჩოგბურთის კორტებამდე, სადაც ყოველდღე ვვარჯიშობდი (იმხანად ტურნირისთვის ვემზადებოდი).

— აბა შენ იცი, კარგად ივარჯიშე, მეც კეფით მიყვარხარ და კეფით გხედავ. — გაიცინა, ხელი დამიქნია და წავიდა.

წავარჯიშევი გული ვერაფერს დავუდე, ვერც გაკვეთილები მოვამზადე, ტელევიზორსაც ვერ ვუყურე, ველარ დავიძინე, მარიტას კეფა მელანდებოდა...

იმ დღის შემდეგ ხელჩაკიდებულნი დავდიოდით. მთელმა სკოლაში გაიგო ჩვენი სიყვარულის ამბავი. გვეგონა სულ ასე გაგრძელდებოდა და უსასრულოდ ბედნიერები ვიქნებოდით.

ის (სახელიც არ მინდა გავიხსენო) მაშინ გადმოვიდა ჩვენს სკოლაში, როცა გამოცდები კარზე იყო მომდგარი. გადმოვიდა სხვა ქალაქიდან (მამა დაუნინაურეს) და ჩემს გვერდით დაჯდა. თმანამოშლილი (არასდროს ივარცხნიდა) და პერანგამოჩაჩული დადიოდა. ყურებზე ეტყობოდა, ჭიდაობის რომელიღაც სახეობაში რომ ვარჯიშობდა. თეატრზე, კინოსა და ნიგნზე საუბრისას დუმდა. თუ ვინმე სპორტზე ნამოინყებდა საუბარს, გამოცოცხლდებოდა, სახეზე ნამოინყებოდა და მცდარ აზრსაც ჯიუტად იცავდა. საერთოდაც თავნება და ჯიუტი ჩანდა. გაკვეთილზე გაჩერება უჭირდა, წრიალებდა, საათს დაჰყურებდა. ზოგჯერ ისეთ ალოგიკურ შეკითხვას დაგისვამდა, პირს დაგაღებინებდა. ბიოლოგიასა და ქიმიას ქალბატონი ლილი გვასწავლიდა, ღირსეული და დამსახურებული პედაგოგი. ქიმიას ვერაფერი გავუგეო, ამბობდა და არც უსმენდა მასწავლებლის ლაპარაკს. ეს ამბავიც ბიოლოგიის (იქნებ ქიმიის?) გაკვეთილზე მოხდა. მარიტას, რომელიც ჩვენს წინ იჯდა, თეთრი პერანგი ეცვა, პერანგის ქვეშ მკრთალი ზოლად აჩნდა ბიუსტპალტარის საღებო. ზაქი (მისი ზედმეტი სახელია) მომიბრუნდა და...

- გინდა მოვქაჩო ლიფი?
- რაა? — ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა.
- მარიტას ლიფი რომ მოვქაჩო?! — მართლა ზაქივით მიყურებდა.

— შენ ხომ არ გავიყდი, კრეტინო! — შევუბღვირე.

ცოტა ხანს იყუნა, მერე მკვეთრად მოტრიალდა, მერხზე გადანვა და... ტკაც!..

ვერაფრით გავიგე (დღემდე აგრეა), ტკაცანი აზღუდმა გაიღო თუ მარიტას სილამ ზაქის სახეზე (ყოველივე წამებში მოხ-

და). მერე ის მახსოვს, ძირს დაგდებულ და გასისხლიანებულ ზაქის ძალით რომ ამაგალიჯეს თანაკლასელებმა.

სამკვდროდ გადავეკიდეთ ერთმანეთს (თუმც გამოსაშვებ საღამოზე შეგვარიგეს).

როცა სამხედრო სამსახურში ვიყავი, რამდენჯერმე მარიტას შეხვედრია. თვითონ არც სამხედროში წასულა (ჩინოსანმა მამამ გაუხერხა) და იურიდიულ ფაკულტეტზეც კობტად დასვეს. იმას რა უნდა ესწავლა, მაგრამ ფული ჯოჯოხეთს ანათებდა. სიყვარულის ახსნაც უცდია მარიტასათვის და, როცა მარიტას მე ვუხსენებოვარ, დამუქრებია, მაინც ჩემი იქნებოი!..

მოტაცებაც კი უცდია ერთხელ და მარიტას თანაკურსელთა კვილზე უკან მოუხედავად გაქცეულა (გოგონებისთვის სახეშიც ჩაუფარებია ბრიყვის).

როცა დავბრუნდი, თეატრალურში გავაგრძელე სწავლა, თან სტუდენტებში იატაკქვეშა ლიტერატურას ვავრცელებდი. პირველად როცა ამიყვანეს, ხელწერილი დამანერინეს და გამომიშვეს. მეორედ ინსტიტუტიდან გამრიცხეს. ვგრძნობდი, რომ ვილაც მუდმივად მითვალთვალდებოდა. უახლოეს მეგობრებთან (თანაკლასელებთან) ნასაუბრებიც კი წინ მხვდებოდა. მარიტამ მიმანიშნა (ქალის ჭკუა ეძახე!..), იქნებ ის თახსირი აკეთებს ამასო. მერე სხვებმაც მითხრეს, სულ ინტერესდება დისიდენტებთან შენი ურთიერთობითო. ამიტომაც მახე დაუფუგე.

თანაკლასელ გოგონასთან (ვიცოდი, რომ ახლობლობდნენ) მივედი და ფარულ შეხვედრაზე დავბატიყე; მისამართი ჩემი მეგობრისა მივეცი, თან გავაფრთხილე, არსად კრინტი არ დაგცდე, მთელი იატაკქვეშეთი იქ იქნება-მეთქი. აუცილებლად ნამოვლო, თან მერაბ კოსტავა გამაცანიო, მთხოვა. არავითარი შეკრება არ იყო დაგეგმილი, მაგრამ მაინც მივედი მეგობრებთან ერთად და შარშიც კინალამ გავხვიე ბიჭები. კიდევ კარგი, ყოვლად აპოლიტიკურები იყვნენ. მეგობრის სახლთან ჩასაფრებული მილიცია დაგვხვდა, ყველა გავგჩხრიკეს და იძულებულნი გახდნენ გავეშვით, რადგან არცერთი დისიდენტი (რასაც ელოდნენ) იქ არ აღმოჩნდა. თანაკლასელი გოგონაც მოვიდა მოგვიანებით და, როცა მილიციელებთან ჩვენი კამათი მოისმინა, განანყენებული გაბრუნდა.

მართალი აღმოჩნდა მარიტა, ზაქი მითვალთვალდებოდა და მდევნიდა. სად და როგორ, ვერ ვხვდებოდი, რადგან ეს ხანი მისთვის თვალის არ მომიკრავს.

მარიტა დმანისის რაიონში მიავლინეს, იქ სამი თვე მოხუც აზერბაიჯანელ ქალბატონთან ერთად ცხოვრობდა. დეკემბერში, როცა ექვს საათზე უკვე ღამეა, სკოლიდან შინ მიმავალს გზაში ჯიპი დაენია. კარი გაუღეს და შინ მიყვანა შესთავაზეს, რაზედაც მარიტამ მადლობა გადაიხადა, აქვე ცვხოვრობო, და გზა გააგრძელა. უკან მანქანა მოყვებოდა ნელი სვლით; უეცრად მკლავში ჩაეჭიდნენ და მანქანაში შეთრევა დაეპირეს. შემინებულმა დაიკვილა და ფერდობზე დაეშვა, ყინულზე დაცემისას ფეხი იღრძო. ჯიპი სასწრაფოდ მიიძალა სოფლის ორღობეში. ტირილით გაათენა ღამე მარიტამ. დილით მშობლებმა ჩააკითხეს და ნამოიყვანეს.

„იმ მანქანაში ზაქი იჯდა, პირზე კაშნი ჰქონდა აფარებულნი, ჩასისხლიანებული თვალებით ვიცანი.“ — მომიყვა, როცა შინ ვენვიე.

მალე ჯვარი დავინერეთ.

ახალშექმნილ ოჯახს მშობლები გვეხმარებოდნენ, თუმცა არც მათ უღბინდათ; უმუშევრობა და უიმედობა სუფევდა ირ-



გვლივ, რასაც უშუქობა და უგაზობა ემატებოდა. ზოგჯერ კლასიკები გვსტუმრობდნენ. ვისხედით ნავთქურასთან და არაყს (გოგონები — ყავას) ვსვამდით. ერთ-ერთი სტუმრობისას გვითხრეს, ზაქი დაქორწინდაო. იმისი არაფერი მაინტერესებდა, მაგრამ მაინც ვკითხე: „ქორწილში როგორ მოუღბინეთ-მეთქი?“ ისიც კი არ იცოდნენ, ქორწილი სად გადაიხადეს.

რამდენიმე თვემ უღიმღამოდ გაიარა. მეგობრები თანდათან უცხო ქვეყნებში გაილაღნენ. ზოგი მოერგო იქაურობას და ალღოც აღმოაჩნდა ბიზნესის კეთებისა. ნიკო ხიმშიაშვილმა (ყოფილმა ჩოგბურთელმა) პორტუგალიაში მიმიწვია. მარიტას გარეშე ძალიან გამიჭირდა. ვურეკავდი, ერთმანეთს ვამხნევებდით. ბოლო დროს რატომღაც შფოთავდა (იქნებ მეჩვენებოდა), მალე ჩამოდიო, — მთხოვდა. მეც ვპირდებოდი, ვაი, რომ ვერ შევუსრულე! უკანასკნელად რომ ველაპარაკე, ტიროდა, მეგონა ჩემს სიშორეს ვერ იტანდა, თურმე ავი წინათგრძნობა არ ასვენებდა. ყოველ ნაბიჯზე ოჯახებში შევარდნა და ყაჩაღობა ხდებოდა. ქართული ტელეარხები ასეთი შემზარავი ამბებით იწყებდნენ საინფორმაციო პროგრამებს. ნიკოს ცოლს (ხიმშიაშვილთა მთელი ოჯახი ლისაბონში ცხოვრობდა) ტელევიზორის ჩართვა არ უნდოდა, ყოველთვის ცუდი ამბები მესმისო. მაშინაც ნიკოსთან ვიჯექი და ყავას ვსვამდი... მერე ბუნდოვნად მახსოვდა ნამყვანის ხმა: „საქმე აღძრულია ყაჩაღობის მუხლით, თუმცა ყაჩაღებმა ნივთების წაღება ვერ მოასწრეს, რადგან ხმაურზე მეზობლები მოგროვდნენ. უგონოდ მყოფი დიასახლისი საავადმყოფოში გადაიყვანეს...“

შუალამისას გამომაცილა ნიკომ ლისაბონის აეროპორტიდან. ჯერ გერმანიაში ჩავფრინდი, იქიდან კი თბილისში, საიდანაც მეგობრის მანქანით საავადმყოფოში მივყავდი უკვე გონსმოსულ მარიტასთან.

იმ ღამით აიყვანეს პატიმრობაში ექვმიტანილი (მისი სახელის ხსენებაც არ მინდა), მილიციის მაიორი ზაქი.

მარიტა მეცხრე დღეს გარდაიცვალა.

ამ ხნის მანძილზე მას ჩემთვის თვალეზში არ შემოუხედავს...

\* \* \*

მეორმოცე დღეს, როცა საფლავთან დაჩოქილი ვტიროდი, დავიფიცე, რომ შურს ვიძიებდი.

იმ არაკაცს თვრამეტი წელი მიუსაჯეს. ვერ უშველა მედროვე მამამ, რომელიც ახალ მთავრობაშიც ტკბილად მოკალათებულიყო.

თვრამეტი წლის შემდეგ თუნდაც გაგეტყავებინა!..

გადავწყვიტე, როგორმე მის ბინაში შემეღწია, სადაც მისი მეუღლე ცხოვრობდა. ეს რომ გამეკეთებინა, ძველ ნაცნობს მივაკითხე, რომელიც წყალმომარაგების სისტემაში მუშაობდა. სამი თვე დავდიოდი მასთან და ვსწავლობდი ონკანების, საშხაპეების, კანალიზაციის სისტემების შეკეთებას. ერთი წლის შემდეგ (ისევე ძველი ნაცნობის შემწეობით) იმ უბანში დავიწყე მუშაობა, სადაც ზაქის ცოლი (ზოგჯერ და რჩებოდა მასთან) ცხოვრობდა. ცოცხალი გამხეილი სჯობს, გარედან მოგახერხებინაში წყლის სისტემის დაზიანება და შეტყობინებამაც არ დააყოვნა, ოსტატი მოითხოვეს. ერთი გამოცდილი სომეხი ოსტატი გაემზადა წასასვლელად (ის სამოცდაათს გადაცილებული პენსიონერი იყო), მაგრამ დავეწიე და ვუთხარი; „ძია ჰაიკ, ჩემმა ნათესავმა დამირეკა ახლახან, მილი გამისკდა სამზარეულოში და მიშველო! ხელოსანიც გამოუძახებია დედამისს, მოკლედ თქვენ შინ წაბრძანდით, დაისვენეთ, მაგათ მე მივხედავ.“

— რას ამბობ გენაცვალე, მორიგემ გამოძახებაზე მე გამიშვა!

— ძია ჰაიკ, ათ ლარზე მეტს ვერ მოგცემენ, ლტოლვილები არიან, ა შენ „ჩერვონეცი“ და შინ წადი.

ოსტატმა მუქტი ათლარიანი ჯიბეში ჩაიღო და „ასტრის“ ბოლებით გაუყვა გზას.

კარი ახალგაზრდა ქალმა გამიღო.

— გამარჯობათ, თქვენთან დაზინდა წყლის მილი?

— მობრძანდით, აი, ნახეთ, მთელი სამზარეულო დამისველა. სამზარეულოდან სააბაზანოში შევიხედე, იქედან ტუალეტში, მერე ისევ სამზარეულოში დავბრუნდი და ხელსაწყოები ამოვალაგე. წყალქცევა მალე შევაჩერე, მაგრამ ჩემი მისია სულ სხვა იყო...

— ქალბატონო, ეს, რაც ახლა გვაკეთე, დროებითია. აქ სერიოზული პრობლემაა აღმოსაფხვრელი. ხვალ მოვალ, გნებავთ ზეგ, ანდა, როგორც თქვენ მოგიხერხდებათ და გავაკეთებ საიმედოდ, ისე, რომ არც თქვენ დაზარალდეთ და არც თქვენს ქვემოთ მცხოვრებნი.

— მე თითქმის სულ შინა ვარ, არ ვმუშაობ, ასე რომ, ხვალვე მოვილით ეგ საქმე, გული მისკდება კიდევ არ დაიტბოროს აქაურობა.

— კარგი, დილით მოვალ ადრინად, რადგან სხვა გამომძახებებიც (გაუწითლებლად ვიცრუე) მაქვს. მე ზოსიმე მქვია, აი ჩემი ტელეფონი და სხვაგან აწი აღარ დარეკო. — გაუწონოდ სავიზიტო ბარათი.

— დიდი მადლობა დახმარებისთვის, მაგრამ დღეს რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

— რას ამბობთ, მე ამ მცირე მომსახურებაში ფულს როგორ გამოგართმევთ, ისე, რა მაგის პასუხია და პოეზია თუ გიყვართ?

— ძალიან, მეც ვწერდი ქალოვილობაში.

— ღმერთო ჩემო, გათხოვილი ბრძანდებით (არც ამჟამად გავნითლებულვარ).

— დიას, მეუღლე უცხოეთშია...

— მდა, აი თქვენ შოთა ჩანტლადის ლექსები, მაგარი პოეტიცა, ისე, შენი მეუღლის ადგილზე რომ ვიყო, უცხოეთში წაგიყვანდი...

— ჯერ საქმეებს აგვარებს და წამიყვანს (არც ის ნითლდებოდა).

— ქალბატონო...

— მაგდა!

— ქალბატონო მაგდა, დილით ძილი თუ გიყვართ, არ განუხებთ ჩემი ადრინად მოსვლა?

— არა, ბატონო ზოსიმე, ამ ნომერზე დამირეკეთ, სადარბაზოსთან რომ მოხვალთ, და გაგიღებთ (გამიშინაურდა, ნიგნის ჩუქებამ იმოქმედა).

— ქალბატონო მაგდა, ბატონოთი ნუ მომმართავ, ჩვენ ხომ თანატოლები ვართ.

— მაშინ არც მე მომმართოთ ქალბატონობით.

ამ დროს ზედმეტობა არ ვარგა, ამიტომ თავი დავეუკარი, ხელზე ვეამბორე და კარისკენ გავწიე.

— ნახვამდის მაგდა!

— ვაიმე, რა დამემართა, ერთი წუთით (ოთახში შებრუნდა, საიდანაც ამკარად გავიგონე ჭიქების წკარანკური), ბევრს არ დაგავციანებთ, დაილოცეთ (ეტყობოდა, რომ მოვეწონე).

— ყველა ლამაზ ქალს გაუმარჯოს, გაიხარეთ! მოდი თუ ნიგინიდან ერთი ლექსის ფრაგმენტს წაგიკითხავთ:

**გამოაღეთ კარი ჩქარა,  
ისე, როგორც ფანჯარა,  
ვინაც კოცნა არ იჩქარა,  
უკოცნელი დამრჩალა...**

ქალმა ტაში შემოკრა.

ახლა უკვე ლოყაზე ვაკოცე და სასწრაფოდ დავეშვი კიბეზე. მთელი ღამე ვერ დავიძინე. ვიფიქრე, საერთოდ აღარ მივალ, დავურეკავ და ვეტყვი, სამთვიან მივლინებაში გამიშვეს-მეთქი. გასაკეთებელიც არაფერი იყო, ხელოვნურად ვქმნიდი ისეთ სიტუაციას, რომ იქ მისვლა კვლავ შემძლებოდა. დილის ხუთ საათზე ჩამთვლიმა; მალევე გამეღვიძა. რვა საათზე მაგდას სადარბაზოსთან ვიდექი. დავურეკე თუ არა, მიპასუხა, „ამოდი ზოსიმე, კარი ღიადაა...“ როგორც ჩანს, არც მას უძინია, მელოდა...

თხელი, შინდისფერი იაპონური (იეროგლიფებით დავასკვენნი) ხალათი მოესხა. ერთმანეთი ძველი ნაცნობებივით გადავკოცნეთ. შოთა ჩანტლაძის წიგნი ეჭირა ხელში.

- ამ წიგნზე გავათენე ლამე!..
- გეტყობა თვალზე...?
- შენაც! ალბათ იქიეფე?
- ჰო, ცოტა ნავეუქიეფე (აჰა, კიდევ ერთი ტყუილი!..)
- ყავას მოგიმზადებ!

მე სამზარეულოს მაგიდის გვერდით ჩავიცუცქე და კედლის ბურღვას შევუდექი (რას ვერჩოდი?!).

— მაგდა, აქ ცოტა დაიმტვერება და სჯობს რაიმე დაუფინოთ.

მან ძველი გაზეთები გამოიმინოდა, თვითონ მაგიდის მეორე მხარეს დაჯდა და ყავის დაფქვას შეუდგა. წითელმა საცვალმა შემომანათა. შევბრუნდი, მაგრამ თვალი ისევ გამექცა. „წუთუ ვერ გრძნობს ასერიგად დამორიშორებულ მუხლებს თუ...“ ვფიქრობდი ჩემთვის და ბურღვას ვაბლულივებდი. შემოვბრუნდი და იატაკზე დავექე. კიდევ უფრო შთამბეჭდავად მოჩანდა თეთრი ბარძაყები (არადა, სახეზე შავგერემანია). თითქოს რაღაცას ვაკეთებ, ხელსაწყოებს რიგრიგობით მოვიმარჯვებ ხოლმე; „ახლა რომ ხელი შევუცურო. სიტყვის მთქმელი არაა, იქვე დანვება, ახალგაზრდაა, სისხლი უჩქეფს, კაცი ენატრება...“

- ზოსიმე, „პახმელიაზე“ რას ისურვებ, კონიაკს, ლიქიორს თუ ყავას?
- კოცნას!..

ადგა, საფქვავე მაგიდაზე დადო, მომიახლოვდა, ჩაიმუხლა (ფეხები თეძოებამდე მოუშიშვლდა) და შუბლზე მაკოცა.

- გეშველათ?..
- დიდი მადლობა, იქნებ მაკრატელი მათხოვოთ (არაფერში მჭირდებოდა).
- თქვენ დაოჯახებული ხართ? — მაკრატელი გამოიმინოდა.
- ჰო, რა ვიცი... ვიყავი...
- მეც ვიყავი!..

ყური ავარიდე, თითქოს ვერ გავიგონე. ასე მგონია, ჩემი ოჯახური მდგომარეობა იმიტომ იკითხა, კოცნაზე რომ არ ვუპასუხე, მორცხვად და გამოუცდელად ჩამთვალა.

— მაგდა, აქ ყველაფერი გავაკეთე, ყურადღება მიაქციე და, თუ წვეთები შენიშნო მილის ირგვლივ, მაშინვე დამირეკე. ერთი კვირის მერე მოვალ და შევამოწმებ.

— კარგი, ახლა ყავა დალიე და მითხარი, რამდენი უნდა გადაგიხადო.

- თქვენ უკვე გადამიხადეთ!..
- რას ამბობთ, ჩვენ ეკონომიურად არ გვიჭირს, თქვენ კი ვინ იცის, რამდენი ადამიანი გელოდებათ!.. — მითხრა და 50 ლარი მაგიდაზე დამიდო.
- სხვა დროს რომ მოვალ, კიდევ მოგიტანთ წიგნს, ახლა კი, სხვები მელოდებიან და უნდა დაგემშვიდობო. ისევ კოცნით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ფული მაგიდაზე დავტოვე.

\* \* \*

ერთი კვირა ვინ გაცალა, მესამე დღეს დამირეკა და სხა-პასუხებით მომაცარა: „ზოსიმე, მილის ირგვლივ წვეთები შევნიშნე, გავამშრალე და ისევ გაჩნდა, იქნებ მოხვიდე!“

მივხვდი, რომ ჩემი მისვლა უნდოდა, თორემ იქ წყალი — თუ ხელოვნურად არ გახვრეტდი მილს — არანაირად არ გამოჟონავდა.

— მაგდა, დღეს და ხვალ ვერ მოვალ, თუშეთში ვარ მეგობრებთან, თუ ბევრი წყალი იქცევა, სამსახურში დავრეკავ და სხვა ოსტატს გამოვუშვებ (ვიცოდი, რომ არ დაჭირდებოდა).

— არაა საჭირო სხვა ოსტატი, ქილას დავუდგამ, თუ წვეთები მოიმატებს, შენ კი ეცადე მალე ჩამოხვიდე!

წუთუ ასე მოვეწონე, თუ სხვასაც ასე გაეარშიყებოდა? ვინ იცის, ქალია, რას გაუგებ, მაგრამ ზაქის როგორ მითხოვდა, იმ თევზს, საერთოდ რომ არ ლაპარაკობდა, ან თუ ლაპარაკობდა, მსმენელი ვერ იგებდა მის ჩლიფინს. იქნებ არც უყვარდა? რა ეტყობა მაგდას სიყვარულის და ერთგულების, ორჯერ მნახა და... ერთი კვირაც ვერ მოითმინა, მესამე დღეს დამირეკა, არიქა, მოდი, მიშველე, წყალიდობა მახრჩობსო!.. წყალი არა, წყნარი ოკეანე!.. მივალ და ვნახავ, რა წვეთებიც არის მილის ირგვლივ. „წვეთები შევნიშნე მილის გარშემო...“ ისემც შენ რა გითხარი, მაგდა. ახლა მთავარია, ქალაქში არ გადამეყარო შემთხვევით, თორემ თუშეთიც უკან დამრჩება და ჩემი ნაკონინები გეგმებიც.

სამი დღე საუკუნედ მეჩვენა (მაგდას ალბათ ათასწლეულად), მეც ძალიან მიწოდდა მისი ნახვა.

კლეოპატრას (ლიზ ტელიორის ბრწყინვალე როლი) მაგონებდა იერით, იქნებ ვნებებითაც კლეოპატრას დარი გახლდათ. ზაქის როგორ მითხოვდა, ეგ მიკვირდა. ბინდდებოდა, როცა დავურეკე. „ახლა შენზე ვფიქრობდი, ამოდი, გელოდები!“

შორტით და მაისურით დამხვდა (შიშველ სხეულზე ემოსა). ბავშვობის მეგობარივით ჩამეხუტა (ამდენს არ ველოდი) და ოთახში შემიყვანა.

ხელსაწყოების ჩანთა (რაში მჭირდებოდა) ძირს დავდე.

— აბა მაჩვენე წყალიდობა.

— იცი რა, თანდათან შეწყდა, თუმცა სჯობს თავად ნახო. დავიხარე და კვლავ მაგიდის ქვეშ შევძვერი. მილს ხელი მოვიკიდე და მთელ სიგრძეზე შევამოწმე.

ნოტიოა და ესეც გაშრება, ასე რომ, აქ მოსვლა აღარ მომიწევს!

- რატომ, ხომ შემპირდი წიგნს მოგიტანო!
- წიგნს აუცილებლად მოგიტან!
- თუ სხვა გამოძახებაზე არ გეჩქარება, ცოტა ხანს დარჩი, ერთად ვივანშობო.
- არ მეჩქარება, მაგრამ შორს ვცხოვრობ.
- ჩემს დას დავურეკავ და მანქანით მიგიყვანთ შინ.
- თქვენს დას როგორ შევანუხებ.
- მაშინ ტაქსით, ისედაც ვალში ვარ შენთან, იმ დღეს 50 ლარიანი მაგიდაზე დავიტოვებიათ...


უეცრად შეჰკვივლა და სამზარეულოში შევარდა.

- ხომ მშვიდობაა? — გავძახე.
- კარტოფილი დამენვა, ისე, ცოტა შეხრუკული უფრო მიყვარს, სანებელი მაცვლის გირჩენია თუ ტყემლის?
- სულერთია.

მაგიდაზე კონიაკი „ასკანელი“ და ღვინო „მუკუზანი“ იდგა. მაგდა წინ დამიჯდა და კარტოფილი თავისი ხელით გადმომიღო თეფშზე, თან კონიაკის ბოთლი მომანოდა გასასხნელად.

- ზოსიმე, მე კონიაკს დავლევ, შენ?
- ამჯერაზე მეც კონიაკს გეახლებით.

სადღეგრძელოებს მაგდა ამბობდა, თვალეები უელავდა (კვლავ კლეოპატრა ნამომელანდა), სახეც ნამონათებოდა, ალაგ-ალაგ ენასაც უკიდებდა, უნდა ნავსულიყავი, თორემ შემომათვრებოდა.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

— მაგდა, ამ სასმურით (უკვე მეხუთე შევაცხე) მე ვიტყვ ერთ სადღეგრძელოს და წავალ, ხომ იცი, შორი გზა მაქვს.

— არსადაც არ წახვალ, მე გაგამგზავრებ ტაქსით, ხოლო თუ ჭკვიანად იქნები, აქ დარჩები, ამოდენა სახლია, ვერ დაეცევი თუ რა...

— რას ამბობ! — ქალწულივით შევიცხადე, — სხვის სახლში როგორ დავრჩები, თანაც ახალგაჯობილ ქალბატონთან...

— ნუ ეშმაკობ, ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ, რომლებიც ერთმანეთს ოდითგანვე იცნობენ, მართლა ასე მგონია, ზოსიმე, რომ დაგინახე, მაშინაც აგრე ვიფიქრე, რა ნაცნობი და ახლობელია-მეთქი, ნუ იცინი, სიმთვრალე არ მალაპარაკებს, სულ მარტოდმარტოს დამიცლია ერთი ბოთლი კონიაკი და...

— მეუღლესთან ერთად თუ სვამდი? — შევანყვეტინე საუბარი.

მაგდა შეჩერდა, ხელი აიქნია, ანთლებული ტუჩები კონიაკით გაისველა, თვალეში ჩამხედა.

— რამ გაგახსენა? ის ბრიყვი იყო და ბრიყვად დარჩა, სიცოცხლე მომიწამლა, სხვას კიდევ უარესად... მძულს და ნუ გამახსენებს!

სირჩა დაცალა და თვითონვე შეავსო. ახლა უკვე გვარიანი მთვრალი იყო, მისურზე კონიაკის წვეთები და კერტები ერთნაირად აჩნდა. რატომღაც კონიაკიანი თითები წვერზე მომისვა, ამ დროს თვალეში ეშმაკები დაუხტოდნენ (იქნებ მომჩვენა?!), არ მინდოდა ასეთ მდგომარეობაში მისი ჩახუტება, თორემ...

— მაგდა, წავალ და ხვალ მე მოგიტან მაგარ კონიაკს, თანაც ძალიან საინტერესო ამბავს მოგიყვები, დიდხანსაც დავრჩები, ახლა მაპატიე, ძალიან მეჩქარება.

— გარბიხარ!.. — ირონიულად გადმომხედა.

— ასეა, თუ მტერი გერევა, უნდა გაიქცე, რომ სხვა დროს შეუტყო!

— იქნებ მტერი გნებდება!..

— არა, ბრძოლაში უნდა დაამარცხო!..

თითქოს გამოფხიზლდა, გაიმართა, თვალეში მოწკურა.

— შენი ქარაგმებისა ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც გაგიშვებ, ტაქსს გამოვიძახებ.

ჯიბში ოცდოლარიანი კუპიურა ჩამიკუჭა. გაჯიუტებას აზრი აღარ ჰქონდა, აიღებდა და გადახვედა. ხელი მომხვია, შუქი ჩააქრო და აივანზე გამიყვანა.

— აი, იმ მალალ სახლს ხომ ხედავ, მფრინავი თევზივით რომ კაშკაშებს?

— ვხედავ, კი.

— იქ ჩემი კრეტინი მეუღლის მშობლები, ბრიყვი მილიონერები ცხოვრობენ.

მივხვდი შუქი რატომაც ჩააქრო, როცა აივანზე გამოვყავდი.

— გავიგე, მაგდა.

— ჰოდა, მაგათ ჯიბრზე... თუმცა შენ რა შუაში ხარ, ან რას გერჩი, უნდა გავამწარო ისინი...

შევაცხევე, თანდათან როგორ ერეოდა ალკოჰოლი, მუხლები მოეკვეთა, მომეხუტა და კისერზე ჩამომეკიდა. ხელები მოვხვიე და ოთახში შევიყვანე. სავარძელში ჩავსვი და სააბაზანოდან ცივი წყლით დასველებული ტილო გამოვიტანე. შუბლი და სახე ტილოთი დავეზიდე.

— ზოსი, არ დამტოვო! — შემიმოკლა სახელი.

— შენს დას დავეურეკავ, თუ ნომერს მიკარნახებ.

— არა, შენ დარჩი!

— ხვალ მოვალ და დავრჩები.

— აბა დაიფიცე!

— ვფიცავ, ყოველივე წმინდას!

— მჯერა, ახლა წადი, შენი თავი უფალმა გამომიგზავნა, ის ონკანიც განგებამ გააფუჭა. ჩემზე არ იდარდო, მთვრალი არა ვარ.

წამოიმართა, „ველურ ბუნებაში“ რომ ავაზა მინახავს, იმდაგვარად განვივართა, თითის წვერებზე დადგა და ტუჩებში მაკოცა. წამიერად ვუპასუხე და მოვტრიალდი.

— ხვალამდე, კარი დაკეცი! გარეთ სასიამოვნოდ აგრილებულიყო, ცრიდა ალმაცერად. ტაქსი ვიხმე და ზედაზნისკენ გავეშურე. ტაქსის მძღოლი კაი გვარიანად დაფრთხა, მაგრამ ჩემს წვერს რომ შეხედა, მომიბრუნდა.

— ბერი ხართ?

— არა.

— აბა, ამ შუალამისას იქ რა გინდა?

— მეგობარი მყავს იქ.

— უნდა დარჩე?

— თუ დამხვდა, დავრჩები.

\*\*\*

ლუკა ოთხი წლისა იყო, ჩვენს ეზოში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად. სამი თვით იყო ჩემზე უფროსი. ქვრივი დედა ზრდიდა. მამა, რომელიც სატყეო ინჟინერი იყო, სვანეთის გზაზე დაეღუპა, ენგურში გადაიჩხა. ლექსებს წერდა, ხატავდა, რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავდა, ხან ზუღიზმს უკერკიტებდა, ხან ფილოსოფოსობდა, ბოლოს მაინც მართლმადიდებლობა ირწმუნა უზენაეს ქვემარტებად და მეც მონასტრიდან მონასტერში დამატარებდა. ერთხანობა სასულიერო აკადემიაშიც კი ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მაინც თეატრმა გადაამბირა.

ლუკა ხან რომელ მონასტერში ცხოვრობდა და რომელ სავანეში ათენებდა ღამეს, არათუ მეგობრებმა, მშობელმა დედამაც არ იცოდა. ბოლოს შიომღვიმეში დაეყუდა. იქ ავაკითხეთ მეგობრებმა. უკვე ბერი იყო. მერე დედამაც ააკითხა. როცა უფროსი და გაუთხოვდა (ჩვენზე ორი წლით უფროსი იყო მირანდა), მაშინ ჩამოვიდა, დისთვის რომ მიეღოცა. ამიერიდან ზედაზნის მონასტერში ვიქნებო, დაიბარა და იმ ღამესვე გაბრუნდა.

ტაქსის მძღოლს ვთხოვე: „თუ ჩემი მეგობარი არ დამხვდა აქ, უკანვე გამოგყვები-მეთქი.“

კარი ახალგაზრდა ბერმა გამიღო. შებრუნდა და ორიოდ წუთში ლუკასთან ერთად დაბრუნდა.

— დედა როგორაა? — მკითხა მან.

— ყველა კარგადაა, გავალ, ტაქსს გავუშვებ და ყველაფერს გიამბობ.

ლუკამ თავის სენაკში შემიყვანა, სანთელი აანთო, ხის სკამზე დამსვა.

— მარიტას შემდეგ რა მშვიდობა უნდა მქონდეს, ვარ, ვცოცხლობ, ვტირი, ვიცინი და...

ეკლესიისაკენ ხომ არ გაგინია გულმა?

— ლუკა, სხვა რამ მანუხებს, ისიც არ ვიცი, როგორ მოგყვი, ძალიან გამიჭირდა, ძალიან...

— შეგიყვარდა ასე უცაბედად!..

— არ ვიცი, რა ჰქვია...

ლუკა მისმენდა. მეორე სანთელიც აანთო, გავიდა, მომცრო დოქით ღვინო და ხმელი ჭვავის პური შემოიტანა.

— გაისველე პირი.

მე ვუამბობდი თუ როგორ გადავწყვიტე შურისძიება, როგორ დავიწყე მუშაობა, როგორ გავუფუჭე წყალგაყვანილობა მაგდას და როგორ დავუახლოვდი ჩემი დაუძინებელი მტრის, მარიტას მკვლელის მეუღლეს, რომელსაც მგონი ისე შევეყვარდი, უჩემოდ ველარ ძლებდა. ისიც ვუთხარი, რომ აქ მაგდას სახლიდან წამოსული ამოვედი, ის კი, — მთვრალი და გაბრუნებული, — დარჩენას მთხოვდა...

— რა ვქნა, ლუკა, როგორ მოვიქცე, ძალიან არეული ვარ...

— შურისძიებაზე ნუ იფიქრებ!

— ვიცი, შურისძიება ბოროტებაა, მაგრამ სხვა გზაც რომ არ დამიტოვეს...

— ყველას მიეზღვება თავისი და ეს უშენოდაც მოხდება.

— ის გოგო მსხვერპლია ოჯახისა...

— მსხვერპლი თავად ხდება ადამიანი, თუ თვითონ არ უნდა, არ იქნება.

— მეც ეგ მიკვირს, იმ უჯიშოს როგორ გაჰყვა, კაცი, რომელიც დანაწევრებულად ლაპარაკობდა, სიტყვებს ვერ აბამდა და კითხვა არ იცოდა...

— იქნებ სხვა რამ იცოდა, რაც სხვამ არ იცის...

— კი, თვალთვალი, ჩაშვება, ადამიანთა რბევა...

— უფალი განსჯის მაგასაც, ჩვენ კი ნუ განვიკითხავთ!

— ლუკა, ვიდრე უფლისგან განიკითხებოდნენ არაკაცები, ხომ ამოაგდეს ქვეყანა და საქრისტიანო?!

— შენ რა გგონია, ჩვენ უკეთ ვხედავთ და უკეთ ვიცით, როდის რა უნდა მოხდეს?

— აბა, მარიტა უნდა შეწირვოდა უკეთურების ზემის!..

ლუკამ ღვინო მოსვა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თავდახრილმა ჩუმად ამოთქვა:

— დაფარულია ბევრი რამ, ზოსიმე, მე ვინ ვარ, დიდ მამებსაც არ გააჩნიათ პასუხი...

— მეც მანდ ვარ, ამ დროს კაცმა უნდა აღასრულოს სამართალი...

— ხომ იხდის სასჯელს?

— იხდის, მაგრამ ან ამნისტიით გაუშვებენ, ან შეინყალებენ, ამისთვის ყველაფერს აკეთებს მისი, — არანაკლებ ჯალათი, — მამა.

— ზოსიმე, ზეციური სამართალი ყოველთვის დროულია, ეს ჩვენ, მოკვდავებს, ნუთისოფლის შვილებს გვეჩვენება დაგვიანებული, შემძლია ბევრი რამ გაგახსენო ბიბლიიდან.

— ვიცი, თავადაც კარგად ვიცი, მეც შემძლია მაგალითების მოყვანა საღვთო წიგნებიდან, მაგრამ საფლავთან რომ დავიფიცე, მარიტას საფლავთან...

— აი, სწორედ რომ საფლავთან ჩაგისაფრდა ეშმაკი, როცა გამწარებული იყავი და გარდა შურისძიებისა, სხვა აღარაფერი გახსოვდა. შურისძიება არ არის გამოსავალი, რადგან ძე კაცისა არავის დაუნიშნავს სამყაროს მომრიგებელ-მომწესრიგებლად. შურისძიებამ გვარები გადააშენა ბევრგან და ჩვენშიც, მთაში განსაკუთრებით. სისხლის აღების წესმა უამრავი სოფელი გააუკაცრიელა.

— ლუკა, მე კაცის მოკვლით არ ვაპირებ შურისძიებას...

— ყოველგვარი შურისძიება ბოროტებაა!

ამ დროს ზაროს ჩამოკრა, ლუკა წამოიმართა, ხატისკენ შებრუნდა და პირჯვარი გარდაისახა.

— ჩემო ლუკა, წავალ მე.

— ახლა სად წახვალ, შუალამეა, სადღაც გადაიჩეხები, ცოტა ნაიძინე, მიწეტი მანდ და, რომ ინათებს, წადი, მე ცისკრის ლოცვაზე დავდგები, ისე, სიყვარული ღვთიურია და როდის ან სად გეწვევა, არ გეკითხება!..

— გამადლობ, ლუკა! — დავანიე სენაკიდან გასულს.

ავდექი, ხატების წინ დავიჩოქე და ვილოცე. მერე რამდენიმე სანთელი ავიღე და ფხაკურფით დავტოვე იქაურობა. მთვარე და ვარსკვლავები ანათებდნენ არემარეს. ტყე რომ დამთავრდა და გზაზე გამოვედი, პირველი სხივი მაშინ დაადგა თავზე ჯვრის მონასტერს.

\*\*\*

ტელეფონმა დაინკრიალა. დავხედე. შეტყობინება მოვიდა („მესიჯი“). მაგდა მწერდა, „სადა ხარ, მობილური რად გაქვს გათიშულიო.“ როგორც ჩანს, შუალამისას დამირეკა, როცა მონასტერში ვიყავი, იქ კი ტელეფონი გათიშული მქონდა. ალბათ არ უძინია, არადა, როგორ მოეკიდა სასმელი, მეგონა ოცდაოთხი საათიც არ ეყოფოდა გამოსაფხიზლებლად. შეტყობინება კიდევ ერთხელ წავიკითხე, რა დასამალია და, გაჭირვებით. საათს დავხედე. რვა სრულდებოდა. შეტყობინებას ვერ გაუგზავნიდი, რადგან არ ვიცოდი. დარეკვაც გადავიფიქრე, ჯერ კიდევ ადრე იყო. ახლა იმაზე ვფიქრობდი, დღეს რა მექნა, სად გადავკარგულიყავი. რად ვპირდებოდი, მოვალ-მეთქი. ლუკამაც ხომ მითხრა, ყოველგვარი შურისძიება ბოროტებააო! ისევ უცხოეთში ხომ არ წავიდე. იქნებ ეკლესიამ მიშველოს, ლუკას

ვთხოვ და მათთან დავრჩები რამდენიმე ხნით. მარიტას საფლავს მშობლები მიხედავენ. მაგდასაც გადავარჩენ!..

ტელეფონის ზარმა შემანყვევინა ფიქრი!..

— „მესიჯის“ წერა არ იცი?

— არ მიცდია.

— სცადე, მე ვიქნები პირველი, ვისაც შენი „მესიჯი“ მიუვა.

— ვცდი, მაგრამ...

— სად იყავი ნუხელ ან ტელეფონი რად გათიშე?

— ზედაზნის მონასტერში, ბერებთან.

— კარგი, ახლა მომისმინე და აგისხნი, რომელ ლილაკს რა ფუნქცია აქვს.

მერე კარგა ხანს მიხსნიდა თუ რა უნდა გამეკეთებინა, რათა მიელო ჩემგან გაგზავნილი პირველი „მესიჯი“. გვარიანი ჯახირის შემდეგ ორსიტყვიანი შეტყობინება გავგზავნე, რასაც მყისიერად მოჰყვა პასუხი.

„ბრავო, ზოსიმე, „მესიჯი“ მივიღე, გენიალურია!..“

შეტყობინება კვლავ წვალებით წავიკითხე, თუმცა მივხვდი, თუ მოვიდომებდი, მეც მალე მათ რიგში ჩავდგებოდი, დღენიადაც რომ ტელეფონს ჩაჰკირკიტებდნენ.

ისევ გაინკარუნა ტელეფონმა და ახალი შეტყობინება მოვიდა.

„კიდევ მომწერე, ძვირფასო, რამე!“

აუ, ეს რა თავის ტკივილი ავიტეხე... უნდა დამერეკა და მეთქვა, ვერ მოვახერხე-მეთქი, და მომეშვებოდა. ახლა რა ვუთხრა, როცა პირველი მფრენი ბარათი გავაგზავნე და საერთოდაც, ყოველთვის პირველი ქმედებაა მთავარი, თორე...

„რას უცდი, არაფერი გაქვს სათქმელი?“ — დამენია მესამე ბარათი.

ავდექი და მივწერე:

„გკოცნი, პატარავ...“

მაშინვე ტელეფონი გამოვრთე, რადგან წინასწარ წარმოვიდგინე, თუ რა მოჰყვებოდა ამ „მესიჯს“. მერე სარდაფში ჩავვედი, სადაც კარგი „ხაში“ მეკულეოდა. მაგიდასთან დავჯექი და მიმტანს შეკვეთა მივეცი.

— ზოსიმე, შემოგვიერთდი! — ყოფილი ჩოგბურთელი მეძახდა.

სამნი იხსდნენ. იმ ორს არ ვიცნობდი. არაყს სვამდნენ. მიწვევაზე უარი არ მითქვამს. ზაზა გადავკოცნე, მოვიკითხე. უცხოებს ხელი ჩამოვართვი.

სარდაფიდან შუადღისას ამოვედით. ცხელოდა. სასმელიც თავისას აკეთებდა, შინაგან ტემპერატურას ამალლებდა. ტელეფონის ჩართვა და უამრავი ბარათის მოფრენა ერთი იყო... იქვე ზარი აწკრიალდა.

— ადამიანო, რა გემართება, რად თიშავ ტელეფონს, გული გამისკდა, რა არ ვიფიქრე...

— მაგდა, სარდაფში ვისხედით ბიჭები და იქ არ იჭერს სიგნალს!.. ვიმართლე თავი.

— ნასვამი ხარ?

— გვარიანად!..

— ჩემთან არ მოხვალ?

— მოვდივარ.

შინ ავედი. შხაპი მივიღე. ცოტა შეეფხიზლდი. მაისური მოვიძიე, უთო ჩავრთე. კარადიდან ტილოს შარვალი გამოვიღე. ამასობაში მოსალამოვდა კიდეც. ჯიბეში ტერენტო გრანელის მომცარიე წიგნი ჩავიდე. ვიდრე ტაქსიდან გადმოვიდოდი, მაგდას დავურეკე.

— ამოდი, გელოდები!

ომიდან დაბრუნებულს თუ დახვდებიან აგრე. მკერდში ჩამიკრა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა, მკოცნიდა უსასრულოდ... თავი გაჭირვებით ვავითავისუფლე.

— დაწყნარდი, მაგდა, რა გემართება, ხომ ხედავ, მოვედი და შენთან ვარ.

— მთელი ღამე ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს გნახავდი, ამ ფიქრმა გამომაფხიზლა ნუხელ, თანაც ძალიან მალე. იქვე და-



გირეკე, მაგრამ ტელეფონი გათიშული გქონდა. ვიფიქრე, რომ საქართველოდან წახვედი, ან კლდეში გადაიჩეხე... გამთენიისას ჩამეძინა. ახლა მომიყვები, რა გინდოდა მონასტერში?

კარგა ხანს ვუყვებოდი ლუკასთან ასვლის მიზეზს, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, მისთვის ყველაფერი მომეთხრო. მაგდა მისმენდა, თან სუფრას აწყობდა. ხაჭაპური გამოეცხო, თევზი ჩაენყო ქინძმარში.

— ჯერ ვივარდით და მერე ვისაუბროთ! — შემომთავაზა და ჭიქა ნითელი ღვინო შემივსო.

ვვარდით, ვსვამდით ნითელ ღვინოს და ვდუმდით. სამი ჭიქის შემდეგ მეკითხება.

— დარჩები ჩემთან?..

— რომ დავრჩე, რა გავაკეთო? იცი, მე ვინ ვარ? მიცნობ? იქნებ სურათები გადავიღო და შენს ქმარს გავუგზავნო, ამაზე გიფიქრია?!

— დანახვისთანავე მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება შენ გეძებდი, ეს ოცდახუთი წელი შენ გელოდებოდი, შენნაირ ადამიანზე ვოცნებობდი, ხელთ კი გაუთლელი, ხეპრე, უწინგური და ბოროტი ადამიანი შემრჩა. პირველ კურსზე ვიყავი, როცა მომიტაცა, მანამდე ნანახიც არ მყავდა. ბრილიანტებით ამავსეს. მეუბნებოდნენ, გავა დრო და შეგიყვარდებო. რა შემაყვარებდა, როცა შინ არ ჩერდებოდა, სულ სამსახურში იყო. ან ვიღაცას უთვალთვალედა, ან თავპირს უერთიანებდა მოხულიგნო ახალგაზრდებს, მომიტინგეებს. შინ თუ გამოჩნდებოდა, თვეზივით უტყვად იჯდა და მიყურებდა. მერე ადგა და ისეთი რამ ჩაიდინა, სირცხვილით ვინვი, ახალგაზრდა ქალს შეუვარდა სახლში, ამიტომ მინდა შური ვიძიო მასზე, რქები დავადგა... — შეისვენა, ღვინო მოსვა, ცრემლები შეიმშრალა, — ის ქალიც არა ვარ, ყველას დავუწვევ, შეიძლება ვერც ვერავისთან მოვახერხო ეს, მაგრამ იმ გარეწარს და მის არამზადა მამას, რომელიც გააფთრებით იცავდა სასამართლოზე (რომელზედაც მე არ მივედი) თავის უგვან ნაშიერს, — ის უნდა მივუზღო, რაც დაიმსახურეს. არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ ის საწყალი გოგო გარდაიცვალა...

— ის გოგო ჩემი ცოლი იყო!..

— ზოსიმე! — იკვილა მაგად და ჩაიკეცა.

კარგა ხანს ვერ მოვასულიერე. სათლით წყალი მოვარბენინე და თავიდან ფეხებამდე გავლუმპე. მაისური შემოვახიე, შიშველი ძუძუები შემრჩა ხელთ. რა მეძუძუებოდა. მკერდზე ორივე ხელით ვანვებოდი, რომ ამოესუნთქა. სხეულში შიშმა დამიარა, ვის დაუმტკიცებ, რომ მე არ მომიკლავს... უცებ ამოასლოკინა, ამოისუნთქა, აძაგაგდა, მგონი შეცივდა. სავარძლის გადასაფარებელი ავიღე და შემოვახიე. თვალები გაახილა. ხელში ავიყვანე და დივანზე დავანვინე. რადგან სველი იყო, შარვლის გახდა დავუპირე. ხელები დამიჭირა.

— არ ქნა, შემზიზღდები!..

— სველი ხარ, გოგო, სხვა შარვალს მოგცემ.

ხელი მოისვა, ახლალა მიხვდა, რომ ნახევრად შიშველი იყო. ძუძუები დაიფარა.

— რატომ გამხადე!

— შემოვახიე!

ნამოდგომა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო. ხალათი დამანახა საკიდზე და მანიშნა, მიმეტანა. ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა.

შარვალი (არ გამძალიანებია) გავხადე.

— ტრუსი თავად გაიხადე, სველია.

აივანზე გავედი. თვალით ის სახლი მოვძებნე, ნუხელ რომ დამანახა. ისევ გაჩახჩახებული იყო იქაურობა.

ოთახში შევბრუნდი. ინვა და ტიროდა უხმოდ. კანკალებდა. ხელი შევუცურე ხალათის ქვემოთ, ისევ სველი საცვალი ეცვა. ფრთხილად გავხადე (არც ახლა გამძალიანებია).

— თეთრეული კომოდის ქვედა უჯრაშია. — ძლივს გამაგონა ხმა.

მაისური და ტრუსი ჩავაცვი. დივანიდან სანოლში გადავიყვანე. მაცივრის თავზე „ვალერიანის“ წვეთები შევნიშნე.

დავალეკინე. თანდათან მიწყნარდა. ჩამომიჯექიო, მანიშნა. დაღამებულიყო.

— ტელევიზორი ჩავრთო?

— არ მინდა, არ დამტოვო!

— ასეთ მდგომარეობაში როგორ დაგტოვებ, შენს დას ხომ არ დავურეკო?

— არა. შენ დარჩი და იმ დივანზე გაიშალე ლოგინი.

— მოვახერხებ რამეს.

სამზარეულოში შევედი. ჭიქა შევავსე და უთქმელად გადავკარი, არადა, სადღეგრძელოს გარეშე არ მიყვარს დალევა. ღვინოს ბოთლი მაცივარში შევდგი, სადაც ღრმა ლანგარზე მარწყვი იყინებოდა, მომჩვენა, რომ ციოდა და მაგიდაზე დავდგი.

— ზოსიმე, მაცივარში მარწყვია და ჭამე, ვიცი რომ გიყვარს.

ძალიან გამიხარდა მაგდას ხმის გაგონება. ლანგრიანად გავედი მის ოთახში. ნამომჯდარიყო. მარწყვი მივანოდე. იუარა.

— როგორ ხარ, განუწულო, კიდევ ხომ არ ჩაიფსამ?

სახეზე ნამონითლდა, თვალები ცრემლებით აევსო.

— შეგაშინე ხომ?

— გვარიანად...

— მაისური რომ შემომახიე, არ შეგრცხვია?

— შენ?

— მე არ გამიგია...

დავიხარე, მაისური ავუწიე და მარცხენა ძუძუზე ვაკოცე.

— ახლა ხომ გაიგე!..

მაგდამ ხელი მომხვია და მიმიხუტა, მესმოდა მისი გულის ფეთქვა, მერე კისერში ვიგრძენი თბილი რამ რომ ჩამელვარა, მივხვდი, ტიროდა.

— ზოსიმე, ეს ყველაფერი განგებისგანა თუ...

— რაზე მეკითხები?

— აი, მილი რომ გამიფუჭდა და ოსტატად შენ მომეგლინე...

— ჩვენი ბრალია, ორივესი...

— ორივესი?..

— შურისძიება გვამოდრავებდა ორივეს, შენ იმის გამო, სხვა ქალში რომ გაგცვალა, მე კიდევ...

— ვხვდები, გინდოდა მისი ცოლი გაგებახებინა, აგრეა ხომ?

— ვინ იცის...

— ასეა, მაგრამ იმაზე თუ გიფიქრია, ვინ არის ჩემი მეუღლე ან მისი მამა, რომელთაც მკვლელის დაქირავებაც არ გაუჭირდებოდათ!

— არავის შიში არ მქონია ოდესმე, მამამისს არ ვიცნობ, ხოლო ზაქისნაირი კაცების...

— ზაქი ვინ არის?

— შენი ქმარი!..

— იცნობ მას?

— თანაკლასელები ვართ.

მაგდა კვლავ მოსასულიერებელი გამიხდა, თუმცა ამჟამად იმდენად არ გამჭირვებია და არც შემშინებია. ვუამბე ჩემი, მარიტასა და ზაქის (სახელს შეგნებულად არ ვახსენებდი) ურთიერთობა.

— გამოდის, ყველაფერი იცოდი!..

— შენგან განსხვავებით.

— მერე რა მოხდა, აი, თუნდაც გუშინ, როცა მთვრალი მიმატოვე და მონასტერში წახვედი. ხომ შეგეძლო გუშინვე გეძია შური შენს თანაკლასელსა და ამომგდებზე და არც მე ვიქნებოდი დიდად წინააღმდეგი, შურისძიება ორმხრივი იქნებოდა...

— ვგრძნობდი, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდი, რადგან ერთი კვირაც კი ვერ გაძელი უჩემოდ, წყალი ჟონავსო, დამირეკე; მეორედ რომ მოვედი, უკვე შეყვარებული გოგო დამხვდა შოთა ჩანტლადის წიგნით ხელში, უძინარი და ანთებული... თუ მოვისურვებდი...

— კარგი ფსიქოლოგი ხარ!..

— ისე რა, უკეთესებიც ვიცი! თანდათან შურისძიების სურვილმაც იკლო, რადგან კეთილშობილი ქალბატონი შემრ-

ჩა ხელთ, იმასაც მივხვდით, ნებით რომ არ გაყვებოდი ზაქის მსგავს ცხოველს... გაორებული ვიყავი ეს დღეები, ლუკასაც ამიტომ ავაკითხე მონასტერში...

— მე რომ თავს გთავაზობდი?

— ვგრძნობდი უცდომლად, თან ისიც ვიგუშანე, როგორ გიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა და წელანდელმა ქმედებამაც დამარწმუნა, როცა სველი შარვლის გახდა დაგიპირე, „არ ქნა, შემზიზღდებიო!“ ამოვიკენესე.

— ზოსიმე, რა სუფთა და მართალი ხარ, აქ მყავხარ!.. — ხელი გულზე დაიდო.

— გამადლობთ. შენც სუფთა და კარგი ადამიანი ხარ, მარტაც ასეთი იყო, სუფთა და უმანკო!..

— ახლა რას აპირებ?

— შინ წავიდოდი, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ვერ დაგტოვებ, დივანზე წამოვწვები, არ გამიჭირდება...

— რომ გითხრა, ჩემს გვერდით დანექი-მეთქი?

მე მხრები ავიჩქრე, დავიჩოქე და ორივე მუხლზე ვაკოცე; თავი ამანევეინა და თვალეში მაკოცა.

— შენი აღარც მრცხვენია და აღარც მეშინია, საკუთარ თავივით მიყვარხარ!..

ცრემლები ლაპალუპით ჩამომდიოდა. მაგდა გულში მიკრავდა და მაისურით მიმშრალებდა თვალეებს.

— რა გემართება, ზოსიმე?

— ის, რაც შენ!..

## „...სული ღმერთს, გული სამოხლოს, გვამს რაც გსურდეთ, ის უყავით“

(ბანსილვა ამბროსი ხელაიას ნაშრომისა „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკა ქადაგიძის ინიციატივით ამბროსი ხელაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. შეკრების მთავარი მიზნი ამბროსი ხელაიას ღვანლის კიდევ ერთხელ აღნიშვნა და მისი ნაშრომის „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ განხილვა იყო.

ნაშრომი თარგმნა მწერალმა ზურაბ თორიამ, რედაქტორ — შემდგენელია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ქავთარია, ხოლო გამომცემელი მწერალი აკაკი ბრეგვაძე. ნაშრომი დაიბეჭდა „მნივნობრობა ქართულის“ III ტომში.

შეხვედრა საკმაოდ ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა იკა ქადაგიძემ: „ამბროსი ხელაია ძალიან დიდი მოღვაწე იყო არამარტო საქართველოსთვის, ამიტომ მისი სახელის წარმოჩენა აუცილებელია.“

იგი გახლდათ ავტოკეფალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ამიტომ დღევანდელი დღეც საგანგებოდ შევარჩიე, რადგან როგორც ვიცით, 1917 წლის 12 მარტს, ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნა 111 წლის მანძილზე დაკარგული დამოუკიდებლობა.

ავტოკეფალური მოძრაობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან მას უნდა აღედგინა ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრიობა. ამ მოძრაობაში ძალიან ბევრი სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო ჩაბმული.

უდიდესი პასუხისმგებლობით არის დანერგილი ამბროსი ხელაიას შემდეგი სიტყვები: „მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ქართველი კაცის სამშობლოს გარეთ ცხოვრების, რადგან საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ თავისი შვილები გაუშვას თავის საზღვრებს გარეთ, მათ უპირველეს ყოვლისა ვალი უნდა მოიხადონ საქართველოში.“

აქვე უნდა აღინიშნოს მისი ცნობილი გამონათქვამი: „სული ღმერთს, გული სამშობლოს, გვამს რაც გსურდეთ, ის უყავით.“

ეს ნაშრომი 1900 წელს რუსულ ენაზე დაინერა, რომელსაც რუსეთში მოჰყვა ძალიან დიდი გამოხმაურება. მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომია, მაგრამ ის ჩვენში, ისევე როგორც ბევრი რამ, შეიძლება ითქვას ჩაიკარგა; ეს თემები დღესაც აქტუალურია: პრესაში, ინტერნეტში, პირად საუბრებში. დღეს, როცა რწმენის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, არცთუ ისე სახარბიელო ვითარება საქართველოში და ბევრი არასწორი დასკვნა კეთდება, არ შეიძლება არსებობდეს ასეთი ნაშრომი და წარმოდგენა არ ჰქონდეს ადამიანს, რა ხდებოდა ამ კუთხით იმხანად.

ნაშრომში ამბროსი ხელაია გვევლინება როგოც მასშტაბური მკვლევარი, ეთნოლოგი, კულტუროლოგი, ისტორიკოსი. რაც

მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ მწვავედ აკრიტიკებს ისლამს, არსად შეურაცხყოფას არ აყენებს, რაც მისი ტაქტიკა და მაღალი ზნეობის მაჩვენებელია.

ამბროსი ხელაის ძალიან მძიმე ცხოვრების გზა ჰქონდა, მან გაიარა ნამდვილი გოლოგოთას გზა. რამდენჯერმე იყო გადასახლებული და მუდმივად უშიშრად იცავდა მართლმადიდებლობას.

ძნელია გვერდი აუარო ამბროსის მოღვაწეობას აფხაზეთში. ამ კუთხის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მონოდებული მის მიერ ამ ნაშრომში. ცნობილია, რომ აფხაზეთში — რწმენის თვალსაზრისით — ყოველთვის სახიფათო ვითარება იყო, ამდენად ამბროსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ კუთხეს. იგი გამოარჩევს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოღვაწეობას, რომელმაც შეძლო ათი წლის განმავლობაში გაექრისტიანებინა აფხაზები. აქვე აღნიშნავს, იმდენად დიდი ძალა ჰქონდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებას, რომ იქვე ინათლებოდა ხალხი.

ყოველივე მონობს, რომ აუცილებელია, რომ ამ ნაშრომს ჰქონდეს საკადრისი დაფასება და დაიმკვიდროს თავისი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მინდა ჩემი გამოვლა მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით დავასრულო, რომელიც დღევანდელია ესადაგება: „ქართული ნაციონალიზმის პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი; რუსული ნაციონალიზმი კი — აღვირანყვეტილი სიხარბეა მხეცის, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც ითხოვს.“

ნაშრომის აღმოჩენის, თარგმნისა და გამოცემის შესახებ საფუძვლიანად ისაუბრეს: აკაკი ბრეგვაძემ, ზურაბ თორიამ. მკვლევარმა ციური ხეთერელმა წარმოადგინა ნაშრომის მნიშვნელოვან საკითხთა სიღრმისეული ანალიზი.

საღამო ქ-მა იკამ ამბროსი ხელაიას სიტყვებით დაასრულა: „ჩვენ შორის არ გამოჩენილა შეგნებული ვინმე, რომელიც განმსჭვალული იყო წარსულის შესწავლის სურვილით და მიექციოს ყურადღება იმათ აღწერისათვის, ამის გამო ბევრი რამ განადგურდა და დაიკარგა ისტორიაში.“

დაბოლოს, ყველამ ვიცით, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანა, ამიტომ უნდა გვენადეს, რომ უფლის მაღლი და წინაპრების ღვანლის შესაფერისი შესწავლა-დაფასება, გვიხსნის და გადაგვარჩენს განსაცდელის ჟამს.

თაო კაპანაძე



მხატვარი ვერა კრუტიკინა

მჭვრეტელობა და განსჯა გურამ პეტრიაშვილის სტიქიაა, მისი შემოქმედების არეა, ქმნადობის ველია, ბუნებრივი და სიცოცხლისუნარიანი. ნარატივი მესამე ელემენტია, უფრო სწორად, ფორმაა, რომელიც მჭვრეტელობასა და განსჯას გამოხატავს, გადმოსცემს, წარმოადგენს. ქმნადობა, როგორც გზა — ცხოვრებისეული, ფიქრისმიერი, აზროვნებითი, ხედვითი — ყველანაირი, რაც სიუჟეტს, მაგისტრალს, ხაზს, გეზს, მიმართულებას უკავშირდება.

მის ფერწერულ პორტრეტს დავაკვირდეთ, უკრაინელი მხატვრის ვერა კრუტიკინას ნამუშევარს. ეს ხომ ის მოგზაური ბრძენია, რომელიც გერმანულ რომანტიკულ ზღაპარში გვხვდება: თეთრი ნვერ-ულვაშით, სამგზავრო მოსასხამით, გამჭოლი მზერითა და ჯოხით. ყოველი ლექსი არმალანით მოაქვს, ტოვებს და მიდის. თვითონ გზას განაგრძობს. არ ამხელს, მაგრამ აშკარად იგრძნობა ფარული მოტივი ამ მსვლელობისა — სიყვარული, როგორც სწრაფვა მთლიანობისკენ, სისრულისკენ, სადაც შეიძლება ჰპოვო მთავართა შორის მთავარი და აუცილებელი — საკუთარი თავი. არის მის მსვლელობაში რაღაც სხვაგვარიც — ბავშვური, წრფელი, პირველქმნილი. საგნებისა და სიტყვების კავშირს ეძებს მიაბიტიური უშუალობით.

აქაც სიყვარული მიზეზს აღმოაჩენს. აქ ხედავს იდეალს, ნორმას, ფასეულობას.

გურამ პეტრიაშვილის მრწამსი ნათელია — თვითშემეცნების გზით ადამიანი ეზიარება სიქველეს, საიდანაც იწყება მართალი, სწორი ცხოვრება. თვითაღზრდის ზნე კულტურის საფუძველია. არსებობს საგნები და მოვლენები და მათ სიღრმეებში დამალული გრძნობა, შეიძლება სულაც ეს არის სიყვარულის მეტაფიზიკური შინაარსი, რომელიც ყველაზე ნათლად აკაკიმ გამოთქვა: „შენი ვარ, შენთვის მოკვდები...“

გურამ პეტრიაშვილს ზედმა, რომანტიკული მეზღაპრის მსგავსად, ტრადიციულ ფასეულობათა დამცველის ფუნქცია დააკისრა და ისიც ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას.

მისი ლექსების ქვეტექსტად ესეც იკითხება: მთავარი ფასეულობა სიყვარულია და თუ სადმე მისი ცეცხლი ნელდება ან ქრება, იქ ირღვევა ბუნების კანონი.

### გურამ პეტრიაშვილი

#### ცეკვა

ლატავრა ფორიანს

ქართველი ქალი ცეკვავდა ქართულს, ასე ეგონათ, მხოლოდ ცეკვავდა, იგი ამ ცეკვით ჩვენ გვაღვიძებდა და საგანგებო ზარებს რეკავდა.

შეხეთ, ესაა კდემა ქართული ნუ ვულაღატებთ ჩვენსავ თავსაო, სხვებს ნუ ავყვებით, ავმსუბუქდებით, ჩვენითვე ჩვენითვის ნუ ვიქმთ ავსაო.

და მერე როცა ქუჩებს მოედო სამფეროვანი დროშების ალი, დატოვა სცენა და ერთან ერთად მტერს ნინ დაუდგა ქართველი ქალი.

იძალა მტერმა, იხმარა ფანდი და მოძმის ხელით ჩაგვცა მახვილი, მაგრამ მტკიცედ დგას ქართველი ქალი და ისევ ისმის მისი ძახილი:

თუნდ მოკვდეთ, მაგრამ ჩვენადვე დავრჩეთ, დავტოვოთ შუქი ცად აღმართული და გულნი გვექონდეს მშვენი და წმინდა, ვით მაღლიანი ცეკვა ქართული.

#### სინათლე ბნელში

მხატვარმა ბნელი ქუჩა დახატა. ხეების წყება და ბნელი სახლი, ხოლო შორს, ბნელი ხეების იქით რაღაც სინათლე მოსჭვივის თალხი,

იქნებ ვიღაცას მიაქვს სანთელი, ან მოთუხთუხებს მანქანა ძველი, ან კიდევ გუნდი ციციანთლების ტრიალებს ვარდთან სურნელით ხელი.

რა სურდა ეთქვა ნეტავი მხატვარს? რატომ ჩამალა სინათლე ბნელში? რად არ გვიჩვენა პატარა გოგო თუკი მას ლამფა უჭირავს ხელში?

ალბათ სინათლე შორს უნდა იყოს, უნდა ველოდეთ გულების თრთოლვით, თან შორს ვხედავდეთ და გვეშინოდეს, რომ არ ჩავგიქრეს ქარების ქროლვით.

ის უნდა დარჩეს მხოლოდ სინათლედ და არ ვიცოდეთ, თუ რა ანათებს და გადასცემდნენ მის შუქს იდუმალს გულები ერთურთს, ვით ამანათებს.

მიდი, მხატვარო, განაგრძე! ეგრე! დაე, ბუტუბავდეს სინათლე შორი, მოგვეც იმედი და მოლოდინი შენ მაგითა ხარ ღმერთების სწორი.

### ესმა ონიანის ხსოვნა

იყო ესმას ესმა ლალნი ჰანგნი ესმა და იმ ჰანგთა სდია ესმამ ფერთა მწყემსმა.

ესმა დედას შვილი... ესმა დასდევს ფერებს და ღვინისფრად მოსულს სალამოს სიმღერებს.

და იმ ღვინისფერში მოფრენილნი ცითი ესმა და ესმას და როგორც თავანვდილი ორი კობტა ჩიტი...

იყო ესმას ესმა გვიხატავდა ბგერებს ღვინოსავით ნითლებს, სალამოსფრად მუღერებს...

იყო ესმას ესმა ციური ხმა ესმა...

#### მასწავლებელი

მერაბ კოსტავას

სიმღერის მასწავლებელი რა ბედნიერი კაცია, მოსწავლეების ფართქალა გულები მოუტაცია.

სიმღერის მასწავლებელი გვასწავლის ჩიტთა ენასა, დიდი ხნის შემდეგ მივხვდებით, რომ გვასწავლიდა ფრენასა.

#### შაჰრა ცხენი

ვერ მოვთოკე შავრა ცხენი ალვირით და სადავითა, გადაეშვა შავ ზვირთებში გააპო და გადავიდა.

იმ ნაპირზე გამიყვანა, ჩამომადგო ვარდებშია, გახვეულა ჩემი გული ვაჰმე, მძიმე დარდებშია...

რა გინდოდა, ჩემო ცხენო, აქეთ რატომ გადმომადგე, შავ ზვირთებში ამომადგე და ეკლებში ჩამომადგე.

რად მინდოდა ეს ვარდები, ვის მივცე და ვის ვაჩუქო? ამ ნაპირზე არვინ არი გულის შუქი მივაშუქო.

გალმა დარჩა თეთრი ქალი,  
მისთვისა ძგერს ჩემი გული,  
მისთვის მინდა ეს ვარდები  
და ეს შლეგი გაზაფხული.

ნამიყვანე, შავო ცხენო,  
ისევ იქით გამაქანე,  
ან თეთრ ქალთან დამაბრუნე,  
ან შავ ზვირთებს გამატანე...

### ფოტობრაზი

ხიდან ფოთოლი ვარდება?  
დააცადეთ ფოტოგრაფსა,  
მოიმარჯვებს აპარატსა  
და მით უზამს ფოთოლს ყლაპსა.

ლამაზია კოჯრის დილა?  
დააცადეთ ფოტოგრაფსა  
დაუმიზნებს აპარატსა  
და მყის უზამს კოჯორს ყლაპსა...

ყლაპავს მისი აპარატი  
ბავშვებს, ქალებს, დიდს და მცირეს  
სახლებს, ხეებს, ტყეებს, ველებს  
ქვეყნის სარჩულს და საპირეს.

უცნაური მყლაპავია:  
ყლაპავს, მაგრამ არცა ყლაპავს,  
ქვეყნად რჩება ჩაყლაპული  
და განაგრძობს თავის ამბავს.

ფოტოგრაფი თან წაიღებს  
საგნის სახეს ჩაყლაპულსა,  
მერე ბნელში, წითელ შუქზე  
მოიჯერებს იმით გულსა:

გაამრავლებს გადაღებულს  
საგნებსა და მოვლენებსა,  
ბეჭდავს, ბეჭდავს და აღბეჭდავს  
სხივებს შუქისმომფენებსა.

ჯადოქრული არის მისი  
სამყაროსთან მასლაათი:  
აეს ტურფა იყო ერთი,  
ერთი იყო — გახდა ათი.

ახლა ყველას შეუძლია  
თვალწინ ჰქონდეს მისი სახე,  
ყოველ დილით მიესალმოს,  
უთხრას: „ტურფავ, ჰოი, გნახე“...

გაგიმარჯოს ფოტოგრაფო,  
შენ მეტი ხარ, ვიდრე ღმერთი,  
შენ ათასად გაამრავლე,  
მან სამყარო შექმნა ერთი.

რაო? გრაფი ჩამოსულა  
და სჭირდება ფოტო გრაფსა?  
მოვა ახლავ და ყლაპს უზამს,  
დააცადეთ ფოტოგრაფსა.

### ოჯახი

შენ საბუღალტრო წიგნი ხარ,  
მსუქანი ხარ და დიდო.  
იცი, რაც გუშინ იყიდე  
და ხვალაც რას გაჰყიდიო.

ცოლად ლექსების წიგნი გყავს  
სიფრიფანა და თხელიო,  
სახე ხან ნათლით უღიმის,  
ხან ცრემლითა აქვს სველიო.

ვინ გამოგივით შვილები,  
ეს მაცოდინა ნეტავი!  
მამისებრ რქებით მიმწოლნი?  
დედისებრ გაუბედავი?

გულში ექნებათ სიმღერა,  
თუ მხოლოდ ოქრო-ფულები?  
მთლად გულად იფანცქალებენ?  
თუ არც ექნებათ გულები?

\* \* \*

### რეზო ლალიძეს

ყოველი სახლი მომღერალია  
მსმენელადა ჰყავს ეზო,  
ყოველი სახლი სიმღერას მღერის  
თქვენსას, ბატონო რეზო!

ისე ტკბილია სიმღერა თქვენი  
როგორც ლალიძის წყალი,  
ისე ლამაზი, როგორც წყაროსთან  
მჯდარი ქართველი ქალი.

ლამაზი არის სიმღერა თქვენი  
როგორც ქართველი დედა  
და ისე ტკბილი, ვით იმერეთი  
და საქართველოს სევდა.

### საგანი და სახელი მისი

როდესაც სახელს მოარგებ საგანს  
ანდა მოვლენას, ძნელად გასაგებს,  
ისე კარგია, როგორც ის გრძნობა,  
როცა მოარგებ დიდ კარს გასაღებს.

და კარს შეაღებ... და დაინახავ  
ტახტზე წევს ქალი კოკობვარდება,  
მისი შიშველი ყოველი ნაკვთი  
სრული მშვენიებით აელვარდება.

თუკი მშვენიება შეიგრძნე სრულად  
ალარა არის თქვენი გამყოფი  
და შვილი თქვენი: შენი და ქალის  
სიყვარულისა არის ნაყოფი.

მოარგე საგნებს სახელი, ძმაო,  
და გეყვარება სამყარო მთელი,  
დაიბადება ლამაზი სიტყვა,  
რაც უმჯობეა, ზუსტი და ნრფელი.

**ზამბასს**

არ აფრქვევ სურნელს, დგახარ ამოდ  
წერწეტა, ნაზი და ლამაზმანი,  
მონყენილი ხარ, ვიცი ზამბასხო  
და მონყენილი გყვანან და-ძმანი.

მისტირით ზაფხულს და უფროსით ზამთარს  
ვერაფერს ვიზამთ, მოვა ზამთარი,  
იგი კვლავაც მსხვერპლს წაიყვანს მრავალს,  
კვლავ შეივსება მისი დავთარი.

ბედს გარდაუვალს ვერ გადაფურჩებით.  
თავს ნუ დაიღლი, დაო, ფიქრებით.  
ვიდრე ვართ სურნელს უნდა ვაფრქვევდეთ,  
რომ დავრჩეთ, როცა აღარ ვიქნებით.

\* \* \*

მამიდაჩემის ლობიანებო,  
ძალუაჩემის კარგო მანონო,  
თქვენზე ვუამბობ ჩემს შვილიშვილებს  
რომ თქვენი გემო მათ მოვანონო.

და თუმცა იმათ არ უჭამიხართ,  
ვიცი, იგრძნობენ რატომ მახსოვხართ,  
იგრძნობენ ჩემთვის საჭმელზედ უფრო  
ჩემი ბავშვობის სიამე რომ ხართ.

მამიდაჩემი, ძალუაჩემი  
ორი რა სათნოდ ლამაზი ქალი!  
დიდი ხანია წავიდნენ თუმცა  
კვლავაც მათ ელის გული და თვალი.

**მართვა**

აი, ამ წუთას ქართლის ერთ კლდეზე  
ზეიმი უდგას არწივის ბუდე:  
დღეს მართვემ ლალად გაშალა ფრთები,  
აფრინდა, გასცდა შიშების ზღუდეს.

ფრთების ტყლაშუნით გაჰყვენენ მშობლები,  
დიდი მთებისკენ გაფრინდა მართვე,  
ხარობდა მამა, დედა დედაა,  
წუხდა, „იქნებ ჯერ ეფრინა აქვე...“

მართვეს კი მთები ეძახდა მისი  
და გული მისი იქით ილტვოდა,  
გაყურდა დედა, აღარა წუხდა,  
მამასთან ერთად ჩუმად მიჰქროდა.

ყველაზე მაღალს მთას ყინულოვანს  
მართვემ მაღლიდან დაჰხედა როცა  
ლელვამ და თრთოლვამ აუვსო გული,  
გაქრა ყოველი: სამყაროც, დროცა.

ჩემია ეს მთა, მე მიყვარს იგი  
წინაპრებს ჩემსას აქ უფრენიათ.  
აი, აქედან მთელი ქვეყნისთვის  
სიყვარულითა მათ უცქერიათ.

ფიქრობდა მართვე, დასტრიალებდა  
მშობლიურ მწვერვალს, მზეზე ელვარეს  
და შორიახლოს მშობლები მისი  
ცრემლით იცხრობდნენ გულებს მღელვარეს.

მერე დაბრუნდნენ ბუდეში ერთად,  
მართვემ დაკეცა მტკივანი ფრთები,  
მყის ჩაეძინა... და მთელი ღამე  
ესიზმრებოდა თავისი მთები.

ნათელი ედგა არწივის ბუდეს  
დედ-მამა არწივს ეღვიძა დიდხანს,  
აქეთ-იქიდან ესხდნენ თავის შვილს  
და ფრთებს უთბობდნენ დაღლილს და მტკივანს.

\* \* \*

სარკის იქითა ქვეყანავ  
სავსე ხარ ცაცებიტა,  
მიზიდავ, ხშირად მოვდივარ,  
ჩაგცქერი ჩაციებიტა.

მანდ ერთი კაცი რომ ცხოვრობს  
ჩემგვარი, ოღონდ ცაცია,  
მითხარ მაგისი ამბავი;  
ვინ არის და რა კაცია.

რა უყვარს და რას დაეძებს  
ან როგორი აქვს მიზანი,  
ჭკვიანია თუ შლეგია,  
პოეტია თუ მისანი?

მანდაურ ადამიანებს  
როგორი კაცი ჰგონიათ,  
იციან მისი სახელი,  
თუ არც კი გაუგონიათ.

მას „მარუგ“ ჰქვია სახელად  
გვარად „აირტეპშვილია“  
ვხედავ ხანდახან ილუშვის  
და ხანაც შუბლგახსნილია.

მაგრამ უფროა მონყენით  
ცაციას იღებს მკერდზედა,  
ალბათ გული თუ შესტკივა  
მანდ ერთი ერის ბედზედა.

იმასაც ვხვდები, რომ იმ ერს  
„ილევეთაქ“ ჰქვია სახელი  
და არის ბევრი ვაების,  
სისხლის და ცრემლის მნახველი.

გაუძელ ძმაო, მარუგო!  
არც გვაქვს, არც გვინდა ფარჩები,  
შენ მანდ „ილევეთაქ“ დარჩი და  
მე აქ ქართველად დავრჩები.

\* \* \*

ორი ბელურა ერთმანეთს  
იმაზე ედავებოდა,  
მათი ლამაზი სახელი  
საიდან წარმოსდგებოდა.

ერთი ამბობდა, წინაპრებს  
ბაღში უყვარდათ ფრენაო,  
ყვავილთა შორის ჭიკჭიკი  
ფრენა და აღმაფრენაო.

მიტომ „ბალურა“ შეგვარქვეს  
გვაქებდნენ ტკბილი ენითო,

მერე კი ალბათ თანდათან  
„ანი“ იცვალა „ენი“-თო.

მეორემ უთხრა, წინაპრებს  
ბელისა ჰკლავდათ დარდიო,  
მსუყე ხორბალი უყვარდათ,  
არა ია და ვარდიო.

და ბელურები დაგვარქვეს  
ბელურები ვართ ჩვენაო,  
მერე დრომ „ლასი“ შეკვეცა,  
ასეთი არის ენაო.

— „ბალურა“ უკეთესია!  
— არა, სჯობია „ბელურა“!  
დიდ ხეზე განინმატებით  
ჩხუბობდა ორი ბელურა.

ვერ გეტყვით, თუ იმ კამათში  
მართალი იყო რომელი...  
რაც ვიცი, გეტყვით ამასა,  
ამის თქმისა ვარ მდომელი.

ჩვენს თავსა ვხატავთ იმითი,  
რისიც ვართ მამტიცებლები:  
ბალები გვიყვარს ფერადი,  
თუ სავსე დიდი ბელლები.

### ლარნაკი

ჯერ არ უნახავს თაიგული ამ ლამაზ ლარნაკს,  
ჯერ არ უგრძენია ყვავილების მძაფრი სურნელი,  
არ იცის, ჩვეულ თაიგულს რომ გადაადებენ,  
როგორი რჩება გულს ჭრილობა განუკურნელი.

ეჭა, ლარნაკო, რომ იცოდე მერე რამდენჯერ,  
ისურვებ, რომ ძირს გადაეშვა ფანჯრის რაფიდან  
თავს მოგაბზერებს წვრილმანები, დავა, ყაყანი,  
ხმაური, ჭუჭყი, ქონის სუნი ძველი ტაფიდან.

და მაინც... მაინც ლამაზია შენი ცხოვრება  
რადგანაც ერთხელ სილამაზით გაოგნებულნი  
უეცრად შენს წინ გაჩერდება პატარა გოგო,  
აუძგერდება დიდი ძგერით პანანა გული...

და მერე იმ გულს სამუდამოდ ემახსოვრება  
შენი და შენი თაიგულის ფერთა თამაში,  
შენს ნაზ კედლებზე მზის სხივების ათინათები  
და შენში ნყალი ნათელი და ამით ლამაზი...

მიდი, ლარნაკო, ქვეყანაზე ღირს შენი ყოფნა  
თუნდაც უნდომლად ბევრი იყოს შენი მზირველი...  
ელოდე მუდამ, ის გოგონა ახლოა სადღაც!  
აჰა, იწყება: თაიგული მოაქვთ პირველი.

### ქაჯების ქორნილში

შემიპატიჟეს ქაჯებმა  
ქორნილი ჰქონდათ დიდო,  
ღრეობდნენ სკლიდნენ ყანებსა  
ყვიროდნენ: „მიდი, მიდიო“.

მაგიდის თავში მთავარ ქაჯს  
გვერდს ეჯდა პატარძალიო,

ვაი, რომ მისი საცოლე  
იყო ქართველი ქალიო.

ქაჯებმა ყანნი მომართვეს  
მითხრეს, დალოცე ნეფეო,  
არ მოგეხათროს, გაბედე,  
სიტყვა გვითხარი სეფეო.

მივუგე, ვერა, ვერ ვიზამ  
არ მომწონს თქვენი ქორნილი,  
არ მინდა ქალი ქართველი  
რძალი გაგიხდეთ მორჩილი.

ვერ გეტყვით სადღეგრძელოსა,  
ვერ დავლევ თქვენსა ღვინოსა,  
არ მინდა ქალმა ქართველმა  
თქვენს მკლავზე დაიძინოსა.

დაიღრიალეს ქაჯებმა  
კბილები დააღრჭიალეს,  
ხმალ-ხანჯალს ხელი გაივლეს,  
თვალეები დააბრიალეს.

არც მე ვიყავი ჭკვიანი  
შევმართე დათვისფერული,  
ნეფეს შიგ გულში ვაძგერე,  
საქმე ვუქენი მტერული.

ფარი ვიფარე მკვირცხლად,  
გზა გავიკაფე ხმალითა  
და ფანჯარაში ვისკუპე  
ქაჯების პატარძალითა.

### კბილის ტკივილისა და ნისლის ამბავი

„უნდა ჩაიტენო ყურში ბამბის ფთილა,  
როცა ატყობ ახლა აგტიკივდება კბილი“ —  
ეს ექიმმა მითხრა და მეც დავიჯერე,  
რადგან მილიმოდა და ხმა ჰქონდა ტკბილი.

მაგრამ ახლა რა ვქნა, ქუჩაში ვარ ღამით,  
დანისლულა ქუჩა, ირგვლივ არვინ არი.  
თანაც ძალზე ცივა და ეს კბილისათვის,  
არის, მეგობრებო, დიდად მანყინარი.

ვერვისა ვთხოვ ბამბას, არავინ არ მოდის,  
ქუჩაშია მხოლოდ ნისლი, სქელი ნისლი.  
გარს მეხვევა იგი, ვედარაფერს ვხედავ  
და ნისლს ვეუბნები: „ფიქრში ხელს ნუ მიშლი!“

და მპასუხობს ნისლი (ხმა ჰქონია ტკბილი):  
„გაუძელი ცოტაც და რომ მოვა დილა  
და ვარდისფრად როცა გავანათებ ქალაქს  
ფრთხილად მომაგლიჯე ვარდისფერი ფთილა.“

და ის ჩემი ფთილა თეთრი ბამბის ნაცვლად  
დამიჯერე, ძმაო, თუ გექნება ყურში  
ველარც იგრძნობ თუკი საერთოდ გაქვს კბილი  
და იქნები მერე მუდამ სიხარულში“.

ასეც მოვიქეცი, დაველოდე დილას  
ყურში ჩავიტენე ვარდისფერი ნისლი  
და მას მერე ჰანგნი ჩამესმიან ყურში.  
რისი კბილი, ძმაო?  
რა ტკივილი, ძმაო?  
თავი დამანებე და სმენას ნუ მიშლი!

\* \* \*

დგას მარტოდ ჩემი საბრალო ნუში,  
ვერ გაუგია, რად მივატოვე,  
ვერ გაუგია, რად აღარ ვუვლი  
სევდა თუ ლხენა აღარ ვათოვე.

ნუშო ნუგეში შენა ხარ ჩემი,  
ნუშის ხევ, ჩემო, ჩემგან დარგულო,  
ნუ გეშინია, კვლავ მოვალ შენთან  
გულის კიდეზე ამოქარგულო.

გავუძლოთ ყინვებს ასე, შორი-შორს  
და მერე ერთუროს როცა შევხვდებით,  
შენ მომეგებე შენი ყვავილით,  
მე კი მოგივალ ჩემი ლექსებით.

\* \* \*

ჭრელი ხოხობი აფრინდა ქარში  
ქარმა გასტაცა ხოხობს ბუმბული  
და გააქანა იმ ბალისაკენ  
სადაც ყვავდა ნაზი სუმბული.

ბუმბული თავის ხოხობზე დარდობს  
და ჯერ ვერ ამჩნევს იმ ლამაზ ყვავილს,  
ხოლო სუმბული პეპელას დარდობს  
და ამიტომაც მოწყენით ჰყვავის.

ქარმა კი ბალი მიმოიქროლა,  
მიმოატარა იგი ბუმბული  
და ჰაერში იქ ააფრიალა  
სადაც ყვავდა ნაზად სუმბული.

და დაინახეს მათ ერთმანეთი  
ნაზმა სუმბულმა, ნაზმა ბულბულმა.  
— შენთან ვიქნები — ბულბულმა უთხრა  
— იყავი ჩემთან — უთხრა სუმბულმა.

და იმის შემდეგ სუმბულ-ბუმბული  
ერთმანეთისა ნუგეში არი.  
ნაზ სუმბულს არხევს, ბუმბულს დააფრენს  
და აღარ მიდის ბალიდან ქარი.

## თქვენი

სილამაზეთა უცნაურთა ნამდვილ მოყვარულთ,  
სიუჟეტური აბრუნდების თაყვანისმცემლებს,  
ჩემი ცად წასვლის თალხ ზეიმზე  
მჭიდროდ მოჯარულთ,  
დარდიანები თუ მაყრიან მჭვირვალე ცრემლებს.

ვეტყოდი ამას მშვიდი გულით და დარწმუნებით,  
რომ არასოდეს არ ვყოფილვარ ცრემლების მომხრე,  
დამიდასტურებს მართალია ვინაც ბუნებით  
და იყო ჩემი აბურდული ცხოვრების მომხრე.

მამ გაიღიმეთ, სევდა უკან გადაგყაროდეთ  
არ გაიკაროთ სიმძიმელი მრუმე და მწუთხე,  
დატკბით შუშუნა ამ ამბებით და გიხაროდეთ,  
თუ გაგინათეთ სილამაზის ერთ-ერთი კუთხე.

## თამარ რაზმაძე

\* \* \*

ლ-ს

მახსოვს, მითხარი, რომ არ ვბერდები,  
(იქნება ფიქრობ, გული დაბერდა?!)  
თავს ინამლავდა ზამთარში გრძნობა,  
მაისში — ეჭვებს ნთქავდა, არბევდა!..

ჟამთასვლა ჭენებ-ჭენებით, როკვით  
მტვერს ყრიდა თუმცა საფლავთა ქვაზე,  
მნამს, სერაფიტას ლანდიც — ლიცლიცა  
იოდმანგანის იცდიდა კარზე.

ანდა, ვინ თქვა, რომ ცოდვას ვუკმევდი,  
რომ მონატრებით არ ვარ მართალი?!  
სიბერეს ტრფობა რომ მიეჩრდილა,  
არ იბრწყინებდა მამ ტაჯ-მაჰალი!..

ვითომ გაყინავს დრო სუნთქვას ლტოლვის?  
განა ვარსკვლავებს არ ახსოვთ ფიცი?..  
ხომ ვერ შერისხე წარსულად ჩემი  
შენსკენ ნასროლი მზერის კისკისი?!

რომ „არ ვბერდები“, დრო განა არ ქრის,  
მეც დამიტოვა თვალთან რკალები,  
ჟამი ვერ წაღვეს ერთადერთ ბომონს  
თუ სიყვარულში დავიკარგებით!..

## სასაფლაოზე

უიმედობის წკავნკავით,  
მოთქმათა ზარის გუგუნით,  
ჭკნობით,  
გაქრობით,  
არყოფნით,  
უდარებელი უკუნით,  
მდუმარე ქვათა სალამით,  
განგების გარდუვალობით,  
უფლის მართალი კანონით  
გვიმზერენ სასაფლაოანი...  
სად არ ღარიბობს ღარიბი,  
მდიდარს არ ახსოვს ქისანი,  
სულ ერთნაირად სწორდება:  
ერი,  
ბერი  
თუ მისანი...  
საქალბატონე,  
მელექსე  
თუ შერეკილი მიწოდეს,  
ერთ-ერთი იმათგანი ვარ,  
ეს კარგად უნდა ვიცოდე!..

## მაჟინე

მე ესენინის მიკვირდა მაშინ  
რად ჭვრეტდა ფიქრში შავ კაცს — საეჭვოს,  
როცა მიჰქონდა დღეები აპრილს,  
როცა ჭინჭველა მეგონა სპილო.

როცა ფიქრები ვარდისფერ წვივებს  
აჭყაპუნებდნენ სინორჩის ტბაში  
და გადაჩეჩილ ბავშვურ ოცნებას  
გვირგვინს ვუნწავდი თავადაც ბავშვი.

დაიბადა თბილისში, 1973 წელს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაამთავრა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ტელეკომპანია tv4-ზე. ლექსებსა და მოთხრობებს ბავშვობიდან წერდა. მისი ლიტერატურული დებიუტი 2004 წელს შედგა ჟურნალში „სხივი“, სადაც დაიბეჭდა ორი მოთხრობა. პოეტური დებიუტი შარშან შედგა ჟურნალში „ათინათი“. 1998 წელს მონაწილეობდა გამომცემლობა „ბესტსელერისა“ და ჟურნალ „ცისკრის“ მიერ გამართულ ლიტერატურულ კონკურსში, რომელშიც მისმა მოთხრობამ „გულშემმატიკივარი“ (იგივე „თანაგრძნობათა თავშესაფართან“) „ცისკრის“ რედაქტორის — ზაურ კალანდიას მოწონება-რეცენზია დაიმსახურა.



იმედია, მოწონებას მისი ლექსებიც დაიმსახურებს. ყოველ შემთხვევაში, თამარ რაზმაძის პოეტური შესაძლებლობანი იძლევა ამის საფუძველს. თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ მის ნიჭიერებაში. საკმაოდ გამოცდილი და დაკვირვებული მოკალმეა. კარგად ფლობს სალექსო ტექნიკას, თავისუფლად გადმოსცემს განცდებს, ადვილად აგნებს სათქმელის შესაბამის ფორმას. მართალია ლექსების გამოქვეყნება გვიან დაიწყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია შეენარჩუნებინა პოეტური ტალანტი, ხასიათი, მსოფლმხედველობა. თამარ რაზმაძეს ბევრი რამ აქვს საერთო თავისი თაობის წარმომადგენლებთან, მათ პოეტურ სტილთან, თუმცა, ამავე დროს, არის მასში რაღაც თავისებური, რაც უთუოდ მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას.

მნამდა, სიკეთე რომ იყო მძლევი  
და ბოროტება ნაჩმახი დიდთა,  
მაშინ გაიხსნა პანდორას ყუთი,  
მაშინ მიფრინდა ყორანი გვრიტთან.

ქვალორღიანზე ვვლიდი მუხლებით  
ხეულ ქალამნებს სიძველე სჭირდა  
და სამეფლისოდ ნაჩუქარ კაბას  
შური ლესილი მაკრატლით ჭრიდა!..

...მე ესენინის მიკვირდა მაშინ  
რად ვერ ხედავდა თეთრ ხალხს გარშემო?  
მშვიდად მიჰქონდა დღეები აპრილს,  
მაშინ ჭინჭველაც მეგონა სპილო...

\* \* \*  
შემოდგომას შემოაცვდა კაბა,  
დგას ზამთარი კარიბჭესთან მშვიდი,  
თუ მზერაში უშენობა ჩამრჩა,  
წლები ჯვარცმით მემუქრება, ვიცი...

გზას ატყვია ნაკვალევი მკრთალად,  
დღეებს ბლანდავს იღბლის შავი ბადე,  
ულმობელი დეკემბერი მიმზერს,  
კვლავ დამიგებს გრძნეულთ დასი მახეს.

სულ ეგ არის საბოლოო სიტყვა?!  
სანადიროდ გამოვარდა შფოთი,  
მიბურდლუნებს ვნება ქუჩა-ქუჩა,  
სუსტი, შმაგი, თავკერძა და ლოთი!..

გაკვირვება აღარ ახელს თვალებს,  
შავ ლაბადას გადავბერტყე მტვერი,  
ისევ ვირგებ ჩადრს, თალხს, უფროთ სამოსს,  
მომსისინებს ეჭვის ჭრელი გველი!

ხვალ კი ისევ დაიწყება თოვა  
მარტობის ყრუდ გამკვივან წამთა,  
ფანჯრიდან ვყრი შენს საჩუქრებს ბროლის,  
მათი ბრწყინვის ხილვა არ სურთ თვალთა!

ვიცი, მითხრეს, ინყველიდი თავბედს,  
გზას სიმთვრალის სიშტერეთი ლევდი,  
უსრულებელ ფიცთა რისხვა მოგწვდა,  
კვლავ განაწყრე გულმონყალე ღმერთი!..

მეძავივით ლურჯ ბაგეებს იკვნეტს  
შენზე ფიქრი,  
ცოდვის კუპრით გმოსავს,

მე მინდოდა... კელაპტრებად ნთება,  
შენ კი კინძავ ეშმას კრიალოსანს!..

და როდესაც იაფ გულისწადილთ  
ჩამოურბენ კამათელთა ქროლვით,  
არ განკვირდე ბედისწერის ფანდით  
რომ სხვა, ჩემსკენ ერთადერთი მოდის.

\* \* \*

ვერგაბედულო ოცნებავ ჩემო,  
სამოთხის კართან ნამყოფი ფიქრის  
დაუსასრულო ნამქერო ფერთა,  
ათასწლეულის ლოდინით გიცდი...

ქროლვებად ქართა,ღვინოდ-სულმტკბარით  
ძახილი ჩემი ძარღვებში გივლის  
და მოცახცახე ღიმილით ვისმენ  
ვერნაჩუქარი ვარდების ტირილს...

პოეტებს სულში ხანძარი უწვიმთ,  
სულ ტყუილია ამო დუმილი,  
მსურს,ჩემს საფლავზე ხვიარად ნახო  
შენზე ლოცვები,შენით წყურვილი...  
კივის იღბალი და ურცხვად გვიმზერს,  
წამზომთან ცეკვავს ვნებიან ტანგოს,  
დენტის ალივით გასკდა სურვილი  
და მის ჩაქრობას ამოდ ვლამობ!..

ბავშვობის გზებზე ფანტულო მზეო,  
კრძალვით ავკინძე სულთქმათა მძივი,  
შენივ ღიმილით ჩაიჭრა სევდა,  
მარტი ედარა თაკარა ივლისს.

ნაშალი თმებით-შენი ნაკინძით,  
ფერებით-თითებს წარჩენი ლელვით,  
ხელისგულებით დამთბარ ღანვებით,  
ნაფიფქ ალერსთა ცახცახით გელი...

ზამთარი შენი სუნთქვით გადალხვა,  
დეკემბრის ყინვა შენით გამზევდა  
და მოლუშული ოთახის თალი  
ცად გადაიქცა, გადასხვაფერდა!..

ვერგაბედულო ოცნებავ ჩემო,  
სამოთხის კართან ნამყოფი ფიქრით  
ბავშვობის გზებზე ფანტულო მზეო;  
ათასწლეულთა ლოდინით გიცდი!..  
მიყვარხარ  
მიყვარხარ  
იცო...



სერგეი ავერინცევი

# სულ უფრო ციცაბოდ მალღებთან საფეხურები

(დილოგი ნიხაიკიდან „ცლანი თვითგარკვევისა“)

— სერგეი სერგეევიჩი, ალბათ, არაერთხელ უსაყვედურებიათ თქვენი წიგნების სირთულეთა გამო, სახელდობრ, „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკისა“. მასში კვლევის შინაგანი მხარე მიმართულია სიღრმისაკენ. ხომ არ ვხედავთ აქ „გაგებინებისთვის მსახურების“ ფილოლოგიურ პარადოქსს? ის ხომ თვითონ ქმნის რაღაც ძნელად მისაწვდომს გაგებინებისათვის? თქვენ, როგორც ფილოლოგს, რა გინდათ ფილოლოგიისგან? რას ისურვებდით მისთვის?

— თქვენი პირველი სიტყვები, გამოგიტყდებით, საგონებელში მაგდებს, მერიდება ამაზე რაიმე ვთქვა, ვინაიდან მათზე საუბარი ნიშნავს, რომ თავი ვიქო. პირდაპირ კითხვაზე კი გიპასუხებთ: არა, არ მემდურია ჩემ ნაშრომთა სირთულისათვის. რამდენადაც ვიცი, პირიქითაა საქმე: ჩემი თანამოსაუბრენი და კორესპონდენტები, ნაცნობები და უცნობები, თანახმანი და ცხარე მონიშნალები, კოლეგები და მკითხველები, ჩემი საქმიანობისაგან შორსმდგომნი, არცთუ გაოცების გარეშე მარწმუნებდნენ, რომ მათთვის მოულოდნელადაც კი, ყველა იგებდა. მეგობრები, ბევრს რომ მაკრიტიკებდნენ, სწორედ სიცხადის გამო მაქებდნენ. მინდა ვიფიქრო, რომ ისინი მართალი არიან, ვინაიდან მე ძალიან დიდ ენერჯიას ვხარჯავ, რათა აზრის გამოხატვისას მკაფიობას მივაღწიო, მაგრამ ვალწევ თუ არა, არ ვიცი. ვერავინ იქნება საკუთარი თავის მსაჯული.

მეორე საკითხი ისაა, რომ ხშირად მინევს იმ საგნებზე საუბარი, რომელთა შესახებაც ლაპარაკი ძნელია თვით ამ საგანთა სირთულის გამო. მათ შესახებ თვით ჩემთვისაც არ არის ყველაფერი ნათელი და ამას არ ვუმალავ მკითხველს. როგორც ცნობილია, ლუდვიგ ვიტგენშტეინი (ავსტრიელი ფილოსოფოს-ლოგიკოსი 1889-1951) მიიჩნევდა, რომ საჭიროა მხოლოდ ის ვთქვათ, რაც გამოთქმას ექვემდებარება, დანარჩენზე კი ვაჩუქდეთ; მაგრამ მგონია, რომ ცხოვრებაში, ხელოვნებაში, აზროვნებაში ყველაფერი დამოკიდებულია სიტყვებზე, რომელნიც გამოსათქმელთან დგანან საზღვარზე და გამოუთქმელის ტერიტორიიდან მოიპოვებენ თუნდაც ერთციდა ცოდნას გამოსათქმელად. სხვაგვარად აზრი არაფერს აქვს.


შესაძლოა ხანდახან მისაღებად მივიჩნევთ იმას, რაც მხოლოდ მისაღებია. ვფიქრობ, ვერგაგების ყველაზე ცუდი ფორმა ისაა, რაც შეუმჩნეველი რჩება, რასაც დაღეჭვის გარეშე ყლაპავ. ზოგჯერ გინევს გამოხატვის რთულ ფორმებს მიმართო, რათა დაამსხვრიო სიტყვათა მიღმა მდგომი ავტომატიზმი, გამოაღვიძო საკუთარი თავიც და მკითხველიც. ასეთი გაგება საბოლოოდ გაგებინებას ემსახურება, განა ასე არაა? მაგრამ მიზანი ამ გაგებინებისა, როგორც თქვენ უნოდეთ, მიმართული უნდა იყოს „სიღრმისკენ“, მაგრამ გამო-

ხატვის გარეგანი ფორმა სწორედ განსაზღვრული მკითხველისკენ უნდა იყოს მიმართული (ვიწრო და ფართო წრის მკითხველისათვის, ტექსტის პოპულარობიდან გამომდინარე). საკუთარ თავთან საუბრის პერსპექტივა სულაც არ მნიშვნავს.

ფილოლოგის ამოცანა, როგორც მე მესმის, სულ ცოტა 4-ჯერ მაინც ავხსენი სტატიებში „ფილოლოგია“ („Краткая литературная энциклопедия“, т. 7), „ქებათაქება ფილოლოგიას“ — („Юность“, 1969, 1); ჩვენი თანამოსაუბრე — ძველი ავტორი („Литературная газета“ от 16 октября 1974 г.)... და „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“. ამის შემდეგ არ მინდა რეზონიორის სასაცილო როლად რომელიმე ევგენი საზონოვის ფილოლოგიიდან. იოლია სამყაროს ასწავლო, რა უნდა აკეთოს, ძნელია, თვითონ გააკეთო. რას ვისურვებდი ფილოლოგიისთვის? მაგალითად, გამოკვლევებს, რომელნიც შეაერთებდნენ ცოდნისა და მეთოდების აუცილებელ აღკაზმულობას გონების ხალას სიჯანსაღესთან, სიცინცხლესთან, თუნდაც თვალსაზრისის უბრალოებას ნების სინმინდესთან, იმასთან, რასაც ზოგჯერ, გვაქვს ბედნიერება, იმ ადამიანებში წავაწყდეთ, რომელნიც არ არიან სწავლულნი, საზოგადოდ, არიან „არავინ“. ჩემს ოცნებას აქვს კიდევ ერთი მხარე: ადამიანი, რომელმაც თავისი გონებრივი და ადამიანური გამოცდილებით იცის მხოლოდ დღევანდელი დღის მოარული მოსაზრებანი — ასე რომ ვთქვათ, ისტორიული პროვინციალიზმის მსხვერპლია. ყოველ დროს აქვს თავისი საზღვრები და შესაძლებლობანი: განსხვავებული ეპოქების წვდომა არის შანსი, გავიფართოოთ საკუთარი თვალსაწიერი და ვისწავლოთ განსხვავება პროგრესსა და მოდას, აქსიომასა და ცრურწმენას შორის.

— ახლა კი, თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე კითხვა, რომლებიც ეხება თქვენს კულტურო-ისტორიულ „ვნებებს“. რომელი ისტორიული ეპოქებია თქვენთვის მახლობელი?

— ისტორიული ეპოქები, ეს რაღაც ძალიან დიდია, უფრო მარტივი იქნებოდა, ყოველ ეპოქიდან „საკუთარი“ დაგვესახელებინა. მაგალითად, თუნდაც ანტიკურობასა და შუა საუკუნეთა შორის გარდამავალი ეპოქა, რომელმაც მყისიერად შეაერთა ანტიკური სიმდიდრე და შუასაუკუნეთა გამჭვირვალობა ისე, როგორადაც ეს შეუძლებელი იყო მომხდარიყო უფრო ადრე და ასევე — უფრო გვიან. რავენის მოზაიკათა ეპოქა არ იქნებოდა ჩემთვის მახლობელი და ხელსაც არ მოვკიდებდი. აბა, როგორ შეიძლება ნოვგოროდისა და რუბლიოვის გარეშე ცხოვრება? კიდევ? გოთიკა — საფრანგეთი შარტრის ტაძრის გარეშე, იტალია იაკოპონე ტოდის გარეშე, ევროპა მე-17 ს-ის გარეშე: მუსიკა, არქიტექტურა, პასკალი (1623-1662), ფილოლოგია, გერმანული რომანტიზმიც საკუთარია. არა იმდენად ნოვალისი



(1772-1801), რამდენადაც კლემენს ბრენტანო (1778-1842), შუბერტი (1758-1825), კასპარ დავიდ ფრედრიხი (1774-1840).

**— თუ, მაგალითად XX ს-ის დასაწყისზე ვისაუბრებთ, რატომაა ვიარაღი ივანოვი (1866-1949) უფრო ახლობელი თქვენთვის, ვიდრე ანდრეი ბელი (1880-1934)?**

— სწორედ ისტორიული მეხსიერების უნიკალური გრძობის გამოისობით, რომელიც სიტყვაში ცხოვრობს, მკვრივი, შეკუმშული, მიზანმიმართული სიტყვის კონკრეტულობაში. ზოგადად რომ ვთქვათ, არსებობს ორი შესაძლებლობა, მოვანყოთ ბრწყინვალე სანახაობა. შეგვიძლია ავაშენოთ შენობა და შეგვიძლია ღამე გავაჩალოთ კოცონი. განსხვავება ის იქნება, რომ შენობა დარჩება, კოცონი ჩაქრება და ხანძრისაგან დაშთება ფერფლი. ანდრეი ბელის მშფოთვარე და ნერვიული, მგზნებარე პროზა, თუ გნებავთ მისი გენიალური პოემა „პირველი პაემანი“ — ხანძარივითაა. ვიარაღი ივანოვი კი ქმნის, და კიდევ: ანდრეი ბელის განსჯანი წარსული კულტურის შესახებ (მაგ. „ოფიერის“ შენიშვნები), მიუხედავად სტილის მთელი ფორსირებული გამომხატველობისა და მთელი ჭირვეული, ახირებული (დამაბნეველი) იდოსინკრაზიებისა, ტრივიალურია. ივანოვთან კი — მასზეც, რაც იწვევს პროტესტს, გსურს იფიქრო. მისი ისტორიული ინტუიციები მდიდარია, სრულია, ვიდრე ის ერთი შეხედვით გეჩვენებათ. იქ არის საიდუმლო და არა საიდუმლობანას თამაში.

**— რას კითხულობთ, როცა ისვენებთ?**

— ალბათ იქიდან, თუ როგორ ვწერ, ჩანს, რომ ულექსებოდ არ შემოძლია. ჩემი დასვენება არცთუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ინგლისელი მწერლის ტოლკინის (1892-1973) ფანტასტიკური პროზაც („ბეჭედთა მბრძანებელი“, „სილმარილიონი“ და ა. შ.). მათში ზღაპრული პერსონაჟებია: ელფები, გნომები, ჰობიტები, ტროლები, გობლინები... მაგრამ ეს არ არის ზღაპრები, უფრო საგმირო ეპოსია, შეიძლება სარაინდო რომანიც ვუწოდოთ. შეუძლებელია მათი უბრალოდ კითხვა, თუ არ იმყოფები ამ სამყაროს გარეთ და გვერდიდან არ შეჰყურებ. უნდა შეაღწიო მის სფეროში, რათა მისმა სტიქიამ შენს თავზე შეკრას კამარა. მე მიყვარს ასეთი წიგნები, მათ მიეკუთვნება აგრეთვე „რომანები როზარიის შესახებ“ — ზემოთ ნახსენები ბრენტანოსი (1778-1842), ასევე ძალზე გრძელი — ვერ წარმოიდგენთ, როგორ მახარებს მათი სიგრძე — ლექსები საუკუნის დასაწყისის ფრანგი პოეტის შარლ პეგისა (1873-1914). მათი კითხვისას ადამიანი ფიზიკურ სამყაროში კი არა, ლექსის სამყაროშია. სუნთქავს მისი ჰაერით, ის გშიათ, ნთქავთ მათ.

**— კი მაგრამ ისეთი „გასართობი“ მწერალი რითიღა თქვენთვის ახლობელი, როგორც ჩესტერტონი (1874-1936)?**

— ყოველ შემთხვევაში არა გასართობად, მისადმი ძალიან დიდი სიყვარულისა გამო. შემოძლია ვიკითხო მისი დეტექტივები, მაგრამ მიყვარს მისი ზოგიერთი წიგნი, განსაკუთრებით პოემა მეფე ალფრედზე, „თეთრი ცხენი“ და ესეისტური პროზა. პირველ რიგში, მას ჰქონდა უნარი შეექმნა სურათები ხალასი ფერებითა და კონტურებით, ვითარცა კარგი ბავშვის წარმოსახვის ნაყოფი და რატომღაც წარმოუდგენლად მოუსაზრებელი, არნახული მოუსაზრებლობისა, საბოლოოდ კი რეალობისადმი



სერგეი ავერინცევი

მინც ერთგული დარჩენილიყო. მეორე, ჰქონდა იმედის რწმენა — გამარჯვებისა და დამარცხების სანინალმდევო. ცხოვრებას უყურებდა როგორც რაინდულ თავგადასავალს, რომლის ბოლოც სრულიად უცნობია და რომელიც სწორედ ამიტომ უნდა იქნას მიღებული დიდი სიხარულით. „იარე სიხარულით“ ბნელში — თქმულია მასში. შეიძლება დარწმუნებული იყო საკუთარ თავსა და გამარჯვებაში — ეს საზიზღრობა და სიბრყველი; შეიძლება მიმოიყუოდე გამარჯვების ნეტარებასა და მარცხის შიშს შორის და ეს სამარცხვინოა; შეიძლება იყო მოჯადოებული წარუმატებლობის საფრთხის გამო და ეს მხდლოვია; შეიძლება იყო გულგრილი მომავლის წინაშე და ეს სიკვდილია. კეთილშობილება და სიხარული — აი, ამ ოთხი შესაძლებლობიდან გასვლა — ისაა, რომ მხიარულად მიდიოდე წყვილადში, როგორც კარგმა ბავშვმა თამაშში ჩადო მთელი შენი ძალები და ამავდროულად ფინალს შეხედო მშვიდად, სრული მზაობით იმისა, რომ აღმოჩნდე განადგურებული და დასაცინი... ბრძოლის რისკით, — ამის მტკიცებით ის არ ილღება — უზრუნველიყოფა „ჯადოსნური სამყაროს პატივი“, თავისუფლება და სილამაზე. ამას გარდა, აქვს ბავშვური განცდა სიძვირფასისა და ბრწყინვალეობისა სრულიად უბრალო საგნებში, რომლებსაც უფროსები მოწყენით უმზერენ. მის ადრეულ უმნიფარ ლექსებში ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი ფიქრობს: თუკი მას თუნდაც ერთი დღით გამოუმეგბდნენ სამყაროში, თუკი უფლებას მისცემდნენ ცხოვრების ჭიდილსა და თამაშში მონაწილეობა მიეღო, ეს იქნებოდა სიხარული და პატივი, რომ ის არ ინუწუნებდა სიძნელეთა გამო და არ გაიბუტებოდა არანაირ წყენათა გამო. ჩესტერტონი კაცობრიობის მორალური ტრადიციების ყველაზე თავმომაბეზრებელ ტრუნიზმს უყურებდა როგორც ღირსების ჰერალდიკას, რომლის გულისთვისაც ღირდა ბრძოლაში ჩაბმა და დაე დაეცინათ შენთვის. განა ეს ცოტაა შესაყვარებლად?

— **გაქვთ რაიმე საიდუმლო შრომისუნარიანობის აღსადგენად?**

— არანაირი! გამიხარდებოდა გამეგო, თუკი ვინმეს აქვს, მაგრამ ამეებისა არ მჯერა. თუმცა ის კია, არაფერი გავაკეთე აზარტის, გამარჯვებისაკენ სწრაფვის გამო, როგორც ასეთისადმი. თუკი მათ ბოლომდე დავივინყებთ, მუშაობა უფრო გაიოლდება.

ძველჩინელი ბრძენი ჯუან-ძი (369-286) ჰყვება ოსტატზე, რომელიც ხისგან რაღაცას აკეთებდა. მისი მთავარი პრობლემა ის იყო, დაევიწყებინა დამკვეთის ვინაობა, თუ რა გასამრჯელო უნდა მიეღო, და ბოლოს და ბოლოს თვით საკუთარი სახელიც კი, და როცა ამ მიზანს მიაღწია, წავიდა ტყეში და დაინახა ხე, რომელსაც სურდა შეკვეთილ ნივთად ქცეულიყო. მისი ბუნება შეერწყა ხის ბუნებას და შემდეგ ყველაფერი თავისთავად გამოვიდა. ცხადია, ეს ოსტატი არა ვარ, არამედ ჩემი ძალიან, ძალიან შორეული იდეალია.

„ოგონიკის“ ბიბლიოთეკის სერია 13, 1988.

რუსულიდან თარგმნეს  
ქატიჟანა ჯარვალიძემ  
და ნინო პეტრიაშვილმა

მაია ნინიძე

# „ჩაუქრალი კერიის ცეცხლი“

ემიგრანტთა ხელოვნება უმრავლეს შემთხვევაში ორი კულტურის ნიშნებს ატარებს — იმ ქვეყნისას, სადაც ხელოვანი დაიბადა და გაიზარდა, და იმისას, სადაც ცხოვრობს. შესაბამისად, ქართული ლიტერატურის ისტორიის სურათი სრულყოფილი რომ იყოს, იგი უნდა ასახავდეს როგორც უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწერლების შემოქმედებას, ისე ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ნაღვანს. ამ ორი ასპექტის სათანადოდ შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 2013 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო სიმპოზიუმი — ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება), სადაც შემოსხენებული მიმართულებით ჩატარებული არაერთი კვლევა იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთი ეხებოდა 1994 წლიდან ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველი პოეტისა და მხატვრის — ზურაბ კალანდაძის შემოქმედებას.

ზურაბ კალანდაძეს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს როგორც ტექსტოლოგს — ის არის გამომცემლობა „მთანმინდის“ დამაარსებელი და რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი წიგნის შემდგენელი და რედაქტორ-გამომცემელი, მათ შორისაა: „ბიბლიის ლექსიკონი“ ორ ტომად, იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“, არქიმანდრიტ პიროსის „ახალი აღთქმის წიგნთა განმარტებანი“, პავლე რაზიკაშვილის „დარიგებანი“; ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის, გიორგი კალანდაძისა და გაბრიელ ჯაბუშანურის ბიობიბლიოგრაფიები და სხვ. ზურაბ კალანდაძის ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო კვლევები გამოცემულია ორ წიგნად: „დრო და მწერლობა“ და „სამი პორტრეტი“: გაბრიელ ჯაბუშანური, ალექსანდრე საჯაია, რევაზ მარგიაიანი. ამას გარდა, მას ქართულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს ლექსების ორი კრებული: „მზე ეტრფის ზენიტს“ და „მე და ჩემი ძმა“.

საგამომცემლო საქმიანობას ზურაბ კალანდაძე დღესაც წარმატებით აგრძელებს, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა — მხატვრობა და პოეზია. თუ არ ჩავთვლით წიგნში „მე და ჩემი ძმა“ დაბეჭდილ ბოლოლორინდელ რამდენიმე ლექსს და გაზეთ „რაეოში“ გამოქვეყნებულ სიკა რომაინ ჰედმანის სტატიას „ჰარმონიის მხატვარი“, სადაც აღწერილია ზურაბ კალანდაძის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჰოლანდიაში ჩატარებული საიუბილეო ღონისძიებები, ქართული საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული უცხოეთში ცხოვრების პერიოდში ამ ხელოვანის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

ჰოლანდიელები ზურაბ კალანდაძეს თავიანთ მწერლად და მხატვრად მოიხსენიებენ, უბეჭდავენ წიგნებს და უწყობენ გამოფენებს, 2013 წელს კი, დაბადებიდან 60 წლისთავზე, ძა-

ლიან გულთბილი იუბილე გადაუხადეს. ისინი ამ ხელოვანის შემოქმედებას მათთვის ახლობლად მიიჩნევენ და მაღალ შეფასებას აძლევენ, მაგრამ ამასთანავე ყველა ერთხმად აღიარებს მის პოეზიასა და ფერწერულ ტილოებში ქართული ფესვის სიმძლავრეს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბებაში.

ჰოლანდიელი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ენგელბერტ ბროკჰაუსი წერს: „ზურაბ კალანდაძის შთაგონების წყარო, მუზა არის სამშობლო, საქართველო, რომელიც არასოდეს არ განეშორება მის სულს“. ზურაბ კალანდაძისა და მისი მშობლიური კულტურის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, მისი ლექსების რუსულ ენაზე მთარგმნელი ირენა სერგეევა აღნიშნავს: „როდესაც უახლოვდები ამ დალოცვილი ქვეყნის უკიდურესად თვითმყოფადი კულტურის სიღრმესა და ამოუწურავობას, ამავე დროს უახლოვდები ამ ხელოვანის უნიკალურ სამყაროსაც“. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პიტ ავგუსტაინი მიიჩნევს რომ ზურაბ კალანდაძის ნამუშევრებს „საფუძვლად უდევს ქართული ანბანის გრაფიკული სტილისტიკიდან ამომავალი ფორმათა ენა“, „მზის სიუხვე“, „მშობლიური მხარის კულ-



ფრენა

ტურაზე დამყარებული ფერთა გარდამავალი ტონები და თემატიკა“. ქართული დამწერლობის ანარეკლს ზურაბ კალანდაძის შემოქმედებაში საგანგებოდ აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თამარ ჩუდინოვსკაია და ამას ხელოვანის შემოქმედების საწყისს, კვინტესენციას, ფერმენტს უწოდებს. მისივე დაკვირვებით, ზურაბ კალანდაძის გენეტიკა — სისხლის ძალა თავს იჩენს და ვლინდება მეოცე საუკუნის ავანგარდული ხელოვნების მიერ ნაშობ საერთაშორისო ფორმათა ენაში, მაგრამ კლასიკური ავანგარდისაგან მის სტილს გამოარჩევს პოეტური ხედვა და მკვეთრად ნაციონალური აქცენტები. მისი ფერწერისათვის დამახასიათებელია ფორმათა სიბრტყული აღქმა და კომპოზიციის ხედაპირზე გაშლა. ზურაბ კალანდაძის პოეტური კრებულის „მფრინავი ფოთლები“ წინასიტყვაობაში ამერიკელი კრიტიკოსი ტ. გ. ტიონი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პოეტის შემოქმედებით კრედოზე, რომელიც ლექსში „ახალი ეპოქის მზე“ ასე არის ფორმულირებული: „წარმომავლობისა და ეროვნების გამძაფრებული განცდა, აზრით დატვირთული ცხოვრება, საკუთარი წვლილის შეტანა მსოფლიო კულტურის განვითარებაში“.

ზურაბ კალანდაძის შემოქმედების თვითმყოფადობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი სინთეზური ნიჭი და მრავალმხრივობა. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ მიხეილ გერმანის დაკვირვებით, იმის გამო, რომ მის ფერწერულ ტილოებში ერთდროულად შეიგრძნობა ბგერა, უჩვეულო რიტმიკა და ლიტერატურული რემინისცენციების მთელი ფეიერვერკი, ისინი უამრავ ასოციაციას იწვევს და განსაკუთრებულ შემოქმედებას ახდენს მნახველზე. „პირველი შთაბეჭდილება, რაც გამოიწვია ჩემში მისმა ნახატებმა, იყო ასოციაცია პოეზიასთან“, წერს მხატვარი ჰუბ ტილენი. ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის — ალექსანდრე ჩხეიძის თქმით, ლირიზმი, პოეტურობა, რომელიც ვლინდება ზურაბ კალანდაძის მხატვრულ ტილოებში, მისი „სულის მდგომარეობა... მსოფლალქმია“. გამომცემლობის „First Class Art Additions“ დირექტორის — კრის კონაინენდაიკის თქმით, ზურაბ კალანდაძემ მოახერხა ხიდის გადება განსხვავებულ კულტურებს შორის, რაშიც, მისი აზრით, ხელოვანს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა წარმომავლობამ და კულტურულმა მემკვიდრეობამ.

ზურაბ კალანდაძის პოეზიასა და მხატვრობაში ხშირად შეხვედებით პარალელურ მოტივებსა და სახე-სიმბოლოებს. შემოქმედის კონკრეტული განცდა ან განწყობა ხშირად დროის მოკლე შუალედში ხორცს ისხამს ჯერ ნახატის და შემდეგ ლექსის სახით. ავტორის თქმით, დასრულებული ფერწერული ნამუშევარი თავად ახდენს გავლენას შემოქმედზე და გარკვეული დროის შემდეგ ხდება ჩანაფიქრის ვერბალიზება ლექსის სახით. ასე შეიქმნა, მაგალითად, ნახატი „ევა“ და ლექსი „ცისკენ, მზისკენ“, ნახატი „მწვერვალისაკენ“ და ლექსი „მგზავრს“.

**ხის ტახტზე მჯდომარი  
მხატვართ დედოფალი  
ცას შესტრფის მღიმიარი  
ხელს იშვერს მზისკენ,  
ტილოდან ამოდის  
ხე ყვავილოვანი  
ხელის მიყოლებით  
იზრდება ცისკენ.  
პალიტრის სტუმარი  
ფუნჯი მომღიმიარი  
ხელის მიყოლებით  
ისწრაფვის ცისკენ,  
ტილოზე იფრქვევა  
ფერი ხატოვანი  
ხარობს დედოფალი  
მზირალი მზისკენ.**

ვინც ხშირად მგზავრობს, ის მუდმივად ახალს ნახულობს. სიახლის ჭვრეტას ვინც ვჩვევა, სულ ეძებს ახალს. მაგრამ გიჯობდეს, შეისვენო გზა-გზა, დროდადრო რადგან დაღლილი სილამაზეს ველარ გრძნობს კარგად.

**წარმტაც სანახებს მთის მწვერვალზე მდგომი  
ჭვრეტს სრულად,  
მაგრამ თუ ძლიერ დაილაღე სრბოლით აღმართზე,  
სჯობს შეისვენო და გახედო სანახებს, რადგან  
მთის შუიდანაც ერთობ კარგად ჩანს სილამაზე.**

ლექსში „სარკის ნინ“ ფერწერული ტილოს შექმნის პროცესია ასახული:

**უტყვ ტილოზე ფიქრების  
უსხეულო ნაყოფებს  
ფუნჯით ამოვუძერწე  
სხეული ნაირფერი,  
მივეც სახე სხვადასხვა,  
თავისუფლად ვამყოფი,  
ისე, ვით გალიიდან  
გაშვებული ფრინველი.**

პოეზიისა და ფერწერის, როგორც შემოქმედებითი თვითგამოხატვის ორი მჭიდროდ დაკავშირებული საშუალების დემონსტრირებაა გამოცემის ის ტიპი, რომელსაც ხშირად მიმართავს ზურაბ კალანდაძე. ეს არის მხატვრობის (ან მხატვრული ფოტოგრაფიის) და პოეზიის ერთიანი კრებულები. 1996 წელს ნიდერლანდურ ენაზე გამოვიდა მისი პირველი ასეთი ნიგნი „ცრემლები“ — ლექსებითა და გრაფიკით, კრებულში „გრძნობების თეატრი“ წარმოდგენილი იყო ზურაბ კალანდაძის პოეზია და პეტერბურგელი მხატვრის ლევან კვარაცხელიას ნახატები. ასეთივე შერეული კრებული „გაშალე ფრთები“ აქვს მას გამოცემული ახალგაზრდა ქართველ მხატვარ ეკა ოკიაშვილთან ერთად. კრებულებში „ევროპული ბალები“ და „ცისფერი სარკმელი“ წარმოდგენილია ზურაბ კალანდაძის ლექსები და სხვა შემოქმედთა მხატვრული ფოტოები. 2012 და 2013 წლებში დაიბეჭდა ზურაბ კალანდაძის ორი


საავტორო ნიგნი: „გრაფიკა და პოეზია“ და „ფერწერა და პოეზია“, 2012 წელს კი პოეზიისა და ფერწერის გვერდით პოეტის ერთი ლექსის — „მფრინავი ფოთლების“ გამოცემაში განჩნდა მუსიკა — ლექსი დაიბეჭდა ავტორისეულ ფერწერასთან და მისივე შექმნილი მელოდიის პარტიტურასთან ერთად. ჰარმონიის მისეულ ხედვას ქართველი ხელოვანი აყალიბებს ინგლისურ ლექსში „Mosaïque vivante“ („ცოცხალი მოზაიკა“).

ზურაბ კალანდაძეს უყვარს შემოქმედებითი სიახლეები — 2010 წელს თავის მეგობარ — ანზორ აბუანდაძესთან ერთად გამოცემულ პოეტურ კრებულში ამ ორი ავტორის ინდივიდუალური პოეზიის გარდა შეტანილია ერთი ექსპერიმენტი — მათი პოეტური დუეტი „მე და ჩემი ძმა“. ეს ლექსი, გარდა იმისა, რომ დრო-ჟამის „მარადი საფიქრალის“ ღრმა სულიერი განცდით გამოირჩევა, საინტერესოა ეროვნული თვითშემეცნების მარკირების თვალსაზრისითაც. ის მთავრდება ზურაბ კალანდაძის სტროფით:

**ისევ ჟღერს და ისევ ზოგს  
ტკბილქართული ხმა...  
აივნიდან ვიმზირებით  
მე და ჩემი ძმა.**

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხელოვანი ტრადიციებს უდიდეს პატივს სცემს და სულიერი ღირებულებანი ხელშეუხებლად მიიჩნია, ახალი ფორმებისა და გამომსახველობით საშუალებათა მუდმივ ძიებაშია. მისთვის არ არსებობს ყრუ კედელი არც ხელოვნების სხვადასხვა დარგებს (პოეზია, მხატვრობა, მუსიკა), არც სამეცნიერო ენებს (ქმნის ლექსებს ქართულ, ჰოლანდიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) და არც შემოქმედებით პრინციპებსა და მეთოდებს შორის. XX საუკუნის მინურულს სხვადასხვა სტილისა და მიმდინარეობის ჰოლანდიელ მხატვრებთან — იუჟინ სტინის-დეხენაარსა და ჰარი ფლამინგსთან — ერთად ჩამოაყალიბა მხატვართა ჯგუფი — „არტტრიო კონტრასტი“. მისივე ფორმულირებით, ეს შემოქმედებითი გაერთიანება შეიქმნა დამოკიდებულებათა მრავალფეროვნებისა და იმ დიდი განსხვავებების წარმოსაჩენად, რომლებიც თავს იჩენს მხატვრობის სამყაროში გამოხატვის ფორმების მხრივ. ჯგუფის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად დასახელებულია სულიერი სიახლოვის ნიშნით კონტრასტული პიროვნული შეხედულებებისა და გამოხატვის რადიკალურად განსხვავებული ფორმების ინტეგრირების პრეცედენტის შექმნა.

ხელოვნებათმცოდნეთა დაკვირვებით, ფერწერული ტილოს მეშვეობით შემოქმედებითი ჩანაფიქრის მაქსიმალურად გადმოცემისათვის ზურაბ კალანდაძე მიმართავს ფერის სიღრმეთა გრადაციას და ნახატის ფონიდან დეტალების გამოყოფას, რის მეშვეობითაც ქმნის რამდენიმე ინფორმაციულ შრეს. ამას გარდა, დამატებით საკომუნიკაციო საშუალებად იყენებს მსოფლიო კულტურის, მითოლოგიის, ზღაპრებისა და ლიტერატურული შედეგების საკუთარი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური დაკვირვებებით გამდიდრებულ სიმბოლოებს. ყოველივე ეს მის ხელწერას ინდივიდუალობას ანიჭებს და იოლად ამოსაცნობს ხდის. იგივე შეიძლება ითქვას მის პოეზიაზეც — სახეთა ალგორითობა, ხატოვანება და სტილის ლაკონიურობა,



ბარგი

რაც მის ლირიკას ახასიათებს, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და ამასსოვრდება: „ჩემი ქვეყნის მწვანე კალთას ვეფარები / ხეივანში ჭადრის ჩრდილად მიმალული“; „სარკის სიღრმეში შემომეჭერ, როს ფერით ვნერდი / საკუთარ პორტრეტს საუკუნის ქაოსის ფონზე“; „დრო გარბის და ჩუმი ითვის ნლებს / ეს ცხოვრება — ფოთოლშლა და ფოთოლცვენა, / ფიქრებს სევდის ღრუბელი ავსებს, / სიმარტოვე დამესენა“; „დანის შემყურე ვარდი მოუჭრელადაც ჭკნება“. მისი პოეტური სახეები დინამიურია და ენა — უშუალო. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია პატარა ლექსი „ნაკადული“:

**მორბის, მოჩუხჩუხებს,  
დარდი არ ანუხებს,  
ხელიდან უსხტება  
დუმილის მარნუხებს.  
ისე, ვით სიცოცხლის  
მჩქეფარე დინება,  
კლდე-ღრეს მიეხლება  
და შეერკინება.  
გულში გაიცინეს  
მოხუცმა მუხებმა:  
„რა ახალგაზრდაა  
და როგორ უხდება!“**

განსაკუთრებით მდიდარია ზურაბ კალანდაძის მხატვრობა და პოეზია სახე-სიმაბოლოებით. გამოვყოფთ ზოგიერთს, რომლებიც ემიგრანტის განცდებს და იდენტობის საკითხებს უკავშირდება. ერთ-ერთი ავტოპორტრეტი, რომელზეც ჩემოდანზე მჯდარი კაცია გამოსახული, უცხოეთში მცხოვრები იმ ადამიანის ზოგადი სახეა, რომელიც ზის და „ტკბილსურნელოვან ყვაილს ყნოსავს“, მაგრამ, ამავე დროს, მუდამ უკან დაბრუნებაზე ფიქრობს. საინტერესოდ აღიქმება ჩემოდნის სახე გრაფიკულ ტილოზე — „დედები და შვილები“. ქალსაც და პატარა გოგონასაც ჩემოდნები უკავიათ. ქალს — დიდი, გოგონას — პატარა. მათ გარდა ტილოზე გამოსახულია ორი მფრინავი ჩიტი და ყველა გამოსახულება, ადამიანებიც და ჩიტებიც, ზურგიდან ჩანს. ალეგორია „თბილ ქვეყნებზე“ თვალსაჩინოა, მაგრამ რჩება კითხვა ყველა ეს ფიგურა თბილი ქვეყნებისკენ მიემართება თუ უკან ბრუნდება? თუ გავითვალისწინებთ, რომ ნახატი უცხოეთში შეიქმნა და დავაკვირდებით დედა-შვილის მსუბუქ ჩაცმულობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ტილოზე „თბილი ქვეყნებიდან“ დაბრუნებაა ასახული. დამატებითი შინაარსით იტვირთება ჩემოდნების სახე კიდევ ერთ გრაფიკულ ნაშრომში „მძიმე ბარგი“. ჩემოდანი ის ტვირთია, რომელსაც ადამიანი ათრევს, როცა საკუთარ სახლში არ არის. ემიგრანტისთვის ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიმძიმეს სხვაგან ყოფნის სიმძიმეც ემატება.

**ხელთ გიპყრია უბასრესი მახვილი —  
სიტყვა მჭრელი, სულით ნასათუთარი,  
საუკუნეს ესმის შენი ძახილი,  
ადამიანს წრფელი სიტყვა უთხარი.**

მაგრამ ხელოვანი ამავე დროს არის მამულიშვილი და აქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც. ზურაბ კალანდაძის სიტყვა და საქმე ამ მხრივ განუყოფელია. იგი არა მხოლოდ თავისი შემოქმედებით ეხმარება სამშობლოს ტკივილსა და სიხა-

რულს, არამედ — საქმიანაც. ჰოლანდიაში ცხოვრების პერიოდში მას 16 მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული, რომელთა ფარგლებშიც აწყობს ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. 2000 წელს ზურაბ კალანდაძემ ამსტერდამში დაბეჭდა ელგუჯა გიუნაშვილისა და მის მიერ გამოსაცემად მომზადებული უალრესად მნიშვნელოვანი ნიგნი — ბიბლიის ლექსიკონი ორ ტომად და ამ მალაზხარისხოვანი გამოცემის 1000 ეგზემპლარი საჩუქრად გადასცა საქართველოს. გარდა იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მან საგანგებოდ რუსულ ენაზე შექმნა და რუსეთში გამოაქვეყნა ამ ქვეყნის აგრესიული ქმედებების მამხილებელი ორი ლექსი («Рассказ в переулке» жп «Огонь негасимого очага»), რითაც ამკარად გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი, ამასთანავე თავი მოუყარა სხვადასხვა ეროვნების თანამოაზრე ხელოვანებს — პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს — და სამ ქვეყანაში — ჰოლანდიაში, ბელგიაში და გერმანიაში — ოცი მშვიდობიანი აქცია გამართა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული საომარი მოქმედებების დასაგმობად. საერთოდ, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა — ცხრა აპრილის ტრაგედიამ, სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციამ მძიმე კვალი დატოვა ზურაბ კალანდაძის შემოქმედებაზე. მის პოეზიაში ამ ტკივილების გამოძახილი სხვადასხვა ენაზე ისმის: „С ворами в тюрьме патриотов посадив / Отчизну межеульцы продавали“; „Война была, война. / Детей измучил страх.. / Искали люди тишины / в чужих краях“ («Рассказ в переулке») „დრო იყო უმწარესი, / სამშობლოს წაეტანა / არაქართული თესლი“ („სხივი“); „მითხარ რას ჰგრძნობ, როცა სტირი, / როს ნაავდრალ ბილიკს მისდევ, / რაა ცრემლი თუ არა ამ ბილიკებზე / ნალვლიანი მოგონების გუბურები“ „Yes, that is what it is: / thought silhouettes. / the spectre of war, / a hot day in Georgia, / weeping adults,



კვა

the love for life / mixed with worry... (August 2008, Scheveningen) იდენტობისადმი ხელოვანის დამოკიდებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „მომიაღერსე“, რომლის მიხედვითაც ადამიანს წუთისოფლის ორომტრიალს დააძლევინებს მშობელი მინა. აი, რას ეუბნება იგი ქართველ პოეტს:

**მომიაღერსე, თორემ გაქრები, —  
მე მქვია მინა,  
სიკეთე — ფესვი  
ჩემს წიაღში გაიდგი მყარად...**

ავტორის აზრით, საქართველოზე, თავის სამშობლოზე ზრუნვის გარეშე ქართველ ადამიანს გაქრობის, გადაშენების საშიშროება ემუქრება.

სამშობლოს მონატრებას და ხელოვანის სულიერ განცდებს ეხმარება ფერწერული ტილო „ნოსტალგიური პეიზაჟი“. ადამიანის ფიგურა ემბრიონის პოზაშია — მოხრილი და მომრგვალებული. ტვინის ადგილას ჩანს პეიზაჟი ხეებითა და აქცენტირებული მწვანე ფერებით. აქ არის კონცენტრირებული ყველაზე მეტი სინათლე. მუქ მწვანეში არეული ჩალისფერი, ოქროსფერი და მენამული თითქოს მეხსიერებიდან ამოტივტივებული ის ფერებია, რომლებიც ვრცელდება ამ ფიგურის მთელ სხეულზე და ტოვებს ასოციაციას იდიომისას: „ქვალსა და რბილში აქვს გამჯდარი“. თვლის ადგილას სიცარიელეა, თითქოს ტილოზე გამოსახულ არსებას ირგვლივ

არაფრის დანახვა არ სჭირდება, მზერა შიგნით აქვს ჩაბრუნებული და მხოლოდ გონების თვალით ქვრეტს.

ზურაბ კალანდაძის პოეზიაში უხვად არის სიმბოლოებად ქცეული ტრადიციული ყოფითი ელემენტები: მაგალითად, „ნიგნის კარადა“, რომელშიც „სუნთქავს ნიგნის საოცარი, / სუფთა სამყარო /და ნათობს ქართველ გენიოსთა / ნიჭი მარადი“ („ჩემი ოთახი“); „მამის სურათი“, რომლის მიღმა მოიაზრება არა მხოლოდ ავტორის მამის — პოეტ გიორგი კალანდაძის — სახე, რომელმაც უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა საკუთარი ვაჟის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, არამედ ზოგადად მამის, წინაპრის, მასწავლებლის, იდეალის განზოგადებული სახე. ტრადიციული საგან განსხვავებული მხატვრულ-შინაარსობრივი დატვირთვა აქვს „ბუხარს“, რომელშიც ივერფლება პოეტის ოცნებები:

**ოცნებებს ჩემსას, როგორც შეშას,  
ჩეხს ცხოვრება;  
დაანვრილმანებს,  
შეუკეთებს დროის ბუხარში;  
აგუზგუზდება ცეცხლმოდებული,  
მერე ტკიცინით ჩაიფერფლება.**

ხელოვანის ამ ტკივილიან განცდებს ანელებს იმის იმედი, რომ ყოველივე ეს ამაოდ არ ხდება და დროის ბუხარში ცეცხლმოდებული მისი ოცნებები შეიძლება ვიღაცას ათბობდეს:

**გაფაციცებით ვუმზერ მიდამოს, —  
მაინტერესებს  
ბუხარის პირას  
ვინმე თუ თბება.**

სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა აქვს ზურაბ კალანდაძის მხატვრულ ტილოებში ოჯახს. ტრადიციული ოჯახი — დედ-მამითა და შვილებით აღიქმება მთელი კაცობრიობის სახედ და მისი განვითარების საძირკვლად. ამის საუკეთესო მაგალითია ფერწერული ტილო „ოჯახური სიტბო“, რომელიც სივრცის უსასრულობისა და კოსმიურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. კომპოზიციის ტრადიციულ ქართულ ფესვებზე მიგვანიშნებს არა მხოლოდ ვენახის, ყურძნის ფოთლებისა და მტევნების გამოსახულებანი, რომელთა ფონზეც არის წარმოდგენილი მშობლებისა და შვილების სტილურად ერთგვაროვანი და ჰარმონიული ფიგურები, არამედ ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელ ფორმები, ფერები და ხატუნების ელემენტები.

კონცეპტუალურად ამავე თემის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ საწინააღმდეგო კუთხიდან დანახულს, დიპტიხი „ქალი და კაცი“, სადაც დარღვეულია ზემოთ განხილულ ფერწერულ ტილოზე ასახული იდეალური ჰარმონია. აქ გამოსახულია მსხვილი, ღრმად ფესვგადგმული ხისკენ აქეთ-იქედან ზურგშექცევილი მდგარი კაცი და ქალი, რომლებიც სხვადასხვა მხარეს იხედებიან და მათ წინ ახოვლ თითო ახალ, უნაყოფო ხეს შეჰყურებენ. ნახატი სიმბოლურად ასახავს ქალისა და მამაკაცის ურთიერთგაუცხოების, გათიშვისა და დამოუკიდებელი, თვითკმარი არსებობისკენ სწრაფვის ტენდენციას. თუ პირველი ტილო ტოვებს სიმშვიდისა და სინაზის განცდას, მეორეს შემოაქვს სიცივე, სიხისტე და სივრცის უკმარისობა.

მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ კალანდაძეს უცხო ენებზე მეტი საავტორო კრებული და ალბომი აქვს გამოქვეყნებული, ვიდრე ქართულად, მისი ნიგნების მყარი გარეკანის ზედაპირზე ყოველთვის ქართული ასოებით არის ამოტვიფრული ავტორის სახელი და გვარი. მართალია, მხატვართა წრეებში მას უმეტესად იცნობენ ფსევდონიმით „კალანდა“ და უცხოელთაგან შეიძლება ბევრმა არ იცოდეს მისი გვარის ქართული დაბოლოება, ყველამ იცის, რომ ის საქართველოდან არის, რადგან წუთითაც არ ავიწყდება საკუთარი წარმომავლობა და არ ცდილობს ვისიმე მიმსგავსებას. ქართველ ხელოვანს ჰოლანდიაში ბევრად უკეთესი სამუშაო პირობები და პერსპექტივები აქვს, ვიდრე საქართველოში ჰქონდა, მაგრამ გასაჭირის ჟამს მაინც სამშობლო ეიმედება: «Если буду жизнью

ранен./ Мой народ всегда со мной“, გადარჩენის გზად კი ჩაუქრალ კერიას მიიჩნევს. მის ლექსში «Огонь негосимого очага» შავოსანი უცნობი მაგიდაზე მდგარ გლობუსს ლოკავს და თითქოს მასზე რალაცის წაშლას, შთანთქმას ცდილობს. ლირიკული გმირის აღმფრთხილებანი მკითხველი ხედება, რომ საფრთხე მის ქვეყანას ემუქრება. მაგრამ საქართველოს ამოშლა მსოფლიო რუკიდან არც ისე იოლი აღმოჩნდა. ამ მიზნის განხორციელებაში ბოროტ ძალას ხელი შეუშალა „კერიის ჩაუქრალმა ცეცხლმა“ და ქართველის გულსა და გონებაში ღრმად აღბეჭდილმა სიყვარულმა საკუთარი წმინდანებისა და გმირებისადმი:

**Я — Искренность сердца, в груди твоей кроюсь  
Я мысль, что живет, высока и строга  
Любовь твоих предков — святых и героев  
Огонь негасимого очага.**

მიუხედავად იმისა, რომ ლექსში გამიშვლებულია რუსული პოლიტიკის დამპყრობლური ზრახვები და მათი ქმედება „ბოროტებად“ არის სახელდებული, მას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში, არამედ რუსეთის ინტელიგენციის წრეებშიც.

იმის თემას დაუკავშირა ზურაბ კალანდაძემ „სხივის“ სახე ამავე დასათაურების ლექსში, რომელიც თემატური პოეტური კონკურსისათვის დაინერა. ნაწარმოები შეიქმნა ინგლისურად და კონკურსში გამარჯვების შემდეგ — საელჩოს თხოვნით — ითარგმნა ქართულად:

**როს ვძლიეთ ბილნთა ხროვა,  
ისევ ამზევდა გული  
ბინაში ხარობს სხივი  
სამშობლოს სიყვარული.**

უცხოეთში მცხოვრები ადამიანის განცდებზე დაწერილი თხზულებებიდან გამოირჩევა 2012 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული „მფრინავი ფოთლები“. ეს ლექსი იმდენად ღრმად განიცადეს და ისე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ზურაბ კალანდაძის მეგობარმა უცხოელმა პოეტებმა, რომ სულ მოკლე დროში ითარგმნა იტალიურ, ესპანურ, რუსულ, გერმანულ და ჰოლანდიურ ენებზე. ნიშანდობლივია, რომ ის არ დაწერილა და არც ითარგმნა ქართულად. ალბათ ამას იგივე მიზეზი აქვს, რის გამოც მშობელ დედას ვერ ველაპარაკებით მისადმი სიყვარულზე. ლექსი მელოდიასთან ერთად იქმნებოდა. იგი წიგნადაც პარტიტურის თანხლებით და ავტორისეული ფერწერული გაფორმებით გამოიცა. ვფიქრობ, აქ სწორედ მელოდია და მხატვრობაა ჰანგად, ფერად და ფორმად ქცეული ქართული ტექსტის იდეოგრამა, რომელიც სიტყვების ნაცვლად ეალურსება მონატრებულ სამშობლოს. ბოლო ტაქტების პწკარედული თარგმანი ასეთია: „მფრინავო ფოთლებო, გვედრებით, დარჩით ჩემს გულში. / იქ მზე ძველებურად ანათებს. თქვენი სიმღერა მაფხიზლებს და მბრუნებს სამშობლოში მარადიული თავისუფლების განსაცდელად“. ამ თემაზე ლექსის ავტორს ორი ფერწერული კომპოზიცია აქვს შექმნილი — პირველზე გამოსახულია, როგორ წყდება ხეს ფოთლები და სხვადასხვა მიმართულებით გაფრენილები როგორ უფერულდება, მეორეზე კი ფოთლები ისევ ერთად არის თავმოყრილი და ფერებიც დაბრუნებული აქვს.

ძნელია ერთ ნერილში სრულად აღწერო ის შემოქმედებითი წარმატებები, რასაც ზურაბ კალანდაძემ მიაღწია ჰოლანდიაში მოღვაწეობის პერიოდში, მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ეს მიღწევები, ხელოვანის გულისყური ყოველთვის სამშობლოსაკენ არის მოპყრობილი. ვფიქრობ, იგი, როგორც თავისი შემოქმედებით, ისე საზოგადოებრივი ღვაწლით, ნამდვილად იმსახურებს თანამემამულეთა ყურადღებას და ქართველ სპეციალისტთა მიერ მისი შემოქმედებითი ნაღვანის კვალიფიციურ შეფასებას.

**ნახატები  
ზურაბ კალანდაძისა**

ნინო ჩხიკვიშვილი

# ჩემი ოთარ მეღვინეთუხუცესი



ნინო ჩხიკვიშვილი და ოთარ მეღვინეთუხუცესი

ყოველთვის, როცა ოთარ მეღვინეთუხუცესზე ვფიქრობ, თვალწინ წარმომიდგება ბავშვობისდროინდელი სურათები: მარჯვანიშვილის თეატრის (ჩემთვის განუმეორებელი და იდუმალებით სავსე) სცენა, სადაც ამდენი წელი გაატარა ამ უბადლო მსახიობმა.

ბავშვობისას, ალბათ, ყველა აგროვებდა საყვარელ მსახიობთა სურათებს. სხვათათვის მრავალნი იყვნენ, ჩემთვის ასეთი მსახიობი მხოლოდ ერთადერთი — ოთარ მეღვინეთუხუცესი — იყო;

ჩემი ოთახის კედლები მოფენილი იყო მისი ფერადი თუ შავ-თეთრი (გაზეთებიდან ამოჭრილი) ფოტოებით.

დღემდე ცხადლივ მახსოვს შთაბეჭდილება, მისეული „ოიდიპოსის“ ნახვისას რომ დამრჩა; ჰო, ისე, არც იმ დამეს მომიხუჭავს თვალი, როცა „დათა თუთაშხიას“ ბოლო სერია ვნახე;

„ყველაზე პირველი“ მაინც მეფე გიორგი იყო: შეყვარებულ მეფეს შორენას დაჭრილი ნებიერა ხელში აყვანილი, სატრფოსავით მოჰყავს და ტყეში ხეთა რკალს მოარღვევს, უღონო და მომაკვდავი, ულამაზესი ქართველი მეფე იდგა ჩემს თვალწინ და მისი უკანასკნელი მონოლოგი უფრო მეტად ამძაფრებდა ისედაც მძაფრ, ბავშვურ შთაბეჭდილებას.

მერე იყო ელიოზი. ფილმის გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე ნავიკითხე გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“ და ველოდი მისეულ ელიოზს და... „გამიმართლა“: ზუსტად ისეთი იყო, როგორიც წარმომედგინა.

ვიცი, ახლა ბევრს გაეცინება და, მახსოვს, როგორ ვტიროდი, როცა ადრე მაძინებდნენ, არადა, ტელეპროგრამაში ენერა რომ 21:45 წუთზე წარმოდგენილი იქნება მოკლემეტ-

რაჟიანი ფილმი „მშვიდობით, ინესა!“ მისი მსახიობიც მიყვარდა ამ მხიარული ფილმიდან.

ჰო, კიდევ... არც გიგა ბეთანელი მაზინყებოდა და ნელი, ტრაგიკული ცეკვა სიყრმის შეყვარებულთან...

უფრო მანამდე კი იყო „ფატიმა“, შემდეგ — „ვინ შეეკაზმავს ცხენს“, „მზე შემოდგომისა“, „მთვარის მოტაცება“.

რომელი ერთი ჩამოვთვალო? ყველას ვერ დავასახელებ, ოღონდ არ მინდა გამომრჩეს ებრაელი რეჟისორის ასტრახანის ფილმი „განვედ ჩემგან“ (ამ ფილმში მსახიობის ნამუშევარი პრემიით აღინიშნა) და შედარებით ბოლოდროინდელი როლი რეზო ჩხეიძის ფილმში „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“...

ჩემი ბავშვობის საყვარელი ადგილი სამზარეულოში, ხაზის რადიოსთან იყო... და მახსოვს, რადიოსპექტაკლები: „ვასილ კიკვიძე“, „მთვარის მოტაცება“ და კიდევ სხვაც, ბევრი...

მახსოვს, როგორ წაგვიყვანეს სკოლიდან რუსთავის თეატრის სპექტაკლზე „საბრალდებო დასკვნა“, სადაც ლიმონას როლს ბატონი ოთარი თამაშობდა. მაშინ პირველად ვნახე იგი სცენაზე.

ბალბაში ერთი დიდი, ბაბინებიანი მაგნიტოფონი მქონდა: ოთხკუთხა, ნაჭრის მიკროფონი ტელევიზორის წინ დავსაკუპე და... ასე ჩავინერე (ორ ბაბინაზე) მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი გადაცემა. მერე ხშირად „ვუსმენდი“ და წარმოსახვით ვხედავდი სცენებს სპექტაკლებიდან: „ჰამლეტი“, „ასი წლის შემდეგ“, „სირანო დე ბერჟერაკი“, „ლამანჩელი“, განსაკუთრებით მიყვარდა სანჩო პანსასა და დონ კიხოტის დუეტის მოსმენა.

მერე იყო: „პროვინციული ამბავი“, უჯუშ ემხა, ოტელო, ფიროსმანი, კრეონი... სხვადასხვა პერსონაჟი: გმირები, „ჩვეულებრივი ადამიანები“... და ბულგაკოვის ცნობილი რომანის მიხედვით განხორციელებული „პილატე“. გული მწყდება „პილატე“ დიდხანს რომ არ შემორჩა მარჯვანიშვილის თეატრის სცენას, სადაც ბატონმა ოთარმა, ჩემი აზრით, მართლაც განუმეორებლად იმუშავა (ეს ხომ სავსებით განსხვავებული ნამუშევარი იყო ჩხეიძე-მეღვინეთუხუცესისა). სულ მაინტერესებდა (ეს კითხვა დღემდე მანვალებს), რატომ გაქრა ასეთი საინტერესო სპექტაკლი სცენიდან.

მოხდა ისე, რომ... სპექტაკლის დაწყების წინ მსახიობთა ფოიეში აღმოვჩნდი და უნებურად შევესწარი ყველაზე იდუმალ პროცესს: ბატონი ოთარი სარკეში იყურებოდა და... პილატედ „იქცა“.

მერე კი „ნიგნი“ — აკა მორჩილაძის მოხედვით, სადაც ნურადინ ფრიდონი შეასრულა...

ხშირად მიფიქრია, დამენერა მასზე, როგორც მსახიობზე, მაგრამ ვერ შევბედე...

დიდი მადლობა ბატონო ოთარ, იმისთვის რომ შექმენით ეპოქა ქართულ თეატრალურ სამყაროში და... ამ ეპოქის თანამგზავრი მეც ვარ!

დავით წერეთლიანი

# ისევ გალაკტიონი

გალაკტიონის გაფეტიშების წინააღმდეგ ვთქვი ამასწინანდელ ჩანაწერებში ორიოდე სიტყვა. ყოველგვარი ფეტიშობი სტაგნაციას იწვევს, ავისა და კარგის განურჩევლობას.

ფეტიშად არავინ მინდა, არც რუსთაველი, არც გალაკტიონი, არც არავინ დედამიწის ზურგზე.

რასაკვირველია, სასწრაფოდ გამოჩნდა კაცი, ვინც გალაკტიონი ჩემი ბოროტი კლანჭებისაგან იხსნა. თან, როგორც ჩვენი კრიტიკის უცილობელი წესია, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ხელრთვით.

მაინც მადლობელი ვარ, დამინდო, სახელითა და გვართი არ მომიხსენია.

\*\*\*

ცხადია, მიხვდებოდა, რა დიდი მისახვედრი ეს იყო, რომ ჩემი სიტყვები გალაკტიონს კი არა, ჩვენს კრიტიკას ეხება, მისი მოღვაწეობის ერთ მეტად და მეტად არასახარბიელო მხარეს. ღრმად პროვინციულს, არაპროფესიულს, კარგი გემოვნებისთვის ყოვლად შეუსაბამოს.

დიახ, ფეტიშობზე მოგახსენებთ.

მავანთათვის და მავანთათვის ფეტიშებთან ცხოვრება შეუდარებლად უფრო ადვილია, არც ცოდნა გილალატებს და არც გემოვნება, რადგან მინიმუმს ზემოთ არც ერთი მოგეთხოვება და არც მეორე. რამოდენა შეღავათია, — არ გჭირდება არავითარი მსჯავრის გამოტანა, არანაირი არჩევნის გაკეთება. ყველაფერი წინასწარ დალაგებულია, მყარად და შეუცდომლად. შეგიძლია გულმშვიდად დაჯდები და ესეებად, წერილებად, წიგნებად ჩამოალაგო ერთხელ და სამუდამოდ დადგინო ჭეშმარიტებათა ახალ-ახალი სიტყვიერი ჩუქურთმები.

კი, მაგდაგვართა შორისაც მოიძებნებიან ისეთები, თავისებურად კიდევაც რომ უყვართ პოეზია, მაგრამ, სამწუხაროდ, პროფესიულ დონეზე ბევრის არაფრის გამგებნი და გამკვეცი არ არიან.

\*\*\*

რაიმე პოეტური სიახლე გალაკტიონის შემდეგ? — ჩემს ოპონენტს ეს სიცილადაც არ ჰყოფნის. — ვეხუმრებით? ასეთი რამ თავში როგორ მოგვივიდა! სიახლე ქართულ ლექსში? ქართულ ენაზე? გალაკტიონის შემდეგ?

ასეთი დამცინავი ქარქილი შემოგვაგება.

ჩემს იმ ჩანაწერშიც სხვას განა რას ვამბობდი, რაც ამ აგრესიულ-ფეტიშისტური წამოძახილით არ დამიდასტურა!

არ ახალია. უფრო პირდაპირაც გვიცხადებს ზოგიერთი მისი თანამოძმე, განათუ ნართაულად და შეფარვით: გალაკტიონს იქით ყველა გზა დახშულია, ყველა წყალი გადაწურულია. ყველაფერი, რაც კი ქართულ პოეზიაში მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან შეიქმნა, უკლებლივ ყველაფერი, ვისიც რა არის, სინამდვილეში გალაკტიონს და მხოლოდ გალაკტიონს ეკუთვნის. და ისიც, რაც შემდგომში შეიქმნება...

ცოტათი ხომ არ აჭარბებთ, ბატონებო?

ართუ გალაკტიონის შემდეგ, მის სიცოცხლეშივე უამრავი სხვათამიერი სიახლე დასტურდება, შიგადაშიგ თვითონ გალაკტიონსაც რომ გამოსდგომია. ყველა ისინი, ყველა ის პოეტი, არცთუ მცირენი და ურიგონი, უკლებლივ მის ჩრდილქვეშ რომ გავაქროთ, ქართულ პოეზიას, როგორ ფიქრობთ, რამეში წაადგება?

გალაკტიონის სიყვარული, მთელი ქართული პოეზიის სიყვარულის გარეშე, მე პირადად ვერ წარმომიდგენია.

\*\*\*

ღვთის მადლით, გალაკტიონი მხოლოდ საბაბი გამოდგა. კაცი სულ სხვა რამით გამიცეცხლებია.

უკვე მომდევნო პასაჟი, რომელიც, მართალია, მე არ მეძღვნება, მაგრამ საგანგებოდ ჩემთვის ჩანს დანერვილი, გამომწვევად მომანიშნებს მისი პირგამეხების ნამდვილ მიზეზს.

იმაზე მრისხავს, მუხრან მაჭავარიანის სიდიადე რომ არ მესმის.

ცოტა ხნის წინ მისი კრებული შეუდგენია და, როგორც გვეუწყა, კარგადაც შეუდგენია. არ მაღავს, ათმაგად, ასმაგად შეჭყვარება მაგ კრებულის გამო, გულზე მოსჭიდებია. მე კიდევ ავდექი და არ მესმის!

რას იზამ, რაც არ მესმის, არ მესმის...

წესით უნდა ვებრალებოდე, გაუვალ სიბნელებში რომ ვზივარ. ის კი გაცეცხლებულია.

...კარგადაც შეუდგენია, როგორც მისგანვე გვეუწყა, მაგრამ მუხრან მაჭავარიანის ძალმოსილებას ბოლომდე, როგორც ჩანს, მაინც ვერ ენდობა: ურჩევნია, გალაკტიონის სახელით გამისწორდეს.

\*\*\*

„გალაკტიონ ტაბიძემ ქართული პოეტური სიტყვა ამოწურა!“ „გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ როგორ შეიძლება ქართულ ენაზე ლექსი დაიწეროს!“

გსმენიათ ასეთი დაძახილი? მე არაერთხელ მსმენია.

ერთადერთმა პოეტმა ენის ყველა პოეტური შესაძლებლობა ამოწუროს! საკუთარი ენისა და ლიტერატურის დამცრობა ამაზე შორს ძნელად წავა.

ვინ არიან, ამგვარ „აზრებს“ რომ ამრავლებენ და ამკვიდრებენ?

ძირითადად ის ლიტერატორები, თავს რომ პოეტებად იმზადებდნენ და სტრიქონის საშუალოდ გამართვაც ვერ ისწავლეს. გალაკტიონი მათი მოუშუშებელი წყლულის სალბუნია, შეუმდგართა შურისძიების იარაღია, ბასრი და უტყუარი.

და კიდევ კვარცხლბეკია, თავზევით ასაბობლებელი, — უფლება იმისა, სხვებს მალღიდან დააცქერდნენ.

არ დაეთანხმები და გალაკტიონის მოძულე და მოშურნე ხარ.

\*\*\*

ჰოდა, ჩემმა ოპონენტმაც უსწრაფესი დიაგნოზი დამადო: გალაკტიონი მანვალეხს. ჩემივე ნათქვამი გამიშიფრა, ჩემს გამიშვლებულ და ბოროტ სულში ღრმად და შეუცდომლად ჩაიხედა. მკურნალობა დაგვიანებული გამოდგა: შურისა და ბოღმისაგან ვიხრჩობი.

კიდევ კარგი, გვერდით ლადო ასათიანი მომისვა თანამოშურნედ და თანამებოლმედ. სტრიქონი გადაუკეთა, გალაკტიონისეულ კვარცხლბეკზე შემომდგარი ზემოდან „ეღადავება“. არადა, როგორ ფიქრობთ, ხალხნი და ჯამაათნი, არის მისგან „გასალადავებელი“ პოეტი?

თუ პოეზია წრფელად და სიღრმისეულად გიყვარს, კი, გალაკტიონი სწორედაც რომ უნდა განვალეხდეს. ოღონდ ისე არა, როგორც ჩვენმა გულთამხილავმა მომისაჯა.

სურვილი უნდა განვალეხდეს, ჩასწვდე, შეიგრძნო, შეიმეცნო, უფრო ცხადად, კიდევ უფრო ცხადად.

ჩვენი კრიტიკა ამ საქმეში შეძლებისდაგვარად ხელს გიშლის. იშვიათზე იშვიათია, როცა გეხმარება.

\*\*\*

სხვათა შორის, შურსა და ბოღმაზეც მინდა მცირე კომენტარი გავაკეთო.

გალაკტიონი შურისათვის არა მხოლოდ ძალიან მაღალია, არამედ ქრონოლოგიურადაც უკვე ძალიან შორია.

შური მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვეების მიმართ სჭირთ ხოლმე, განსაკუთრებით — თანატოლთა მიმართ, მათ მიმართ, ვინც შედარებით უფრო ახლოს მდგარია.



მინდა, ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი ყველამ გაითვალის-  
წინოს, ვინც მომავალში ახალ-ახალი მოშურნეების გამოჩხ-  
რეკას აპირებს.

გალაკტიონი ჩემს თაობაში, იმათზე ვამბობ, პოეზიის  
მკითხველი ვინც იყო, დიდ უმეტესობას თავგამოდებით უყ-  
ვარდა, მხოლოდ იშვიათად, აქა-იქ თუ გამოერეოდნენ ისეთე-  
ბი, ვინც ვერ ეწყობოდა მის პოეტურ მანერას. მაგრამ შურის  
მსგავსი არავისთვის არაფერი შემომჩნევია.

\*\*\*

გალაკტიონის კერპად ქცევა დიდი წარმატებით მიმდინა-  
რეობს: მასზე საკუთარი აზრის გამოთქმა უკვე გვეკრძალება.  
ხომ შეიძლება გულწრფელად ლაპარაკობდე, თუგინდ  
ცდებოდე კიდევ.

არა, გალაკტიონის შემთხვევაში ეს თურმე არა და არ შე-  
იძლება.

კი არ შემოგედავებიან, არგუმენტებით კამათს კი არ გაგი-  
მართავენ, დაცხოფავენ, შეურაცხყოფას მოგაყენებენ, — შური-  
ანი ხარ, ღვარძლიანი ხარ, უნიჭო ხარ, სამშობლო არ გიყვარს.

ქალი გაჰკიოდა, დღესაც ყურში მიდგას, სად იყო, ველარ  
გამისხენებია: — გალაკტიონი და სამშობლო ერთია!

\*\*\*

გვასწავლეს და სწორადაც გვასწავლეს, რომ გალაკტიონ-  
მა ქართულ პოეზიაში დიდი გარდატეხა მოახდინა. მაგრამ  
არავის სწავია იმის გახსენება, ან სულაც არ იციან, რომ ეს  
გარდატეხა ორი თაობის მიერ იყო შემზადებული. მზამზარე-  
ული შთაგონების სახით ციდან არ ჩამოფრენილა.

გალაკტიონმა მას გვირგვინი დაადგა.

ვფიქრობ, კეთილშობილი საქმე იქნებოდა, ვინმეს იმ უჩი-  
ნართა ღვანლიც წარმოეჩინა. თუმცა მაგას ბევრი შრომა და  
ფაქიზი პოეტური სმენა სჭირდება.

ადვილია, ყველაფერი ერთი კაცის გენიას მიანერო. კვლე-  
ვა და ქექვა აღარაფრისა მოგიწევს.

\*\*\*

არც შემდეგდროინდელი პოეტური გზები და ბილიკებია  
სწორად ნაკვლევი.

მაგ ერთსაც ვიტყვი, — თუმცა, ეჭვი მაქვს, თავზე ახალ  
რისხვას დავიტეხ.

გალაკტიონი მწვერვალია, მან უზარმაზარი გავლენა მო-  
ახდინა და დღემდე ახდენს, მაგრამ თუ მეოცე საუკუნის ქარ-  
თულ პოეზიას (და ეს ძალიან დიდი პოეზიაა) ერთიან პერსპექ-  
ტივაში განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას  
არსებითად გალაკტიონის გზით არ უვლია.

გალაკტიონი ფორმის გენია იყო, მაგრამ პოეზია მხოლოდ  
ფორმა არ არის. ფორმის იქით გალაკტიონის გავლენა ნაკლებ  
საჩინოა და არასოდეს — გადამწყვეტი.

შეუძლებელიც იყო, მთელი პოეზიის მთავარი მაგისტრალი  
წმინდად ინტუიტიურ სანყისზე გასულიყო, სიზმრულ ჩვენე-  
ბებზე, ბგერათა და ფერთა განუწყვეტელ ლივილივზე, როცა  
მთავარი სათქმელი დიდ შემთხვევაში აზრით მოუხელთებელია.

და როცა პოეტის გული — ძალიანაც არ გადავაჭარბებთ,  
თუ ამასაც ვიტყვით — ყველაზე მეტად მაინც რითმას ეკუთ-  
ვნის, ათასფერსა და ათასხმოვანს, ნალოლიავენს, უნატი-  
ფესს, განუწყვეტელი რუდუნებით ნაძებარს...

არც მის თანამედროვე და არც მის შემდგომ ქართულ პო-  
ეზიას დიდი ერთგულებით არც ამ გზაზე უვლია.

\*\*\*

გალაკტიონის სიყვარულში არავის ვეჯიბრებ, მაგრამ სრული  
უფლება მაქვს განვაცხადო: ნურც მე ნურავინ შემომეჯიბრება.

ჩემი სიყვარული მკაცრი და თვალხილულია. აღტაცებუ-  
ლი ჭყლოპინი, დიდი ხნის წინათვე, სადღაც სიყმაწვილემი  
დავტოვე. თუმცა სიყვარულის ძალა დღემდე უცვლელია.

მერედა რა, თუ კერპები არა მყავს!

თემურ შავლაძე

# ფიქრი ფიქრისათვის

ამ პიესაში, როგორც იკვეთება, იმდენად პერსონალიები  
(ეს ხომ ისედაც ცხადია!) კი არ არიან მთავარი, არამედ მათი  
ფსიქიკური მდგომარეობა და, ამ მდგომარეობიდან გამომდი-  
ნარე, ყოველდღიური სინამდვილის წამსუთიერი აღქმა; პიესა  
— პიესად, პერსონაჟები — პერსონაჟებად, მაგრამ, სიახლის  
თვალსაზრისით, პერსონალიების გამოკვეთა ხდება თხრობი-  
თი-მხატვრული დიალოგის მეშვეობით, ანუ პიესა-მოთხრო-  
ბის ემოციური განსცენიურებით. ემოცია ამ პიესაში უკვე თა-  
ვისთავადი გამონაკვეთული პერსონალია; შეიძლება ითქვას,  
როსტომ ჩხეიძემ, სიახლის თვალსაზრისით, სრულიად ახალ,  
სწორედაც რომ ახალი ქართული პიესის სტილს დაუდო სათა-  
ვე — თხრობით-სივრცობრივს, სცენიდან პირდაპირ გადატა-  
ნილს ხალხში, ქუჩაში, ბინასა თუ ოთახში და, პირიქით, თხრო-  
ბა-გადმოტანილს სცენაზე — უშუალოდ ისტორიიდან — პირ-  
დაპირ მყურებლის დარბაზში, ხელშესახებად, გასაშინაუ-  
რებლად, სადიალოგოდ, სადისკუსიო-საპოლემიკოდ, საჭორო-  
ოდაც კი; არადა, ჭორობა, ჩვენი მეტყველების (მითუმეტეს,  
დღეს!) როგორი მშვენიერი (ესთეტიკური!) სახე-კატეგორიაა!

ეს პიესა იმაზე(და)ც ჩაგვაფიქრებს — დღევანდლებს —  
რატომ ვდებთ თავს (საჯალათო კუნძულზე!) ქართველები მსოფ-  
ლიო „გლობალური“ პრობლემების გადასაჭრელად, გადა-  
სანყვეტად თუ მოსაგვარებლად, თუ, უფრო სწორად, მოსა-  
პირკეთებლად?! ვინ გვიბიძგებს, ვინ გვაიძულებს, ვინ გვექა-  
ჩება? თუ ჩვენვე ვუბიძგებთ საკუთარ თავსა თუ ერთმანეთს  
საამისოდ? შედეგზე ვფიქრობთ ან დავფიქრებთ ხოლმე?  
თუ მხოლოდ და მხოლოდ ურმის გადაბრუნებას ველოდებით,  
რომ როგორმე უკეთ გამოჩნდეს ყოველივე. რატომ გამოვდი-  
ვართ სხვისი ტიკინა-სათამაშოსა თუ მოთამაშის როლში?

ამ პიესის კულისებიდან თითქოს დავით გურამიშვილის  
მზერა(ც) დასათამაშებს ილია-ვანო მაჩაბლისეულ „ქართლის  
ჭირს“ და სცენისა თუ მიზანსცენის ყოველ ნაბიჯზე როსტომ  
ჩხეიძესაც აფრთხილებს, როგორც მწერალს, ლიტერატორს,  
მამულიშვილს — მართალს სტყვი, შეიქმნები (ჩემსავით!) ტყუ-  
ილისა მოამბე რად! — ო! არადა, კითხულობ პიესას და შენდა  
უნებურად, ნებსი-უნებლიეთ, ფიქრობ: რატომ იტყვივს აუტ-  
კივარ თავს ავტორი? რა რჯის, ვინ აძალებს, რა ან ვინ არ ასე-  
ნებს? რატომ გვიმჟღავნებს იმას, რაც დღემდე საგანგებოდ  
თუ საგულდაგულოდ (ასე!) იყო დაფარულ-შეფუთული.

მართალია, როსტომ ჩხეიძე ჩირქს არ სცხებს არავის, არც  
ვინმეს ამუნათებს, უბრალოდ ჩვენს სახეს გვიჩვენებს, დაგვა-  
ფიქრებს, თუ ვინ ვართ და რატომ ვართ ასეთნი, როგორებიც  
ვართ — ცნობილნი თუ უცნობნი! ეს არის უბრალო ღია საუბ-  
რის სურვილი ერთან, დიალოგი სცენიდან — მყურებელთან,  
ხალხთან და, მათი მზერა-განწყობილების მიხედვით და შესაბა-  
მისად, დაფარულ-გადამალული ქვენა გრძობების სააშკარაო-  
ზე გამოტანა-გამოფენა, შეიძლება ითქვას, „დაობებული ამბის“  
გამომზეურება-გამზეურება! პიესიდან ღიად ჩანს და ცხადდება  
თუ რაოდენ ამაზრუნია პოლიტიკოსის (ვინც უნდა იყოს იგი!)  
ფარისევლობა და ამ ფარისევლობის შეტანა პოლიტიკაში —  
ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის სახით. რაოდენ სევდიან-  
ნად სიმბოლურია (და შთამბეჭდავი!) ილია-აკაკისეული დია-  
ლოგი მათი სულიერი და გნებავთ, მამულიშვილური შტრახების  
წარმოსაჩენად, ფსიქოლოგიური სახე-ხატის გასახსნელად და,  
საბოლოოდ, ზნეობრივი პორტრეტის შესამეცნებლად.

დაიხ, ეს დროული და სწორედაც რომ საჭირო პიესა კიდევ  
ერთხელ დაგვაფიქრებს ჩვენს ბედზე, ჩვენს (საერთო!) სახე-

ხასიათზე, ისტორიულ-ჟამთააღმწერლურ ფსიქოლოგიაზე, წარსულსა და მომავალზე, თუ ვინ ვართ ჩვენ, რანი ვართ და რა გვინდა საერთოდ?! რას ვერჩით ერთმანეთს და, საბოლოოდ, სამშობლოს?!


ეს პიესა-თხზულება შესაძლოა ახალი დროის „დიაპაზონური პიესის“ სახელწოდებითაც მოინათლოს; მართლაც, მეოცე საუკუნის პირველი ათეულის წლები არამარტო ძველი „ფანტასტიური ხილის“ ჩამტვერვა-ჩანგრევის, არამედ „ახალი ხიდნატყვილობის“ და უკვე სულ სხვა სახის ჟამი(ანობი) დასაწყისია ილია — „მესამედასელების“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნიშნით. ფაქტს რომ ვერსად გაეცვივებ და ვერც დაემალები — ამ პიესიდან იმდენად თვალნათელია და იმდენადვე მეტყველიც, რომ ნებისმიერ ქრონიკალურ-ისტორიულ დოკუმენტზეც (კი!) შთამბეჭდავად აღიქმება და სწორედ აქვე მუდავდება ამ ქმნილების მხატვრული ძალმოსილება.

ამგვარი „დიაპაზონური პიესა“ ქართული სულიერი-ფსიქოლოგიური სივრცის მომცველადაც წარმოჩინდება, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელადაც გვევლინება: ანუ გეოგრაფიულ სივრცე-მოცემულობაში მოაზრებულია და ჩატეული სულიერ-ფსიქოლოგიური სივრცე — როგორც შედეგი მიზეზისა! მართლაც, რა არის განმსაზღვრელი ჩვენი სულის (სულიერების!) ეროვნული სულისკვეთებისა — შური, ბოღმა, ღვარძლი თუ სიკეთე? ანდა, ფარისევლობა თუ გულწრფელობა? ანთუ რომელს უფრო მეტი ძალა აქვს და მომხიბვლელობა-მიმზიდველობა?

დაიხ, მწარედ ჩაგვაფიქრებს (ეს!) პიესა ამგვარი ამოებრივი მეტაფორისტიკის შესამეცნებლადაც ან, სულ-უბრალოდ, გასაცნობად! არადა, ავტორი არაფერს (არ!) ამტკიცებს; მაგრამ ჩვეულებრივად საინტერესო სცენა-დიალოგებით გვიხსნის პარალელური ქვე-ტექსტის სიმბოლიკურ შინაარსს, არსს, ღირებულებას; მაგალითად, საფარ-ბეგისა და თვით აკაკი წერეთლის სახისმეტყველებრივ-სიმბოლიკურ იგივეობრიობას; ამ სცენით მაინც საითკენ მიგვაქცევინებს მზერა-ყურადღებას ავტორი — ფროიდის ფსიქონალიზისაკენ თუ დიმიტრი უზნაძისეული განწყობის თეორიისაკენ? იქნებ ორივეთი ერთისაკენ თუ ერთით ორივესაკენ?! მკითხველმა თვითონ იგუშანოს და თავადვე გადაწყვიტოს!

ამავდროულად, მკითხველმა ისიც უნდა იგუშანოს და დაწყვიტოს, თუ რაოდენ და რამდენად დაეშორდით დღევანდელი ქართველები ილია-აკაკისეულ სწორმეტყველებასაც; ამ პიესით კი — ავტორი — იმდროინდელი ქართული ენობრივი ფუნქციონის ხიბლაც გვაზიარებს და საბოლოო შედეგზეც მიგვაქცევინებს (ქვეშეცნეულად!) ყურადღებას. ან იქნებ საფარ-ბეგისეული პარადიგმა-პარალელის მიგნებამ შეაქმნევინა „26 ივნისის საიდუმლო“ როსტომ ჩხეიძეს და სწორედაც რომ პიესისეულ ანტურაჟში მოაქცევინა ძირითადი სათქმელი და, გნებავთ, სას(ა)უბრო ენა მკითხველთან; მეტიც, აქ პიესობანა — პირობითობაა, მოცემულობა, ფორმა-თამაში, უფრო მართლად — ფორმის შინაარსთან თამაში; ის, რასაც ავტორი ამბობს (გვთავაზობს!) პიესის მეშვეობით (მოშველიებით!), ვერ იტყვოდა და ვერც ეტყოდა სხვა მაგანსა თუ მკითხველს ვერანაირი სხვა მხატვრული თუ პუბლიცისტური ხერხი(ანობი)თ, ვერც სხვა სტილური წარმოსახვითი პარადიგმებით, ვერც შეგონება-აღმსარებლობით და, გნებავთ, ვერც სახარებისეული მორალისტიკით.

მარტო ილია-აკაკისეული შეხვედრა-დიალოგი რად ღირს ზემოთქმულის ხაზგასასმელად. თითქოს პიესა-ნაწარმოებს კი არ კითხულობ, თავადვე მონაწილეობ, იქვე ხარ, მათ გვერდით; ეს გრძნობა საცნაურდება აკაკისა და ისაკა ალხანაშვილის შეხვედრის ეპიზოდში.



„26 ივნისის საიდუმლო“ შესაძლოა ლიტერატურული პიესაც ეწოდოს, დაიხ, წმინდა ლიტერატურული, რადგან ისტორიული კატაკლიზმი არამარტო ლიტერატურის საგანი ხდება, არამარტო ლიტერატურულ ელფერს ატარებს, პირიქით, სწორედ ლიტერატურის ნიაღშია ჩაბუდებული, გასაიდუმლოებული და სწორედ ლიტერატურის წყალობით ეძიებს ახსნას. და აი, ამგვარი ახსნის შედეგიც ამჟამად ამ პიესის სახით და მეშვეობით; იმ ინგლისური გამოთქმა-პარადიგმისა არ იყოს, რომელიც ნითელ ზოლად გასდევს პიესის ქვეცნობიერ(ულ!) ფილოსოფიას — ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, უფრო სწორად, მივუთითებთ!-ო!; პიესაში არამარტო სხვების (გიგა ყიფშიძე, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, სოსიკო მერკვილაძე, დავით მესხი, იაკობ მანსვეტამელი და სხვ.), უპირველესად იმდროინდელი საქართველოს ორი უგვირგვინო მეფის — ილია-აკაკის სახეხატეზანიც კარგად წარმოჩინდება „მართლის თქმის“ პრინციპის ფონზე (თუ ვისთვის რა უფრო ძვირფასია და მნიშვნელოვანი!) და, კიდევ, იმ მწარე „ავი ბედისწერის“ წინასწარული განცდამოლოდინიც გამოიკვეთება, რომელიც ვანო მარაბელის გაუჩინარებას გამოუწვევია, გამოუმუღავნებია თუ ნებსი-უნებლიეთ თან (შე)მოჰყოლია.

როსტომ ჩხეიძე, ვითომცდა სასხვათაშორისო ისტორიული მეხსიერების მოშველიებით, გაგვაპარაულებიზმებინებს, სად სოლომონ ლიონიდის მონამვლა და სად ილიას თავზე უკვე წამომართული შავი აჩრდილისეული მახვილი; მაგრამ, როსტომ ჩხეიძისეული ილია, ცოტა არ იყოს, სხვაგვარად ფიქრობს „მესამედასელებზე“: „ვერ გაბედავენო?.. (ჩაიცი-ნებს) ძალზედ იოლად შენ უყურებ მაგათ, ჩემო აკაკი. არ არსებობს ქვეყნად ისეთი რამ, რასაც ეგენი ვერ გაბედავენ და არ იკადრებენ“. და ალბათ სწორედ(აც) ესაა ის სიმართლე, რომელიც „ხესა შეიქმს ხმელსა ნელდა“.

დაბოლოს, ვინც დამალა ვანო მარაბელის მკვლელობა, მან ხელი მოაწერა ილიას მკვლელობასაც! აი, სწორედ ეს არის, ჩვენი აზრით, ამ პიესის დედა-არსიც და დანიშნულებაც. ვის მოვკითხოთ ცოდვა-მადლი, ვის? ახლა დაჯექი და იმარჩიე, ერო და ბერო; არადა, ამ პიესის მიხედვით, მართლაც რომ ბევრ რამეზედ გვაქვს საფიქრალი და სატირალი. ტირილი? კი ბატონო: ვინ გიშლის, იტირე, რამდენიც გინდა! მაგრამ საფიქრალი კი, საფიქრალი, ნურას უკაცრავად! რას აღარ მიმართავენ, რომ არ იფიქრო; რას აღარ გთავაზობენ, რომ არ იაზროვნო; რაღას არ ცდილობენ, რომ ვერ შეიძინო — ვინ ხარ, როგორ ხარ და რისთვის (რატომ!) ხარ მოვლინებული. იმას კი, ვისაც არც წარსული აინტერესებს, არც აწმყო, არც მომავალი და მხოლოდ ყოველდღიურობასაა მიჯაჭვული, პიროვნებაც ნაკლებად ეთქმის, მითუმეტეს, მამულიშვილი. თითქოს სიტყვა მამულიც იშვიათად (თუ!) გაისმის და ელფერიც შეუნაცვლებია; მამულიშვილი კი ოდენ სადღეგრძელოს, ისიც ნასალუქმავად გამზადებულს თულა შეეპითეტება, ხოლმე.

და-უკვე, როდესაც გგონია, რომ წყალნაღებული (სულიერად, მორალურად!) ხავსსაც ვეღარ მოეჭიდები, უეცრად სამზეოზე გამოეფინება მხატვრული ნაწარმოები — პიესის სახით, რომელიც (მართლა!) გაიძულებს იფიქრო... და იფიქრო იმაზედაც კი, რომელზედაც მართლაც არ გასურს არც ფიქრი და არც ამ(გვარი) ფიქრით თავის შენუხება.

ფიქრი რთული პროცესია, ბატონებო, რთული! მართალია, არსებობს გასართობი ფიქრი, იოლი, საღლაბუცო-სახუმარო (და, ვინ უწყის, კიდევ რამდენწაირ-რამდენმაგვარი!), რომელმაც ლამის მთელი ერი ქვეშ ამოიგოს, ახარხაროს და ხარხარ-ხარხარში გადაიყოლოს; მაგრამ ხომ არსებობს სერი-

ოზულად მძიმე და ქვემძიმე ფიქრებიც, თავს რომ შეგანუხე- ბინებს და შესაძლოა, სერიოზულად ავტოკივებისოს კიდევ.

და კიდევ „ერთ რამეზეც“ ჩაგვაფიქრებს ეს პიესა: დღესაც ხომ არ გემართავენ „მსოფლიო პროლეტარიატის“ თუ სხვა „მსოფლიო“ იდეებით შეპყრობილი ვითომ „მმართველნი მა- მულიშვილნი“ და ჩვენ, უბრალო ქართველობას, კიდევ რა უახლეს „ექსპერიმენტს“ გვიძღვნიან საექსპერიმენტოდ?

ეს როსტომ ჩხეიძეც რა კერკეტი კაკალი გამოდგა, ასე ნაუც- ბათედა რომ ჩანდა მავანთა განზრახვას და უმაღლე პიესით გა- მოეხმაურა. თანაც რაღაც იმგვარ ქარგაში გაუხვევია თუ სანა- ხვერო-ქარქაში ჩაუგია, რომ გაეღვებოდაც კი საშუაში გამხდარა — მავანთა და მავანთათვის. პატრიოტები ხომ ყოველთვის მიუ- ლებელი არიან „ვაი“ თუ ვითომ პატრიოტებისათვის, ეუხერხუ- ლებათ მითთან ყოფნაც და თავის გატოლება-გაყადრებაც.

არადა, ამ პიესაში, ავტორი — როსტომ ჩხეიძე — თვი- თონვე წარმოისახება პერსონაჟად, რომელიც ყველგანაა, ყო- ველივე სცენა-დიალოგის მონაწილეა, თვით ჩურჩულისაც კი, როგორც თვითმხილველი, თანაც განმცემელი და უტყუარი მონმე აღწერილი ამბებისა; თანაც როგორი დაკვირვებულნი მზერით ჭკრეტს და ანალიზებს ყოველივეს, თვით თითქოს შეუმჩნეველსაც კი; თითქოს წინდანივე გიჭრის გზას-დასა- ეჭვებელს, აბა კარგად მომაპყარი სასმენელი შენო! არადა, როგორ იმუქრებიან „მესამედასელებით“ გულმოცემულ-წა- ქეზებულნი: „დედას გიტყვებთ, ჭავჭავაძეც, დედას!“ — ო. მართალია, ზოგს ხალხი მართლა ქვევრი ჰგონია, რასაც ჩას- ძახებ — იმას ამოგძახებო, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ჩანს, არც მთლად ასე უნდა იყოს ყოველთვის.

ძალიან საინტერესო და ღრმად ჩასაფიქრებელ ფსიქოლოგი- ურ შტრიხს გვთავაზობს პიესის ავტორი, რადგან უმთავრესი მა- ინც ორი პერსონაჟია პიესაში — იმდროინდელი ორი უგვირგვი- ნო მონარქი საქართველოსი — ილია-აკაკის სახით. აკაკისათვის მთავარი ყოფილა ქალის (ტასო ბაგრატიონ-მანაბლის!) ქალური ღირსების გადარჩენა, „მართლის თქმის“ პრინციპის უარყოფა და, შესაბამისად, დამალვა! ილიასთვის კი — სწორედ ამ პრინ- ციპზე დაყრდნობით, ერის ღირსების გადარჩენა! გადარჩენა, რომელშიც თვითონაც იგულისხმება და ქართველობის სამო- მავლო ზნეობრივი სახეც. მეტიც, „მართლის თქმის“ აღდგენა- დამკვიდრება და ზოგადეროვნულ პრინციპად ქცევა!

ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოსდა ყოველი ქუჩის კუთხე-კუთხულიდან ილიას უკვე ასდევნებია ბოროტ კაცთა ავი მზერა და განაჩენიც გამოუტანიათ: ვანო მანაბელი ამან მოინელაო! აქ კიდევ აკაკისეული იუმორი (თულა!) აკლდა ამას: „ილია ჭავჭავაძე უნდა მოვიყვანოთ და ხიდზე დავაყე- ნოთ. ხომ გახსოვთ ვანოს მის დანახვაზე რა ემართებოდა, როგორ გამშავდებოდა და მაშინვე ფეხზე უნდა წამოჭრილი- ყო. და ახლაც თვალს მოჰკრავს თუ არა ხიდზე გადმომდგარ კნიაზს, იმწუთვეც ამოიჭრება ტალღებიდან“.

როსტომ ჩხეიძემ გაბედა და თქვა ის (ამ ეპიზოდით!), რაც დღემდე არავის გაუბედავს და იმდაგვარი ლიტერატურული „ხერხი“ აამოქმედა, რომელმაც დაძლია თვით „უხერხულობა“ წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით. „თქმა მართლისა სიმართლისა“. — ო, ხომ გვმოდგრავედა უპირველესი პოეტი. ან რა დიდი სიბრძნე უნდა იმის აღიარებას, რომ სიმართლის უგე- ლეუტყოფით აღზევდება ბოროტება, აღზევებული ბოროტება კი — როგორც უმეცრება — ყოველივე კეთილის წამლეკავა!

აკაკი კი ამშვიდებს ილიას, ეს ჭიალუები (ნოე შორდანი, ფილიპე მახარაძე, საერთოდ „მესამედასელები“ და მათი ლე- გიონები!) რას დაგვაკლებენო. ილია კი, გარეგნული სიმშვი- დითაც ბოხოქარი ილია, აქაც, ამ შემთხვევაშიც, მართალია: არ არსებობს ისეთი რამ, ეგენი რომ არ იკადრებენო!

პოლიტიკა — პოლიტიკად, შუბლის სქელკანიანობა — იმად, რადაც ღირს თუ ფასობს, მაგრამ, ილია-აკაკისეული დიალოგი „გამზრდელის“ გარშემო რაღაც „ამდაგვარად“ სახისმეტყველე- რი და შეფარულად სიმბოლიკურია, ნების-უნებლიეთ ფროიდ-

იუნგისეული ფსიქონალიზისაკენ მიგეზიდება და, რაც მთავა- რია, ამ სცენის პარადიგმული მეტყველება ბიბლიურ-სოლომონი- სეული „ბრძნადმეტყველების“ სიმბოლიკასაც ასწორმასწორებს.

სიმართლე და სამართლიანობა, მისი წარმოჩენა-გამჟღავნება აწმყოს საქმე უნდა იყოს და არა მომავლისა, როდესაც წყალი უკ- ვე ჩავლილია და სწორედ აქ მჟღავნდება „ერთ მდინარეში ორჯერ ვერმესვლის“ იგავურობის არსი! არადა, მარადჟამს, პირიქითაა!

მომავალს გადავულოცავთ ხოლმე ყოველივეს. დრო-ჟამი კი ბევრს რამეს ცვლის, გადააადგილებს, აბუნდოვანებს; იქ- ნებ ესეც იყოს ისტორიის უბედურებაც და, აქედან გამომდი- ნარე, უკუდმართობაც აზროვნება-ცნობიერებისა!

ამგვარ სენზეც მიგვაქცევინებს ყურადღებას ეს პიესა. არადა, ხომ ცნობილია, ბევრმა იცოდა და ვერ თქვა ან არ თქვა, ვერ გაბედა ეთქვა სიმართლე. მომავალს გადაულოცა განსასჯელად და ამოსახსნელად. პიესის ავტორმა შეისწავ- ლა, დაადგინა, გაბედა და თქვა! ვიღაცას ხომ მაინც უნდა ეთ- ქვა-იუნდემე-საჯაროდ! სიცრუე და ორპირობა კი, თუ როგო- რი სენია, ყველას მოეხსენება!

უპირველესად ამგვარ სენზე მიგვაქცევინებს ყურადღე- ბას როსტომ ჩხეიძე. სენი კი, მოგეხსენებათ, გადამდებია და თაობებსაც გადაჰყვება ხოლმე. ამგვარად, პიესა გვაფხიზ- ლებს და გვაფრთხილებს, შეგვაგონებს დღევანდელ ქართვე- ლობას, რომ, ისტორიისა და ზოგადად ისტორიული ცნობიე- რების უბედურება ის არის, რომ სიმართლე მხოლოდ მაშინ იჩენს თავს და მჟღავნდება (კიდევ კარგი, მჟღავნდება!), რო- დესაც ისტორია ჩავლილია, უკვე წარსულის კუთვნილებაა და სიმართლესაც (სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც!) აზრი აქვს დაკარგული და გამამჟღავნებელსაც — გამომჟღავნები- სათვის, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ამყოფებს.

მეტიც, მართლაც დიდი გამბედაობა გმართებს, შესაძლოა თავგანწირვაც კი, რომ დაფარულ-გადამალული სიმართლე საამკარაოზე გამოიტანო, ერის წყლული კვლავ დაიმწნიო წყლულად და არ მოერიდო სიმართლის თქმას; ბოლოსდაბო- ლოს, ისტორიული ცნობიერება გავლდებულებს, ილია მარ- თალთან იყო მართალი! და კიდევ ერთხელ: დღევანდელი გა- დასახედიდან ძნელია დაიცვა ის სასაუბრო სტილისტიკა, რო- მელიც საუკუნის წინანდელ ქართულ სააზროვნებო სივრცეს განსაზღვრავდა. სამშობლოც, მოგეხსენებათ, მარტო ტერი- ტორია არ გახლავთ. იგი, უპირველესად ყოვლისა, სააზროვ- ნებო სივრცეა; ამ პიესით ავტორმა სწორედ ეს სივრცობრივი ან უკვე დაზარალი სარკე მიუტანა ახლოს დღევანდელობას, კიდევ ერთხელ ჩაახედა ქართველი დაზარულ სულიერ სარ- კეში — თავისი თავის შესაცნობად, შესამეცნებლად, შესან- ჯლრეად, გამოსაფხიზლებლად; ამ ნაბიჯით, მან, თავიც კი გადაედა ფარსიველთა განქიქება-განკითხვისათვის.

თითქოს პიესა თავად შემდგარა სასცენო-საღიქვო ტრიბუ- ნაზე და გვამუნათებს შემცბარ ქართველობას: მერე რაა თუ მარ- თლა სერიოზულს ჯიუტად არ კითხულობ, ევინები საკუთარ თავს და მსუბუქი ვასართობი „შოუებისკენ“ გაგირბის მზერა. რა თქმა უნდა, ასე უფრო იოლია დროის მოკვლა-გატარება, ჟამის გაცილება და ჟამშივე ჩაბარება. და მაინც — და ვითომდა რა- ტომ უნდა არსებობდეს ისეთი ეროვნული საიდუმლო, რომელიც ერის ღირსებისათვის ზიანის მომტანია? და მაინც რას ვფარავთ, ვის ვიფარავთ, რას ვუფრთხილდებით? იმას, რომ არ შეიღაბოს თუ შეიბღალოს ვინმეს ღირსება, მითუმეტეს ქალის?! მაგრამ თუ სიმართლის დამალვა უარესია სიმართლის თქმაზე? იქნებ ესაა სწორედ ჭაშნაგირობა, ფარისევლობა, სიბილწე?! სწორედ ამ ფონზე მალდება ილია ჭავჭავაძე, როგორც მართლად-მართა- ლი და მდაბლდება ის და ისინი, ვისი დამდაბლება მართლა არ უნ- და არც ბერს, არც ერს და, მითუმეტეს, ავტორს. მაგრამ, სიმარ- თლის არა-თქმაც ხომ დანაშაულია და დანაშაული!

და აი, კიდევ ერთხელ გამოჩნდა კაცი და კიდევ ერთხელ ჩაახედა ქართველობა საკუთარი ხელით დაზარულ საკუთარ- რივე სულიერებით სარკეში. თქმა მართლისა სიმართლისაო...

ნინო დეკანოიძე

# ძიების გზაზე არის... მწვერვალებიც

(ბანსილვა გვანცა ჯობავას კოიტური კრებულისა „კარდიოგრამა“)

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ტრადიციული „სამშაბათობა“ დაეთმო ახალგაზრდა მწერალს გვანცა ჯობავას. განიხილეს მისი პირველი პოეტური კრებული „კარდიოგრამა“. ბარემ აქვე ითქვას, საგანგებოდ აღინიშნა მისი სხვა ნივთებიც, ორიგინალური თუ თარგმნილი. და ყოველივე ეს გახლდათ მოსასმენად სასიამოვნო. მის ასაკში, ნიჭიერებასთან ერთად, სიბეჯითე-მუყაითობა ამდაგვარი, თანაც პიროვნება — ყოველგვარი ხელოვნური მანერების გარეშე, თავაზიანობითა და ზომიერი სიმშვიდით დამშვენებული — მართლაც რომ სანთლით საქებარია, მითუმეტეს, ამბიციების უკიდურესი აფეთქების ამ ჩვენს დროში...

ღონისძიება მაია ჯალიაშვილმა წარმართა, ლიტერატურის პროფესორმა და შესანიშნავმა მწერალმა. ამ შემთხვევაში, როგორც კრიტიკოსმა, ორატორული ექსპრესიით გაჯერებულ შესავალ სიტყვაში გამოკვეთა გვანცა ჯობავას ლექსების თავისებურება; უფრო ზუსტად, მისი პოეზიის მომხიბლაობა გაათვალსაჩინოვა:

„...მას აქვს არაჩვეულებრივი წარმოსახვის უნარი, სიტყვის შეგრძნების ნიჭი და შეუძლია გვამოგზაუროს ადამიანის უსაზღვრო სულიერ სამყაროში. ძალიან დიდი სიკეთე, სინათლე და სიყვარული მოედინება მისი ლექსებიდან. ამოიკითხება გულწრფელი სურვილიც, გააღწიოს საგნების მოჩვენებითი ქაოსიდან და აღმოაჩინოს ჰარმონიულობა და კანონზომიერება, რაც რეალურად არის კიდევ სამყაროში. „მე მწამს მეცხრე ცა, მე მწამს მეცხრე ცა“ — დაჟინებით ირწმუნება ლექსში და ასეთი დაჟინება სასიამოვნოდ გადამდებია მკითხველისთვისაც.

პოეტური კრებულის მიმოხილვას მაია ჯალიაშვილმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნიაღვრეობით არ დააკლო და დასძინა: „ძალიან ნიშანდობლივია, რომ იგი მარადიულობის მაძიებელი ადამიანია. სხვადასხვა გზით მიეძინება ეს ძიება, იმიტომ, რომ აქ პოეზიაა და არა რელიგია. თუმცა მწვერვალი ორივესთვის ერთია. ეს არის ღმერთი. რა თქმა უნდა, ამ ლექსებში შეფარული ნაკადებით ცნაურდება ქვემარტობა: ხშირია ბიბლიური ალუზიები, რეზინისცენციები. და ეს ყველაფერი არ ტოვებს ავტორის მარტოოდენ ნივთების შთაბეჭდილებას. ყოველივე საკუთარ სულში აქვს გამოტარებული და არაჩვეულებრივად განცდილი...“

მაია ჯალიაშვილმა საგანგებოდ, როგორც ნიმუში, დაიმონმა ივანე ამირხანაშვილის შესავალი წერილი, ლექსების წიგნს რომ უძღვის: „...შესანიშნავად წარმოაჩენს იმ ღირსებებს, რაც აქვს გვანცას პოეზიას გულწრფელობისა და სისადავის მიღმა არის კიდევ რაღაც სხვა“...

მართლაც, რაც განსაზღვრავს ამ ნივთის შთამბეჭდაობას, ყოველმა მკითხველმა თვითონ უნდა განიცადოს — დასძინა ორატორმა და სთხოვა გვანცა ჯობავას, ლექსები აუდიტორიისათვის წაეკითხა.

ვიდრე თხოვნას შესარულეებს, იტყვის ახალგაზრდა პოეტი: „ორიოდე ფრაზით მინდა გავიხსენო. პირველად ამ დარბაზში ტარიელ ხარხელაურის საღამოზე შემოვედი. უცხო გარემო იყო ჩემთვის და ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რამდენიმე წლის მერე ჩემი ლექსების გასაცნობადაც თუ შეიკრიბებოდა აუდიტორია... მაღლობა ბატონ როსტომს, რომ მისი ჟურნალი თვითონ პოულობს ავტორებს და უხსნის გზას. მართალია ჩემი ლექსები პირველად სხვაგან დაიბეჭდა, მაგრამ აქაურ პუბლიკაციას ახლდა წარდგინება, სადაც პროფესიულად იყო მიმოხი-

ლული ჩემი ლექსები და რაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი გახლდათ ჩემთვის, როგორც შემაგულიანებელი. დღევანდელი შეხვედრისთვისაც მაღლობა „ჩვენს მწერლობას“; და რასაკვირველია — „ინტელექს“, ჩემი ნივთების გამოცემის გამო...

რა თქმა უნდა, დროც დადგა შესაფერისი და გვანცა ჯობავამ რამდენიმე პოეტური ნიმუში წაუკითხა აუდიტორიას; არც დროდადრო გამოუდია თავპატიჟი და იყო კიდევ სასიამოვნო დეკლამატორი თავისი ლექსებისა.

და კვლავ მაია ჯალიაშვილი: „ყველა ნივთი მკითხველისთვის ინერება. ყოველ ავტორს აინტერესებს მოისმინოს აზრი, მითუმეტეს ისეთი ადამიანისაგან, რომელსაც არა მხოლოდ თვითონ სცემს პატივს, არამედ საზოგადოება აღიარებს, როგორც ჩვენი სალიტერატურო პროცესის ბეჯითი თვალმადევი და პირუთვნელ შემფასებელს. ასეთი არის ბატონი როსტომ ჩხეიძე“.

ვიდრე მთავარი მომხსენებელი, ესეის „უხმო ლოცვები“ წაუკითხავს აუდიტორიას, გვანცა ჯობავას სულ ახლახან გამოქვეყნებულ, სამოგზაურო რომანად წოდებულ ვრცელ ნივთს — „Checking“ — ორიოდე სიტყვით დაახასიათებს და მიიჩნევს ძალზე ორიგინალურ, საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებად. როსტომ ჩხეიძემ მიანიშნა: თუ ეს ლექსების კრებული მისი ლირიკული დღიურებია, პროზაული ნივთი არის მხატვრულ-დოკუმენტური დღიური და ამ მხრივაც გამოიკვეთა მისი ნიჭის კიდევ ერთი მომხიბლავი ასპექტი. ხოლო „უხმო ლოცვები“ დღეის ამას იქით რომ ძვირფასი აღმოჩნდება ახალგაზრდა პოეტის ბიოგრაფიაში, ამას ირწმუნებს, რასაკვირველია, ნებისმიერი მკითხველი, ვინც მეტაფორებით გამორჩეულ ესეის გაეცნობა.

ამჯერად მხოლოდ მის დასაწყისს ვთავაზობთ:

კარდიოგრამას ლექსის სათაურად შეარჩევდნენ თუ სულაც პოეტური კრებულისა, ცხადია, მეტაფორად აღვიქვამდით, თუმც ამჯერად ეს სიტყვა რამდენადმე ჰკარგავს თავის მეტაფორულ განზოგადებას და რეალისტური ელფერით უფრო აღიბეჭდება. და ეს იმიტომ, რომ ლირიკული გმირის სიბრალისა და სინაზის ნყალობით მართლაც ფურცელ-ფურცელ გადავშლით და მივადევნებთ მზერას სულის იმ კარდიოგრამას, რაც პოეტის არსების ღრმა ხვეულებს დაუფარავდა და შეუფერადებლად ათვალსაჩინოებს.

ხვეულებს — ბევრგვარი ტკივილით დასერილს.  
ხვეულებს — მარტოობის შემოზღუდულ რკალში მოქცეულს.  
ხვეულებს — უხმო ლაღადისს რაღაც ნათელის მოლანდების მოლოდინში.

ხვეულებს — გათანგულს ლაზარესთან კვლავ და კვლავ შეხვედრის წყურვილით.

ხვეულებს — ქალთევზას გარსიდან თავდაღწევის გზის მარჩვენებლს.

რადღაც მძაფრი და გაუსაძლისი უნდა იყოს შეგრძნება, რომ — ისედაც წარწევისფერი თევზი ხარ და თანაც მივიწყებული ოთახის მთლად მივიწყებულ აკვარიუმში („კარდიოგრამა“).

კარდიოგრამისათვის თვალის გადავლებას მოაქვს ლირიკული გმირის ეს განცდაც და ხილვაც ჩვენამდე, და ის ოცნებაც, ყოველ დღით ზედაპირისკენ მზის ჩამოყრდელ სხივებს რომ ამოჰყვებს და მერე იბრუნოს თავჩაქინდრულ ოკეანესთან ერთად მზის გარშემო, და ხაზოს ტენილებიც, სამკუთხედებიც და ხან ოთხკუთხედებიც, და კარდიოგრამის ფურცლებით გადაეშალოს თვალწინ მთელი სამყარო ათასგვარი დაპირებითაც და საცთურითაც...

აგერ უეცრად ცამაც უნდა გაიღვოს და ქალთევზად გარდასახულ ლირიკულ გმირს თავზე ლაფიც დაასხას?

ვერც შეაკრთობს და, მითუმეტეს, ვერ დათრგუნავს, რაკილა რაღაც საყრდენი მოუპოვებია საკუთარ არსებაში, და ეს საყრდენი რეალობისათვის მზერის გასწორებაა.

ახალგაზრდა ლიტერატორი ადა ნემსაძე, პროფესიული სიცხადითა და დამაჯერებლობით გამოხატავს საკუთარ აზრს „კარდიოგრამის“ შესახებ:

„ეს მოცულობით მცირე კრებული იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რა დიდი, ამოუწურავი და მშვენიერი სამყარო შეიძლება გადაგიშალოს პოეტმა თუნდაც რამდენიმე ლექსით.

ყველანი მგზავრები ვართ, ზოგი მცირე, ზოგი კი უფრო დიდხინანი, თუმცა აქ დროს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, მთავარი ისაა, მგზავრის სიცოცხლე ვისთვისაა განკუთვნილი, მხოლოდ მისთვის თუ სხვებისთვისაც.

გვანცა ჯობავა ლექსში „მგზავრი“ მარადიულ პრობლემებს ეხება და ამავდროულად კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ადამიანად მოვლენებისა და არსებობის გამართლებაზე.

მის ლექსებში მცხოვრები ადამიანი ხანდახან მასხარაა, რომელიც თავს ინიღბავს, რათა თავისუფლების გემო შეიგრძნოს. ხან „მედღეხვალზე ალპინისტია“, თავის მწვერვალს რომ ეძებს დაჟინებით, თუმცა ხან პოულობს, ხანაც — ვერა:

**ალპინისტი ვარ. ვერ ვიპოვე ჩემი მწვერვალი.  
მოვა ლამე და ჩემს გუთანსაც ამიყირავებს.**

მაგრამ პოეტს არასოდეს ავიწყდება, ანუგეშოს უსასრულო ცის ქვეშ დარჩენილი ადამიანი: „**მოდგა ლაზარე, ფეხშიშველი თასით წყალს მიწვის, როგორც უქონელს**“. ცოდვასა და მადლზე ფიქრით დაღლილი, მარტოსული ადამიანის ერთადერთი ნუგეში უფალია ამ სამყაროში, ასე ფიქრობს და განიცდის გვანცა ჯობავას ლირიკული გმირი.

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც მეტაფორის შექმნა შეუძლიაო. ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე ეს პოეტურობის საუკეთესო განმსაზღვრელია. როცა ამაღლებებელ სახეებს ქმნის პოეტი და შენც უნებურად ამ სახეთა ტყვეობაში აღმოჩნდები, ალბათ, გასაკვირი აღარ არის, რომ რაციონალიზმსა და პოეტიკურ ძიებებს თავს ანებებ და უბრალოდ ტკბები ხელოვანის მიერ შექმნილი მშვენიერი სამყაროთი, რომელიც საშუალებას გაძლევს, დაივიწყო მოსაწყენი და უფერული ყოველდღიურობა და ყოფითი პრობლემები. ლექსი „დაგუბებულ გაზაფხულს“ სწორედ ასეთ შეგრძნებებს იწვევს:

**წვიმად დაგუბებულ გაზაფხულს  
ფეხებს შფოთიანი ვუტყაპუნებ,  
გული შევალე და ველარ ვვაბნი  
შიგნით შემოპარულ უმადურებს.**

**სულში დაგუბებულ სიჩუმეებს  
ცაზე რიგრიგობით გადმოგინერ.  
მოდი, ინამე, რომ არც ვყოფილვარ,  
ჰოდა, უჩემობაც არ მოგინევს.**

საოცარი განცდითაა დაწერილი და ასეც იკითხება ლექსი „ხესულისა“. თავიდან ლირიკულად დაწყებული თხრობა ნელ-ნელა აღმავალი რეგისტრით მიდის, მძაფრდება და იყოლიებს მკითხველსაც.

გვანცა ჯობავა ერთნაირი სიძლიერით ქმნის რითმიან და ურითმო ლექსს. მისი ფრაზა რიტმულია აქაც და იქაც, მსუბუქია ყოველთვის, ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობს თუ უბრალოდ საკუთარ ადამიანურ განცდებზე გიყვება. გიბოლავს მისი პოეტური სიტყვათწარმოებაც: „წუხელ მთელი ღამე თოვლიდობა იყო...“ — აქ კომპოზიციის შემადგენელ ფუნქციას გადანაცვლება (დიდთოვლობა/თოვლიდობა) მთლიანად უცვლელ სიტყვას ელფერს. ზოგჯერ გხვდება ეფფონიაც: „**დედა თვალეში დამიშრა, ხელი გამიშვა და გამიქრა...**“ რაც შეეხება რითმას, მის ჯვარედინ თუ რკალურ რითმებში იგრძნობა გემოვნება და ოსტატობა; გამჭვირვალე, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი რითმა მეტაფორასთან ორგანულადაა შერწყმული:

**ჩემი ფანჯრებიდან  
ომობს შემოდგომა,  
შენი ფანჯრებისკენ  
უკვე შემოთოვა.**

დაბოლოს, ბატონ ივანე ამირხანაშვილს დავესესხები და ჩემს წერილს მეც ამ მშვენიერი კრებულის წინასიტყვაობის ავტორის სიტყვებით დავასრულებ: „გვანცა ჯობავა მალე თავისი პოეტური თაობის ერთ-ერთი ემბლემატური სახე გახდება“.

ბევრისმთქმელი იყო პროზაიკოსის, არანაკლებ აღიარებული გამომცემლისა და გემოვნებიანი რედაქტორის **ზვიად კვარაცხელიას** სიტყვით გამოსვლა: „თავდაპირველად მიწდა ჩემი პატივისცემა დავადასტურო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მიმართ. სამართლიანად აღნიშნავენ, ეს არის სარედაქციო ჯგუფი, ბატონ როსტომ ჩხეიძის თაოსნობით, მხარს რომ უჭერს და გვერდში უდგას ახალგაზრდა ავტორებს; არა მხოლოდ ბეჭდავენ მათ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, უფრო მეტიც, ავუღიანებენ მათ მაღალპროფესიული რეცენზიებითა თუ წერილებით, რაც ასე აკლია ჩვენს ლიტერატურულ პროცესს და რისთვისაც დაუცხრომლად იღვწის ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი.

რაც შეეხება გვანცა ჯობავას, მისი წიგნები გამომცემლობა „**ინტელექტის**“ მიერაა დაბეჭდილი და, შეიძლება ითქვას, პირველი მკითხველი მეც ვარ. გადაუჭარბებლად უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებულია ეს პოეტური კრებული „კარდიოგრამა“. შესანიშნავად გაართვა თავი აგრეთვე მან ნობელიანტი მწერლის **სოლ ბელოუს** ურთულესი რომანის — „**მისტერ სამლერის პლანეტა**“ — თარგმნას; ხოლო ახლახან გამოცემული სამოგზაურო ჟანრის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი ნიმუშია მისი, როგორც პროზაიკოსის ნიჭიერებისა.

შეიძლება ითქვას, რომ გვანცა ჯობავა ყველა ამ ნაწარმოებში, თარგმნილსა თუ ორიგინალში, არ კარგავს თავის თავს, არ კარგავს მწერლისეულ ხელწერას, ხედვას, წარმატებულია მისი ყოველი ცდა... რახან აქ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეს პოეტურ კრებულზე, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ მასზე, როგორც მთარგმნელზე. მან სრულიად განსხვავებული ავტორები შესთავაზა ქართველ მკითხველს: სოლ ბელოუს ზემოთ აღნიშნული ურთულესი რომანი — ცნობიერების ნაკადით, შინაგანი მონოლოგითა და უაღრესად რთული ენობრივი პოზიციით გამორჩეული და მის გვერდით საკულტო მუსიკოსის, ყველასათვის კარგად ცნობილი და პოპულარული **ჯონ ლენონის** ექსპერიმენტებით სავსე, პროზაული და პოეტური ნიმუშები. და როცა შეგიძლია სრულიად განსხვავებული ავტორები თანაბარი წარმატებით შესთავაზო მკითხველს, ეს უკვე გამარჯვებაა: ძნელ, მაგრამ ნათელ გზაზე დგახარ...“

ზვიად კვარაცხელიამ აღნიშნა ისიც, რომ გვანცა ჯობავას წიგნები გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში მოექცა. კერძოდ, თარგმანს მოჰყვა დადებითი რეცენზია, აღიარებული და ღვანლმოსილი პროფესიონალის **მედია ზაალიშვილის** მიერ დაწერილი; ხოლო პოეტურ კრებულს — **ივანე ამირხანაშვილის** ლაკონიური და საგულისხმო მიმოხილვა.

ბარემ აქვე ითქვას. ამ ლიტერატურულ საღამოზე არ დარჩენილა თითქმის არცერთი სიტყვით გამოშვლელი, საზოგადოებრივი სიმპათიით არ დაემონუმენტოს ივანე ამირხანაშვილის აღნიშნული წერილი. ასევე დაიმონმა იგი **ზოია ცხადაიამ**, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერმა. ამიტომაც მხოლოდ პოეტურ კრებულზე შემოგთავაზებთ მისი გამოსვლის შემცირებულ ვარიანტს:

„კარდიოგრამა“ არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ტექსტის, არამედ მთელი კრებულის ზოგად სურათსაც გამოსახავს, ცხოვრებისეული ტკივილების კბილანებით, სევდის და სიხარულის, სიმართლისა და უმართლობის, რეალურისა და წარმოსახვითის ზიგზაგებით.

სევდის, მარტობის, მიუსაფრობის, წუთისოფლისგან განზილების თემატიკა არახალია და მარადიული. ამაზე ბევრი დაწერი-

ლა, ინერტობა, დაინერტება და, ამდენად, ძალზე საფრთხილოა მასთან შეხება. გვანცა ჯობავას ტექსტებში მრავლად არის ამგვარი განცდები, საკუთარი ხელნერით, საგანგებო ეფექტების გარეშე.

მისი სათქმელი ხშირად დიალოგის ფორმით გამოიხატება: დიალოგი საკუთარ თავთან, დიალოგი ცხოვრებასთან, დიალოგი სამყაროსთან, დიალოგი მიწასთან, რომელიც უკვირს: „მტკენს შენი მძიმე ნატერფალი, წადი, გამორდი, სხვაგან გადარგე შენი ნაყოფი, სხვაგან ახარე“... „და მესმის ჩემი ნასახლარის ჩუმი ქვითინი“... ცხოვრებასთან შეჭიდების, სირთულეთა დაძლევის სურვილს გამომხატავს სიმბოლურად გუთანს შებმული ადამიანის ვედრება მიწისადმი შენდობის გამოსათხოვად, რათა არ წაიქცეს, არ დაიქცეს, არ წაიშალოს.

ირონია, თვითკრიტიკა, ზოგადად, ადამიანთა გულგრილობა ჩანს ლექსში „დგანან სახლები ზურგით“...

„მე და ჩემი მეზობელი“ ადამიანთა ურთიერთობაზეა. ზოგადი მინიშნებაა შურის, გაუტანლობის, ურთიერთშეჯიბრების, უსიყვარულობის გამოხატვით.

**სიტბო მიწაზე უფრო ცოტაა, ვიდრე გვჭირდება, არ გვყოფნის მე და ჩემს მეზობელს და ამას ერთმანეთს ვაბრალებთ, ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.**

ესაა ირონიული შეფასება ცხოვრების უზნეო წესისა.

წიგნის ბოლო ლექსი „მე თასმინი ვარ“ უკვე საკმაოდ გარდასულის, ტრაგიკული ისტორიის წარმოსახვაა. ძალზე ცხადად, სულ ცოტა — თვითმხილველის გულწრფელ და ღრმად პოეტური განცდით, თანაგრძნობით, უზადო მხატვრული დეტალებით, მძიმე, მაგრამ რეალობის ამსახველი ხილვებით.

...ისე რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს გვანცას ლექსებში მხოლოდ უსიყვარულობაზე, გულგრილობაზე, მარტოობაზე და მსგავს ემოციებზეა საუბარი, რამდენიმე ლექსსაც გადავხედოთ, რომლებშიც ჩანს ამ მიწაზე უკეთესის მაძიებელი ადამიანი.

**და ვეძებ, ვეძებ მარადისობას, არ მინდა ვინამო, რომ ამ მიწაზე ვერაფერს ვნახავ მარადიულს სიკვდილის გარდა.**

ასეთივე განწყობისაა „თოვლიდობა“ თოვლიანი ღამის წარმოსახვით, როცა მშვიდი ძილის ფონს ქმნის ვილაცის თბილი ხელედი. „მჯერა მხოლოდ შენი ხელების, ჩვენი ხილვების, ჩვენი თოვლიდობის, რომელიც უკვდავია, როგორც მარადისობა“.

წინ დიდი გზაა იმისათვის, ახალგაზრდა პოეტმა ეძიოს და აღმოაჩინოს, სიყვარული ყოვლისმომცველი გაგებით“.

და რაც ნიშანდობლივია ჩვენი მსმენელისაგან, ყოველთვის, პროფესიული პასუხისმგებლობით მომზადებული გამოსვლების შემდეგ, უჩნდებათ ხოლმე სურვილი აზრის გამოსახატავად. იმ დღესაც ასე გახლდათ. ამიტომ თავდაპირველად შემოგთავაზებთ მათ გამოსვლებს, წაკითხული რომ ჰქონდათ არა მხოლოდ ლექსების აღნიშნული კრებული, გვანცა ჯობავას სხვა წიგნებიც. რასაკვირველია, მოგახსენებთ მათზეც, ინტერესი რომ გამოხატეს, ნიჭიერი და მაძიებელი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებით გზას კეთილგანწყობით მიაღვეწონ თვალი.

**ინგა მილორავა** — ფილოლოგიის დოქტორი, ლიტერატორი-ესთეტი, მწერალი: „მკითხველის პოეტურ სამყაროში გადაყვანა ნამდვილ პოეტს შეუძლია. მხოლოდ მას ძალუძს გაგრძნობინოს სუნთქვა მარადიულ... მაგალითად, ლექსში „ლაზარე“ შეგრძნებები ძალიან რეალურადაა გადმოცემული, ძალიან ცოცხალია... კრებულში გაერთიანებული სხვა ლექსებიც მძლევს უფლებას, ვთქვა, გვანცა ჯობავა შემდგარი პოეტია“.

**წინა სადღობელაშვილი** — ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე აღიარებული მწერალი თავის ლაკონიურ გა-



გვანცა ჯობავა

მოსვლაში არა მხოლოდ პოეტურ კრებულს მიმოიხილავს, საინტერესო დაკვირვებას გააცხადებს გვანცა ჯობავას სამოგზაურო რომანის შესახებაც...

**მარიამ ნიკლაური** — ცნობილი პოეტი და მოსარჩლე მრავალი ჩრდილში მდგომი ხელოვანისა „კარდიოგრამას“ მიიჩნევს რა ავტორის წარმატებად, მოისაკლისებს, საღამოზე საგანგებოდ რომ არ ახსენებს გვანცა ჯობავას მიერ თარგმნილი და „უსტარის“ მიერ გამოცემული **ანიეტ ქეძელის „მოუსმინეთ შვილებს“**. ანალოგი ქართული წიგნის ბაზარზე არააო — აღნიშნა მარიამ ნიკლაურმა და დაასაბუთა თუ რატომ: რომ ძალიან საინტერესოაა გადაჭრილი ალზრდის პრობლემები, შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობა, ეთნოსისა თუ აღმსარებლობის საკითხები...

იმას, რომ „კარდიოგრამაში“ თავმოყრილ ლექსებს ფაქტობრივად არ იცნობდა და მხოლოდ იქვე მოსმენილს დასჯერდა, ხელი არ შეუშლია ბ-ნ **თემურ ნადარეიშვილისათვის**. საუცბათო ჩანანერები, ანუ ცინცხალი შთაბეჭდილებანი კვლავ ამოაზნეურა თავისი ჯადოსნური „უბის წიგნაკიდან“. კვლავ საინტერესოდ დაიმონმა ბიოგრაფიული ეპიზოდები მსოფლიო გენიოსების — მწერლებისა თუ ფიზიკოსების — ცხოვრებიდან. ისაუბრა პოეტური მეტაფორებისა და ზუსტი მეცნიერების ფორმულების პოეტურ მსგავსებაზე... მოიხონა გვანცა ჯობავას ლექსებში დიალოგური სტილი ცხოველმყოფელობის გამო და აგრეთვე იმიტომაც, მონათესავეა ჩემი „სულის ფოტოგრაფიებისაო“ (იგულისხმა მისეული „ჩანანერები“ დროდადრო დაბეჭდილი პრესაში და რასაკვირველია „ჩვენს მწერლობაში“...

**გურამ პეტრიაშვილი** თავისი მართალი სიტყვა გვანცა ჯობავას იმ ნათარგმნ წიგნზე ააგო, ჯონ ლენონის ცხოვრებას რომ მიეძღვნა... და რასაკვირველია, ბუნებრივი პარალელებით ქართული სინამდვილე, უახლესი, მაგრამ უკვე ისტორია, ნოსტალგიურად წარმოაჩინა... თანაც მადლიერება გამოხატა მთარგმნელისადმი, სიცოცხლის ხალისის საიდუმლო ამომაცნობინეო... გამორჩეულად სუფთა და მდიდარი ბიოგრაფიის მწერალს კვლავ არ გასჭირვებია ხალხით საესე დარბაზის ყურადღება მოეპოვებინა, გნებავთ ხალისიანი სიტყვით, გნებავთ „მწვავე მხილვებით“...

როგორც ექიმმა, ბ-ნმა **ლევან ქურციკაშვილმა** თავისი დაკვირვება გააცხადა პოეტური კრებულის „კარდიოგრამის“ შესახებ.

და რასაკვირველია, ითქვა საუკეთესო სურვილებიც, იყო მრავალი შეკითხვა და გვანცა ჯობავას გულწრფელი პასუხები.

...თუნდაც თავგასართმევად ლოგიკური დასასრულისა, ისედაც გაჭიანურებულ ამ მასალაში დროულად რომ დაისვას წერტილი, შემოგთავაზებთ ახალგაზრდა მწერლის ერთ-ერთი პასუხიდან წინადადებას: „...ეძღვნება მამას, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში“.

ნათელა არველაძე

# ოჯახიშვილობის მადლი

მსახიობი რეზო ხობუა სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ. გზებით უყვარდა სამშობლო, მშობლები, თეატრი, მეგობრები და... მთელი არსებით ეტრფოდა იას! იას და რეზოს ურთიერთობა დღემდე შემორჩა თეატრალურ საზოგადოებრიობას, როგორც ერთგულების სიმბოლო. რეზო დაფეთებული მამა გახლდათ! მათ სიამტკბილობით გამორჩეული ოჯახი შექმნეს. ჩვენს სინამდვილეში მარჯანიშვილის თეატრის გვერდით შენობას სხვა ხიბლიც ჰქონდა. იქ კიდევ ერთი ტრადიციული, მყარი, სათუთი დამოკიდებულებით გამორჩეული ოჯახი „ბუღბუღა“. მათი მადლით აღვსილი ბინის კარი დღენიდად ღია იყო ახლობლებისათვის, ნათესავ-მოყვრებისათვის, კოლეგებისათვის. შვილებმა, ხათუნამ და გიორგიმ, მშობლების პროფესია აირჩიეს. ისინიც ნათესავ-მეგობრებზე გადაგებულნი არიან, მათი მყუდრო ბინაც გახსნილია ყველასთვის, ვინც რჩევა თუ დახმარება სჭირდება.

როცა ვფიქრობ, რით შეუძლია გაამდიდროს საქართველომ მსოფლიო თანაცხოვრება, უწინარესად ოჯახის ცნება ამომიტივტივდება გონებაში. ჩვენი დროების გულცივობის, პრაგმატიზმის, დროის უკმარისობის ეპოქას ისევ ძლიერი, ურთიერთობატივისცემისა, სიყვარულისა და ურთიერთშესვენის ნიჭით შეკავშირებული ოჯახი თუ შეაძლებინებს ადამიანს გაუძლოს პოსტინდუსტრიულ რიტმს, კაპიტალის კულტს, ადამიანობისაგან გაუცხოების სისასტიკეს. ხობუების ოჯახი დღესაც ხალხმრავალია: შვილებით, შვილიშვილებითა და მეგობრებით აღვსილი დიდი ჯალაბობა, ახლაც სიკეთეს გასცემს უღუკვად და უშურველად.

მიუხედავად იმისა, რომ იას ჯანმრთელობა შეერყა, ამ დიდი „გემის კაპიტანი“ მაინც ის არის, იუმორითა და სკაბრეზული შეახილით ამხნეებს ყველას. იამ დიდბუნებოვნებით, სიქველთა და სულის სიძლიერით დაჯაბნა კიდევც სენი და გამძლეობის იშვიათი მაგალითი გვიჩვენა ყველას. უთუოდ ოჯახმა და ექიმებმა შეაძლებინეს სიკვდილისთვის არაერთგზის ჩახედა თვალებში და გამარჯვებულს ან მერამდენედ ეთქვა: გადავრჩი!

რეზო ხობუა სიკეთით, იუმორით, თავდაუზოგავი გარჯით გამოირჩეოდა. სცენაზეც და ცხოვრებაშიც მისი გამოჩენა, მხიარული შეძახილები, ოინბაზობა, კურიოზები საყოველთაო სიცხლ-ხარხარს იწვევდა. მახსოვს რუსთავის თეატრი რომ გაიხსნა, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ წარმოადგინეს. რეზოს პერსონაჟის რეპლიკამ — ეს რა საზოგადოება გვეწვია პარიზიდანო, მისმა ინტონაციამ, ჟესტმა და მიმიკამ ისეთი რეაქცია დაბადა დარბაზში, რომ თბილისიდან ჩასულმა თეატრალურმა „ბომონდმა“ თავი ვერ შეიკავა და... დიდხანს ჭექდა ტაში, სიცილი ხარხარში გადაიზარდა... ასე დაიწყო ახალგაზრდულმა დასმა თავისი ცხოვრება ხელოვნებაში.

დიდი ზარზემით მიიღეს სპექტაკლი. დღესასწაული გაიმართა კულისებში. მსახიობები, მონაწილეები, სტუმრები, მყურებლები ერთმანეთს ეხვეოდნენ. რეზო სცენაზე მდგარა და

გაბრწყინებულს უთქვამს: „რა ბედნიერი იქნება ის, ვინც პირველი წავა ამ თეატრიდანო“. როგორი წინათგრძობა ჰქონია — რუსთავის თეატრიდან პირველი წავიდა თავად რეზო ხობუა! დიდი გლოვით გააცილეს რეზო უკანასკნელ გზაზე ოჯახმა, თეატრმა, მეგობრებმა, ნათესავებმა, მაყურებელმა...

ია ჩემი მეგობარია ინსტიტუტის წლებიდან. ამიტომაც ისევ ქალიშვილობის გვარით მოვიხსენიებ ხოლმე. რეზო რომ გამაცნო, მისთვის ვერ გავიმეტე ჩემი მეგობარი. მერე რეზო რომ შემხედებოდა, მარჯვენა ხელს რომაელივით ასწევდა და მეტყუდა: შენი დაწვლული სიძე გესალმებაო, და გულიანად გაიცინებდა. ია მასთან ბედნიერი იყო და თანაც ახლობლად მივიჩნევდი.

ადრინადა დაქვრივებულმა იამ ოჯახის გაძლოა იტივტივა. ზრუნავდა თავის ორ შვილზე, რეზო დედაზე, მის ნათესავებზე, ძმებსა თუ შოკეთებსაც პატრონობდა. ასე რომ, მისი ხასიათის მარცვლი, ცხოვრების მთავარი თემა — ერთგულებას! თეატრსაც უერთგულა იმიტომ, რომ სცენის ტრფიალია, თუნდაც იმიტომ, რომ რუსთავის თეატრი მისთვის რეზოს დანატოვარიცაა. რეზოს უეცარი გარდაცვალება არამარტო ოჯახის, ნათესავ-მეგობრების მოუშუშებელი ჭრილობაა, არამედ რუსთავის თეატრისთვისაც. რეზოს სიცოცხლეში, ასე მგონია, ამ თეატრის ყოფა ასეთი არ იქნებოდა... ნებისმიერი მსახიობისთვის თეატრი მეორე ოჯახია. იამაც ასე იცხოვრა — ორ ოჯახზე ფიქრით. ამიტომაც ჩვენი ყოველი შეხვედრა თეატრზე საუბრით იწყება და მთავრდება კიდევ. ია მახვილგონიერი და სასიამოვნო მოუბარია. ახლა თავის ცხოვრებას იხსენებს...



ია ხობუა — ოთარანთ ქვრივი (რუსთავის თეატრის სპექტაკლიდან)

## საკუთარი ოჯახი. არჩევანი.

ია სოხუმელია. მამამისი, აკაკი ბოკუჩავა, ანუ მამა კაკო, როგორც მას თეატრში მიმართავდნენ, საინტერესო მსახიობი იყო, ყველაზე ზრუნავდა და ეხმარებოდა. დედა — ქირურგი გახლდათ, მარგარიტა ჭელიძე. ხელგაშლილად ცხოვრობდნენ. იას სოხუმის ხსენებაზე თვალში ცრემლი აუკიაფდა:

„არამარტო მსახიობის ოჯახში აღვიზარდე, არამედ თეატრშიც! პირდაპირ კულისებში! ასე ვიყავით მსახიობის თეატრში, ვმეგობრობდით. გასული საუკუნის შუა წლებიდან სოხუმის დრამატული თეატრი სცენის ნიჭიერი ოსტატებით გამორჩეული დასი იყო. ბრწყინავდნენ: თინა ბოლქვაძე, სალომე ყანჩელი, მარინე თბილელი, ფლორა შედანია, ბუხუტი ზაქარიაძე, მიშა ჩუბინიძე, კუკური ლაფერაძე, ოთარ კობერიძე, მერე შესანიშნავმა ახალგაზრდობამ შეავსო დასი — ასე რომ, მაღალი რანგის სასცენო ხელოვნებას ბავშვობიდანვე ვეზიარე. მთელი დასი ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. შავი სიზმარი მგონია, რაც გადაგვხვდა. სიყვარული არავითარი დაძაბული ურთიერთობა არ მიგრძენია. მრავალეროვანი ქალაქი კეთილგანწყობით ცხოვრობდა. ქართველი მსახიობების მხარდაჭერით აფხაზური დრამაზე გადაკეთდა პროფესიულ თეატრად. სიამტკბილობით ვცხოვრობდით მსახიობთა სახლშიც და თეატრშიც, ერთ შენობაში ორი დასი, ქართველებისა და აფხაზებისა, დგამდნენ სპექტაკლებს. ვერ ვაცნობიერებ, როდის დაიწყო დაპირისპირება. მეორე მსოფლიო ომის დროს ნოვოროსისკიდან გემები ჩამოდიდნენ, დაჭრილები მოჰყავდათ. მთელი ქალაქი პატრონობდა მათ. საერთო სატიკვარმა და გაჭირვებამ კიდევ უფრო გაგვავრთიანა. მეორე ომს, სისხლიან დაპირისპირებას რომ ვიხსენებ, გული მეკუმბება: აბა, წარმოიდგინე — ძმები, მეგობრები,

მეზობლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ჩემმა უფროსმა რძალმა, გალინამ, ქართველებს უპატრონა, გვამებს თავისი სახლის სარდაფში მარხავდა, მათი საბუთები თბილისში ჩამოიტანა და მთავრობას გადასცა. რეზოს გარდაცვალების შემდეგ ასეთი დიდი ტრავმა არ განმიცდია. ეს არის ჩვენი საერთო მოუშუშებელი ჭრილობა, მნამს — აფხაზებისთვისაც. ჩვენ ხომ ერთ ფესვზე ვართ ამოზრდილები! ჩვენი ინსტიტუტი ამ ერთობის, ამ თანაცხოვრების სანიმუშო მაგალითი იყო. ხომ გახსოვს, როგორ ვსწავლობდით, როგორ ვმეგობრობდით ყველანი“.

**საინსტიტუტო ოჯახი. მემოირები.**

გასული საუკუნის 60-იან წლებში თეატრალური ინსტიტუტი პატარა სახელოვნებო სასწავლებელი გახლდათ. დაახლოებით 150 სტუდენტი და ამის ნახევარი პედაგოგები ერთიან გუნდს ვქმნიდით. აფხაზური და ოსური, ჩეჩნური თუ ადიღური ჯგუფის სტუდენტები ისე ვმეგობრობდით, ისეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა, მართლაც ჩამოშვავდა ოჯახურ სიამტკბილობას. ეს იყო მრავალეროვანი საზოგადოებრივი ყოფის ერთგვარი სიმბოლო.

ია პაუზის შემდეგ განაგრძობს:

„თეატრალურ ინსტიტუტშიც ოჯახივით ვცხოვრობდით. დიდიდან საღამომდე, ზოგჯერ გვიან ღამემდეც ინსტიტუტში ვიყავით, ოსტატობის ლექციები, მერე სხვა საგნების ლექციები, მერე რეპეტიციები. საერთო საცხოვრებელში მხოლოდ დასაძინებლად მივდიოდით. თითქმის ასე ვცხოვრობდით. სასაცილო ამბავი გადამხდა მისაღებ გამოცდებზე. მამაჩემი მკაცრი კაცი იყო. არ მიიღო ჩემი არჩევანი და მოსკოვში ჩავაბარე საბიბლიოთეკო უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ მსახიობობაზე ოცნებას არ ვეშვებოდი. გზაც კი არ ვიცოდი ვიტისისკენ (საკავშირო თეატრალური უმაღლესი სასწავლებელი). ჩემმა თანაკურსელმა იაკუტელებმა გაიყვანეს მისამართი და წამიყვანეს. ადრე აცივდა, იაკუტელთა ბენვის ქუდასა და ჩექმებში გამოწყობილმა შევალე ინსტიტუტის კარი. გრძელი კინიდან მალალი კაცი ჩამოდიოდა. მას მივმარტე — მსახიობობა მინდა-მეთქი. ღიმილით მიყურებდა და მიპასუხა: ახლა მისაღები გამოცდები დასრულებულია. უკვე სწავლაა დაწყებული. მე ჯიუტად ვიმეორებდი — მსახიობობა მინდა და მორჩა! თურმე იაკუტელი ვეგონე. ერთ აუდიტორიაში შემიყვანა. ნავიკითხე ტატიანას წერილი ევგენი ონეგინისადმი. პუშკინი ჩემი საყვარელი პოეტი. ეტყობა მოეწონა, გამესაუბრა და მირჩია — იარე ლექციებზე, იანვარში ჩააბარე გამოცდები სხვებთან ერთად და, თუ კარგად წარმოაჩენ თავსა, მიგიღებთო. სულ ფრენა-ფრენით დავბრუნდი საერთო საცხოვრებელში. მერე გავიგე — ეს მალალი, სანდომიანი კაცი სახალხო არტისტები იყო — იური ზავადსკი, ვახტანგოველიანი ლეგენდარული სპექტაკლის, „პრინცესა ტურანდოტის“, პირველი კალაფი. საბიბლიოთეკო ინსტიტუტი გარეუბანში მდებარეობდა. გზის ფული კი მოზომილი მქონდა. ვერ ვესწრებოდი ვიტისში ლექციებს. იანვარში ჩავაბარე პირველი სემესტრის გამოცდები, ჩამოვედი სოხუმში და აღარც დავბრუნებულვარ საბიბლიოთეკო ინსტიტუტში.

ისევ მსახიობობაზე ვოცნებობდი. მამაჩემის კოლეგები ჩემი გულშემატკივრები იყვნენ. ბოლოს და ბოლოს მამაჩემიც დამთანხმდა. ბუხუტი ზაქარიაძემ მასწავლა, როგორ წამეკითხა ლექსი, პროზა, იგავ-არაკი. მაშინ თეატრალური ინსტიტუტის მისაღებ გამოცდას თითქმის მთელი პედაგოგიური შემადგენლობა ესწრებოდა. ვაკეთებ ეტიუდს გივი ვეფხვაძესთან ერთად. არ უნდა გავუშვა ოთახიდან, ვეჭიდავები. არ ვიცი, როგორ ვაკეთებ, მესმის, კომისიის წევრები იცინიან. მეტისმეტად გულუბრყვლო ვიყავი, მეწყინა, რომ იცინოდნენ, შევუბღვირე: რას იცინით-მეთქი. ამაზე უფრო მეტად იცინეს. ასე ხარხარით მოგვგდი თეატრალურ ინსტიტუტში. ჯერ დიმიტრი ალექსიდის ჯგუფში ვიყავი, მერე ლილი იოსელიანთან, მერე საშა მიქელაძესთან. ვთამაშობდი ბევრს საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებში,



რეზო ხობუა — ძვირი (ფილმიდან „მაცი ხეცია“)

სტუდენტი-რეჟისორების დადგმებშიც ვმონაწილეობდი. ვითამაშე ტატიანა ვიქტორ როზოვის პიესაში, ანტონ ჩეხოვის „ხელის თხოვნაში“ ვთამაშობდი სოსო გოგიჩაიშვილთან ერთად, გურამ ფვანია იყო რეჟისორი. თემო აბაშიძემ დადგა პუშკინის „ქვის სტუმარი“, ნუგზარ ანდელუაძესთან ერთად შევასრულე ლაურას როლი პროსპერ მერიმეს კომედიაში. ვითამაშე დავით ცისკარიშვილთან, მთავარი როლი შევასრულე ნიკა ჯანდიერის საკურსო სპექტაკლში, ივან ტურგენევის „პროვინციელი ქალი“. ლერი პაქსაშვილმა დადგა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“, ვითამაშე თამრო. არტურ მილერის „სელიემის პროცესში“ აბიგაილი ვითამაშე. საშა მიქელაძის სადიპლომო სპექტაკლს წარმატება ხვდა წილად. ძალიან მომწონდა აბიგაილის როლი“...

იამ ინსტიტუტიდანვე მიიპყრო ყურადღება. იგი სასიამოვნო გარეგნობით, პიროვნული კულტურით, სასცენო მომხიბვლელობით, პლასტიკურობით, გონიერი და ტემპერამენტიაში შესრულებით გამოირჩეოდა. მისი პერსონაჟები ინსტიტუტის პატარა სცენაზე წრფელი განცდითა და მახვილი შეფასებებით, ხატოვანი გამოსახვის საშუალებებითა და მკაფიო მეტყველებით ჭიაკოკონასავით გიზგიზებდნენ და იზიდავდნენ მაყურებლებს. მაშინ ჩვენი ინსტიტუტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, სპექტაკლებს, გარდა თეატრალური საზოგადოებრიობისა, ქალაქის რჩეული საზოგადოებაც ესწრებოდა. მისი თამაშით მოხიბლული მიხეილ თუმანიშვილის რეკომენდაციით, ია რუსთაველის თეატრში მიიწვიეს ჯერ კიდევ სტუდენტი, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება...

ია ხალისით იხსენებს თავის ჯგუფს:

„შეკრული, ძალზე მოყვარული და ერთგული მეგობრები ვიყავით. ვაუბრე ნამდვილი რაინდული ქცევით გამოირჩეოდნენ. რამდენიმემ — ძველი ტრადიციისამებრ — მმადნაფიცობის რიტუალიც კი ჩავატარეთ. იყო რაღაც საკრალური, ნაიფური, ბალური, გულითადი გულუბრყვილობა ჩვენს ურთიერთობაში.

პედაგოგები ჩვენი მეგობრებიც იყვნენ, მასწავლებლებიც, მრჩეველებიც. ასე მგონია, საინსტიტუტო ცხოვრება ჩამოშვავდა ოჯახურ ყოფას...“

**თეატრო ოჯახი. რეზო.**

ია — აკაკი დვალისვილის მოთხოვნით — მარჯანიშვილის თეატრში გაანაწილეს. იგი მარჯანიშვილელთა თეატრალური ოჯახის წევრი გახდა. იქ კი, გარდა უფროსი თაობისა, ახალგაზრდების მზრუნველობის ობიექტიც აღმოჩნდა. მისი თავგადაკლული გულშემატკივარი რეზო ხობუა გახლდათ.

ია სიცილით მეუბნება:

„ხომ იცი, რეზო როგორი ონავარი იყო, მაგრამ ჩემთან სერიოზულად ეჭირა თავი. როცა ვთამაშობდი, კულისებში იდგა და მიყურებდა. თეატრში, ქუჩაში, სხვადასხვა შესხედრაზე სულ მის





ია ხობუა — კეკელა (ფილმიდან „ბაკულას ღორები“)

მზერას ვგრძნობდი. თუ გადაღებაზე იყო, მაშინ მისი მეგობრები მაცილებდნენ თეატრიდან შინსაკენ: თენგიზ არჩვაძე, ჯემალ გაგნიძე, გიზო სიხარულიძე, კოტე თოლორაია. მიკვირდა, ეს ხალხი რას დამყვება-მეთქი. რეზო და მისი ახლობლები სულ თან დამყვებოდნენ. სულ რეზოს გარემოცვით ვცხოვრობდი. შევეჩვიე, მომწონდა კიდევ ასეთი ყურადღება, მაგრამ... ერთხელ სესილია თაყაიშვილმა თავისთან მიხმო: „შვილო, გეუბნები, კარგი ბიჭია, ნამდვილ სიყვარულს ნუ დაკარგავ“. გულში ჩამრჩა მისი სიტყვები. ერთ დღესაც გასვლითი წარმოდგენიდან ვბრუნდებით, მანქანა რეზოს სახლთან გააჩერეს. ქალბატონი სესილია მარიგებს: „კარგი ახლა, ნუ ჯიუტობ, გადადი მანქანიდან და გაყვი რეზოს“. ასე აღმოვჩნდი მის ბინაში.

რეზოს არაჩვეულებრივი დედა ჰყავდა. თბილად მიმიღო, სულ მეხვეოდა და მეფერებოდა. მეორე დღეს წერილი მომანერჩინა მშობლებთან. თვითონ მიკარნახა ტექსტი: „საყვარელო დედა და მამა. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, ძალიან მიყვარს ჩემი ძმები, ედიშერი და ავთანდილი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე... გადავწყვიტე გავთხოვდე...“ ორ დღეში დეპეშა მივიღე: „არაფერი ქნათ. მოვფრინავთ“. მამა და ედიშერი ჩამოფრინდნენ.

ჩვენი შეხვედრა მამიდაჩემთან მოხდა. რეზოს ვთხოვე, კობტად გამოეწყე და ისე მოდი-მეთქი. ველოდებით. კარი გაიღო და შემოვიდა რეზო: აქოჩრილი თმით, თითქოს ყალყზე იყო შემართული, დახეული შარვლითა და მონგრეული ძველი ფეხსაცმლით, თითქოს მდედარი მოსდევდა. თეატრის გარდერობიდან წამოიღო მისი ერთ-ერთი პერსონაჟის სასცენო კოსტიუმი. ასე გამოწყობილმა ითამაშა სასიძოს როლი. გაიძახოდა: ერთი ძალი მგავს, ისიც ცალი თვლით ბრმაო. ასე სიცილ-ხარხარით წარუდგინე ჩემი ქმარი ჩემიანებს. სითბო, სიკეთე, სიყვარული, იუმორი იყო მისი ხასიათის ძირითადი თვისებები. ასე ეპყრობოდა ჩემიანებს, მათაც ძალიან უყვარდათ რეზო. მე ხომ თან მყვებოდა...

ასე სიყვარულითა და პატივისცემით გავატარე არასრული ექვსი წელი. მანებივრებდა, როგორც პატარა ბავშვს, მექცეოდა როგორც დედოფალს. ხათუნა რომ გაჩნდა, აღზრდაშიც მესმარებოდა, ფაფასაც კი უხარშავდა, როცა რეპეტიციოზე მაგვიანდებოდა. გიორგი რომ გაგვიჩნდა, სულ შეიშალა, დაფეთებული მამა იყო. როცა გავთხოვდი, პატივს ვცემდი, მერე კი შემეყვარდა... შეუძლებელი იყო არ შეგყვარებოდა. ხომ იცი, როგორ გარდაიცვალა — ხელში გიორგი ეჭირა... უცბად მომიბრუნდა, მითხრა, გამომართვიო, და ზედ დამემხო. ჩემს მხარზე დალია სული...

ჩვენ კიდევ ერთი ოჯახი გვქონდა: რუსთავის თეატრი. წარმოდგენელი ენთუზიაზმით იქმნებოდა საქართველოში კიდევ ერთი თეატრი — ახალგაზრდული დასით. გიგა ლორთქიფანიძე იყო ჩვენი წინამძღოლი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნოდარ მგალობლიშვილი, გიზო სიხარულიძე, სოსო გოგინაიშვილი, ლეო ანთაძე, მალხაზ გორგილაძე, ჯემალ გაგნიძე, ზაზა ლებანიძე, გურანდა გაბუნია, ქეთინო კიკნაძე და სხვები, ყვე-

ლას ვერ ჩამოვთვლი... ჩვენ მართლაც ერთი ოჯახი ვიყავით. დილით ავტობუსით მივემგზავრებოდით რუსთავს. რეზოს ხუმრობებს, ანეკდოტებს, ოხუნჯობას ბოლო არ უჩანდა. ასე სიცილ-ხარხარით ჩავდიოდით ქალაქში. იქ კი, რეპეტიციის შემდეგ, თავდაუზოგავად ვსაქმიანობდით, რეზო ფარდებსაც კი კერავდა, სხვებიც ასე კემსავდნენ, რანდავდნენ, ლებავდნენ დეკორაციას, კოსტიუმებს, აქსესუარებს. მსახიობებს შინიდან მოგვექონდა ნივთები — რეკვიზიტისათვის, ქსოვილები — კოსტიუმებისათვის. გვიან ღამით უკან ვბრუნდებოდით. რეზოს ადგილი მძლოლის გვერდით იყო. მთელი გზა გამაოგნებელ ამბებს გვიამბობდა, კურიოზებს იხსენებდა, ანეკდოტებს ჰყვებოდა, გვამხიარულებდა ჩვენც და განსაკუთრებით მძლოსს, რომ არ ჩასძინებოდა. მაყურებლის გულმხურვალე შეხვედრები გვიათმავებდა ძალას. რა სპექტაკლები გვქონდა! ბატონი გიგას დადგმები: „სირანო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის წინათ“, „ფსკერზე“, „თეთრი ბაირალები“... დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოტია იოსელიანის კომედიის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ იური კაკულიასეული ინტერპრეტაცია. გივი ბერიკაშვილის ჩინებული შესრულებით მიტუა იქცა არამარტო რუსთავის, არამედ მთელი ქართული თეატრის მიღწევად. მე ვთამაშობდი ნინელის. ჩვენი დუეტი მართლაც საინტერესო იყო და სიამოვნებას ვიღებდით თამაშით გივიც, მეც, მსახიობებიც და მაყურებელიც.

მერე დაიშალა დასი. ბევრი მსახიობი დაუბრუნდა მარჯანიშვილის თეატრს. თავად რუსთავში დავრჩი, იქ რეზოს სული ტრიალებდა, გვარიც კი გამოვიცვალე — ია ხობუა გავხდი, მინდოდა ამ თეატრის აფიშას შერჩენოდა ხობუას გვარი! მერე მე ავად გავხდი, დავტოვე თეატრი...

\*\*\*

ერთი შეხედვით ია და რეზო ხობუები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ყოფაში რეზო ონავარი, ხმაურიანი, როხროხა, აზარტული, იუმორით აღსავსე პიროვნება გახლდათ. ია უფრო მშვიდი, გარეგნულად უფრო დინჯი ჩანდა, მის ქცევას სიმორცხვის ელფერიც დაჰყვებოდა, თვინიერიც გვეგონა, მაგრამ ამ „განონასნორებულ“ ფსადაში მაინც ილანდებოდა შინაგანი ძალა, მოუთოკავი ტემპერამენტი, აზრის სიმახვილე. მიუხედავად იმისა, რომ ია სკაბრეზულ გამოთქმებსაც მიმართავს, მას ეს „მოურიდებლობაც“ შეენის, რადგანაც პიროვნული კულტურა ხელშესახებად ვლინდება მის ქცევასა და საუბარში. ია მართალი ადამიანია, პირფერობა არ შეუძლია, მლიქვნელობა მით უფრო! ორივეს კი საერთო ჰქონდათ უღვევი სიკეთე, კეთილშობილება, პირდაპირობა, სხვათა მიმართ წრფელი, უანგარო მზრუნველობა.

რეზო სცენაზე მჩქეფარე, შმაგი, თამამი, ბერიკული სანახაობის იმპროვიზაციული მუხტით აღსავსე არტისტი გახლდათ. მისი აზარტული თამაში ვლინდებოდა სცენაზეც და ეკრანზეც. მისი როლები: გოსტამბაზი („კახაბერის ხმალი“), სასტუმროს მფლობელი („სირანო დე ბერჟერაკი“), სოფლის მასწავლებელი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) და სხვა. ამის ჩინებული დადასტურებაა. ია უფრო ნატიფი გამოსახვის ფორმებით, ემზიანი შესრულებით, სასცენო მიმზიდველობით გამოირჩევა. საერთო კი ჰქონდათ სცენის ტრფიალი, თავდაუზოგავი მუშაობის უნარი, მგზნებარე ტემპერამენტი. ოღონდ ისაა, რომ რეზო რისკიანად, თამამად უხსნიდა „მჩქეველს“ აზვირთებულ ტემპერამენტს. ია კი კოპნია, ლაზათიანი გარეგნული პარტიტურით ავლენდა შინაგან მოგიზიგზე სიმშაგეს. ეკრანზეც და სცენაზეც მათ შესრულებას ნამდვილობა, გრძნობათა სინრფელე და სიზუსტე ახასიათებდა. რეზო უფრო გროტესკული, ხასხასა, მკვეთრი ფერებით ქმნიდა პერსონაჟის პორტრეტს, იას გამოსახვის ფორმებში უფრო იმპრესიონისტული ფერები ჭარბობდა. ისინი ავსებდნენ ერთმანეთს ცხოვრებაშიც, სცენაზეც, ეკრანზეც.

ამ წყვილს კი უპირველესად ოჯახიშვილობის მადლიც გა-

# ერთი მწერლის ექვსი პიესა

ნინო ვახანია

## ყოვლისმოცველი სიყვარულის აკოთეოზით

(თამაზ ბაძაღუას  
თანამედროვე დრამები)

თამაზ ბაძაღუას ორი პიესა („ლუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ და „ძველი როიალი“) თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწერილი ეს პიესები, როგორც გასაკვირიც უნდა იყოს, ძალიან თანამედროვედ უღერს დღესაც. ბევრი რამ მათში წინასწარმეტყველურია, თანაც მარტო საკუთარი კი არა, ქვეყნის ბედია წინასწარ განჭვრეტილი და დანახული.

ორივე პიესას მსჭვალავს მძაფრი განცდა სიცარიელისა. მოქმედი პირები თითქოს უპაერობისაგან, უმოქმედობისაგან, უსივრცობისაგან, სიცარიელისა და არაფრობისაგან იხრჩობიან, იგუდებიან. დაკარგულია ცხოვრების მიზანი — წინ, მომავალში არაფერი ჩანს...

ორნაწილიან პიესაში „ლუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ მოქმედება პატარა ზღვისპირა ქალაქში მიმდინარეობს (დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალაქი სოხუმი). ავტორისეული რემარკები ძალიან მწირია ორივე პიესაში, მაგრამ სავსებით საკმარისი ვითარების სრულად დასახატად და წარმოსადგენად. ეს ხერხი (მწირი რემარკები) თურმე ახლა მკვიდრდება დრამატურგიაში. მშვენიერ შესავალ წერილში ირაკლი სამსონაძე რამდენჯერმე დანანებით აღნიშნავს: მაშინ, როცა ეს ნაწარმოებები იწერებოდა, ახალგაზრდები თეატრს კარგად არ ვიცნობდით, მას უფრო პარტიკულიდან აღვიქვამდით და ამიტომ ბევრი რამ (დრამატურგიული ხერხი) არ ვიცოდითო. უნდა ვთქვა, რომ ალბათ, იმიტომ, რომ მეც პარტიკულიდან ვიცნობ თეატრს (ან იქნებ ობიექტურადაც) რაიმეს არცოდნა ამ პიესებში არ შემიმჩნევია. პირიქითაც, მეჩვენება, რომ უაღრესად დახვეწილი, კომპოზიციურად შეკრული სასცენო ნაწარმოებებია და მათი დადგმაც სავსებით შესაძლებელი (და საჭიროც) მგონია.

ერთ-ერთ მოქმედ პირად ორივე პიესაში წვიმა შემოდის და სიმბოლურ-მეტაფორულ დატვირთვას იძენს. ერთი მხრივ, იცი, რამდენი ლექსი დაუნერიათ წვიმაზე?... წვიმაში არავის ვერჩი... — მეოცნებე-რომანტიკოსთათვის. მეორე მხრივ, — ცოდვანა კაცი ამ წვიმაში, სანაპირო ცარიელია, წვიმა ჩამოვა და ავეჯს გააფუჭებს, — პრაგმატიკოსთათვის.

გარეთ კი წვიმს და ხეს წყალი გულამდე ჩასდის. ხის კი არა, ადამიანთა გულებიც დახურულია ერთმანეთისთვის, ხის ვერდანახვა, ვერშემჩვენა რა ბედენაა.

ქართულის მასწავლებელი, ფილოლოგი ბონდო, რომელსაც ცხოვრებაზე გული გატეხია, ახალგაზრდული ოცნებები ჩაფერვლია, მასწავლებლობა მიუტოვებია და სხვა რა უნდა ქნა მოწყენილ ქალაქში? — სვამს. ლოთია. არადა, მიზეზი ასეთი გარდაქმნისა „საპატიოა“ — ოცი წელია მის არცერთ მოს-

წავლეს ფილოლოგიურზე არ ჩაუბარებია. ვერც ლექსი შეაყვარა ვერავის, ვერც მოთხრობა, ვერც სამშობლო, ვერც სული გაუკეთილმობილა და უანგარობა ვერ მოაწონა. სპორტსმენები არიან მისი ყოფილი მოსწავლეები, უცხოური მანქანებით, ფულით, საზღვარგარეთ მოგზაურობით გალაღებულნი. ვისაც ამ სიამეთათვის ვერ მიუღწევია, მას ნატრობენ და ცხოვრების მიზნადაც მხოლოდ ამქვეყნიური (წერილმან-მსხვილმანი) წარმატებანი დაუსახავთ.

ვის რაში სჭირდება შენი განათლება, კინო მირჩვენია, სეირნობა მირჩვენია, — თამამად ამბობს განათლებული მშობლების, ინტელიგენტების შვილი ინგა. ახალგაზრდას კი ხშირად ვერ უგებენ მშობლები და მოდაზე თამამოშვებული ბიჭი გოგოს დედას შეიძლება პაპუასად მოეჩვენოს. ეს უმტკივნეულო გაუგებრობა იქნებოდა და ლიმილისმომგვრელიც, მაგრამ შემანუხებელია იმ ახალგაზრდის ფუყე სულის, მემჩანური აზროვნების გაცნობა.

იტალიურ გემზე ასვლა და იქ „იუბკის“ ყიდვა, მგონი, უმაღლესი მიზანია და არამარტო ახალგაზრდებისა. რომ იცოდეთ, რა ზუსტად, ნატურალისტურადაა დახატული ის ყოფა, ის გარემო, როცა უცხოური გემი (და საერთოდ, უცხოეთი) რაღაც არნახული საოცრება გახლდათ ჩვენთვის, როცა პორტში უცხოური გემის შემოსვლა მთელ ქალაქს აფორიაქებდა, ყველას ოცნებად გადაქცეოდა გემზე მოხვედრა, ვინ ყიდვას ესწრაფოდა, ვინ — უცხოელის გაცნობას, ვინ — გემის დათვალიერებას... გემი იზიდავს არამარტო ქარაფშუტა და ზერელე ხალხს, არამედ ღრმად მოფიქრალ და სულიერ არისტოკრატებსაც. ერთი პერსონაჟი, ნუგზარი, ამბობს: ლამაზია... არც ვიფიქრებდი, თუ ასეთი ლამაზი იქნებოდა... თითქოს ცისკენ მიფრინავს... ჯერ გემზე არ ვყოფილვარ, მარტო შორიდან მინახავს...


და ბონდო, ბონდოც კი, რომლისთვისაც ყველაფერი საკუთარი უფრო ძვირფასია, ვიდრე საზღვარგარეთული, რომელმაც იცის გელათის, ბეთანიის, დავით აღმაშენებლის... სხვათა და სხვათა ფასი, აქვს ფესვის, საყრდენის შეგრძნება, ისიც ფიქრობს: ერთი მეც მინდა ავიდე. გავხედო, გამოვხედო, რა ავიფხვს ამ ხალხს, სულ უცხოეთი, უცხოეთი რომ აკერიათ პირზე. ეს სავსებით ბუნებრივი სურვილია და თავისუფალი ნების ერთ-ერთი გამოვლენა. როგორი სიმბოლურია და ყველა ეპოქაში მართალი ბონდოს ნათქვამი: მე რასაც ვამბობ, ყველაფერი ძველია, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი იცვლება...

უცვლელობის, უძრაობის, არაფრის კეთების გამოხატულებაა ასფალტის დაგება — ჯერ აქეთ, მერე — იქით, ამა-სობაში აქეთა მხარე ფუჭდება და მერე ისევ აქეთ, მერე ის რომ გაფუჭდება — ისევ იქით და ასე დაუსრულებლად.

თითქმის ყველას დაუფრება „მანინც არავის ვჭირდების“ შეგრძნება, ბონდო საკუთარ თავს „მკვდრად“ მოიხსენიებს. მოხუცი მარიაც კი სავსე, მოძრავ, მოქმედ ქალაქზე ოცნებობს და მარტობა ტანჯავს. იმ უცხოურ გემს ჩამოყოლილ შუქს გათხოვებაზე მეოცნებე ივეტაც ამჩნევს, პატარა ქალაქში კი როგორ წვიმს, როგორ წვიმს, როგორ წვიმს...

ახალგაზრდებსაც დაუფრებათ სკეპსისი. თქვენ გჯერათ რაიმესი? აი, თუნდაც ღმერთის, ან თუნდაც სიკეთის, ან უბრალოდ კაცის? — კითხულობს სტუდენტი ლაშა და ხედები, რომ თვითონ არ სჯერა არაფრისა.

ბონდოსთვის თითქოს ცხოვრება დამთავრებულია, ყველაფერი სულერთია. რამხელა სევდა იგრძნობა მის სიტყვებში: დარაჯად წავალ, სამშობლოს სადარაჯოზე კი არა, — უბ-



რალოდ, დარაჯად გავეფორმები. ამის შეფარული ირონიით მთქმელი, ალბათ ისურვებდა სამშობლოს სადარაჯოზე დგომას და სიკვდილს. ბონდოს აქვს შინაგანი სიმტკიცე და რწმენა. ცხოვრების ნირით ლოთს, ვერაფერი აიძულებს, კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდეს. როდესაც ნახავს, როგორ მიჯაჭვიან მიწიერ ცხოვრებას მის მიერ გასაფრენად მომზადებული ბარტყები, როცა საკუთარ არარაობას შეიგრძნობს ყოფილ მოსწავლეთა მხოლოდ მატერიალურ, ნივთიერ მისწრაფებებში, მისთვის ცხოვრება ფასს კარგავს. ვერც ერთ-ერთი მოსწავლე გოგონას წერილი: გვჭირდება, მოუთმენლად გელითო, — მიაბრუნებს სკოლისაკენ. თუმცა ამ წერილს გულისჯიბით ატარებს თურმე მუდამ, გულს უთბობს იმის განცდა, რომ ვილაცას ჭირდება. ეჭვი ეპარება, ნუთუ შეიძლება, რომ ეს მართლა ესე იყოს? ცხოვრების მიზანდაკარგული მაღალი სულის კაცი ლოთსა და მასხარას თამაშობს, უსაქმურსა და ვიგინდარას თამაშობს.

თუმცა მაინც აჩნევს კვალს სტუდენტი ბიჭის სულზე.

უსიყვარულო სამყაროში მას უყვარს ადამიანი, მას უყვარს სიცოცხლე, მას უყვარს მომავალი. მან იცის, რომ არსებობს სიცოცხლეზე უფრო საინტერესო რაღაცებიც. მზის ამოსვლის სანახავად ეპატიჟება ჩამოსულ ახალგაზრდას. ავტორი ისე აღწერს ზღვაზე მზის ჩასვლა-ამოსვლას, რა თქმა უნდა, თვითონ უნახავს და განუცდია: „ჯერ ოდნავ მონათლო ზოლი რომ გადაღებავს ძალიან ლურჯ წყალს. მერე თანდათან გაბაცდება, ალისფერი ხავერდით კამკამებს...“ უშუალოდ ნახა რომ აქვს, იმიტომაც ავსებს ჰაერს მავნოლიის სუნი...

მე რეჟისორებს ვერაფერს მივუთითებ, მაგრამ როცა ვკითხულობდი, მინდობა, ძალიან მინდობა ეს პატარა ქალაქი სცენაზე გაცოცხლებული მენახა.

სიკვდილზე დაფიქრებულა ყველა მოაზროვნე ადამიანი. ყველა შემოქმედს მეტ-ნაკლები სიმძაფრით აუსახავს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. მაგრამ როდესაც ადრე წასული კაცის ფიქრებს კითხულობ, წინათგრძნობად გეჩვენება ესეც: „დაიხსომეთ: სიკვდილი არასდროს არ არის ადრე. სიკვდილმა იცის, როდის მოვიდეს... შეხედეთ, შეხედეთ ამ ნისლეში დაინთქმება ჩვენი სხეული, ამ ათასწლოვან ლამის ნისლეში ჩაიკარგებით, გესმის? რა ყრუ და ფოთოლივით წყნარად თრთინავს ვარსკვლავები, რა სიჩუმეა... ჩვენი კვალი კი სამარადისოდ წარჩევილია... მიუსაფარი ამ ცივ წყლებზე იხეტილებს, ვარსკვლავების გულს გააპობს... საით მივიდვართ?!“

ომარამა შემთხვევით ლამის ნაცვლად ბონდო დაჭრა. პიესა ისე მთავრდება, რომ არ ვიცით, გადარჩება თუ არა ბონდო. თვითონ კი სჯერა, რომ მალე მის გულში ანგელოზები დაისადგურებენ, და ჩვენ ვიცით, რომ თვითონაც მოიპოვებს სულის სიმშვიდეს და სხვებსაც გამოადგება მასწავლებლად და გზის მაჩვენებლად.

წინათგრძნობა ვახსენე და ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საყურადღებოა „ძველი როიალი“. ოღონდ აქ საკუთარი ტრაგიკული აღსასრულისა კი არა, ქვეყნის სავალალო მომავლის წინასწარი ჭვრეტაა.

რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალური ირანის ჯარების ბრძოლები, თუ არა ინტუიციად და წინათგრძნობად მომავლისა. „ააფეთქეს... დაწვეს... ჩამოადგეს... დახოცეს... დაჭრეს... გადაკეტეს... გაანადგურეს...“ — სამწუხაროდ, მალე ქართული რეალობა გახდება. არც ისეთი მატერიალური შეჭირვება იყო დამახასიათებელი და საყოველთაო 80-იანებში, როგორშიც პიესის მამა-შვილი იმყოფებინ. თუმცა სულ მალე, 90-იან წლებში მთელი ქვეყანა აღმოჩნდა ეკონომიკურ კრიზისში. მწერალს ალლო კარნახობდა, რომ ალა-მაჰმად-ხანისებურ აოხრებასაც ვინც ევედით, დავით აღმაშენებელსაც მოვიწინებდით და ტანკებისა და ვერტმფრენების თვლაც ყოველდღიურ საქმიანობად გადაგვექცეოდა.

უქალოდ დარჩენილ ოჯახს, მამა-შვილს, ნიკოსა და ზაზას,

ცხოვრების „შნო და მარიფატი“ არ აღმოაჩნდათ. საზოგადოებაში გავრცელებული და დამკვიდრებული შეხედულება, რომ „ხელოვანს ხელმოკლეობა უხდება“, მათ დუხჭირ ყოფას ვერ ამსუბუქებს, საჭმელს ვერ აჭმევს.

ადამიანები ერთმანეთისთვის უცხონი არიან. არ იციან, რა არის სიყვარული. ამ სიტყვას ძალიან მსუბუქად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

მწერალი მსუბუქი იუმორით აღწერს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის ყოფას. სამზარეულოში ყველაფერი მაცივარზე დევს — ქოლგა, ჩაქუჩი, ჩაიდანის, საფერფლე...

ნიკო, რომელიც ძლიერ არის მიჯაჭვული წარსულთან, რომელიც მძაფრად შეიგრძნობს მინის სურნელს, რომლისთვისაც გარდაცვლილი მეუღლის მოგონება წმიდათაწმიდაა, რომელსაც თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სახლი ცოცხალი არსებასავით ენატრება, ეს ნიკო იძულებულია, როიალი გაყიდოს — ძველი როიალი, რომელიც მარტო ნივთი კი არა, წარსულის ხსოვნაა, ისტორიაა...

ლოგიკურია, რომ როიალი მყიდველი არ გამოუჩნდა, ახალგაზრდები — ზაზა, ირაკლი, ხათუნა — არ ეთანხმებიან და არ იზიარებენ ამ გადანყვეტილების სისწორეს. ავტორი გვეუბნება, რომ არსებობს ქვეყნად ხელშეუხებელი სინამდვილეები — ნივთები, იდეები, შეხედულებანი, მათი არც გაყიდვა შეიძლება, არც გადასინჯვა, ეჭვის შეტანა და მუშტრის თვალთ სინჯვა, თორემ დაინგრევა სამყარო.

ცოტათი ცინიკოსი ახალგაზრდებიც, სრულიად ბუნებრივად, საკუთარ, მშობლიურ წარსულთან, ფესვებთან არიან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ვაჟები სიყვარულითა და სევდით იგონებენ დედას, ხათუნა ოცნებას რეალურად ასაღებს და მეგობრებს იმ ზღვისპირა სახლში ეპატიჟება, რომლის ფანჯრებიც არასოდეს იხურება. ყველა საყრდენს ეძებს, კიბე არ ჩანს, გზა არ ჩანს, ღმერთი არ ჩანს, — პერსონაჟის მიერ ხუმრობით ნათქვამი თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებია, სინამდვილეში კი არსებითად ერთი და იგივეა.

ფაქტობრივად ერთნაირია და საერთო მიზეზი აქვს ზაზასა და ირაკლის დარდა და ნალველს.

ზაზას სიტყვები: თუ გინდა თქვენს სახლს მოვხატავ, პატარა ეკლესიასავით. ღვთისმშობელსაც დავხატავ, მათესაც, მარკოზსაც, ლუკასაც, იოანესაც, მაცხოვარსაც დავხატავ, რომელი დარჩა? ყინვისის ანგელოზსაც, მალა, ფრთებგამოლილს, თავისუფალს... აი, ხომ გესმის მისი ნალვლიანი ფრთების შხუილი... — სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ძიება, თავისუფლების, სულის სინამდვილისა და სიმაღლის ძიება.

ახლა ირაკლის მოვეუსმინოთ: ... ბოლომდე ვერაფერი გავაკეთე. ხან რას მოვედებოდი და ხან რას... რა კარგია, რომ ვილაცას უყვარხარ... ხან ვთარგმნიდი, ხან მითქმი დავდიოდი, ხან მუსიკას ვწერდი... არაფერი გამომდებოდა... რომ არ ვსვამდე, დედამინს გადავაბრუნებ-მეთქი. ვიცი, რომ თავს ვიტყუებ, — ესეც წრფელი და ნიჭიერი ადამიანის ნალველია, ძალა რომ მოზღვაგებია და იმავე დროს უხილავი და საბედისწერო არყოფნა გასჯდომია სხეულში.

ჩვეულებრივ, ნაწარმოებში ავტორის ალტერ ეგო რომელიმე ერთი პერსონაჟია ხოლმე, აქ მეჩვენება, რომ ავტორი განფენილია ოთხივე პერსონაჟში. ოთხივეს აწუხებს, რომ ერთმანეთისთვის უცხონი არიან, ოთხივე გრძნობს, რომ ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგენ, რომ სიცარიელეში ცხოვრობენ, ეშინიათ სიკვდილისა და აწვალბობს სიკვდილის წინათგრძნობა, იციან, რომ ბედნიერება ყოველდღიურ წვრილმანებშია, ყველა ოცნებობს სიყვარულზე, ფრთებსა და თავისუფლებაზე. და სინამდვილეში ოთხივეს უყვარს ერთმანეთი... წინაპრებიც, სამშობლოც.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ყოვლისმომცველი სიყვარულის აპოთეოზით მთავრდება პიესა და, არ მგონია, თანამედროვე მკითხველსა თუ მასწავლებელს ის მოძველებულად მოეჩვენოს. რამდენიმე პასაჟი კი ისეთ ცინცხალს ხდის

თხრობას, რომ ლამის ვერ ვიჯერებ, ეს თუ აფხაზეთის ომამდე დაინერა. როგორ, რამ აიძულა მწერალი, ასეთი რამეები ეთქვა —

**ხათუნა:**

„ჩვენს სახლს კი არავინ მოუვლის, წვიმასა და თოვლში ჩაღებება, ყვეთელი ფოთლები გადაფარავს“.

„დიდი და ფართო ფანჯრებიდან მართლაც მინახავს წყნარი და თავისუფალი ზღვა“.

**ნიკო:**

„ნეტა ვინ ცხოვრობს ეხლა ჩემს სახლში... ნითელი კრამი-

ტით გადავხურე, მზესავით ნითელი კრამიტით“.

**ხათუნა:**

„მე კი ჩვენს სახლზე ვფიქრობ. ძალიან მომენატრა. ქაფურის ხეც მომენატრა. გაყვითლებული მზის ჩასვლაც, როცა წყალი ნითლად იღებება“...

მგონი, საკმარისია.

— მომავალი არსებობს? — კითხულობენ მოქმედი პირები და სკეპტიკურად უყურებენ მომავალს, მაგრამ ამ პიესების (და თამაზ ბაძალუას ლექსებისა და თარგმანების) მკითხველი უთუოდ დაიბეჯითებს, რომ ყოველგვარი ბედისწერის მიუხე-

**მარინე ტურავა**

# საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი ფრინველი

(თამაზ ბაძალუას მონოპიესაზე)

1978 წელს დაამთავრა სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, პირველ კურსზე წარმოადგინა სამეცნიერო ნაშრომი „პერსონოლოგიური ანალოგიები“, მეორე კურსის სტუდენტმა 1977 წელს უნივერსიტეტის 39-ე აუდიტორიაში წაიკითხა ნაშრომი — „მისტიკური სილამაზის გამოსახვა იოანე მტბევეარის საგალობლებში“, თემის ხელმძღვანელი იყო გრივერ ფარულავა. 1980 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, დაწერა სადიპლომო ნაშრომი ოთარ ჭილაძის რომანზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რითაც დაამტკიცა, რომ მეცნიერული ალლოც ჰქონდა და ამ სფეროშიც შეეძლო წარმატების მიღწევა. ამავე წელს დაიწყო მუშაობა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, 23 წლისამ, 1982 წელს გამოსცა პირველი წიგნი „მესამე ზარი“, ოჯახიც საკმაოდ ახალგაზრდამ შექმნა. თარგმნა ჯაკომო ლეოპარდის, პიერ პაოლო პაზოლინის, მიქელანჯელო ბუონაროტის, გიომო აპოლინერის, რაინერ მარია რილკეს... ლექსები. მუშაობდა დრამატურგიაშიც, იყო ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის სემინარის უცვლელი წევრი. პირველ პიესას „იფიგენია“ დაარქვა, უკანასკნელს — „ღამე და თუთიყუში“, რომელიც 2001 წელს ერთი მსახიობის თეატრში დაიდგა დეუტა სხირტლაძის მონაწილეობით. თამაზ ბაძალუას პიესები განხორციელდა თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის, რუსთავისა და ერთი მსახიობის თეატრებში. ახალგაზრდა პოეტმა და დრამატურგმა პროზაშიც სცადა ბედი, 1982 წელს „ცისკრის“ ბიბლიოთეკის მესამე-მეოთხე ნომრებში იბეჭდებოდა მოთხრობა „დღე.“ ამ ტემპის პარალელურად მუდამ სიკვდილის განცდა სდევდა, მოსვენებას უკარგავდა, კალეიდოსკოპური სიჩქარის შენარჩუნებასა და ბევრის მოსწრებას აიძულებდა. ამის გაცნობიერებას ირგვლივ მყოფები ბოლომდე ვერც ახერხებდნენ, ეს მხოლოდ მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გახდა საცნაური, საგულისხმოც... „გარდაცვალება“ დაარქვა ლექსს, სადაც ასე ნათლად, ცოცხლად შეიგრძნო მისი სიახლოვე:

**შენი ნაბიჯით სიჩუმე დადის  
და უხერხულად დაბორილობს  
ოთახში, სადაც სიცარიელეს  
გაუდგამს ფესვი და სიმარტოვეს,**

**ეს მერამდენე დღეა სიჩუმე  
წვება შენს თბილ და ნაცნობ ლოგინში,  
როგორც მდინარის დამშრალ ხახაში  
წყალი და თვალებს ტკივილით ხუჭავს.**

ტრაგიკული წინათგრძნობა მძაფრად შეიგრძნობა თამაზ ბაძალუას დრამატურგიულ მემკვიდრეობაშიც, ამ კონტექსტის გარეშე წარმოუდგენელია მთელი მისი შემოქმედების კვლევა. ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს მისი ამქვეყნიური მისიაც ეს იყო: ადამიანებისათვის სიკვდილის დავიწყებისა და მოღუენების უფლება არ მიეცა, შეეხსენებინა, რომ დაბადება უკვე ნიშნავს „სიკვდილის სიღრმესთან“ მიახლოებას. „მე კენჭებს ვისვრი დამშვიდებული და ღვინოსავით ვეჩვევი სიკვდილს“ — იქნებ სწორედ ასეთი ნაკლებად ტრაგიკული და ცოტა არ იყოს დამათრობელი შეგრძნება უფრო ბუნებრივი და ადვილიც იყოს?! ამასაც გვეუბნება თამაზ ბაძალუა და კიდევ... თავისი ასაკისა და გამოცდილებისათვის შეუფერებელ უამრავ სიბრძნესაც... ახალგაზრდულ ენერჯიასა და „ვენების სიმძაფრეს“ მის მხატვრულ ნააზრევში „გონების მოხუცებულობა“ ჰარმონიულად ერწყმის...

80-იანელებმა ქართული დრამატურგიის აღორძინება და თანამედროვე პიესების შექმნა გადაწყვიტეს, რისი დეფიციტიც იმთავითვე ჰქონდა ქართულ თეატრს. ეს დეფიციტი დღესაც არ არის აღმოფხვრილი, სცენიდან ძირითადად გასული საუკუნის პრობლემეტიკა და სატკივარი მოისმის, თითქოს ქართული დრამატურგიის ქრონოტოპოსი სადღაც გაჩერდა, გაირინდა... ჯერ კიდევ როდის ამბობდა მიხეილ თუმანიშვილი: „ჩვენ კარგი პიესის მოლოდინში ვართ.“ თეატრი ვერ განვითარდება მხოლოდ კლასიკური დრამატურგიით, იგი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი. როგორც ჩანს, ეს მოლოდინი კარგად შეიგრძნეს 80-იანელებმა. ამ საქმეში მთელი ძალისხმევით ჩაერთო ახალგაზრდა პოეტი თამაზ ბაძალუა. ჩვენ არაერთი მაგალითი ვიცით პოეზიიდან დიდ პროზაში გადმოზარგებისა. რომ დასცლოდა, თამაზ ბაძალუაც პოეზიიდან დიდ დრამატურგიაში გადმოსულეებს შეუერთდებოდა...

დასავლურ კულტურაში პიესა სათავეს იღებს ძველ საბერძნეთში და პოპულარულია რომის პერიოდის ჩათვლით. ეს ჟანრი ხელახლა აღორძინა შექსპირმა, განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა განმანათლებლობის ეპოქაში. დაარსებიდან დღემდე მას თავისი ჟანრული მოთხოვნები და ჩარჩოები აქვს, რაც არა მხოლოდ ლიტერატურულ გემოვნებასა და წერის ტექნიკას მოითხოვს. დრამატურგი კარგად უნდა იცნობდეს თეატრის სპეციფიკას, რადგან პიესა უპირველესად მისთვის არის დაწერილი. თუმცა თამაზ ბაძალუას პიესები არ არის მხოლოდ თეატრალური ტექსტები, მათ ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულებაც გააჩნიათ. ტექსტი, მათ შორის დრამატურგიულიც, კულტურის ნიაღში იქმნება, ამიტომაც მას პირდაპირი კავშირი აქვს ყოფიერებასთან, რაც უფრო მჭიდროა ეს კავშირი, მითუფრო თანამედროვე

და აქტუალურია პიესა. თამაზ ბაძალუა პიესიდან პიესაში ახერხებს შეითვისოს ჟანრული თავისებურებანი და შეზღუდოს პოეტური ხერხები, რასაც წარმატებით ახერხებს. ამის დასტურია უკანასკნელი პიესა „ღამე და თუთიყუში“, რომელიც ამ თვალსაზრისით გამორჩეულია. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს თამაზ ბაძალუას პიესების კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი, მწერალი ირაკლი სამსონაძე: „ხელობის თვალსაზრისით სწორედ ამ ნაწარმოებიდან იგრძნობა ოსტატობის ის დონე, რომელიც პიესიდან პიესაში მეტ სიმაღლეს მიაღწევდა და სავარაუდოდ იმავე ხარისხში გადასულიყო დრამატურგ თამაზ ბაძალუას, როგორც უკვე ვღერდა პოეტ თამაზ ბაძალუას სახელი.“

გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დასტამბულ თამაზ ბაძალუას კრებულში „6 პიესა“ (თბ., 2013) ორი მონოპიესაა: „ფანჯრებს იქით“ და „ღამე და თუთიყუში.“ ორივე ხელმოცარული, ვერშემდგარი, არარეალიზებული ადამიანის აღსარება-მონოლოგია.

პირველი პიესის პერსონაჟი საშუალო ასაკის ქალია, რომლის წარმატებული მოცეკვავის კარიერაც დასრულებულია, იგი სრულიად მარტოა ამ სამყაროში და მთელი არსით განიცდის, რომ საკუთარი შვილი მუცელშივე მოკლა, მაგრამ დროის უკან მობრუნება და საბედისწერო შეცდომების გამოსწორება შეუძლებელია.

მეორე პიესის პერსონაჟი 37 წლის მამაკაცია, ცხოვრების ფსკერზე მოქცეული, გალოთებული, ცოლი სახლიდან გაქცევია, ამიტომაც ყოველდღე წარმოსახვაში კლავს თავის მეტოქეს, დაკარგულ თავმოყვარეობას იბრუნებს, მაგრამ წარმოსახვაშივე უარს ამბობს თავის განზრახვაზე.

პიესებში ორივე პერსონაჟის მიმე სულიერი დრამაა გამოხატული, მათთვის ცხოვრება ნამდვილი განსაცდელია, ამიტომაც მასზე უარს ამბობენ და ჰოფმანის პერსონაჟთა მსგავსად გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ. ქალი არარსებულ ბავშვს ესაუბრება, მას უყვება საკუთარი ცხოვრების შესახებ, კაცი — თუთიყუშს, რადგანაც დაკარგული აქვს ადამიანებთან ურთიერთობის, მათთვის საკუთარი აზრებისა და ტკივილის გაზიარების უნარი. ორივე ეგზისტენციური კრიზისის ზღვარზეა, გაუცხოებულია სამყაროსა და საზოგადოების მიმართ.

ორივე პიესაში ურბანისტული გარემოა, გაუცხოება ქალაქიდან იწყება, სადაც სოციალური ფონი უფრო მძაფრია, გაჭირვება უფრო მტკივნეული და უკომპრომისო... ამგვარ გარემოში კი ადამიანები კიდევ უფრო დაუნდობლები ხდებიან ერთმანეთის მიმართ, თვითდამკვიდრება, საკუთარი ადგილის და სულიერი სიმშვიდის მოპოვება კი ძალიან ძნელია... 80-იანელებმა საუცხოო თავზე გამოსცადეს საქართველოსთვის სრულიად უცხო პროცესები და მისი გადმოტანა ლიტერატურაში სცადეს. 80-იანელებმა, რომელთაც ხან „დაცხრილულ“, ხან „დაკარგულ“, ხანაც „გამორჩენილ“ თაობად მოიხსენიებდნენ. ამიტომაც დრამატურგიული ხერხების არასრულფასოვნების მიუხედავად, ორივე პიესა ძალიან თანამედროვე და აქტუალურია დღემდე, რადგან ადამიანის გაუცხოების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა, ეგზისტენციური კრიზისის ზღვარი კიდევ უფრო მოახლოვდა... ოთარ ჭილაძეს ერთ-ერთ ინტერვიუში, 80-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, სიზმარში გამოლვობა უხსენებია. თამაზ ბაძალუას პიესების პერსონაჟები სიზმარში გამოლვობებულელებს გვანან.

ქალი მთელი ცხოვრება ერთ დიდ ტყუილში ცხოვრობდა. „თავი დამანებე, არც შენ მჭირდება, შენც მთელი ცხოვრება მატყუებდი“, იმეორებს დროდადრო, თავისი ისტერიული აღსარების წარმოთქმისას. ოდნავ იმედს აჩენს ის, რომ ქვეცნობიერი იმპულსებით იგი ხვდება საკუთარ შეცდომასა

თუ დანაშაულს, აცნობიერებს — შვილი იმისთვის მოკლა, რომ ეცეკვა... დროებითს მარადიული შესწირა. მონოლოგის დასასრულს იატაკზე გადმოყრის ვერგაჩენილი ბავშვის საბანს, ფაჩუჩებს, წინსაფარს, მაგრამ საკმარისია ეს ახალი ცხოვრების დასაწყებად, ტყუილიდან გამოსაღწევად, ეყოფა ქალს შინაგანი ძალისხმევა და ნება?! მისი სახლიდან ოდესმე გაივებენ მეზობლები ჩაქუჩის კაკუნს, რომელიც ამ პიესაში სრულფასოვანი ცხოვრებისა და მისი გაგრძელების გამოხატულებაა?!

„როცა ვიცი, რომ მოვკვდები... მე ყველაფერი იმამინებს, ყველაფერი ნერვებზე მშლის...“ ამბობს კაცი, რომლისთვისაც „სიკვდილის სიახლოვე“ არაფერს ასხვავებებს, მისთვის უცხოა მარადიული კონტექსტი და სიკვდილის მიმართ ერთგვარი მოკრძალება. თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი პრობლემა ესეც არის, სულიერ ღირებულებათაგან დაცლილი, ყოფის მორევში ბოლომდე ჩათრეული კარგავს უფლისა და ადამიანის რწმენასა და სიყვარულს, ამიტომაც არის მარგინალი, მარტოსული, უბედური... „ისიც ჩემსავით დაეცემა, ჩემსავით ქუჩაში დადგება, იმასაც არავინ ყავს, ისიც მარტოა, არავინ მოხედავს, არავინ შეიყვარებს. არავინ მოეფერება. მარტო დარჩება. არავინ შეიყვარებს, არავინ...“ იქნებ ასეთი ტრაგიკული ხვედრი არა მხოლოდ ამ პერსონაჟთა ბედისწერაა, იქნებ სამყარო გახდა ასეთი — დაუნდობელი, უცხო, შორეული...

ორივე პიესაში პერსონაჟთა ხასიათი გამოკვეთილი და ინდივიდუალურია, დრამატურგის ოსტატობა კარგად ჩანს მათი ფსიქოლოგიის ხატვისას. ქალი წარსულს მისტირის და განიცდის, კაცი კი სიძულვილის გზას ირჩევს, სხვა არაფერი დარჩენია... „ვერც შენ იქნები ბედნიერი... მე შენ დაგტანჯავ, გაგაუბედურებ. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ არ შემიძლია, იყო ბედნიერი...“ ასეთია კაცის სიყვარული. მიუხედავად ამისა, მკითხველს ესმის მათი, თანაუგრძნობს, განიცდის მათ გამო, ამის მიღწევა კი არც ისე ადვილია. მთავარი ამ პერსონაჟთა ტრაგიკულობის ხაზგასმავა და ერთგვარი აღსარებაც, მაგრამ არა ღრმა თვითჩხრეკა ან ფსიქოანალიზი. ამგვარი რამე, ალბათ, თამაზ ბაძალუას ვერდანეროლი პიესების ხვედრი იქნებოდა...

ორივე პიესა ტრაგიკულად, სრულიად ლოგიკურად ვითარდება და მთავრდება, ფინალში არც სულიერი კათარზისი ჩანს, არც რეალური ხსნა... მკითხველს დიდხანს მიჰყვება მარტოობის, მიუსაფრობის, დრამატიზმის განცდა... ამ პიესებს თითქოს აერთიანებთ დრამატურგის მსოფლალქმა. ვფიქრობ, მომავალში თამაზ ბაძალუას დრამატურგია სწორედ ამ ერთიანი კონცეფციით აიგებოდა. ის თანამედროვე ადამიანის მიმე სულიერი ცხოვრების სურათს შექმნიდა, მის ტკივილებსა და წუხილს გაამიწვლვებდა, მას შესწევდა ამის მხატვრულად გარდასახვის უნარი.

**მე ფრინველი ვარ, საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი და უიმედოდ ვებლაუჭები  
იმ ძველ ფურცლებში ჩაყვითლებულ სიტყვებს —  
სიმშვიდე,  
სიხარული, თანაგრძნობა, აღფრთოვანება...  
ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი?**

დღეს უკვე ნათელია, რომ „მომავალი შიშის სურნელმა“ თამაზ ბაძალუას შემოქმედებას რალაც განსაკუთრებული, სხვებისაგან გამორჩეული სიბლი მიანიჭა. თავისი პერსონაჟისაგან განსხვავებით, სამყაროს სიძულვილით კი არა, შექმნის, ახლის ძიების სურვილით აავსო, სწორედ ამის შედეგია მისი დრამატურგია, რომლის გამოცემისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამომცემლობა „ინტელექტს“.

მაია ჯალიაშვილი

# თავისუფლების ტკბილ-მწარე გემო

(თამაზ ბაძალუას ისტორიული ხედვა)

რა არის თავისუფლება?

ამ კითხვას ჩასძიებიან ხელოვანი თუ ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და, საერთოდ, ყველა ჯურის მოაზროვნე, რჩეულნიცა და უბრალო მოკვდევნიც. პასუხიც, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი გაუციათ.

თამაზ ბაძალუაც ამ კითხვის პასუხს დაეძებს თავის პიესებში, მათ შორის, პიესაში „მარადიული მონები“, რომელშიც თავისუფლებას დიქტატორი ზღუდავს, რომელიც თვითონაც მონაა, სამყაროს ბნელ ძალებს დამორჩილებული.

ვაჟა-ფშაველა ამ კითხვას: რა არის თავისუფლება? — პატარა წერილით პასუხობს, რომელშიც ვკითხულობთ: „თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“.

თამაზ ბაძალუა ფიზიკურად საბჭოთა საქართველოს ცოცხალიტარული რეჟიმის დროს ცხოვრობდა, მაგრამ სულიერად თავისუფალი კოსმოსის მოქალაქე იყო, ამიტომაც გრძნობდა სულისშემხუთველ გარემოში მოქცეული პიროვნების ტრაგედიას.

თავისუფლების სხვადასხვა რაკურსით წარმოსაჩვენად მან ძველი რომის შეშლილ იმპერატორად გამოცხადებული ნერონი აირჩია. მის შესახებ არაერთხელ დაუწერიათ, ქართველ მწერალთაგან მისი შთამბეჭდავი სახე დახატა ჯემალ ქარჩხაძემ რომანში „იუპიტერის სინანული“, თამაზ ბაძალუამ კი მასზე ადრე დაწერა პიესა „მარადიული მონები“, რომლის მთავარი გმირიც ნერონია.

ალეგორიულად პიესაში საქართველოს და, ზოგადად, ყოველი დამონებული ერის პრობლემა წარმოდგება. ნერონი უნივერსალური სახეა დიქტატორისა, რომელსაც ქმნის დრო, ხალხი და გარემოება.

პიესის მიხედვით, ნერონი ერთდროულად ჯალათიც არის და მსხვერპლიც. საოცარი ფსიქოლოგიური სიღრმით წარმოდგება მისი სახე. ეს ადამიანი ბედისწერას თავის ტიკინად უქცევია, რომელიც აცნობიერებს თავის ტრაგიკულ როლს, მაგრამ ვერ გაქცევია. ამ როლში ის შეუბრალებლად ხოცავს მოწინააღმდეგეებს, მათ შორის, ძმასა და დედას. ოთონი ეუბნება ნერონს: „ჩვენს მარადიულ და აუხსნელ თამაშში ყველაზე ძნელი როლის ბოლომდე მიყვანა“.

თამაზ ბაძალუა, რა თქმა უნდა, პიესაში მისდევს ისტორიულად ცნობილ დეტალებს, მაგრამ ავებს წარმოსახვით და, შესაბამისად, ცნობილ გმირებთან ერთად (ნერონი, მისი ცოლი ოქტავია და დედამისი აგრიპინა) ქმნის გამოგონილ პერსონაჟებსაც.

მკითხველის თვალწინ გათამაშდება დრამატული ამბავი ადამიანისა, რომლის არსებობაც დემონი ამარცხებს ანგელოზს. პიესის განმავლობაში წარმოჩნდება ნერონის გული, როგორც დოსტოევსკი იტყვის, სასტიკი ბრძოლის ასპარეზი, სადაც ღმერთი და სატანა ებრძვიან ერთმანეთს. ღმერთი ადამიანის სულშია, ამიტომაც ამბობს ნერონი: „ჩვენ უფრო დიდ და დაუძ-

ლეველ არსებას ვებრძვით, ეს არსება ჩვენი სულია და, გვირდა თუ არ გვირდა, ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა გავუძლოთ ამ უთანასწორო, გამანადგურებელ ბრძოლას“.

სწორედ ეს არის თამაზ ბაძალუას, როგორც დრამატურგის, ნიჭიერების გამოხატველი, რომ ის ბრმად კი არ მიჰყვება რომელიმე ისტორიული პიროვნების შესახებ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპულ შეხედულებებს, არამედ თავისუფლად ეპყრობა მასალას და თავისი მიზნის შესაბამისად გადაასხვავერებს.

რაც მთავარია, პერსონაჟები მკითხველის თვალწინ იცვლებიან, მათი ვნებების ჭიდილი დამაჯერებელია, რადგან მონოლოგები და დიალოგები საოცარი ოსტატობით არის შესრულებული. მოქმედების განვითარების დინამიკა ემორჩილება პიესის მთავარი სათქმელის გამომხატვას. ცალკეული სცენის ექსპრესიულობა განაპირობებს მკითხველის გამუდმებულ დაძაბულობას. ადამიანურ ურთიერთობათა თანმდევი ინტრიგა ამ პიესაშიც საფრთხის წინათგრძნობით მუხტავს პერსონაჟებს, ეს მუხტი მკითხველსაც გადაედება და სცენაზე მიმდინარე მოქმედებათა თანაზიარად აქცევს. პერსონაჟთა მეტყველება თან ემოციური და გამჭვირვალეა, თან ქვეტექსტითა და სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთული, რაც პიესას მიმზიდველობას ანიჭებს.

ყურადღებას იქცევს პიესის უჩინარი დრამატურგიული რიტმი, რომელიც საოცარ ენერგეტიკას ქმნის და მკითხველს პიესის ჯადოსნურ ველში მოაქცევს. ეს რიტმი მკითხველის ემოციურ და ინტელექტუალურ დაძაბულობას ქმნის და სულს, გულსა და გონებას ფიქრისა და განსჯისთვის აღძრავს.

ნერონიც მსხვერპლია ძალაუფლების დემონური ვნებისა. ის გრძნობს, როგორ ემორჩილებიან ადამიანები ხელისუფალს, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის იგი, ზნეობრივი თუ უზნეო, ბრძენი თუ უმეცარი, ისინი ყველანი, დიდებულნიცა და მდაბიონიც „თითქოს ერთ ბინძურ ქურაში გამოუწრთიან. პატარა, საცოდავი ტიკინები. ყველაფერს ირწმუნებენ, ყველაფერს დაგიჯერებენ, თუ ოდნავ ძალას დაატან, ოღონდ ცოტა ხნით მაინც გაიგრძელონ სიცოცხლე, ცოტა ხნით მაინც ისუნთქონ დაბჰალი, გახრწნილი ჰაერი“.

მწერალს სწორედ ეს მორჩილება სძავს და ამიტომაც უწოდებს პიესას „მარადიული მონები“. ეს მონები თანაბრად არიან ხელისუფალნიც და რიგითი მოქალაქენიც. ამგვარმა მონობამ გააძღვინა სხვადასხვა იმპერიას, მათ შორის, საბჭოთა კავშირსაც, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, დაუმორჩილებელნი, რომელთაც გახრწნილი ჰაერის სუნთქვას თავისუფლებისათვის ბრძოლა და სიკვდილი არჩივს.

თამაზ ბაძალუა ტრაგიკულად დაიღუპა 1987 წელს, როცა პირველი ბზარები უკვე გასჩენოდა საბჭოეთის იმპერიას. იგი თითქოს გრძნობდა ნითელი მონსტრის უეჭველ დამხობას, რადგან სჯეროდა, რომ ვერცერთი იმპერია დროში უსასრულოდ ვერ გახანგრძლივდება.

ამ პიესაშიც ერთმანეთს ეჯახება ბედისწერა და თავისუფლება. ნერონი ეუბნება მამაც ჯარისკაცს: „ჩვენ უძლურნი ვართ, რადგან სამყაროს იღუმალი დინებები განაგებენ. ისინი მოდიან ქვეყნიერების ოთხივე კუთხიდან და ხან ღმერთების მარადიულ სხეულში, ხან იმპერატორების ცოდვილ და ხრწნად კუნთებში იყრიან თავს. ჩვენ ერთმანეთის სანამებლად განჩინილი იარაღები ვართ და არავინ იცის, ვინ როგორ მოიხმარს, სად მოიხმარს, რისთვის მოიხმარს“.

როგორც ცნობილია, ნერონი ხელოვნებით იყო გატაცებული, ლექსებს წერდა და მსახიობობდა. პიესაში ეს არ ჩანს, მაგრამ პოეტური ნიჭი ნერონის მეტყველებაში ირეკლება. ნერონი ეუბნება ლეარქეს: „ყველაფერი უცებ გაქრება აუხდენელი სიზმარივით, დავიწყებისა და არყოფნის ნისლი გადაფარავს და იგრძნობ, რომ შენც ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, იგრძნობ მწვავედ, დაუნდობლად...“

მკითხველი გრძნობს, რომ ავტორი, ზოგადად, ადამიანს თანაუგრძნობს, ღვთის მიერ თავის ხატად და მსგავსებად შექმ-

ნილს, ამიტომაც გაკრთება ძალაუფლებისაგან გასასტიკებული ნერონის საუბარში ადამიანური განცდა სიცოცხლისა თუ ბედნიერებისა. და რაც გინდა ცინიკური მოგვეჩვენოს ძმისმკვლელის აღიარება, მის სიტყვებში სიმართლის მარცვალე ურევია: „ბრიტანიკმა დანაშაულის ჩადენა ვერ მოასწრო... მე ვიხსენი. ჩვენს მოდგმას ერთი უცოდველი სახელი მაინც ხომ უნდა შემორჩეს“.

ნერონმა იცის, რომ კაენის ცოდვით დაძვინებული, ვერასოდეს იქნება ბედნიერი, ამიტომაც ამბობს: „ბედნიერება არ არსებობს. იგი უხილავი ტვირთით ანება ჩვენი ყოველდღიური არსებობის უსიცოცხლო ნამებს, წელში გვლუნავს, გულუბრყვილოდ გვტანჯავს. ბედნიერება ცივია და ამაზრზენი, როგორც მიცვალებულის გაფითრებულ ლოყაზე შეხება“. ან კიდევ: „სიყვარული არ არსებობს. სიყვარული ერთი პეშვი შაქარივითაა, სანამ გადნებოდეს, უნდა მოასწრო და გემო ჩაატანო“.

მწერალმა იცის, რომ ადამიანებს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ჯერ არ უცხოვრიათ იმგვარ საზოგადოებაში, რომელიც აბსოლუტურ თავისუფლებას ეფუძნება. მისთვისაც, თვითონ სახელმწიფოც ერთგვარი მოძალადეა. ამ თვალსაზრისით, იგი ეხმინება ტომის ჰობზის „ლევიათანის“ პათოსს.

ნერონი ეუბნება ჯარისკაცს: „სახელმწიფო მხოლოდ იმპერატორებს სჭირდებათ თავიანთი მარადიული და ამაზრზენი ვნებების დასაკმაყოფილებლად. თქვენ კი, ჯარისკაცები, მათ დაუნდობელ თითებში მომწყვდეული სათამაშო ფიგურები ხართ... მეზიზღება თქვენი დანახვა, კაპიტოლიუმის წინ რომ ჩაივლით ნადავლით ხელში, ყეყეჩი, აღფრთოვანებული სახეებით, მაშინ ვერც იფიქრებთ, რომ ეს ყველაფერი გამარჯვება კი არ არის, უბრალოდ, კიდევ ერთმა იმპერატორმა დროებით დაიკმაყოფილა თავისი გაუმაძღარი ვნება“. ეს სიტყვები მკითხველის წარმოსახვაში გააცოცხლებს ჰიტლერისა თუ სტალინის მიერ გამართული გრანდიოზული სამხედრო აღლუმების დოკუმენტურ კადრებს, ახლა, დროის გადასახედიდან, ფელინის დადგმულ ტრაგიკომიკურ საკარნავალო სცენებზე რომ აღიქმება.

მწერალმა იცის, რომ ნერონი ერთგვარი ნიცშეანური ზეკაცია, რომელმაც თავი გაითავისუფლა ღვთისგან, როგორც ადამიანური ცოდვების უსიამოვნო მონმისაგან, და ამან გაუჩინა ყოვლისშემძლეობის განცდა, სიკვდილის დამორჩილებისაც კი, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცა.

პარადოქსივით გაისმის ნერონის აღიარება: „მე უბედური ვარ, რადგან არავისი და არაფრის მეშინია“.

მწერალს სჯერა, რომ სინდისისგან გათავისუფლებული ადამიანი სინამდვილეში მონაა ცოდვისა, რომლის ტყვეობისაგან თავს ვერ დაიხსნის და მტანჯველი გაორებულია სიცოცხლეს ჯოჯოხეთად უქცევს.

რატომ ეგუებთან ადამიანები ტირანისა? რა აიძულებთ მათ, თავი დაუხარონ უსამართლობასა და სისასტიკეს? თამაზ ბაძაღუას აზრით, ეს სამარცხვინო შიშია, რომელიც ადამიანს თრგუნავს და სახეს აკარგვინებს, თან ყოველგვარ უსამართლობასა და დამცირებასთან შეაგუებს.

ნერონის წინააღმდეგ შეთქმულთა შორის ამგვარი საუბარი გამართება.

**„სული“:** მიკვირს, აქამდე როგორ არსებობს ეს გახრწნილი იმპერია, როგორ უდგას სული, როგორ არ დაინგრა და გაცამტვერდა.

**პალასი:** დახვეწილი ბოროტება უფრო საშიშია... იმპერიის ყველა რეალი მოიშალა. არავის არ სწამს აღარც სახელმწიფო, აღარც სენატი, აღარც სამართალი... მაგრამ შიში, ყოვლისშემძლესრევი შიში აიძულებს მათ, გაჩუმდნენ, ხმა არ ამოიღონ და ერთმანეთს უყურონ, თუ ვინ გაბედავს და შიშველი ხელებით შეებრძოლება ამ ხახადაღებულ იმპერიას“.

ნერონის სიკვდილისწინა სიტყვები მრავალმნიშვნელოვანია, რადგან თითქოს ნერონი კი არა, მის სულში ჩასახლებული დემონური ძალა მეტყველებს: „მე არ მოკვდები... მე ყოველ თქვენგანში ვიცოცხლებ, თქვენ ჩემი მარადიული მოწიები ხართ... მარადიული მოწიები“.

ეს სიტყვები შეძრავს მკითხველს და დააფიქრებს, რამდენად თავისუფალია პიროვნულად, და თუ ეს ასე არ არის, მაშინ აღძრავს იმ შიშისგან გასათავისუფლებლად, რომელიც ადამიანს ლაჩრად

გურამ ბენაშვილი

# ლიტერატურული პიტრაჟები

## სიმონ ჩიქოვანი

სრული მინიერი ბედნიერება პოეტის ხვედრი რომ თითქმის არასოდეს ყოფილა, სიმონ ჩიქოვანის ამქვეყნიური ცხოვრებითაც იკითხება...

მუხთალი დრო-ჟამისათვის არც შემოქმედის სახელისა და ღირსების გადავინყებაა უცხო და მიუღებელი... არადა, ერთ დროს, საოცრად რეზონანსული იყო მისი როლი ქართული კულტურული საზოგადოებისათვის...

იგი იმ რჩეულ შემოქმედთა შორის წარმოიდგინებოდა, რომელთაც განსაზღვრეს და სადინარი მისცეს საუკუნის მხატვრულ ცნობიერებას...

სრულიად ახალგაზრდამ, მან იმდროისთვის საკმაოდ გახმაურებულ ფუტურისმ „უკმია გუნდრუკი“... იყო ამ ეფემერული „სკოლის“ ადეპტი...

მისი მოდერნისტული „ჟამი“ თვალსაჩინო პოეტური მიღწევებით არ დაგვირგვინებულა... თუ არ გავითვალისწინებთ ოდიოზური ბგერნერითა და ლინგვისტური „ნოვაციებით“ გადახალისებულ მის ხელოვნებას...

იმავე პერიოდს მიეკუთვნება კლასიკური პოეტიკით შექმნილი ნაწარმოებებიც. ლირიკული განცდებითა და ნათელი სტილისტიკით აღბეჭდილი, ისინი მშვენივრად ენერებიან საუკუნის პოეზიის ფერადოვან მოზაიკაში...

მისი ადამიანური ცხოვრების ერთი რომანტიკული ნარატივი ამდღებულ სიყვარულია, რომელმაც დროთა განმავლობაში პოეტური ლეგენდის სინატიფე შეიძინა და ლირიკულ მინიატურად შემორჩა ადამიანთა მესხიერებას...

ცხოვრებასა და აზროვნებაში ესთეტიკა, სიყვარულშიც ერთგულება და გულწრფელი თავდავინება სცოდნია...

ეს ყოველივე განსაკუთრებული ხიბლით მოსავდა მას და მის სალონურ ოჯახს...

ამის გამოც სუფევდა მის ირგვლივ ხალხმრავალი გარემო...

როგორც ლიტერატურულ მეტრს, მას ეთაყვანებოდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ და ხოტბას ასხამდნენ თანამედროვე გამოჩენილი რუსი და არა მხოლოდ რუსი პოეტები, მათ შორის გენიალური ბორის პასტერნაკი...

თითქმის ყველას, ვინც მას ახლოს იცნობდა, ღრმა მონივნების გარეშე, ვერც კი წარმოედგინა მასზე ფიქრი და საუბარი...

მის მშვენიერ ლექსებს კიდევ უფრო მშვენივრად თარგმნიდნენ და უფართოეს ასპარეზს უმკვიდრებდნენ მეგობარი უცხოელი მწერლები...

ამგვარი პოპულარობის თვალსაზრისით მან უკან ჩამოიტოვა თვით გალაკტიონიც კი...

სამწუხაროდ, ბოლოს თვალისჩინი დაკარგა და დაბრმავებულს, სახლში ხელითა დაატარებდნენ...

მისი გარდაცვალების შემდეგ, მისმა უსათნოესმა მეუღლემ ანდერძად დატოვა, დაენვათ მისი ნეშტი და ფერფლად მიმოებნათ ქმრის საფლავზე... ანდერძი აღუსრულეს და მთანმინდას, კიდევ ერთი სიყვარულის ლეგენდა აღებეჭდა...

როგორც აღვნიშნეთ, სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი გარიჟრაჟი ფუტურისმის ესთეტიკითაა გაჯერებული...

\* იხ. „ჩვენი მწერლობა“, №7



სიმონ ჩიქოვანი



ანა კალანდაძე



რევაზ ინანიშვილი



შოთა ნინოშვილი

იგი იყო ამ „სკოლის“ ლიდერიცა და ყველაზე იმპოზანტური წარმომადგენელიც...

თუმცა მოგვიანებით, ვითარებათა გამო, სწორედ ის გახდა ინიციატორი მოდერნიდან რეალიზმისაკენ შემობრუნებისა...

ეს ყოველივე იყო შემდეგ... მანამდე კი აქტიური მონაწილეა ფუტურისმის პროპაგანდისა, მისი მომავლის პროზად თუ პოეზიად დამკვიდრებისა...

პოეტის „ცთომილებათა“ ჟამის ნაყოფია ბევრისთვის ცნობილი ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილი ოდიოზური „მონოლოგი“ — „ბადე ბაიდებს, ბუდე ბაიდებს, ცირა მუხლებზე გულ-ფილტვს დაიდებს, აიდა — ბაიდებს, აილო ბაიდებს, ცირა ცირა, ცირა წარბი, ცირა წარბი წარბენილი, ცაკუთხური, ცაკუთხედი, ხიდბოგირი“... და ასე შემდეგ...

საინტერესოა, რომ გასული საუკუნის ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანი შეეცადა ახალი თვალთახედვით გაეაზრებინა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა... გენიალურ რომანტიკოსთან დიალოგის თავისებურ გამოძახილად გაცხადდა XX საუკუნის „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ და სხვა...

30-იანი წლების დასაწყისიდან ფუტურისმიც ამთავრებს თავის სკანდალურ არსებობას...

მოგვიანებით პოეტი ინანიებს ამაოებით მოცულ წარსულს და „მონინებით“ იგემოვნებს ახალი დროების „მომღერლის“ ჰანგებს...

„არ დაიჯერო თითქოს ოდესმე, მშობლისთვის მეთქვას ყალბი სტრიქონი, რაც ჩემ ლექსებში ცუდათ მოგესმა, მე თვით არა ვარ მისი მომგონი, თუ შემეშალა წარსულში რამე, ეს სიჭაბუკის ბორძიკი იყო, მე ბუნვის ხიდზე გადაველ ღამე და ცრემლი მომწყდა ვარსკვლავის სიმსხო, მე ხალხის გული გაეინანილე და ის ჭაბუკურ წლებს მაპატიებს“-ო, მოსთქვამდა მონანიებით შეძრული და ტრანსფორმირებული პოეტი...

კიდევ უფრო მოგვიანებით იგი შეეცდება წარსულისა და ანმეცოს, ვირტუალურისა და ცხადი სინამდვილის ჰარმონიზაციას...

ავანგარდიზმიდან რეალიზმზე გადასვლის ფერისცვალება წარმოდგინებთან მისი ლექსების ციკლები, მათ შორის გამორჩეული — „მთაო გადმიშვი“, რომელიც ლიტერატურულმა კრიტიკამ პოეტის შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშად და ლამის შედეგურადაც კი აღიარა...

\*\*\*

მგონი, სწორედ სიმონ ჩიქოვანის სახელს უნდა უკავშირდებოდეს ქართულ პოეზიაში პოეტურ ციკლთა, როგორც ნააზრევის მასშტაბურად გამოხატვის ფორმის დამკვიდრება... ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია მისი არაერთი ნიმუში, პოეზიის მოყვარულთათვის ალბათ კარგად ცნობილი და მესხიერებას შემორჩენილი... რეალიზმთან შერწყმის ჟამის

ქმნილებაა პოეტური ციკლი — „შემოდგომის დღეები აჭარაში“...

მასში წელიწადის მხოლოდ დროზე არ ხდება აპელირება და იგი უფრო კონცეპტუალური საზრისის შემცველია...

შემოდგომა, როგორც მინაზებულ ფერთა „რეკვიემი“, როგორც მიმწუხრი და მოლოდინი „არყოფნისა“, როგორც დადუმების პრელუდია და იმავე დროს უკანასკნელი თავანყვეტა და გამოთხოვების პათეტიკა... ალქმა-წარმოსახვის ამ კონოტაციებიდანაა შემეცნებული დრო-ჟამის შუქ-ჩრდილები და მისგან აღძრული მინორული მედიტაციები...

სრულიად განსაკუთრებული ღირსებისაა სიმონ ჩიქოვანის პოეტური ციკლი — „განჯის დღიური“...

მასში გაერთიანებული ლექსები თითქოს დამოუკიდებელ მხატვრულ ტექსტებს წარმოადგენენ... აერთიანებს მათ ერთი პარადიგმა — ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივი სტიქია და დრამატული ტეხილებით აღბეჭდილი ცხოვრება...

ამ ქმნილების მაღალ სულისკვეთებას განწირული გენიოსის „ლოცვები“ და ნოსტალგია განაპირობებს... ეროვნული სულიერების ჭეშმარიტი მოციქულის ხატი მასში შთამბეჭდავი ლირიზმითაა წარმოსახული და ინტერპრეტირებული...

\*\*\*

სამშობლოდან დევნილ ქართველთა ტრაგიზმი კიდევ უფრო მძაფრად წარმოჩინდა პოემაში — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“...

სრულიად სამართლიანად, ამ პოეტურმა ეპოპეამ განსაკუთრებულად აამაღლა სიმონ ჩიქოვანის, როგორც სიტყვისა და აზროვნების ჭეშმარიტი ხელოვანის ღირსება...

პოემა ორიგინალურია, უპირველეს ყოვლისა, კომპოზიციური სტრუქტურით... მასში მრავალი დამოუკიდებელი ესკიზი და ფერწერული „სურათია“ ჩართული...

ამ ფერადოვან მოზაიკაში სამშობლოდან მოშორებულთა კოლოსალური ტკივილი იკითხება...

ტექსტის ქსოვილში ცოცხლდება ვახტანგ VI-ის დროინდელი ტანჯული ქვეყნის სიურრეალისტური პანორამა... მოსკოვ-ქალაქს მიკედლებული, ამაო ილუზიებით დაღლილი და განამებული ქართველი არისტოკრატია... რადგან არც პეტრე-პირველი იყო „ქართველმოციქულად“ მოვლენილი და არც ისტორიულად „სახელმწიფოთმყლაპავი“ რუსეთი ის „რაინდი“, ჩაგრულ ქვეყანას დახმარების ხელს რომ გაუწვდიდა...

მშვენიერია ამ პოემაში რუსული პეიზაჟებისა და ყოფის ფრაგმენტები...

შთამბეჭდავია დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგ VI-ის გარდაცვალების გამო...

სიმონ ჩიქოვანი აქ, არსებითად, გენიალური წინაპრის უნიკალური ექსპრესიით ამოთქმულ გოდებას განსახიერებს.



\* \* \*

ერთ დროს საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ერის კულტურულსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში...

მას ეკუთვნის მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილები, მაღალი ინტელექტუალური ღირსების ლიტერატურული ეტიუდები, რუსული პოეზიის მაღალმხატვრული თარგმანები...

ისიც ფრიად სიმპტომურია, რომ თვით სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებით მრავალი გამოჩენილი პოეტი თუ პროფესიონალი მთარგმნელი დაინტერესებულა — ბორის პასტერნაკი და ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პავლე ანტოკოლსკი და არსენი ტარკოვსკი, ალექსანდრე მეფიროვი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა და სხვა მრავალი...

რუსული პოეზიის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელთა მაღალმა სააზროვნო კულტურამ და მხატვრულმა ინტუიციამ, თითქოს შეუძლებელი შეძლო და ქართველი პოეტის მშვენიერ პოეტურ ტექსტებს, ბრწყინვალე რუსული ეკვივალენტები აღმოუჩინა, რითაც ბოლომდე თვალსაჩინო გახადა ორიგინალის ოდენ ფარული შინაგანი პოტენცია და ენის სემანტიკურ ლაბირინთებში მიმოკარგული ნიუანსები...

„მე მას ვთვლი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პოეტად და დავამტკიცე კიდეც, როგორ მიყვარს და ვაფასებ მას“ — ეს ამონარიდი ბორის პასტერნაკის ნინო ტაბიძისადმი მიწერილი წერილიდანაა...

გურამ ასათიანს მიაჩნდა, რომ „ქართულ მწერლობაში სიმონ ჩიქოვანმა შემოიტანა ახლებური პოეტური თრთოლვა, ახალი სიღრმე და ტევადობა მიანიჭა ქართულ სიტყვას“...

„ახლებური პოეტური თრთოლვა“ — ვიქტორ ჰიუგოს, შარლ ბოდლერისადმი თქმული კლამბურია...

ანალოგიური წარმოდგენა ქართველი პოეტის დამსახურებისა „ოდნავ“ გადაჭარბებულია... თუმც ბატონი სიმონის ლეგენდარული სალონის „მკვიდრის“, ჩინებული კრიტიკოსისა და ესთეტიკის პანეგირიკი, ადამიანურად სრულიად გასაგებია და მასში ვერავითარ ექსცესს ვერ ვხედავ...

არსებითი კი ის არის, რომ საუკუნის რამდენიმე დიდ შემოქმედთან ერთად, სიმონ ჩიქოვანმაც შეძლო ეტიერთა კულტურტრეგერისა და ეპოქის ინტელექტუალური აქტორის კოლოსალური და ბოლომდე არცთუ უხიფათო მისია...

ის იყო ევროპული ტიპის მოღვაწე, სალონური ურთიერთობებისა და დელიკატური განსჯა-საუბრების პროტაგონისტი... ახალგაზრდა შემოქმედთა გონიერი „მოდვარი“...

ის უყვარდა... რომანტიკული ობერტონებითაა აღბეჭდილი მოგონებები მასზე...

ამგვარი პიროვნული და საზოგადოებრივი „ხიბლით“, მხოლოდ დიდსულოვანი და გონებით აღმატებული ადამიანები თუ არიან „მოსილინი“.

რაც შეეხება მის პოეზიას, ფიქრობ, იგი იყო კოლოსალური ღწვა უმაღლესი ჰარმონიის მისაღწევად...

ის ისწრაფოდა პოეზიაში განესახიერებინა დრამის პრინციპი, რომელიც აგებული იქნებოდა ვიზუალსა და აზროვნების ინტელექტუალურ დინამიკაზე და არა მშრალ ნარატივზე...

მისი პოეზიის ესთეტიკა სულიერი თვითშემეცნების დისკურსს ფუფუნება და ამიტომაც არც თუ იოლია მასში „განზავება“... ამგვარი შემოქმედებითი პრაქტიკიდან გამომდინარე, რთული პოეტის სახელი, მხოლოდ ღირსებაა სიმონ ჩიქოვანისათვის...

რწმუნდები იმ ცნობილ ჭეშმარიტებაში, რომ პოეზია ცოდნის სრულიად უნიკალური სამყაროა... რომ მისი ენა განასახიერებს მეტაფიზიკური პრეზუმფციებითა და ანალიტიკური მოტივაციებით გააქტიურებულ რეალობას...

პროვიდენციის პრეტენზიით აღჭურვილი, რა კვალს ტოვებს იგი სოციუმზე, რიტორიკული კითხვაა...

ის კი მეტ-ნაკლებად ცხადია, რომ მისი წიაღიდანაც იკითხება და ამოიცნობა დრო-ჟამთა აზრიცა და სიშლევეც, მშვენიერებაცა და სიმახნივეც, ტრაგიზმიცა და კომიზმიც...

მხოლოდ მისგან იშვება წამის მარადისობად ქცევის სასწაულიც... სიმონ ჩიქოვანი ეროვნული პოეზიის ერთი საგულსხმო გამოსხივებაა, რომელსაც სათუთად შეინახავს უმდიდრესი ლიტერატურული წარსულით „განებიერებული“ ჩვენი კულტურული ცნობიერება...

პოეზიით სიცოცხლის დიდი გაკვეთილები ამქვეყნად იმიტომ ტარდება, რომ ის ისწავლოს, განიცადონ და სამუდამოდ დაიმახსოვრონ...

ანა კალანდაძე

ერთი მშვენიერი „ლეგენდა“ ანა კალანდაძის პოეტური „გამოცხადება“, ანუ მისი შემოქმედებითი დებიუტი...

მოულოდნელად, როგორ „იშვა“ მწერალთა სასახლის სარკეებიან დარბაზში კიდეც ერთი დიდი პოეტი... თუ რა ბრწყინვალე იყო იმ დაუფინყარი დღის „დედოფალი“... როგორ ჟღერდა მწერლებით გაჯერებულ სივრცეში, უცნობი ახალგაზრდა ქალბატონის მიერ წარმოთქმული პოეტური მედიტაციები... ლირიკული ვედრებანი სულის ცისკენ სწრაფვის უფლებისათვის, უცოდველ არსებათა სიბრალულისათვის, წარსულის აღერსისათვის...

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ლირიკული მონოლოგების უნატიფესი „კლავიატურა“ ომის სისასტიკით გაუხეშებულ განწყობილებებს „შენაცვლა“ და მილიტარისტულ პათეტიკას უნაზეს „სიოდ“ მოელამუნა, კიდეც უფრო ცხადი გახდება მისი „ეფექტის“ გამაოგნებელი ძალა...

იყო მის სულიერ თრთოლვათა ჰარმონიაში რაღაც გალაკტიონისეული სახისმეტყველებისა და არისტოკრატიზმის „შუქ-ჩრდილები“, მეტაფიზიკური განცდის გამოსხივებანი, ორნამენტაციათა და მუსიკალური პლასტიკის ფერადოვნება...

სულიერი ჭვრეტის მოდულაციებით აღიქმება მასთან მოვლენათა თუ საგანთა ბუნება... რომანტიკული იმპულსებისა და კლასიკური გამომსახველობის ესთეტიკა უფაქიზესი ლირიზმით წარმოგვიდგენს პოეტის მსოფლხედვისა და მსოფლგანცდის ვარიაციებს, მწუხარებისა თუ აღფრთოვანების შთამბეჭდავ პასაჟებს...

ანა კალანდაძის ლირიკის დრო და სივრცე, სული და მატერია, მრავალფეროვნება და კონტრაპუნქტული დისკურსი, შემოქმედში სუბლიმირებული ყოფიერებისა და ცნობიერების რომანტიკული ტექსტია, მისი სულის საკრალური მონოლოგია...

მისი ანალიტიკა საჩინოს ხდის ლირიკულ მონოლოგებში უღამაზეს სამკაულებად „მიმოფანტული“ მეტაფორების ეტიმოლოგიას, მათი ფილოსოფიისა და რიტორიკის კონოტაციებს...

მისთვის მხოლოდ სიყვარულია „მატრიცა“ ყოველივე ამქვეყნიურისა... ყოველივე მისი თრთოლვის გამოძახილია, მისი აკუსტიკა... მისგან აღძრული ხმოვანი „საზამებია“...

ეს არის სულის მყოფობის სრულიად უნიკალური შეგრძნება... და იქნებ იმიტომ, რომ პოეტის ამ სიყვარულის უმანკო სიმყუდროვესა და კრისტალურ უბინოებას არ „ამღვრევს“ და არ ათეატრალიზებს სატრფო-მამაკაცია...

„სამაგიეროდ“ მასში ფიგურირებენ სათნოებით მოსილი ხატები — ვარდისა თუ მაგნოლიისა, წვიმისა თუ თოვლისა, ქარისა თუ ზღვისა...

\* \* \*

პოეტის თემატური რეპერტუარი ეროვნული მოტივაციითაც „იმშვენებს“ თავს...

გულწრფელი აღფრთოვანება და მწარე სინანული ამ მონუმენტური პრობლემეტიკის თანმდევი განწყობილებებია...

აქ, ერთი რამ არის ერთობ სიმპტომური...

მის ლექსებში სამშობლო, მისთვის ეს უწმინდესი ცნება, არასოდესაა შეურაცხყოფილი და გაუბრალოებული ბანალური აღტყინებებით, შიშველი და ზედაპირული ემოციებით, ანუ იმ ამრატებული პანეგირიზმებით, რომელთა სიმრავლე ქრონიკულ უხერხულობად აედევნა ქართულ პოეზიას...

ლოცვასავით წმინდა კრძალვით მომდინარე ანასეული ღირსიკული მედიტაციები... შიომღვიმისა თუ ბეთანის, უფლისციხისა თუ გარეჯის, იყალთოსა თუ ოშკის სავანეთა მწუხრით აღბეჭდილი პეიზაჟები, დრო-სივრცული ჰარმონიის — სულის ჰარმონიად გარდასახვის უნიკალურ ინტენციებს „აღვლენ“... ისტორიული მესიერება და მხატვრული წარმოსახვა აქ ღირსიზმის იმ ობერტონებს უახლოვდება, რომელიც კიდევ უფრო გაახლოვებს და შენში აცხოვრებს სამშობლოს ოდენ შორეულ წარსულსაც კი...

ისტორიული პიროვნებები მათში არასოდეს წარმოადგენენ შორეთიდან მზირალ „მონსტრებსა“ თუ „მასტოდონტებს“...

ქრისტიანული სათნოება და უღრმესი ადამიანური ინტიმია მედიუმით მათთან „მისვლისა“ და მათით აღტაცებისა...

თუმც ისიც ნიშანდობლივია, რომ უფრო მეტად, საკუთარ სულში ჩაბრუნებული, იქ პოულობდა „საზრდოს“ ფიქრისა და გრძნობათა „აშლისა“...

მის აღმსარებლობით ვიზიონებში სულიერების ის რეგისტრები წარმოჩინდება, რომლის ანალოგს, იშვიათად თუ „მოისმენს“ თვით დიდი პოეზიით განებზერებული მკითხველი...

ამიტომ, ანას პოეზიასთან ყოველი „პაემანი“, განუმეორებელ სინმინდებთან ზიარების ანალოგი...

იდუმალი კანონებით „იმართებიან“ და ნაკლებად რეფლექსირებადნი არიან მისი პოეტური ხატები...

თუნდაც მხატვრული წარმოსახვის კლასიკური სისადავით „ქმნილი“ შედეგები — „ჭიამარია“...

როგორც ლექსი-მეტაფორა იგი პოლისემიურია და ღრმა სემანტიკითაა აღბეჭდილი...

ჭიამარია აბსტრაგირებული სინმინდის პოეტური ხატია, ბუნების უსაზღვროებაში ჩაკარგული უცოდველობაა, ადამიანის სულიერი ზეალსვლისა და მორალური ტკობის იმპულსია... ენიგმაა, რომელსაც ემოციური განხატოვნების იდუმალი ლოგიკა აქვს... ლოგიკა, რომლის „ახსნასაც“ წარმოადგენს მარინა ცვეტაევას მედიტაცია:

**О, мир, пойми! Певцам - во сне - открыты  
Закон звезды и Формула цветка...**

ის, რომ ემპირიკა მაღალ ადამიანურ ღირებულებათა დევაღვაციისაკენ არის მიდრეკილი, ხოლო „დევნილი“ სულიერება მშვენიერებათა აღქმა-შემეცნების ვნებითაა აღბეჭდილი, ის მარადიული კონცეპტია, რამაც ჯერ კიდევ ვერგილიუსს — გენიალურ რომაელ პოეტს ათქმევინა — „პარნასის უდაბურ ციცაბოთა დაძლევისკენ მე მიზიდავს ნაზი და ნეტარი სულიერება და მასში განზავებული ვნება სიყვარულისა“...

რალა თქმა უნდა, ანა კალანდაძის პოეზიაშიც „საამოდ თრთიან“ მიწიერი ვნებებით გაჯერებული ვიზიონები, რომლებშიაც იგი გუნდრუკს უკმევს სინორჩის აღტაცებულ სუნთქვასა და თავანყვეტილი როკვის ნადილს, ღირსიკულ გალანტურობასა და რომანტიკას...

მისი სულის მოდულაციები მიწიერსა და ზეციერ გატაცებათა „ჭიდლისაც“ ირეკლავს... სიოსავით დაჰქრის მათში სურვილი განწონვისა და შეერთებისა... დასაბამიერში დაუსაბამოს ძიებისა, ან სასრულში დავანებული უსასრულობის აღმოჩენისა...

და როგორც დიდი აუცილებლობა, დგება ჟამი მარადიული „შორეთისაკენ“ მიბრუნების ცხადი წინათგრძნობებისა... იმ „წმინდა ადგილთა“ საკრალური სილუეტისა, რომელიც შესაძლო „მაცნეა“ მისთვის განკუთვნილი „არ მიწიურის გვირგვინისა, არამედ... ცისა!“... წმინდა ღვთაებრივი დაისის ოქროვანი დაფონისა...

ლოცვის სემანტიკით გაბრწყინებული მონოლოგები, მხოლოდ მისთვის ნათელი ხვედრის შეცნობის პათოსით იმსჭვალება... სწუხს და იტანჯება, თუ კი მკრთალდება ამ ნეტარი წინათგრძნობის წმინდა ხატება...

აქ მიმოდის იგი, ვითარცა „ელჩი“ ცისა და დედამიწისა, რათა გვამცნოს ღვთაებრივ სულიერებაში „მყოფობის“ ნეტარებანი...

„ჩემს ქვეყანაში — წერდა პაბლო ნერუდა — ბევრი პოეტი. უფრო ბევრია მთელ ამერიკაში, მაგრამ ძნელია დაიჯერო, რომ ოდესმე შეიძლება კიდევ დაიბადოს ჩვენთან ასეთი გრანდიოზული ტალანტისა და ღვთაებრივი სულის პოეტი-ქალი“...

დიდი გაბრიელა მისტრალისადმი ეს პათეტიკა განკუთვნილი...

ანა კალანდაძისადმი მინდა გავიმეორო იგი...

„ნეტავი პოეტური გენიალობის რა ხარისხს შეუძლია მიაღწიოს ქალმა?!“ ორტეგა-ი-გასეტის ამ მაინტრიგებელ კითხვას სამყაროს ყველა დროის რამდენიმე ქალბატონმა „გასცა პასუხი“...

ერთი მათთაგანი რუსთაველის, ვაჟას და გალაკტიონის სამშობლოდანაა და ის ჩვენი თანამედროვე იყო...

**რევაზ ინანიშვილი**

რევაზ ინანიშვილის თაობამ (პირობითად სამოციანელებმა) ინტელიგენტური ტაქტიკითა და რაც მთავარია ღირსიკული მხატვრული ქმნილებებით შემოაბიჯა ქართულ მწერლობაში და ორგანულად შეერწყა მის ძლიერსა და მრავალნახნაგოვან „სხეულს“...

ისინი დელიკატურად განერიდნენ იდეოლოგიური კლიშეებით იმპულსირებულ პომპეზურობას, ამბიციურ ხმაურსა და ფუჭი განგაშის სტრატეგიას... ნათიფი სტილისტიკა და მხატვრული აზროვნების ვრცელი დიაპაზონი ამ თაობის საერთო ნიშან-თვისებას წარმოადგენდა...

ტრადიციულად შთამბეჭდავი ღირსიკული პროზა მათაც ააღორძინეს და ახალი მხატვრულ-ფილოსოფიური „სადინარი“ აღმოუჩინეს მას...

სალვადორე კვაზიმოდოს ბუნების აპოლოგიით აღბეჭდილი ღირსიკული მონოლოგი წარუმიძვარა რევაზ ინანიშვილმა ბრწყინვალე მოთხრობების ერთ თავის კრებულს...

წარუმიძვარა იმიტომ, რომ ამ პასტორალურ ნარატივს ემბლემატური მნიშვნელობა შეეძინა და მკითხველისათვის წინასწარ განესაზღვრა წიგნის კონცეპტუალური საზრისი და მისი მეგამოტივაცია...

მწერლის სრულიად უნიკალური ღირსიკული დისკურსი საოცარი სიღრმითა და ფერადოვნებით წარმოსახავს ყოველივეს, რასაც მისი სული „მიკარებია“... უგრძენია და აღბეჭდვია... იგი ჭეშმარიტად ფლობს და ანესრიგებს ხილული სამყაროს ფარულსა და უხილავ „სუნთქვას“, მოძრაობას, პროცესებს... მის ლოგოცენტრისტულ დიალექტიკას...

არაფერია ბუნების პასტორალურ სივრცესა თუ ყოფაში მისთვის უცხო, მოულოდნელი და რომანტიკულ პროვიდენციებს განრიდებული...

სტრიქონსა და სტრიქონს, სიტყვასა და სიტყვას შორის ჩამდგარი ჯადოსნური ნათელი იდუმალ შუქ-ჩრდილებს იკრებს და მკითხველის ფიქრს აღქმის მრავალგვარი ვარიაციებისაკენ „ეზიდება“... აჩენს ცდუნებას სუბიექტური რეფლექსირებისა...

არა მხოლოდ ადამიანთა თუ ლანდშაფტთა შთამბეჭდავი სილუეტები, არამედ მათში კონდენსირებული პოტენციური სუბსტანციები განსაცვიფრებელი ლაკონიზმითაა წარმოდგენილი... არც თუ იშვიათად მხოლოდ მინიშნება, კონტური, ფრაგმენტი თუ სილუეტი, სხვა ყოველივეს დაასრულებს მკითხველის პროვოცირებული წარმოსახვა მწერლის ესთეტიკური დომინანტია...

\* \* \*

რევაზ ინანიშვილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსია... ავტორია მრავალი წიგნისა... მწერალია, რომლის მრავალრიცხოვან ქმნილებებს აღბეჭდვია ნოსტალგიური პრობლემატიკა — მშობლიური ნიაღის გაუცხოებისა, წარსულის იძულებითი დადუმებისა, ადამიანთა არასასურველი ფერისცვალებისა და დროთა კავშირის საბედისწერო რღვევისა...

სწორედ წარსულის მხატვრულმა რესტავრაციამ შეაძლებინა მას წარმოეჩინა ადამიანური სამყარო, რომელშიაც ტექსტის

სადა და ელევანტური ნიუანსირებით, თვით ეპოქის ცხადი კონტურები ცოცხლდება... დროისა და სივრცის ამ ონტოლოგიურმა აღქმამ და კონცეპტუალურმა ფოკუსირებამ, შეუძლებელი შეძლო და უნიკალური ქმნილებები შესძინა ქართულ პროზას...

ვაჟა-ფშაველასა და გიორგი ლეონიძის კვალად, რომელთაც პოეზიის პროზად სუბლიმირებით „შვეს“ ლირიკული შედეგები, რევაზ ინანიშვილმაც შინაგანი, უაღრესად რაფინირებული პოეტური პოტენცია აქცია საკუთარ ნარატივთა უნივერსალურ მოდუსად...

სიმპტომურია, რომ მათში გამოვლენილია არა მხოლოდ ავტორის რომანტიკული სუბსტანცია, არამედ სულიერი დისკომფორტის ის საგანგაშო რეგისტრებიც, რაც მისი ეპოქის ნეგაციებით იყო გამოწვეული...

მონმე ტრადიციულ ღირებულებათა მსხვერვისა, მოჩვენებითი კეთილდღეობისა და ტოტალური იდეოლოგიური დიქტატისა — იგი ვერ იქნებოდა ამ ყველაფრისადმი გულგრილი და უგრძობელი...

სწორედ ამ ისტორიული ბედუქულმართობის შეგრძნებამ გაამძაფრა მასში შეურაცხყოფილი ადამიანური იდეალებისადმი ერთგულება და თავყანისცემა...

ახალი, თავისუფალი ყოფიერების ძიებითაა აღბეჭდილი მისი მთელი რიგი მხატვრული ტექსტები...

ამ ღრმა მნიშვნელობის ქმნილებებიდან, ჩვენ უფრო მეტს ვიგებთ საუკუნის ადამიანებსა და ცხოვრებაზე, ვიდრე სოციოლოგიური ტიპის შტუდიებიდან და ეს სრულიადაც არ არის გაზვიადება...

მის მოთხრობათა სივრცეებში საოცარი სისავსით რესტავრირდება დროის არსებითი კონოტაციები... იგი თითქოს შორეული გამოძახილია ტომას ვულფის „ოცნებისა“ — „მინდა რომ ჩემი წიგნი იყოს პოეტური, რომ მან აღადგინოს ცხოვრების ლირიკული იერსახეო“, წერდა იგი...

რევაზ ინანიშვილიც უფრო ლირიკული ინტუიციის ტალღებსაა მინდობილი და დროისა თუ სივრცის ლაბირინთებში, სულის კარნახით იკვლევს გზას...

მწერლის „ოპოზიცია“ ყავლგასული და დაკნინებული დოგმების მიმართ, რა თქმა უნდა, არ ყოფილა დეკონსტრუქციის ტული „ჯანყი“... ის უფრო თხემით-ტერფამდე რომანტიკოსის „მგრძობიარე ნერვის“ გააქტიურება იყო, რომლისთვისაც არსებითი შინაგანი თავისუფლებაა, შეგრძნებაა ყოფიერების ღიაობისა და უსაზღვროებისა, ადამიანის ირაციონალური პოტენციისა და ახალ ლიტერატურულ ტიპაჟთა აუცილებლობისა...

შეგრძნება იმისა, რომ ყოველ ჩვენგანში „ფზიზლობს“ სამშობლოს მთლიანი ისტორია, მისი ბუნების ენა და არქაულ-მიოლოგიური ინსტინქტები...

„ღამეულ ტყეში გამუდმებით ისმის რაღაც კრუსუნი, კვენესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდე ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდე, რანი კრუსუნებენ, კვენესიან და გმინავენ. მაგრამ, ამგვარი ცოდნის გარეშეც ადვილი მისახვედრია ერთი: ნუხილი ყველგანაა, შესაძლოა, თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტესს და ქვემოდან გვევედრება რაღაცას“... ბუნების პერსონიფიცირებული ხატი აქ, თუნდაც მწერლის ამ მინიატურაში ცოცხალ, თუმც იდუმალი ცნობიერების მეტაფიზიკური ტანჯვის გათვალსაზიროებაა, რომლის აღქმის ხელოვნება მხოლოდ მასთან „განდობილთა“ ხვედრია...

\*\*\*

ადამიანის კონცეფციის ე.წ. ონტოლოგიური გააზრებანი, ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია მწერლისა...

ლირიკული მედიტაციის „ჟანრი“ და მისთვის სპეციფიკური რომანტიკული „ნესრიგი“, ის მოცემულობაა, რომლის პროტაგონისტად წარმოდგენილი სუბიექტი მშვენიერისა და ზნეობრივისა კენ სწრაფვას განასახიერებს... ესწრაფვის იყოს ერთგული საკუთარი იდენტობისა... მხოლოდ ამგვარი კრეატიული იმპულსებით იძენება პერსონაჟთა „ლირიკული ჰეროიზაცია“ აღბეჭდილი პორტრეტები...

ისინი, მართალი და უპრეტენზიონი, ხატოვანი ექსპრესიით ჰყვებიან თავიანთ უცნაურ თავგადასავლებს, საკუთარი ყოფიერების კოლორიტულ ფრაგმენტებს... სევდანარევი ღიმილითაა გაჯერებული მათი ხმამაღალი ფიქრები და თითქოს სწორედ ამ სევდიან ირონიამა მათი უნიკალური მშვენიერების სათავე...

იმდენად ანკარაა მათი ნადილი მოიხელთონ და გააცოცხლონ დაკარგული დროის კონტურები, რომ შეუძლებელია არ უთანაგრძნოდ და არ იქცე მათი სევდისა თუ სიხარულის თანამოზიარედ...

ასე იქმნებოდა მწერლის მხატვრული შედეგები, რეალური თუ ირეალური ცხოვრების შთამბეჭდავი ანარეკლები... რომანტიკულნი და გამაოგნებლად სურნელოვანნი... იმ სულიერ ოაზისებად გარდასახულნი, რომელთა სემანტიკურ ნიაღში იყო სუფევა დიდი სიკეთისა, შთამაგონებელი მაღლისა და ყოვლისმომცველი სიყვარულისა...

ცხოვრების კონცეპტუალური პრაქტიკა წარმოჩინდება მწერლის ერთ, ჭეშმარიტად მრავლისმეტყველ მონოლოგში, რომელიც იმპლიციტურად მთელი თაობის სატკივარსა და სინანულს გამოხატავს — „შემიპყრობს ხოლმე რაღაც უცნაური სევდა, საგნობრიობამდე გამკვრივებული სევდა... მეჩვენება, რომ მე და ჩემისთანები ოცდაათიანი წლების ქალაქის გარეუბანში აშენებული ქოხები ვართ, ქაფჩის უქონლობის გამო, ხელისგულებით ნალესი... ამ ქოხებში ტრიალებს წყალდაპყურებული მიწის სუნი, კედლებზე ჰკიდია ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მწერლებისა და კომპოზიტორების სურათები, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას შავ ჩარჩოში ჩასმული პაპისა და ბების სურათი... და თუ ჯერჯერობით კიდევ ვარსებობთ ქვეყანაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ, რკინა-ბეტონის ნაგებობებს არ ვუშლით ხელს... საკმარისია, მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ, მოგვაცენებენ ბულდოზერებს და ჩაგვაშვავებენ ხევებში“...

ღრმა საყვედურის მკვეთრი ინტონაციები, თაობისა თუ სოციუმის იმ მწუხარებას გამოხატავენ, რომელნიც ძველი თბილისური ქოხების ფერეულ მოლანდებასთან ასოცირებულ შემოქმედთა მოსალოდნელ ბედისწერასაც გულისხმობს... და როგორი ირონიული ღიმილიც არ უნდა გამოკრთოდეს მწერლის ჩანაწერიდან, მას მაინც ნეტარ მოგონებათა ცრემლი აკეთილშობილებს და წარსულის ტკბილ ზმანებებში „ხვევს“...

\*\*\*

უნიკალურია მწერლის იუმორიც... მას გონებამახვილობათა იმ თავანკარა სათავეებისაკენ მივყავართ, ხალხის სულსა და გონებას რომ შეუქმნია და მისი ყოფიერების გალანტურ „სამკაულებად“ უქცევია...

ბანალური თუ უხამსი „ნარატივებისაგან“ განრიდებულნი, ლაღად მოედინებიან ჭავლი ადამიანური ტალანტის ვერბალური ილუსტრაციებისა და სიხალისით ავსებენ გარემოსა და ჩვენს განწყობილებებს...

ქართული სოფლის კოლორიტის უბადლო მცოდნე, იგი ოჯახებიდან, შარავზებიდან თუ ორლობებიდან „წამოფრენილსა და აჟიფივებულ“ ამბებსა და სიტყვათქმებს, საკუთარ წარმოსახვათა უნიკალურ ხელოვნებას „აგებებს“ და ჭეშმარიტი „ალქიმის“ წყალობით, ნატიფ ესთეტიკურ მოცემულობად გარდასახავს...

შთამბეჭდავია პერსონაჟთა ფიგურალური ორნამენტაციებით აღბეჭდილი ენობრივი რეპერტუარი... საოცარი სიღალღით სუნთქავს მათში ქართული ენა და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მისი პლასტიკური გამომსახველობის კოლოსალურ დიაპაზონში...

ესთეტიკური განუმეორებლობის გარანტი აქ, ამ შემთხვევაშიც უმდიდრესი ენობრივი მოდულაციები...

\*\*\*

მწერლის თემატიკური რეპერტუარიდან ერთი უმნიშვნელოვანესი, რომანტიკული ობერტონებით წარმოდგენილი სიყვარულის „ისტორიებია“...

იკვებება მოთხრობათა ვრცელი რკალი, რომელთა მეგამოტივაცია ამ უფაქიზესი გრძნობით არის აღბეჭდილი...

მათი წარმოდგენილ მხატვრულ ტექსტებში ნაკლებია სენტიმენტები თუ მაღალფარდოვანი რიტორიკული მოდულიაქივები, მონანიებანი თუ აღსარებანი... სადა და ბუნებრივი ემოციური განცდებითაა გამოხატული აქ სუბიექტური კულტურის ეს ეკზისტენციური უნივერსალია...

არსებითად, დელიკატური ხელოვანის ინსტინქტი არც აქ ლალატობს მწერალს და ამ უსაზღვრო ადამიანურ ვნებას, სულიერი ჰარმონიის ლირიკულ ინგრედიენტად წარმოსახავს...

მის მხატვრულ ქმნილებათა ერთიან, მძლავრ „მელოდიებში“ ექსპლიციტური, იგი კიდევ ერთი „ასპარეზია“ ადამიანური არსის თვითრეალიზაციისა...

ქალის ცხოვრების ეპიზოდია წარმოდგენილი მწერლის ერთ ქმნილებაში („ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“)... რალაც წმინდა და დაუვინყარის დაკარგვით გამოწვეული სევდაა მისი ლაიტმოტივი... პროტაგონისტის სათუთი სულის სიმები დაღლილი მოწყენილობის ხმებს გამოსცემენ... საკუთარ რომანტიკულ ხილვებში „მოხეტიალე“, უიღბლო სიყვარულის ზმანებებითა იბრუნებს სულს... ლანდივით ფარფატებს იგი და უპასუხოდ ტოვებს მისკენ მიმართულ ცნობისმოყვარე სახეებს... გაყინული სიყვარულის სუსხი, ქლაქიდან კვლავ სოფლის მშობლიური ნიაღისაკენ უბიძგებს მას...

ამ ლირიკული ნარატივის ესთეტიკური ხიბლი ის უნატიფესი „კლავიატურაა“, განწყობილებათა შუქ-ჩრდილების ის გალანტური მოდულაციებია, რომელთა გარეშე შეუძლებელია კლასიკური პროზის წარმოდგენა...

\*\*\*

სურვილი მარადისობის ენით ლაპარაკობსო — „უთქვამს“ ოდესღაც ბორხესს და ამ ფილოსოფიური გზავნილით, მიშელ ფუკოსა და მორის ბლანშოს ინტელექტუალურ ძიებათა ერთი ნაკადი უწინასწარმეტყველებია...

რეალობის, როგორც პოზიტიური დეკორაციის აღქმის სურვილი, სწორედ იმ გრადაციის წინსაფეხურია, საიდანაც იწყება და გრძელდება უნივერსალურ კონტექსტებთან მიახლოება და მათი პროვიდენციულ ენა-ინფორმაციად ქცევა... ასეთია დროისა და სივრცის ლინგვისტური მეტაფორიზაციის დისკურსი, ანუ მხატვრული ქმნილების უნივერსალიზაციის პროცესი...

რევან ინანიშვილის სამყარო რადიკალური ალტერნატივაა ე.წ. „ნეიტრალური“ რეალიზმისა, რომლის მიზანი სინამდვილის მხოლოდ ადეკვატური წარმოსახვაა... რეალობის „ნაივური“ ონტოლოგიზაცია მასთან ტრანსფორმირებულია სემანტიკურ-აქსიოლოგიური აღქმა-წარმოსახვით...

როგორც ყოველი დიდი შემოქმედის შემთხვევაში, აქაც რთულია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრო მწერლის ესთეტიკურ კონცეპტთა სტრატეგია... იგი იმდენადვე ცხადი და გამჭვირვალე, რამდენადვე იდუმალი და სიმბოლური...

მისი სტიქია კრეატიული სამყაროს ეთიკური და მორალური კონტექსტების წვდომა და მათი კულტურის სისტემის მარგანიზებელ რეგულაციებად წარმოდგენა.

\*\*\*

სრულიად უნიკალური სტილური ნიშნებით ავლენენ თავს რევან ინანიშვილის მოთხრობათა პერსონაჟები... ისინი თვითონვე არიან სტილური პოლიფონიის განმასახიერებელი და არსებობენ, როგორც ინდივიდუალური ენობრივი ფაქტორები...

პრინციპულად არსებითია მისი მხატვრული ტექსტების ენობრივი სისტემა...

უპირველესად აღსანიშნავია სოციალური ხასიათების წარმოსახვის პრინციპი — მონოლოგურსა თუ დიალოგურ ფორმებში გამჟღავნებული საკუთარი „ხმის“ სახით...

სახეებისა თუ ანტიურაჟის სპეციფიკური რეალიების მიმეტური წარმოსახვის მიუხედავად, მწერალი არ განერიდა კლასიკურ ნორმებს... თუმც, მისთვის არც კუთხურ კილოკავთა ხაზგასმული ეგზოტიკაა არაორგანული...

სანიშნუში წონასწორობაში მოყვანილი უმდიდრესი ენობრივი სივრცე კიდევ უფრო აღრმავებს წარმოსახულის ექსპრესიას და მის სემანტიკურ ჰორიზონტს... გრაფიკულ გამომსახველობას ანიჭებს მწერლის მხატვრულ მედიტაციებს...

„თუშეთის მთებში, ხრიოკ მინაზე, გულაღმა ვგდევარ ცხენისგან ნათრევი, დაჩეჩქვილი, თვალებში სისხლჩაღვებულნი, და შველიმი ჩემთან ჩამუხლულ, ხელებათახახებულ, ატირებულ წითელ დედაბერს“ — ამ უნიკალური მინიატურის თავი და ბოლო მწერლის დიდი ხელოვნებაა, რომელსაც ერთი ძუნწი ხელმოსმით შეუძლია დასრულებული და ქვეტექსტებით მდიდარი ფერწერული სურათი შექმნას...

ტექსტის მორფოლოგია თითოეული სიტყვის პოლიფონური პოტენციითაა გაჯერებული და მკითხველის რეცეფციასა „მინდობილი“... თუმც, მისი ნებისმიერი ნაკითხვა იდუმალის ესთეტიკურ განცდასთანაა წილნაყარი...

\*\*\*

თავისი ინსტინქტებით, წარმოდგენებითა და ცნობიერებით რევან ინანიშვილი ბოლომდე დარჩა შემოქმედად, რომლისთვისაც პრიორიტეტული მშობლიური მიწის, საწყისისა და ფესვის საკრალიზაცია იყო... მისი უინტიმესი ლანდშაფტები და პროვინციული სივრცის რომანტიკა, მათი ვიზუალური თუ აკუსტიკური მრავალფეროვნებით, ის პასტორალური ნიაღია, საიდანაც ისრუტავდა იგი სიღრმისეულ კავშირს წარსულ თუ დღევანდელ ყოფიერებასთან, ადამიანური მოდგმის ონტოლოგიურ სტატუსთან და მათ პრივატულ აზროვნებასთან...

სხვა მის დიდ თანამედროვეებთან ერთად, ისიც, ვითარცა ტრაგიკული ეპოქის შემოქმედი, ცდილობდა ამაღლებულიყო დრო-ჟამის „სნეულებზე“ და ყოფილიყო ჭეშმარიტი მემკვიდრე დიდი ლიტერატურული წარსულისა...

ამ მისიით მოვლენილმა უხმაუროდ განვლო წუთისოფელი... უმძიმესმა ჟამმა გააცილა უკანასკნელ გზაზე...

ჩვენს წინაშეა მისი დიდი ლიტერატურა, თავისი პოტენციალითა და მორალური კულტურით, მენტალური და კომუნიკაციური პარადიგმებით...

იგი გვალელებს, გვამალვებს და გვინერგავს მშობლიურის სიყვარულსა და თავყვანისცემას...

მისი მაძიებელი სული, ნიადვ შორი, დათოვლილი მწვერვალებისაკენ მიიღტვოდა... მიღწეული განვლილად მიაჩნდა...

და თუკი მის ქმნილებებს იდუმალების შუქ-ჩრდილები აღბეჭდვია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამოუნურავია მისგან მოგვრილი ნეტარება და მასთან ლირიკული დიალოგი... ანუ აღქმა და გათავისება მისი უნიკალური მხატვრული სიტყვის პლასტიკური და იდეური პოტენციალისა, იმ ესთეტიკური ინფორმაციისა, რომელიც აღბეჭდილია დიდი ხელოვნების კომუნიკაციური ფუნქციებით...

### შოთა ნიშნიანიკი

ყოველი დიდი შემოქმედის ფიქრი ყოფიერების სასტიკი ფილოსოფიით შემკრთალ-შენუხებელი პიროვნების სულისკვეთებაა და იგი საყოველთაო ჰარმონიისაკენ სწრაფვის ინსტინქტითაა აღბეჭდილი...

დროდადრო საოცარი ძალით იღვიძებს მასში ემპირიკაზე ამაღლებისა და იდეალურის ზმანების დაუოკებელი ვნება...

ასე და ამგვარად, მისი პოეტური მონოლოგები უნიკალურ ხილვათა „გალერეად“ ეცხადებოდა სამყაროს, რომლის აღქმა-გაცნობიერება ოდენ სულიერებით შთავონებულთა ხვედრი თუ იყო ყოველთვის... მაღალი პოეზიის აღქმისა და განსჯის

მხოლოდ ამ კონტექსტში წარმოდგინება შოთა ნიშნიანის პოეტური ხელოვნება, მისი მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო.

მის შემოქმედებაზე ბევრი დანერილა... უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ, მელნისა და რიტორიკის „ტალღებში“ ცდილობდნენ პოეტის „გამომწვევით სულის“ კონცეპტუალური საზრისის მოძიებას... პოულობდნენ, უღრმავებდნენ, გონებაჭვრეტითი დისკურსებით ინტელექტუალურ „ჟინს“ იცხრობდნენ...

უპირველეს ყოვლისა შოთა ნიშნიანიემ „შედლო“ მშობელი მინისათვის ემცნო მასშივე ღრმად აღბეჭდილი სიმბოლურ-მეტაფორული აზრი, ცნობიერი გაეხადა საუკუნეების წიაღიდან „მზირალ“ იდუმალებათა ჭეშმარიტი კონტექსტები და ფარული სემანტიკა... მშვენიერებით გაცისკროვნებულ ჟამთა და ცრემლდამდინარე ღამეთა მისტერია...

ღრმა და შთამაგონებელი დიალოგი წარსულსა თუ აწმყოსთან მისი, როგორც პოეტის კოლოსალური პრივილეგია იყო და ეს იმ „კატეგორიულ იმპერატივს“ წარმოადგენდა, რომლის მიმართაც არასოდეს ყოფილა გულგრილი...

მისი პოეზიის ლირიკული გმირი სულიერ თავისუფლებაზე მეოცნებე ქართველია... ფათერაკებით აღბეჭდილი ისტორიის ბილიკებით მავალს, მას არაერთხელ შეაკრთობს და ააღლევებს დანგრეულ ციხე-კოშკთა მწუხარე სილუეტები, გარდასულის ნისლეზად აშლილი ძველთა „ცხოვრებანი“... თუ სინანული მწვავედ აღძრული უმწეობის გამო: „ჩემო წინაპარო, ჰაუ, რა გიქნია, საუკუნეები შუბზე აგიგია! ციხე, ანძა, ხატი, საფლავები ღია, მხარზე გაგიდევს და ზღაპრად წაგიღია... მიწავე ძველისძველო, შეგთხოვ მაპატიო, თუ ვერ შეგეშველე იმ სამინელ დროში, თუ ვერ მოვკვდი შენი ჩალისფერი დროში“...

შეულამაზებელი, ეპოქალური კონოტაციებით აღბეჭდილი მოვლენები პოეტის არაერთი ლექსის ლაიტმოტივია...

სიმართლისა და კეთილგონიერების ობერტონები ამ ქმნილებებში დიდსულოვნად წარმოაჩენენ ისტორიულ ეპიზოდთა მორალურ აქცენტებს: „ცოტნე გმირია, დიდებული გმირი... ოლონდაც თუ ბიჭები ვართ, ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს, ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონლოლიც, გმირობისა და ვაჟკაცობის უზადლო მცოდნე“...

\*\*\*

ამაღლებული და უკომპრომისოა შოთა ნიშნიანის მოქალაქეობრივი ლირიკა...

მასში ქაოტური ცხოვრების უაზრო „ფერხულში“ ჩაბმულ ადამიანთა სილუეტები ილანდებიან...

ოდიოზური სინამდვილის შემოქმედნიცა და მსხვერპლნიც, ისინი თითქოს უნუგემოდ შორდებიან საკუთარ იდენტობას და, სახედაკარგულნი, მთელი აღტყინებით ეძლევიან მატერიალური ნეტარებით ტკობას...

პოეტის წარმოსახვათა „ავანსცენაზე“ ერთმანეთს ენაცვლებიან მედროვეთა თუ მოშურნეთა, ტაკიმახსარათა თუ კვაზიბრძენტთა, ბოროტთა თუ ფსევდოპატრიოტთა „მგზნებარე“ სახეები...

შლეგი და თავნება ყოფიერებათა თითქოს მეუფე და მბრძანებელი მათი ატორტმანებული ვნებათაღლევისა...

ამიტომაც იქნეს პოეტის მენტალობა, ვითარცა უზენაესი მსაჯული დრო-ჟამისა, იმ ძალთახმევას, რომელმაც ნათელი უნდა მოფინოს სინამდვილის ამაო ყოფნას...

მარადიულ და უცვლელ ჭეშმარიტებათა უწყვეტ ქმნადობაზე ორიენტირებული, იგი ისწრაფოდა დროის უსიცოცხლო „ხატებიდან“ განრიდებას... განრიდებას ცნობიერების იმ ფანტომებიდან, რომელნიც ამაო კმაყოფილების ძილ-ღვიძილს ამკვიდრებდნენ ერში...

\*\*\*

შოთა ნიშნიანის ლირიკულ მედიტაციათა სივრცეში, ვითარცა ნეტარი ზმანება „ჩნდება“ ქალი... როგორც სათნობათა საწყაული, როგორც სინაზე, ოცნება, სიმბოლო და პოეტის ვიზიონების ანალიტიკური კონსტრუქტი...

გრძნობათა „მეხსიერებას“ სათუთად შემორჩენილი სურნელი ტრფობისა ლირიკულ ფრაგმენტებად კრისტალდება და გალანტური ინტიმის იმ რეგისტრებით ავლენს თავს, რომლისთვისაც სრულიად ბუნებრივია განცდათა ვნებიანი „ჩურჩულიცა“ და განშორებათა „ცრემლიც“...

ეს იმ რომანტიკულ ტექსტთა ნაკადია, ის უინტიმესი სიუჟეტური სიტუაციებია, რომელსაც არც კი უნდა „მიეკაროს“ ანალიტიკური განსჯის ცნობისმოყვარე „საცეცები“... რადგან მისთვის აუტანელია ერთმნიშვნელოვანი და კოდიფიცირებული ფიქრის ტირანია...

სატრფილო „პათოსის“ ელეგანტური პეიზაჟები მხოლოდ ნატიფი პოეტური ქმნილების უფლებით იმკვიდრებენ ადგილს მკითხველის ცნობიერებაში...

\*\*\*

სრულიად უნიკალურია შოთა ნიშნიანის ფილოსოფიური ლირიკისა თუ ეპიკის ჭეშმარიტად კლასიკური ტექსტები...

სამყაროს ონტოლოგიური აღქმის დიაპაზონი და უღრმესი ანალიტიკური დისკურსი, როგორც პოეზიის უნივერსალური ენა, მისი მედიტაციების არსებით კონცეპტებად მოიაზრება...

მათში დრო და ყოფიერება აღქმულია როგორც ფილოსოფიური მეტყველების მაიმპულსირებელი ინგრედიენტები, როგორც პიროვნების იდენტობისა და ეროვნული ფენომენის ძიებისა და აღმოჩენის დიდი ასპარეზი... როგორც თავისუფალი ადამიანის სულიერი განვრცობის ფუნდამენტი...

\*\*\*

იგი იმ დიდ ქართველ შემოქმედთა შორისაა, რომელთაც შესმინეს ხმა მშობელი მინისა, იგრძნეს ის საკრალური სუნთქვა ტრადიციისა, ანუ გარდასულის წმინდა წიაღიდან მომდინარე სულიერებისა, რომლისთვისაც მხოლოდ ქიმერა დეკადენტური ინოლობინილოები და მათი ეფემერული „ბრწყინვალეობა“...

სამყაროს უსაზღვროებასა და მარადისობაში ისინი ჰპოვებდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილს... იყვნენ უნივერსალური და არა უცაბედ მოდას აყოლილი...

დღეს, სამწუხაროდ, შემადრწუნებელი სისწრაფით „ბერდებიან“ და უფასურდებიან ერთ დროს ბრწყინვალე ქმნილებანი... თვალსა და ხელსშუა ჭკნებიან ავტორიტეტები, ფერმკრთალდებიან ძვირფასი სილუეტები, უჩინარდებიან ერთ დროს გონიერი და ერთგული მკითხველები...

ახლა, როდესაც ლიტერატურამ დაკარგა პრესტიჟული საქმიანობის იმიჯი, როდესაც მონინება მის მიმართ წარსულის ანომალიად იქცა... როდესაც მხოლოდ საყოველთაო კვაზიკულტურული ქაოსია ჩვენი „სიურრეალისტური“ სინამდვილის ერთადერთი პარტიტურა, — უნებურად ჩნდება კითხვა: დარჩა კი ამ მინაზე კიდევ რაიმე ჭეშმარიტი და ხელთუქმნელი?!

იქნებ ამ მტკივნეული კითხვის პასუხი თუ გამოძახილია პოეტის ბრწყინვალე რეფლექსია: „მთლად დაშრებიან კაცთა სულნი... კლდეთა წყარონი... მთლად დაყრუვდება ეს ბრბო — ეს ბრმა შურისმგებელი, მაგრამ პოეტებს, მოციქულებს და მახარობლებს, ცაში უფალი ეყოლებათ ყურის მგდებელი!“

პოეზიამ, როგორც მშვენიერების უზენაესი სიბრძნისა და სათნობის განსახიერებამ, შოთა ნიშნიანის მხატვრული მედიტაციებთაც გამოავლინა თავისი პროვიდენციული ძალისხმევა და ქართველთა ცნობიერებას კიდევ ერთხელ ამცნო მისი სრულიად განსაკუთრებული მისია...

ამცნო ის, რომ პოეტის სული ნათელმხილველისა და სამშობლოსათვის ტანჯული წმინდანის სულია... ერის მთრთოლვარე სული...

საიდან ვიწყებით, საით მივდივართ და სად ვმთავრდებით — აი, კითხვები, რომელთა ამოცნობის იდუმალ სიმბურვალეშიც, ფარვანასავით იწვის და იფერვლება უფლისგან ამა-სოფლად მოვლენილი პოეტი...

# ერთი პოეტის ორი კრებული

შოთა ნოზაძე

## ლეკსი ფიქრმაც უნდა მოინდონოს

მარადიული უსასრულობის 54 წელი... მარტი ... თოვლი... რძისფერი თოვლი, რომელიც 53-ე საათს აქრობს. ათი მცნებიდან მეთერთმეტე... დილა, რომელიც შეგვახსენებს, რომ მზე მისგან ამოდის... წმინდა სიტყვების რითმა აისიდან დაისამდე... ალბათ მერე უფრო ადვილია ჯვარცმა... ჩვენგან ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით ის ჯადოსნური ბალახი, რომელიც გარდაცვლილს კი არა, ცოცხალს უბრუნებს სიცოცხლის ძალასა და წადილს!.. მილიონი ალისფერი ვარდის ავტორსაც არ შეუძლია იბერიის სულის დახატვა იმ ფუნჯის ერთი ბენვითაც კი, როგორი უანგარო საღებავებითაც აფერადებს პორტრეტებს. აქ სიტყვები ზედმეტია... ალბათ იმიტომ, რომ არაფრისმთქმელია. სინათლის სინმინდით საესე იმედის სანთელი... რომელშიც სიმშვიდე უფრო მეტია ვიდრე სინყნარე... იმედი... რომლის თმის გაჭაღარავებასთან ერთად პეტრეს მამალი ისე დაბერდა, რომ არ უყვივლია. ყვივის მწერალთა სასახლეში შეკრებილი იმ ხალხის სული რომელთაც არ უკვირთ თავმდაბალი პოეტის თამამი ლექსის 54 წლის იუბილეზე მეოცე წიგნის პრეზენტაციის დაბადება. იქნებ არც ისე დიდი იყო ის საღამო, მაგრამ დიდ მაქებელს შეხვდა მარიამის სახით.



მზის დაუჯდომელი  
● მარიამ ნიკლაური

**მარიამ ნიკლაური:** ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მეოცე წიგნის პრეზენტაციაზე მასპინძელი ვიქნებოდი, მე თვითონ მალიზიანებს ამხელა რიცხვი, ბოლოსდაბოლოს ვინ ხარ, რა დაგინერია, მაგრამ ეს მეექვსე ლირიკული წიგნია. ლექსებს ვწერ ყველასთვის, ვისაც არ ეზარება მისი წაკითხვა. ლექსით ვცხოვრობ, ლექსით ვფიქრობ, ვამბობ და ყოველთვის გავიმეორებ ჩემთვის — ლექსი არის მსგავსი რელიგიის, რადგან პოეზია მეხმარება, ვიპოვო ჩემი სულიერი ძალეები, გზა ღვთისკენ, ადამიანთა ერთობა. შეიძლება გადამეტებული სიტყვებია, მაგრამ პოეზია მეხმარება, რომ დედამიწაზე მყარად ვიგრძნო თავი. მე ქიმიური მაქვს დამთავრებული, მაგრამ ბავშვობიდან მიყვარდა ლექსები, ლიტერატურა.

მარიამ გურამის ასული ნიკლაური დაიბადა თბილისში 1960 წლის 18 მარტს. მიღებული აქვს ტექნიკური განათლება, 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობის რედაქტორად. რადიო „ივერიაში“ უძღვებდა ორ საავტორო გადაცემას: „საუბრები საბავშვო ლიტერატურაზე“ და ლიტერატურული სალონი „ერთი საათი“. არის „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის“ „ლიბოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ინიციატორია საქართველოში „ქართული საბავშვო წიგნის დღის — 27 ოქტომბრის“ დაწესებისა. არის ამავე ფონდის ეგიდით გამოშვებული საბავშვო ლიტერატურული ალმანახის რედაქტორი. მისი ლექსები, თარგმანები, წერილები, ესეები ხშირად ქვეყნდება ლიტერატურულ პერიოდიკაში. არის „ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის“ 2009 წლის ნომინანტი. მისი ლექსები შესულია 2011 წლის „მსოფლიო პოეზიის ალმანახში“

სწორედ ეს მუხლჩაუხრელი შრომა გახდა **როსტომ ჩხეიძის, იოსებ ჭუმბურიძის, გია მურღულიას, ნოდარ ტაბიძის,**

**ტარიელ ხარხელაურის, ჯარჯი ფხოველის** და მწერლის სახელის ღირსეულად ტარების ღირსი ადამიანების ხმამალა ქების ღირსი.

არაფერია მზისქვეშეთში ახალი. საღამო ისევე დაიწყო, როგორც ყველა მიჩვეული იყო მარიამისგან. დამსწრე საზოგადოებას ხელმოწერების შეგროვება სთხოვა მწერალთა დასახმარებლად და ამ თხოვნას აპლოდისმენტები მოჰყვა. საიდუმლოს გვიმხელს **გია მურღულია** ინტერვიუში — მარიამ ნიკლაური თანამედროვეობის გამორჩეული პოეტი, ორი სიტყვა ერთმანეთს ისე გააცნო, რომ მნიშვნელობა მისცე, რთულია, მისი ლექსები სულის კედელზე მიხატული ფრესკებია. მარიამის წიგნს „მზის დაუჯდომელს“ წერილი მინდა მივუძღვნა რომელსაც ახლო მომავალში ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ იხილავთ. არ მინდა წინასწარ საუბარი. ალტაცებული ვარ დღევანდელი საღამოთი“.

„მზის დაუჯდომელს“ წინ უძღვის **როსტომ ჩხეიძის** კომენტარი: „მარიამ ნიკლაურის პოეზია — თავისი ლირიკული და ეპიკური განმტობებით სახიერი ნიმუშია, თუ რას ნიშნავს ტრადიციული და მოდერნისტული ძიებების ჰარმონიული შერწყმა, ეროვნულ ფესვზე ამოზრდილი მხატვრული ხილვები, ბუნებრივი ძალდაუტანელი, შთამბეჭდავი, ადამიანური სულის უღრმესი შრეების სუნთქვა რომ მოაქვს და იმ სინრფელით გადაგვიშლის თვალწინ დაფარულ მოძრაობებს, ნამდვილი

პოეზია რაც არის...“ ქალბატონ მარიამის საპატივცემულოდ გუდამაყრიდან ჩამოსული იყო მათე კლასის მოსწავლე **გიორგი ბექაური**, რომელმაც მისი პოემიდან „მარადისობის რიტუალი“ ამონარიდი წაკითხა. დარბაზში შეკრებილ 300-მდე მკითხველთა შორის ყველაზე უმცროსი გახლდათ. საღამოს და ყვავილების თაიგულებს ბოლო არ უჩანდა. სიხარულისგან გამოწვეული მოულოდნელი ალტაცება ვერ დამალა ქნმა მარიამმა, როდესაც სიმებიანი კვარტეტის „სფორცანდოს“ ოთხმა ულამაზესმა გოგონამ — **სალომე ბუკიამ, ეკატერინე საფარიშვილმა, თეა ბახტაძემ და სოფო ბუკიამ** — ოთხი ულამაზესი მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ მარიამ ნიკლაურის წიგნის ყდაზე განთავსებული ნახატები მასვე ეკუთვნის, დიზაინერი კი თეა აკობია. „ეს წიგნი ღრმად ინტელექტუალური და ნიჭიერად შექმნილი პოეზიის ნიმუშებია, თვითონ მარიამი არის ფართო თვალსაწიერის პოეტი. დახეტილობს დროსა და სივრცეში, პასუხაუცემელ კითხვებზე ცდილობს პასუხი იპოვოს. მარიამის ლექსების გაგებას გახედნილი გონების თვალის სჭირდება. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მივულოცო მარიამს, საზოგადოებას, პოეზიის მოყვარულებს დღევანდელი დღე“ — განაცხადა წიგნის რედაქტორმა **მზუო გოგოჭურმა** ინტერვიუში. მას ეთანხმება **ნოდარ ტაბიძე:** „ანალოგიური საღამოები დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება. ეს არის ამღვრეულ ცხოვრებაში წვრილმანებისგან გათავისუფლება. მე ყველას ვთხოვ, როგორც მარიამი აზროვნებს, ყველამ ისე იაზროვნოს“.

მწერალთა სახლს თაიგულების სურნელი აბრუნებს და გიკვირს, თუ რა უცბად გადის დღე, მერე ხვდები, რომ ეს დღე არ ყოფილა, ეს ცხოვრება იყო, ცხოვრება, რომელიც ყველგან ჩურჩულებს. ჯერ იყო დუმილი... შემდეგ სიტყვები დუმილის ფასის... იყო სიცოცხლე და იყო თავისუფლება ერთ მცნებად — ეს მაშინ ხდება როცა მზე ორად იყოფა, ნაბიჯი წინ — ნაბიჯი უკან, როცა „მზის დაუჯდომელი“ იკითხება.

ნატა ვარადა

# ერთი გვარის მთისშვილობისკენ სიტყვათა ფარდაბის გზამკვლევი

თუ გინდა გული ყელზე მოგებჯინოს, თუ გინდა სასულეს-თან დააგროვო ემოცია და დაუღო სულს ჯვბირი, თუ გინდა სხეულში სულის მოძრაობა იგრძნო... მარიამ ნიკლაურის ახალ ნიგნი გადამაღე.

თუ გინდა შენი ქვეყნის სტუმრებმა ემოციები თან გაიყოლონ, სწორედ ეს ნიგნი აჩუქე და გაატანე. ჩავა მგზავრი საკუთარ ქვეყანაში, გადაშლის ამ ნიგნს და ჩვენი ფერადოვანი და მადლიანი საქართველო სიტყვებზე გაუბრწყინდება, როგორც თუშური თუ ფშური ფარდაგ-ხალიჯები, თვალნინ გადაეშლება დიდი სამყარო სიტყვისა და იქ მარადისობის რიტუალიც ამზევდება.

ნებისმიერი რიტუალი მისტიკური დატვირთვითაა ხიბლით მოსილი.

ეს ნიგნი ადამიანების, გარემოსა და უხილავი სამყაროს, ზენაარის არსზე მოგვითხრობს.

ერთი გვარის ისტორიას, რომელიც, რომ განაზოგადო, მთელი საქართველოს პატარა მოდელს გადააწყდები.

გენეალოგია არაფერია, თუ არა ფესვებისა და სისხლის ერთ დროში გახლართვა, უწყვეტი ძაფი, საიდანაც იქსოვება ჯიში და ჯილაგი.

მარიამ ნიკლაურის რიგით ალბათ მეთექვსმეტე ნიგნი, თუმცა რაოდენობას აქ მართლაც არა აქვს მნიშვნელობა, თუმცა ადამიანის უსაზღვრო ფანტაზია და ნაყოფიერებაც ხაზგასასმელია, ყველაზე გამორჩეულია თავისი უნიკალური და ორიგინალური კონცეპტით. მთის შვილებს მთის ტრადიციებისთვის არა ერთი და ორი, გენიალური და ღმერთისგან ნაბოძები ნაწარმოები — ბალადა, ლეგენდა, ლექსი, ზღაპარი — მიუძღვნია, ვაჟასა და ყაზბეგის, ხვარამხესა და ბაჩანას შემოქმედების შემდეგ თითქოს მთელი მთა ამღერდა და აგალობდა, მაგრამ ხევსურული გვარის ქალპოეტის მარიამის ეს ნიგნი, კიდევ ერთი განსხვავებული ამომღერებაა — სამშობლოსი, გვარისა და გენის, ფესვების, ტრადიციების, სალოცავების, კუთხე-კუნჭულის სიყვარულისა.

ზუსტად როდის გახმოვანდა ეს, არ მახსენდება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კათოლიკოს-პატრიარქის ერთ-ერთი საშინაო დავალება ერის შვილებისათვის — ოჯახის გენეალოგიის დაწერაც არის. გვარის ხის შექმნა ყველა ოჯახის რომელიმე წევრისთვის აუცილებელ ღვთის სასიკეთო საქმედ დასახელდა.

ჩვენ, ქართველებს მეფეთა ანუ ბაგრატიონთა გენეალოგიით მოგვაქვს თავი, მაგრამ სხვა ქართული გვარების შესახებ რომ ბევრი არაფერი ვიცით, ამას კი განვიცდით. საერთოდ, რამდენიმე გამორჩეულ გვარს თუ არ ვიგულისხმებთ, ამ გვართა უმეტესობის გამორჩეული წინაპრებისა არც სახელები ვიცით და, ის საქმენიც, რომლებმაც გაუთქვეს სახელი, დავინწყების წყალს მივეცი და უნანებლად.

პოეტი აქაც ნოვატორია.

დაწერს ერთ გაუწყვეტელ ბალადას, ლექსებს მრავალმარცვლიანს, შაირს, ვერბლანს, ვერლიბრს, რითმიანსა და პოეტურ პროზას ერთმანეთში ერთი საერთო ტკივილ-მითით გადახლართავს და სიტყვებს, როგორც თითისტარიდან ამოხვეულ ძაფის გორგალს, ისე დაატრიალებს, შემდეგ კი ერთ მხატვრულ ტილოს ამოქარავს, საკუთარი შთამომავლებისთვის.

დაწერს და გამომცემელიც მალევე გამოჩნდება. გამომცემლობა „საუნჯე“ მრავალ კარგ ნიგნს გამოსცემს, მაგრამ ეს ნიგნი-საუნჯე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უნიკალურობა, მაინც გამორჩეული იქნება.

უცნაურია, დროის განმარტებაზე მრავალ ათინელ და

იერუსალიმელ მეცნიერს ლამები უთენებია, უამრავი ნაშრომი დაუწერია და მაინც ეს სამგანზომილებიანი არეალი ბოლომდე ვერ გაუშიფრავს. ?არადისობის რიტუალში კი პირველივე, რაც თვალში მომხვდა, დროის თავისებური, იქნებ მთის-შვილობის თვალით დანახული პარამეტრია.

როგორც სამება, სამივე დრო — წარსული, აწმყო, მომავალი — ერთმთლიანობაში განფენილი გვხვდება სიტყვების მშვენიერ მოქარგულ ნიმუშში. წარსული, რომელიც თითქის დაუჯერებელ მითად, ანდერძ-ანდრეზში შემორჩენილ ღვთისშვილთა და დევთა შერკინებას, ადამიანისა და სალოცავის ურთიერთჯიბრს, 21-საუკუნის გაუგონარი მატერიალისტობის გაბატონებისა და სისუფთავისა და ჰაერის მონატრულ დედას და ფეხმძიმე ქალიშვილს, რომლებიც მიდიან მთის სალოცავში, იქ, საიდანაც სწორედ ამ სალოცავისგან გაძევებული წინაპარი აბარგებულა და ის მოსავლინებელი ახალი სიცოცხლე, რომელიც ამ გზას კვლავაც გააგრძელებს, ოღონდ თავის ფესვებს, მამულს, გვარის სალოცავის მფარველ ღვთისშვილს შერიგებული, დამშვიდებული და გაერთიანებული — ადამიანი, როგორც უფლის მადიდებელი.

აკი ასეც, ლეგენდით იწყება ეს უცნაური ნიგნი, ნიგნი ხატ-ჯვრებისა, ხევისბერისა და ღვთისშვილობისა, ადამიანად ყოფნის სევდისა.

მარადისობის რიტუალი საგზლით იწყება. მთას წამსვლელი კაციც ხომ პირველ რიგში საგზალს მოიმზადებს, რადგან იცის მთა ლამაზია, მაგრამ ისეთივე დაუნდობელი, როგორც შეყვარებული ბუნება. მოულოდნელი ელვა-ქუხილით, ნიაღვრად მომსკდარი დელგმით, სალ-კლდეების შეუვალობით, მაგრამ კაცს, პატარა გუდაში გამოკრული საგზალი იმედიანს ხდის, პური და ღვინო, მარადიული სიკეთის, იესოს ორი მატერიალური განსახიერება მთას მიმავალ მგზავრს აუცილებლად უნდა თან ჰქონდეს. თვითონ შესაძლებელია შიმშილი არც გაახსენდეს, ისეთ გზაზე მიდიოდეს, მაგრამ გზად თუ მშიერ მგზავრს გადააწყდა — მას დაანაყრებს.

პოეტის ეს საგზალიც არ არის ჩვეულებრივი. აქაც წყველის ასახსნელ სიტყვათა საგზალთან გვაქვს საქმე ანუ ლოცვასთან.

მოდით, მივყვეთ მარადისობის რიტუალს და როგორც მთის ჩქარე დინებით და ანკარა წყაროებით ცნობილი მდინარე, საითაც გაგვიტაცებს, ლოდებს შეგვეყრის თუ კალმახებს, ნაპირზე აბიზინებულ დეკებსა თუ ნაძვენარს, ჩვენც იქით, დინებისა და ნაპირებისკენ მივყვეთ, მივყვეთ თვალდახუჭულნი, ლეგენდებისა და ერთი კონკრეტული გვარის, ნიკლაურთა გვარის ნაფუძნარამდე მივინდეთ.

უცნაურია ფშავ-ხევსურეთისკენ გზა. მცხეთას რომ გაცდები, ჟინვალისკენ გრძელდება. ჟინვალის წყალსაცავი კი ხელოვნურია და ამ ხელოვნურობის გარდა, რამდენიმე ათეულ უძველეს ქართულ, ახლა უკვე დაძირულ სოფელს მოიცავს. როცა ფსკერი ძველი ქართველების ხელით ნაგები ასკეტ ბერთა საფლავები და საძვალეები, უფრო წინა საუკუნეების ცეცხლთაყვანისმცემელ მოგვთა შვილებისა და მეზრძოლ რაინდების სამაროვნები, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და წუხსურ-ხუცურით შესრულებული ფსალმუნები — წყალსაცავზე მეტად განძთსაცავი ხარ.

ამ ადგილას თამარის მეფობისას ისეთი დაბა-წალკოტი ყოფილა, ასეთი გადმოცემა არსებობს, სწორედ ამ ადგილას გადასცა შოთა რუსთაველმა თავისი ხელნაწერი თამარ დედოფალსო. ვინ იცის...

იმასაც ამბობენ, ხანდახან, მამლის ყვილის ხმა მოისმის

ხოლმე ფსკერიდან, იქნებ ურმული და ფშაური დატირებაც, უცნაურად მოჩანს იქ ქართული ზეცაც. თითქოს წყლის სიღრმედან ამომცქირალი თეთრი ღრუბლები წინაპართა სოფლების ცაა.

რადგან მთასთან ასასვლელ ბილიკებს შეუვადეთ, წიგნსაც ნუ დავივინყებთ.

წიგნის ამ საგზლით — ნიკლაურების გვარის ლეგენდით — უნდა დავნაყრდეთ.

?ულ მანვალეზა ფიქრი, რომ მოუზომავი სიტყვისათვის დავგვსაჯა ხატმა — ეს იახსარის ხატია.

რა მომხდარა მაინც ასეთი?! სიტყვაა ღმერთი, თავდაპირველად სიტყვა იყო, სიტყვა რჩება.

ნიკლაურთა გვარის კაცს, იახსარის ხატზე ისეთი სიტყვა უთქვამს, რომ ეს სიტყვა გამხდარა მიზეზიც და საბაბიც იახსარის განრისხებისა, სიმწრის კალო დატრიალებულა ამ გვარის მთელ სანათესაოზე და... იახსარის დანყველის შემდეგ ნიკლაურების ერთადერთი გვარის წარმომადგენელი, ქალრძალი, რომელიც მუცელში სისხლსა და ხორცს მალავდა, აბარებულა ფშავიდან და მთას აჰყოლია, ზევითკენ. ვინ იცის, დარდიანს მთის ბუმბერაზობა მამისა და ქმრის მფარველობად მიაჩნდა. რა ამინდში, რა გაჭირვებით, რა ტყე-ღრეში გადაიხდარა ჭინკათა და წყლის სულთა მოძახილით, მაგრამ მაინც ხევსურთა — შატის და ბარისახოს — ჩამუხლულა და შემდეგ... ნიკლაურთა გვარიც ამ ქეობის შემდეგ, იმედას დაბადებით იმედით მოსდებია მთას.

მარიამ ნიკლაურისთვის ცნობილი იქნებოდა ეს ანდრეზი, რათქმაუნდა, მარიამის გონებაში მრავალჯერ გაფიქრებული, უამრავ ლექსად და სიტყვად განერილი და იახსარის მრისხანების ასახსნელი წამლის მაძიებელიც. თუმცა, როდესაც მან ფეხმძიმე ქალიშვილთან ერთად, არა შემთხვევითობით და უფრო კანონზომიერებით, სწორედ იახსარობას დაბნივდა ფშავის მინას ფეხი და ნიკლაურთა ნასახლარებთან დაბნივდა, პოეტი მიხვდა, რომ სიტყვის ძალით ხარკი უნდა მიერთმია ან იქნებ სავედრებელი, ან იქნებ სადიდებელი იახსარის ხევისბერისთვის, რათა ამდენი წლის მოგზაურობას ბოლო და სამიჯნე დასდებოდა და ხავსით გადაბიზინებულ სალოცავს შეენირა.

დავარქვათ მარიამის ახალ წიგნს აღსარება ყველასთვის, რადგან ხშირად ასეთ ამბებს ოჯახები და გვარები მეცხრე თაობამდე ინახავენ სიჩუმი და ნაცარსა და მტკვერ-აბლაბუდას აყრიან, თუმცა წინაპრები არ ახსოვთ შთამომავლებს, მაგრამ გასაჭირი კი არ სცილდებათ და ვერ გაუგიათ, საიდან მოდის ეს უეცარი გაჭირვებანი. პოეტი კი ქრისტიანული წესით, აღსარებისა და სინანულის საიდუმლოებით, ვინ იცის, რამდენი წლის იახსარის სალოცავს განაიარაღებს და ერთი მთლიანი წერილი-წიგნის აღსარებით სავგარეულოს დააზავებს, ანუ ადამიანსა და ხატს მიჯნას დაუდებს, სიტყვების მიჯნას.

პოეზიას ვინც ეთაყვანება, ამ წიგნში სათავისოს აუცილებლად იპოვნის. ილუსტრაციები მთის უცნაურ სიმბოლიკებს თვალხილულს აჩენს და ეს ძველ ფარდაგებზე ადამიანის ხელით გამოსახული უცნაური, ამოუხსნელი მზის, მამლის, ჯვრისა და ყვავილების გამოსახულებებით შემკობილი წიგნის ფურცლები უფრო საინტერესოს ხდის ამბავსაც, რომელიც პოეზიის ყველა საზომით არის გადმოცემული. კაფია თუ შაირი, ვერბლანი თუ ვერლობრი, ფშაური დატირება თუ ხევსურთა საბრძოლო ბალადა, კონვენცია, თოთხმეტმარცვლიანი, რა გინდა სული და გული.

ახლა გამახსენდა, მარიამი ნანინების ავტორიცაა. ქართულ იავნანას კიდევ ცალკე რიტმი და ენერჯია შესწევს, ეს არის სიყვარულისა და იმედის აკვანთან ამოთქმული ჩვილის, სიცოცხლის სადიდებელი. მარადისობის რიტუალიც თითქოს მარიამის აკვანთან წარმოსათქმელ ნანინებს ჩამოჰგავს თავისი სინაზით.

მარიამი ერთნაირად არის დიდებისა და პატარების პოეტი-



მწერალი, მეზღაპრე. მისი ნიჭი ნებისმიერ ლიტერატურულ ჟანრს სწვდება და სიტყვების ფლობის ამ საოცარ უნარს, რა თქმა უნდა, ამ თავის გამორჩეულ წიგნ-აღსარებაში მაქსიმალური ენერჯით ხარჯავს. წიგნი-აღსარება პოეზიის იდუმალებით მკითხველის თვალწინ გარდაისახება წიგნ-შელოცვად. რადგან იახსარის ხატი დაცხრა, რადგან ქალიშვილი ძეობისათვის ემზადება, შელოცვები და გამოლოცვები ხომ თავისთავად ენას მოადგება, რადგან გვარი უნდა გაიშალოს, უნდა მობრუნდეს დაფუნდარზე, დალოცვა და სახლისანგელოზობა ხომ თავისთავად შესრულებელია, რადგან ნიკლაურების ქალამ, იპოვა ამ საუკუნეში ანდრეზებით მოტანილი ცოდნა, რეალობად აქციოს და ლეგენდას თუ თქმულებას საბურველი ახადოს — როგორც ყველა საგზლით დანყებულ ზღაპარში, აქაც ბოლო კეთილია.

აქ მისტიკას, ზღაპარს, პარანორმალურობასა და ნორმალურობას შორის გავლებულ მიჯნაზე, თითქოს საამქვეყნიო ბუნვის ხიდზე გადახდენილი მისტიკის თვალსაჩინოებისას, მკითხველი იგებს ერთი გვარის გენეალოგია-ისტორია როგორ ჰგავს თავისავე სამშობლოს, მინას და რწმენას — კავშირი კი გაუწყვეტელი სისხლის ძაფებითაა ამოკემსილი — ნაცარტუტათი თავის დატირებას სჯობს რეალობას თვალეზში შეხედო და თუ არც ძალა, არც ღონე არ მოგყვება, მაშინ სიტყვების გამომხმობით შეძლო, აჯობო შენივე სისხლის ენაგრძელობის ამბავს და დაუმოკლო კიდევ.

მთა არა მარტო ბუნებაა. არც მარტო ხინკალია და ლუდი. არც მარტო ჰაერია და ციხე-ქალაქები. არც მარტო ცხენებია და სალოცავები. არც მარტო ტყეებია და მწვერვალები — მთა ადამიანებია, ქართველი, მამაცი ადამიანები და მათი გრძობები, მათი ბიბლიური ამბები. ამიტომაც, როდესაც მთას მიხვალ ეს წიგნი რუკასთან ერთად ჯიბეში უნდა გეგულეობდეს, რათა, როცა გაუვალ ტყეებში გზა აგერევა, გადაშლი, იქაური ადამიანის ხმას გაიგონებ, დაგამშვიდებს, სიყვარულსა და რწმენაზე იავნანის კილოთი მოგიყვება სხვა აქაური ადამიანების პედსა და უბედობაზე და გზას გაგაგრძელებინებს. თუ აქაურობა გიყვარს, მაგრამ ადამიანები კი არ გახსოვს, ვისაც აქ უცხოვრია, ვაჟს და მის ჯალაბობას, ხევსურთა უსახელო რაინდებს, სამას უსაფლავო არაგველს, ძაშუკათ ხვარამხეს, ბერდედა თეკლას თუ ხევისბერთა მისტიკურ სახე-სახელებს, თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიტყვება ფეხიც და უკან გამოგაბრუნებს.

ეს წიგნი-წერილიც ამ ადამიანურობაზეა. ღმერთი და ადამიანი განუყრელი რიტუალია, სადაც ერთი, იქ მეორე. მართლაც, ამ წიგნის ეპიგრაფისა არ იყოს: „ვინ გვაპატიოს, ვინა თქვას ჩვენი ცოდვების შენდობა?!“

**„მეც სამშობლო უნდა ვიპოვნო... სტიქიაა, ვიცი, სამშობლოც, ქარის ნაბიჯით მავალი და მოუხელთები... მაგრამ სიტყვით კარგად იცნობა, და ისაა შენი სამკვიდროც. სადაც სიტყვად ხარ დადგენილი! სტიქიაა, სიტყვაც, ღვთისათვის — თავისივე თავის შემქნელი...“**

იმდენი კაცი მყავს ნადში, ხატის ყანას არ მკის ამდენიო — ოდესმე უნდა დამდგარიყო შენდობისა და პატიების დღე, სიტყვის თქმას ბევრი რამ შეუძლია... დიახ, ასეა.

ბოლოთქმა წიგნის რედაქტორის საპატიო ადგილია. მლოცველს, საფშავლოს მიბრძანებულ, ორსულ ქალიშვილთან ერთად, იახსარი ხატობიდან მობრუნებული მარიამ ზუცურაული შეეგებება და გაოცდება კიდევ: მარიამი გენეტისა და სისხლის ინფორმაციით გაჯერებული, მზის სხივებით განათებული, იახსარის ხატისკენ შებრუნებული პირჯვარს იწერს და თავმოდრეკით ევედრება. ფშაველი ქალის ბოლოთქმა თითქოს ადგილის დედის დასტურია, დამდგარა ის დღე, პატიებისა და შერიგებისა.

მარადისობის რიტუალში — სიტყვების საზომით: პოეზიით



მურმან ჯგუბურია

# რედაქტორი

ამ ესეის რომ ვწერ, ცხოვრებული თამაზ ჩხენკელის „შვენიერი“ თარგმანი მაგონდება. ეპითეტი „შვენიერი“ შესანიშნავ რუსთველოლოგს ვიკტორ ნოზაძეს ეკუთვნის. რა ეპითეტითაც ამომწურავად შეაფასა მეცნიერმა თამაზ ჩხენკელის მთელი მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

თამაზ ჩხენკელი დროდადრო უნივერსიტეტის გაზეთში აქვეყნებდა ცალკეულ თარგმანებს. თითო ლექსს. სამაგალითოდ, 70-იან წლებში მან იმ გაზეთში გამოაქვეყნა ედგარ ლი მასტერსის ცნობილი ნიგნიდან „სპუნ რივერის ანთოლოგია“ ერთ-ერთი ლექსში, რომლის სახელწოდებაც გახლავთ „რედაქტორი უედონი“, მასტერსი აღწერს, თუ რა კაცი იყო უედონი, როგორი რედაქტორი, რა სასტიკი და რა გათახსირებული... რა ლექსის გახალხურება იმ ხანებში, ანუ ჩვენში, სიტყვა „რედაქტორზე“ გაცილებით მეტ არეალს მოიცავდა. კითხულობდი „რედაქტორს“ და იგულისხმებოდა რაიკომის მდივანი (პირველი), ან კიდევ რესპუბლიკის მეთაური, ან კიდევ — მთელი იმპერიის თავი-კაცი, მთელი ჩვენი დაბურდულ-დაბურდული დროება.

ბატონო რედაქტორო, ძვირფასო როსტომ, თუკი ამ ესეის გამოქვეყნებას ისურვებ, როგორც ჩვენი და უცხოური ლიტერატურის სიგრძე-სიგანით მცოდნესა და მახსოვარს, ამ ადგილას, გთხოვ, ჩართო ჩხენკელისეული ის თარგმანი („რედაქტორი უედონი“), რაც მე ამჯერად ხელთ არა მაქვს.

**ყველა საკითხის ყველა მხარეს თანაბრად ხედავ, ყოველთვის ყველას მხარეზე ხარ, ხარ ყოველი და არაფერი. ყველმართებას ამახინჯებ, რაკი ხელს გაძლევს. ქველ საქმეებს და მისწრაფებებს და კაცთა ვნებას შენი მდაბალი ზრახვისა და მიზნისათვის იყენებ მხოლოდ. ანტიკურ ხანის მსახიობთა მსგავსად ნიღაბს აფარებხარ და ეს ნიღაბი შენი გაზეთის რვა გვერდი არის, გაზეთის — რომლის სათაურების მყვირალა რუპორს შენ რიხიანად ჩაღრიალებ:**

**„მე ტიტანი ვარ!..“  
სინამდვილეში —  
შენ გულნამცეცა ცრუკაცი ხარ, წვრილმანი ქურდი,  
მოშხამული და მონამლული საკუთარი თავმოთნეობით,  
შენ ფულისათვის ქაფსა ხდი ჭორებს  
და ქარებს ატან, ვით ბოლმიან შურისძიებას.  
ქვებუდანივით დაძვრები ყველგან**

**და აქვეყნებ ისეთ საბუთებს,  
რაც კაცს ღირსებას აკარგვინებს,  
ხოლო ზოგჯერ თვით სიცოცხლესაც.**

**ყველაფერს იზამ იმისათვის, რომ გაიმარჯვო,  
ოღონდ ისე, რომ თავს ხიფათი არ შეამთხვიო.  
დამთვრალი უღვთო ძლიერებით, როგორც შლეგი  
დევენერატი,**

**რომელიც ბნელში ლიანდაგს ჰყრის  
მატარებლის გადასაგდებად —  
შენ სანაგვეზე ერეკები ყველაფერს,  
რაც კი მალალი და გონიერია.**

**რედაქტორი ხარ...  
ფლატეზე წევხარ და მდინარის პირს გადაჰყურებ,  
სადაც თუნუქებს, ნაყარნუყარს და ნაგავს ჰყრიან,  
სადაც დედები თავის უღლეურ ნაყოფებს ფლავენ.**

არაერთ რედაქტორთან მქონია ურთიერთობა-ნაცნობობა მთელი ჩემი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (აგერ, რამდენიმე დღეში, ამას რომ ვწერ, 75 წლისა შევიქნები). პირველი ჩემი ლექ-

სების პანანინა კრებულის რედაქტორი იყო ცხოვრებული შოთა ნიშინანიძე; მაშინ უკვე სახელგანთქმული პოეტი და მეექვსეობდა, ალბათ, ჩემი ნაცოდვილარის ნასაკითხად ვერ მოიცლის-მეთქი, მაგრამ ნიგნი გამოიცა. ეს ნიგნი მალევე ნაიკითხა და შეაფასა ცხოვრებულმა რეზი თვარაძემ. მისი რეცენზია „პოეტის პირველი ნიგნი“ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“, ამ გაზეთის რედაქტორი გახდა შემდგომში რეზი თვარაძე. იმ რეცენზიამ ისე იმოქმედა ჩემზე, როგორც უნდა ემოქმედა ახალბედა პოეტზე გამოჩენილი ლიტერატორის სიტყვა-ყურადღებას. პოეტის პირველი ნიგნიო. პოეტის! მეტი შეფასება წარმოუდგენელია. მაგრამ მოვიდეთ პირველ სიტყვას.

მოკლე ხანში მე თვითონ გავხდი გამომცემლობის („საბჭოთა საქართველო“) უმცროსი რედაქტორი.

რედაქტორის ნაირსახეობაა: გამომცემლობის რედაქტორი, გაზეთის რედაქტორი, ნიგნის რედაქტორი, ჟურნალის რედაქტორი... თითქმის ლეგენდას უახლოვდება ჟურნალ „ცისკრის“ იმჟამინდელი რედაქტორის ჯანსუღ ჩარკვიანის თავის გამოცემა, ანუ, „დათა თუ-თაშხიას“ გამოქვეყნების თავგადასავალი.

არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცი, როგორი რედაქტორი იყო იმ ხანებში დიდად სახელგანთქმული ჟურნალის „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი — პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი. იგი ნომრიდან ნომერში აქვეყნებდა ერთი და იმავე პოეტების, პროზაიკოსების და კრიტიკოსების ნახელავებს. დაჟინებით, თითქმის ყოველ ნომერში. ესე იგი ჟურნალის რედაქტორს გააჩნდა თავისი საკუთარი თვალსაზრისი, საკუთარი მსოფლმხედველობა, რაც ძალზე იშვიათია. და რასაც, ერთხელ მოხდა და, კიდევაც შეეწირა ბოლო-ბოლო ჟურნალის რედაქტორი. ტვარდოვსკი პოლიტიკურად განათავისუფლდა თანამდებობიდან, რაც მთელ საბჭოეთში გაისმა. ეს კი, რასაც ახლა ვიტყვი, მის განათავისუფლებამდე მოხდა. ა. ტვარდოვსკიმ ჟურნალის მორიგ ნომერში შეიტანა ვ. ნეკრასოვის (მისი ერთ-ერთი საყვარელი ავტორის) მოზრდილი მოთხრობა. ცენზურამ სასიგნალო ნომერს ყადაღა დაადო, ანუ, დაიჭირა ვ. ნეკრასოვის მოთხრობა. რედაქტორმა ის ფურცლები, სადაც ნეკრასოვის მოთხრობა უნდა გამოქვეყნებულიყო, ცარიელი დატოვა. და მთელმა საბჭოეთმა წაიკითხა გამოუქვეყნებელი მოთხრობა. ამის მსგავსია მუხრან მაჭავარიანის ცნობილი გამონათქვამი: „დუმილი რეკავს“. ამის მსგავსია აგრეთვე, აგერ, სულ ახლახან გამოქვეყნებული ნომადი ბართაიას ლექსის შინაარსი. ლექსი ეძღვნება ნოდარ წულეისკირს. უმცროსი კოლეგა ეხმიანება უფროს კოლეგას, დუმილის მერამდენე ტომის გამოცემას აპირებო. ანუ, ნოდარ წულეისკირი კარგა ხანია არ აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს, მაგრამ დუმილის ტომები ერთი-მეორეზე გამოდის. შესანიშნავი ლექსია.

ა. ტვარდოვსკის „ნოვი მირზე“ არაერთი ნიგნია შექმნილი: „ნოვი მირის“ ეპოქა“, „ნოვი მირის“ რედაქცია“, „ნოვი მირი“ და ა. ტვარდოვსკი“ და მისთანანი.

საქართველოში?  
საქართველოში მსგავსი ყაიდა-მიმართულების ნიგნები არ იწერება. არადა, რა კარგი საკითხავი იქნებოდა ჩვენი თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებისა და მათი მსვეურების მსახურება-ყოფიერების აღწერილობა-დახასიათება. როგორი ჟურნალ-გაზეთები გაგვარჩნდა და როგორები იყვნენ მათი რედაქტორები: სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ნატროშვილი, ხუტა ბერულავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გურამ ფანჯიკიძე, მუხრან მაჭავარიან-

ნი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, თამაზ ნივნივაძე, ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა, იორამ ქემერტელიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ლვინჯილია, ზაურ კალანდია...

ყველა აქ ჩამოთვლილი რედაქტორებიდან ახლო ურთიერთობა მქონდა ცხოვრებულ ვახტანგ ჭელიძესთან. ბატონი ვახტანგის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (მისეულ „ცისკარს“ მე არ მოვსწრებივარ), ხელიდან ხელში გადადიოდა. ვინ მიუსწრებდა გაზეთს, ვინ — არა. მსგავსი ვითარება იქმნებოდა თამაზ ნივნივაძის რედაქტორობის ხანაშიც, ოლონდაც, ნივნივაძის გაზეთი, სხვა კუთხით იყო საინტერესო, რაკილა საქვეყნო საქმეებში იყო ჩართული, ხოლო აქედან გამომდინარე, თავის სახელწოდებას და დანიშნულებას მეტი წილი არ პასუხობდა. ვახტანგ ჭელიძის გაზეთი კი წმინდა ლიტერატურული იყო.

არაორდინარული რედაქტორი იყო რეზი თვარაძე. ერთი პირობა საერთოდ შეწყვიტა გაზეთში ლექსებისა და მოთხრობების გამოქვეყნება, ანუ დროულად არ მიიჩნია, რამაც დიდ გულზე შეაყენა მწერლების გარკვეული წრე, რა მიზეზითაც, ა. ტვარდოვსკის კვალობაზე, იგი რედაქტორობიდან მალე დაითხოვეს.

კარგა ხანი ვმუშაობდი ჟურნალ „საუნჯეში“, რომლის რედაქტორიც გახლდათ კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ერთხელაც, მას უნდა გამოქვეყნებინა ერთი ცნობილი ფრანგი პროზაიკოსის ქართული თარგმანი. მთარგმნელ ქალბატონს რედაქტორმა არაერთი შენიშვნა მისცა. მთარგმნელმა, რას ამბობთ, ბატონო კონსტანტინე, ასე დიდი ფრანგი მწერალი ნერსო, მერეო, რედაქტორმა მისი ჩასწორება როგორ იქნებაო, მთარგმნელმა. დიდი ფრანგი მწერალიც ისეთივე ყურებპარტყუნა კაციაო, როგორც სხვა მრავალი, რედაქტორმა. სხვა დროს ერთმა ქართველმა პროზაიკოსმა-მთარგმნელმა ჟურნალს უცხოელი მწერლის მოთხრობა აახლა. სამხედრო მოთხრობა. რედაქტორმა იანგარიშა, თუ რა ედო ხურჯინში (ზურგჩანთაში) ჯარისკაცს, რომლის წონა-შემადგენლობამ თითქმის 350 კილოგრამს უწია. და მოთხრობა დაიწუნა. კიდევ სხვა დროს, რედაქტორმა ერთი ასეთი კაზუსი გამოავლინა: ი. ზაბელიის ქართველ მთარგმნელს სიტყვა „იკოტა“ მოჩვენებია ერთ-ერთ პერსონაჟად, რამაც რედაქტორი გააცოფა, და რედაქციის მუშაკებს დაგვერია. „ვინ წაიკითხა?“ „რას მიშვებით!“ „ჩემი მტრები ხართ ყველანი!“ და მისთანანი. კონსტანტინე ლორთქიფანიძე კარგი მოქართული იყო. როგორც რედაქტორი, უმთავრეს ყურადღებას ამახვილებდა სწორედ ქართულზე და არა ნაწარმოების შინაარსზე. მთავარი იყო წინადადება ყოფილიყო სათანადოდ დალაგებული, გამართული. ამიტომაც გახლდათ იგი (რედაქტორი) ისეთი ნახელავენის ავტორი, როგორიცაა: „მითი ჩამოვიდა მთიელი“, და „მთას დაუბრუნდა მთიელი“, დრო-ჟამის შესაბამისად, როგორც ერჩია პარტია-ხელისუფლებას.

რედაქტორი („საუნჯის“) იყო ერთი პირობა მუხრან მაჭავარიანი, ვინც მთელი თავისი რედაქტორობის პერიოდში, გამონაკლისი იძიებდა ერთი ჩვენებური გარეული ფრინველის სახელწოდების ასაგას-გასაგისს, ანუ იმ ერთადერთ ფრინველზე, ერთადერთ სახელწოდებაზე წერდა (დანერა) კარგა მოზრდილი წიგნი, რაზეც ერთხელ ვუთხარი, ხომ არ გგონიათ, რომ საქართველო მუდამ იარსებებს-მეთქი. რაზეც მითხრა, შენი გამონათქვამი-შეკითხვა კარგი ლექსის ტოლფასიაო, — ისე გაუხარდა. რა დასამალია და ვქეიფობდით ხოლმე რედაქციაში. ბატონი მუხრანის კაბინეტში. რედაქტორი თავის კუთვნილ ალბაგას იდგა (მეტი წილი), ჩვენ აქეთა მხარეს ვიყავით ჩამკვრივებული, დახლიდარი ვარო, იხუმრა ერთხელაც, რაც შეიძლება ჩვენი რედაქციის ველიამინოვის სარდაფთან სიახლოვემ და ჩვენმა განლაგებამ ათქმევინა. ესე იგი, ცხოვრებული მუხრანი ჟურნალის მთავარ რედაქტორად ითქმოდა, მაგრამ არ იყო რედაქტორი. ჟურნალი სხვაგან იყო, რედაქტორი — სხვაგან.



ორად გაყოფილი რედაქტორი იყო ცხოვრებული ხუტა ბერულავა. გამომცემლობის („ნაკადულის“) კარგი რედაქტორი, და ჟურნალ „დროის“ ცუდი რედაქტორი. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ რედაქტორი თავის თავზე ნიჭიერ ავტორებს არ სწყალობდა.

რეზო ჭეიშვილი აკეთებდა ერთი ხანობა კარგ ლიტერატურულ გაზეთს, მაგრამ მალევე შეწყვიტა, ანუ, სალიტერატურო გაზეთი ასეთი უნდაო, გვანახა და დაგვემშვიდობა.

მეც ვიყავი მცირე ხანი გაზეთ „სიტყვის“ რედაქტორი, მაგრამ სინამდვილეში გაზეთს ჩვენი პასუხისმგებელი მდივანი ცხოვრებული გიორგი ბაქანიძე დასტრიალებდა: იგი იყო ტექსტის ჩამსწორებელი, კორექტორი, სტამბის მუშა. ათიოდე ნომერი გამოვეცი. გიორგი ჭანტურია (გაზეთის დამაარსებელი) მოკლეს და გაზეთი გაუქმდა. არა მარტო გაზეთი, არამედ — მთელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიშალა.

მაგრამ მე ვინ?

ნამდვილი და საჟურნალო საქმის კიდე-განით მცოდნე ვახლავთ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე. ა. ტვარდოვსკისთვის საპირისპირო მიმართულების რედაქტორი. ანუ, მისი ჟურნალი ყველას ჟურნალია, კარგი და ცუდი ავტორის ჟურნალი. მისი თანამოაზრისა და მისი არათანამოაზრის ჟურნალი. ამერ-იმერის ჟურნალი. დემოკრატი ჟურნალი. თუმცა ეს სიტყვა დემოკრატი, ვიცი, თავად რედაქტორს გულზე არ ეხატება. ცხოვრებული საკუთარი მამის, დიდი მწერლისა და ერისკაცის ოთარ ჩხეიძის კვალობაზე. ერთხელაც, ჟურნალის რედაქციაში ასეთ დიალოგს შევესწარი: ავტორი (-ი) ეუბნება რედაქტორს, არც მას და არც მის ნაწარმოებს ვერ ვიტანო, -მა. მან კარგად დაგახასიათაო, რედაქტორმა. ვითომო? -მა. ნამდვილად გეუბნებო, რედაქტორმა. და ერთმანეთის უნახავად ორი კაცი, ორი ავტორი ერთმანეთთან შეერიგა. უნახავად, ანუ, დაუსწრელად. ასეთი ძალა აქვს სიტყვას, როცა იგი ქრისტიანი ადამიანის განკარგულებაშია. განკარგულება რა სიტყვაა? განკარგა. ესე იგი, გააზნია, დაკარგა. კარგა დაკარგა. სხვა სიტყვა უნდა მეთქვა. ასეთი ძალა აქვს მომრიგებელ სიტყვას. მომრიგებელ მოსამართლეს. წმინდა ილიას. ილია მართალს. ილია ბრძენს, ვის კვალობაზეც არის შემდგარი ჩვენი თანამედროვე მესიტყვე და რედაქტორი.

„რედაქტორი მოვიდა?“ „როდის მოვა?“ „რედაქტორს არ სცალია“, „რედაქტორს თათბირი აქვს“, „რედაქტორი დღეს არავის იღებს“, „რედაქტორი შევბუღებამაო“. აქ შევხანდეთ. „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი მუდამ ადგილზეა. მუდამ სცალია, მუდამ თავისუფალია. მუდამ იქაა, საცა უნდა იყოს. და არასოდეს არის უგუნებოდ. ან არის და, ავტორი ამას ვერ გრძნობს.

ვერ ატყობს. არასოდეს არის გაბრაზებული. ხომ გაგონდება, ძვირფასო მკითხველო, „ბრაზიანი მწერალი“, ანუ, იგივე რედაქტორი, რომლის გარშემოც აქვე ვისაუბრე. გარშემო, ანუ, არასრულად, არამომწურავად. „ხაზარულას“ გარშემო, როგორც ვესაუბრე მკითხველს კარგა ხნის წინათ „ცისკრის“ ფურცლებიდან. ჟურნალის თითქმის 30 გვერდი რომ მოიცვა, და მაინც რომ ვერ ამოვწურე სათქმელი, რაც ძალზე მოკლე სიტყვით გამოხატა ცხოვრებულმა მანქანამ აკაკი განერელიამ: „ხაზარულა“ ისეთი მოთხრობაა, რომ გინდა აკოცო“. ანკი როგორ გინდა ესეის მონაკვეთში გამოიხატოს ამა თუ იმ რედაქტორის ნამდვილი სახე, მისი საქმე და სიტყვა. ზოგი ავტორი რომ უქმეყოფილა, ზოგი — კმაყოფილი. ზოგი არც უქმეყოფილა და არც კმაყოფილი. სდუმს. გულში. გულში დარდობს. გულში სწუხს. რატომ ამდენი ხანი მისი ნახელავი არ დაიბეჭდა და რატომ დაიბეჭდა სხვისი ნახელავი. თუმცა, „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორზე ასე არ ითქმის, და რატომ არ ითქმის ასე, ხომ ცხადია.

თითქმის ხუთი წელიწადი ვცხოვრობდი პერედელკინოს მწერალთა შემოქმედებით სახლში. დროდადრო მოდიოდა ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი სტანისლავ კუნიავევი და მოჰქონდა ჩემთან ჟურნალის ახალი ნომერი. გადავშალე. შინაარსს ჩაეხედე. გადავფურცლე. აგერ, ერთმანეთს ვესაუბრებოდა მე და ვალენტინ რასპუტინი, უზარმაზარი რუსეთის უპირველესი მესიტყვე. დიდად გახმაურებული „ივან დენისოვიჩის“ ავტორმა საქვეყნოდ განაცხადა, რასპუტინი ჩემზე უკეთესი მწერალიაო. ჟურნალის იმ ნომერს კარგა ხანი არ მივკარებოვარ, გუნება-განწყობა ნავიგრძელე, „ნავიგრძელი და ნავე ნინა“, ამბობს რუსთაველი, რა სიტყვის მერმეც არ გვაკვირვებს გალაკტიონისეული „და დრო გვეუარესა“ და მისთანანი. რა შუაშია აქ, თითქოს, მაგრამ უნდა ვთქვა, შეიძლება რუსთაველის პატრონი იყო და არ იყო თავისუფალი? არც შენ, არც ის, არც მე, არც საქართველო? რუსთაველზე რომ ფიქრობ, „როსლა აყვავდება“ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. მეტი აყვავება გაგონილა, მეტი თავისუფლება და მეტი გაბრწყინება, ვიდრე ის, რასაც გვანიჭებს „ვეფხისტყაოსანი“, ან კიდევ ჩვენი შეუდარებელი მრავალხმიანი სიმღერა, ან კიდევ „ვეფხისტყაოსანი“ ბალადა.

დღეს, ამას რომ ვწერ, 19 მაისია. დილის ხანია. კეკელიძის ქუჩის ბოლოში გვიჭირავს ნაქირავები ბინა. ბინიდან ხედავ: ბეტონით გამაგრებულ კედელზე ხარობენ ნუშისა და ბლის ქორფა ღერაკები, ვარდები, იასამნები, ყველა მათგანის სახელი არ ვიცი, „ეს ხეა აკაცია, ეს რა ხეა არ ვიცი“ (გრანელი). გაივლის კიდევ რამდენიმე კვირა და ეს ბეტონის კედელი ერთიანად ნაირფერებით მოიფარება. მზიანი დარია. ჩიტები დაფრენენ ტოტიდან-ტოტზე, ვარდიდან-ვარდზე, და ისმის მათი გაბმული სტვენა-ჟღურტული („ჟღურტული-მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვა და კაჭკაჭთა ლაპარაკი. ეს არის მეგრელთა და მისთანათა ავ-ენოვანთა ლაპარაკი...“). შეუმცდარი კაცი ვინ თქვა. საბა შეცდა, ცხადია, მეგრელს რომ ავ-ენოვანი უნოდა, რამაც შეაგულიანა ალბათ ჩემი უფროსი კოლეგა, თითქმის მსგავსი ეპითეტით რომ მოიხსენია („მიჯღარკ-მიჯღარკული“) მეგრული ენა, რა ენასაც სულმნათმა აკაკიმ დიდი ქართულის „მარადი სალათი“ დაანათლა.

რა მალაპარაკებს?

ხომ შეიძლება აქ ვიკითხოთ: რედაქტორი სად იყო? დიდი ამბავი, შეცდა კაცი. ლექსიკონს ხომ რედაქტორი გააჩნდა (გააჩნია). გაზეთს ხომ რედაქტორი გააჩნდა? აქედან გამომდინარე, არა-იშვიათად, რედაქტორს ლომის წილი მოეკითხება. რედაქტორს ძალუძს გადაარჩინოს ავტორი. ის ავტორი გინდა სულხან-საბა იყოს და გინდა, მურმან ლებანიძე.

19 მაისია-მეთქი. მზიანი, ხალისიანი ამინდი. ფანჯრიდან ვუმზერ პეიზაჟს. ტელევიზორი ჩართული მაქვს და მესმის: საქართველო გაბრწყინდება. ამაზე მეტად, ვიდრე ახლა არი გაბრ-

წყინებული? როსლა აყვავდება? ბეტონი დამარცხდა. ფოთლები შრიალეზენ. ვარდ-ყვავილები სურნელს აკმევენ. ჩიტები სტვენენ. მზე იცინის და ისმის მემანვნის ხმამალალი ძახილი. გოგლა რომ ვიყო, ამ გუნება-განწყობას ლექსად გარდავქმნიდი. მაგრამ მივუბრუნდეთ ამ ესეის სათაურს.

პერედელკინოში ყოფნისას გავიცანი მრავალი რუსი (და არარუსი) პოეტი და პროზაიკოსი: რასპუტინი, კუნიავევი, კიმი, ბალაშოვი, ბოიარინოვი, სუბოტინი, უსტინოვი... ზოგიერთი მათგანის ნახელავი გადმოვაქართულე, რასპუტინზე, კუნიავეზე, ბალაშოვზე და ბოიარინოვზე ესეისტური ხასიათის ჩანაწერები შემომრჩა.

ემზარ კვიტიციანიშვილმა მიჩნია, კარგ კაცს, კარგ რედაქტორს გაგაცნობო, მიდი, გავიცანი, შენი ნაწერები წააკითხო. რუსეთთან კავშირი განწყვეტილი გვაქვს, ვეცადოთ, იქნება აღვადგინოთო. კულტურაზეა საუბარი, ცხადია.

ჟურნალი „რუსული კლუბის“ რედაქცია გრიბოედოვის თეატრის მოსაზღვრე შენობის მე-8 სართულზეა განთავსებული.

„სად მიდიხარ?“

„ჟურნალის რედაქციაში“.

„ვისთან?“

„რედაქტორთან“.

ჟურნალის რედაქტორს — ალექსანდრე სვატიკოვს თავი გავაცანი. წერილი მოვიტანე-მეთქი. ერთი რუსი პოეტის (ვლადიმერ ბოიარინოვის) შესახებ, რომლის ლექსთა კრებული ვთარგმნე და გამოსაცემად მზადა მაქვს-მეთქი. დაბრძანდით, ბატონო მურმან, მითხრა და სავარძელზე მიმითია.

და შეუდგა რედაქტორი წერილის კითხვას დინჯად, ფიქრიანად. „იქნება ჩვენი ჟურნალის ნომრები გადაათვალიეროთ“ და განაგრძო კითხვა. წერილი რომ ბოლომდე ჩაათავა, კარგიაო, მითხრა, დავებეჭდავო. ემზარ კვიტიციანიშვილმა მომაგნებინა-მეთქი თქვენი რედაქცია. ამით უნდა დაგეწყოთო, ემზარი ჩვენი დიდი მეგობარია და სასურველი ავტორი. თუმცა აქ, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მეთქვა და მესხენებინა იმთავითვე, ემზარ კვიტიციანიშვილი, რა შეიცვლებოდა. სხვანაირი შეხვედრა შედგებოდა? არა. ყველაფერი ისე აენყობოდა, როგორც ანეყო.

უპირველესი, რაც შევამჩნიე ჟურნალის რედაქტორს, ეგ იყო მისი დროის ქონა (კამიუს ზედმეტი სივრცე რა შუაშია) დროის ხელსაყრელი სიჭარბე. საქმის არ გადადება და საქმის მიყოლა. რაღაც ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობის სადარი, ჩვენი ადათ-წესის გათვალისწინება და გათავისწინება. თავი გაითავისწინაო. მე მომექცა, როგორც შემევენის სტუმარს, მაგრამ მეტი წილი თავისი თავი წარმოაჩინა, თავისი ბუნება-ხასიათი.

გამომეკითხა, რითი ვარსებობ. სამსახურში თუ ვდგავარ სადმე. რამენაირი შემოსავალი თუ გამაჩნია, და მისთანანი, რაზედაც, ცხადია, ვუპასუხე.

ამ წერილს ავანყობთო, მითხრა, კვირის თავზე შემოიარე, რათა კორექტურა წაიკითხოო. და, რაც ჩემთვის ერთობ მოულოდნელი იყო, ეს ჰონორარად ჩათვალეო, და მცირეოდენი თანხა გადმომცა, — ვისთვის მცირეოდენი, ვისთვის — საარსებო საშუალება. მოიფიქრეთ კიდევ სხვა რამ, რამდენიმე ჟურნალი წამოძვანით, გაეცანით, იქნება ჭკუაში დაგიჯდეთ ჩვენი ჟურნალის მიმართულება. რედაქტორი წამოდგა და გვერდით გამომყვა, რედაქციის კართან შეხანდა. წინ მე გამატარა და ლიფტისკენ გავემართეთ. ლიფტი გამოიძახა. კარი გაიღო, მესამეზე უნდა ჩახვიდეთო, მითხრა და დამემშვიდობა. რატომ ვწერ ამას?

ხომ აღვნიშნე, მეც ვიყავი ერთი ხანობა რედაქტორი, მაგრამ ავტორებთან მსგავსი შეხვედრა-საუბარი არ მაგონდება. არ ვიყავი, ესე იგი, კარგი რედაქტორი.

მაგრამ, უმთავრესი სათქმელი დამავიწყდა. ბატონმა ალექსანდრემ წიგნი მისასხვრა („სმირნოვების სახლი. სა-

## მანდერძის ოინი

ჩუქრად საქართველოს“), რა სახელთანაც დიდი ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთმიმართება დაკავშირებული.

ბატონი ალექსანდრე კარგი მოქართულია. მისი სოლიდური წიგნი დამშვენებულია აგრეთვე მისეული ფოტო-სურათებით.

ახლა კი, რასაც აქ ვიტყვი, ბევრი ვინმე ალბათ სათაკილო გამონათქვამად მიიჩნევს. მაგრამ მაინც ვიტყვი: არცერთმა რუსმა მთარგმნელმა (პასტერნაკმა, მანდელშტამმა, ტიხონოვმა, ზაბოლოცკიმ და „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ არაერთმა მთარგმნელმა, არცერთმა მათგანმა არ ისწავლა ქართული ენა. სათქმელია ეს თუ არაა სათქმელი? მკითხველისთვის მიმინდვია.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში ცალკე წიგნად გამოვეცი ი. ბუნინის ლექსთა კრებულის ჩემი უფროსი თარგმანი. ა. ბლოკის პოემის („ათორმეტი“) თარგმანი. თარგმნილი მაქვს ა. პუშკინის „ევეგენი ონეგინი“, რომლის გამოცემაც, არ ვიცი, რამდენი ხნით გადაიდება. და მეუბნება ერთხელაც მეგობარი პოეტი, პოემის თარგმანი რომ წავაკითხე, ესა და ეს მონაკვეთი სათანადოდ ვერ გადმოგიტანიათ. იმიტომ მეუბნება, რომ იცის რუსული ენა შოთასა და ვაჟას, გურამიშვილისა და ბარათაშვილის, გალაკტიონისა და ტიცინანის მთარგმნელებს რუსი კოლეგები მსგავს შენიშვნას ვერ მისცემდნენ, ცხადია, ჩვენი ენის უცოდინარობის გამო. სათქმელია თუ არაა სათქმელი ეს? ერთხელაც ვაგიმეორით და მივუბრუნდეთ ესეის სათაურს.

რედაქტორმა, ლიფტამდე რომ მიმაცილა, ჯანმრთელობას მიხედვით, მითხრა, დანარჩენს მოველეთ. იქნება ისეთი დროც ჩამოდგეს, ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად თითო ჭიქა სადღეგრძელოც ავნიოთო, რამაც იმ წუთებში მანდელშტამის ლექსის სტრიქონები მომაგონა:

**Хакетинское густое  
Хорошо в подвале пить, —  
Там в прохладе, там в покое  
Пейте вдоволь, пейте двое,  
Одному не надо пить!**

### P.S.

როგორც მკითხველი ხედავს, ორი ერთნაირი სიტყვა (ПИТЬ) არის ერთმანეთთან გართიმული, რასაც ზოგი „რედაქტორი“ ავტორს ალბათ დაუნუნებდა, ესე იგი, ერთნაირი სიტყვის გართიმვა სად გაგონილაო. თუმცა, მანდელშტამთან, ეს ორი, ერთიდაიგივე სიტყვა (რიტმა) ისეა შეხამებული ერთმანეთთან, ისე ბუნებრივად, თითქოს ტყუილებად დაიბადნენო, რაც განაპირობა ჯადოქრულმა ხელოვანებმა.

ასევე უნდა შეერწყნენ ერთმანეთს ავტორი და რედაქტორი, თუ გვინდა, რომ წიგნმა, გაზეთმა, ჟურნალმა ისეთი გუნება-განწყობა შეგვიქმნას, რაზედაც მიგვანიშნა ერთმა პოეტმა მეორე პოეტის წიგნზე: „მარჯვენა ხელიდან მარცხენა ხელში გადატანა დაგენანებო“.

ივან ჰუდეცის მშვენიერ ნოველას „მემკვიდრეობით გარემოებათა წყალობით“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, 4 აპრილი) ჰქვია. ვერ ვიტყვი, მიზანში მოხვედრილი სათაურია-მეთქი. მე თუ მკითხავს ვინმე, ერთსიტყვიანია: **ანდერძი** — უფრო მოუხდებოდა, უფრო მიგვანიშნებდა იმ ფარსზე, ნოველაში რომ თამაშდება.

თხზულების პერსონაჟ ბაბუას (სახელი არაა მითითებული) მწერლობა ენადა, მაგრამ ადვოკატობას დაყაბულდა, რითაც საკმაო ქონება დააგროვა, რომელიც მემკვიდრეობით გარემოებათა წყალობით შვილიშვილებს უნდა დარჩენოდათ, რამეთუ ძმა, ცოლი და აშ. ადრე გარდაიცვალა, ცოლის მხრიდანაც კიდევ ახლო ნათესავები არავინ შემორჩა.

ფარსზე ნოველაში რამდენჯერმე მინიშნებული. ნათქვამია, რომ ძალიან კირკიტა ბაბუა, როცა ადვოკატობას შეეშვა, „რეცენზიებზე ლიტერატურული კრიტიკის წერას შეუდგა. დაცინვით კრიტიკოსთა კრიტიკოსი შეარქვეს“. ბაბუა განწხრეკდა და ანალიზებდა იმას, რაც თითქოს ერთხელ უკვე განეჩხრიკათ, მათში ეძებდა და პოულობდა ლაფსუსს. მწერლობაშიც ადვოკატივით იქცეოდა, რაც სულაც არაა ცუდი. გულდასმით სწავლობდა ნაწარმოებს, მერე აქვევდა, რა ნაცნობობა ჰქონდათ ავტორს, რეცენზენტსა და რედაქტორს და ყოველივე ამის გათვალისწინებით ანალიზებდა რეცენზიას, იყო დაუნდობელი, „შიშის ზარს ცემდა ლიტერატურულ საზოგადოებას“. ამით იმის ხაზგასმა გვინდა, რომ ბაბუა განუსჯელად არაფერს აკეთებდა, მყისიერი გადაწყვეტილება არ სჩვეოდა — ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლიდა და გამოიტიანდა მსჯავრს.

უყვარდა ისინი, რომელთაც მისი სიმართლისმოყვარეობისა ესმოდათ, მტრები ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით, ზოგჯერ თავსაც ალანძღვინებდა, რომ გაეგო, რას ფიქრობდნენ მის წარსულზე, როგორ უყურებდნენ ანმყოს... ერთი სიტყვით, ბაბუას არამარტო სხვათა ყოფის გამორკვევა სურდა გამონვლილივით, არამედ საკუთარი თავისაც. დასცინოდა შურისძიებით გულანთებულ ადამიანებს, რომლებიც სიფხიზლის ან სიმთვრალის დროს „გრძელ წინადადებათა ჯღუკუნს მოჰყვებოდნენ“ (ეს ჯღუკუნი, ალბათ, გაუთავებელ ლაპარაკს (ლაქლექს) ნიშნავს, თუმცა **მაია ნაჭყებიას**, მშვენიერი მკვლევარის, ესეისტის, ამჯერად კი როგორც მთარგმნელის სასახელოდ უფრო ის უნდა ვთქვათ, რომ სათარგმნელად საინტერესო ნოველა შეარჩია).

პერსონაჟს მივუბრუნდეთ. ნოველის მკითხველს ისიც დააეჭვებს, რომ პერსონაჟი (იგივე ბაბუა) მოსვირინგების მეთოდით დაინტერესდა. შემთხვევით არავინ არაფერს სწავლობს, ვინმეს რომ რაღაც ეჭვი აელო ბაბუას გატაცებაზე, ბუნებრივია, აღარ მოხდებოდა ის, რაც მოხდა.

მოხდენით მართლაც საოცარი რამ მოხდა.

ბაბუამ სიკვდილამდე შვილიშვილებს განუცხადა, რომ ერთ-ერთს დაუტოვებდა მთელ თავის ქონებას, ყველას კი არ გადაუნაწილებდა. პირველ აპრილს (ეს თარიღიც არ უნდა იყოს შემთხვევით) მოუვიდა ინფარქტი, დაწვინეს საავადმყოფოსში, დაბრუნდა შინ, მეორედ დაარტყა გულმა და სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლამდე (გარდაცვალების თარიღს აღარ აზუსტებს ივან ჰუდეცი) აღესრულა. შვილიშვილებმა გააკეთეს ის, რაც ამ დროს უნდა გაეკეთებინათ, უფროს ძმასთან შეიკრიბნენ, რადგან მას ვენახი ჰქონდა, მესამე ძმის ცოლმა კრემატორიუმის ამბავი მოავგარა, პატარა ძველნი „შედარებით იაფად აქცია პაპა ფერფლად“.

დადგა ანდერძის, რომელიც ბაბუამ მეგობარ იურისტს დაუტოვა, გახსნის დღეც (იურისტს ქართული კონიაკი მიაართვეს, მან კიდევ შინაურული „სლივოვიცა“ ჩამოგვისხაო—გვეუბნება ნოველის პერსონაჟი. სასიამოვნოა, სლოვაკი მწერლის ყოფაშიც რომაა ქართული პროდუქტი).

შვილიშვილებმა მშვენიერად იცოდნენ, ბაბუა ყველაფერს ზედმიწევნით რომ გაანესრიგებდა: ანდერძისათვის კონვერტს, სასურველი შედეგის მიღებამდე, რამდენჯერმე რომ დაბეჭდავდა. საგვარეულო ბეჭედსაც (რომელიც შვილიშვილებს სულაც არ ეგონათ საგვარეულო, ფიქრობდნენ ან ვინმეს დაამზადებინა, ან ადვოკატობისას კლიენტმა აჩუქაო) განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, იმის მიუხედავად, რომ მასზე ინიციალები კარგად არ იკითხებოდა.

ახლა მთავარი, — ბაბუას ანდერძით, როგორც თვითონ განაცხადა, მრავალთაგან ერთი შვილიშვილისთვის უნდა დაეტოვებინა მთელი ქონება. ივან ჰუდეცის ტექსტი ასეთია:

„პაპის ანდერძი ერთ წინადადებას შეიცავდა: „მემკვიდრის სახელი მარცხენა იდაყვის თავზე მაქვს ამოსვირინგებული“.

აი, ფარსი, აი, ნაღდი ტექსტი, ოინი მანდერძებისა, ეს სიტყვაც მჭრის ყურს, მაგრამ ძველად ასე წერდნენ, მანდერძებელი სრულ ჭკუაზე იყო. არც ბაბუა უჩიოდა გონებრივ სიძაბუნეს.

ნოველა ფინალია. ძალიან კარგი, მოულოდნელი დასასრულია:

მემკვიდრის სახელი მარცხენა იდაყვის თავზე მაქვს ამოსვირინგებულიო.

ელგუჯა თაყვაიძე

თქვენი ჟურნალი მწყურვალისათვის წყლის მიწოდებას ჰგავს ჩემთვის. მახარებს თქვენი ყოფნა და საქმე — ეროვნული, „ამით ენი-თა“ თქმულ-წერილი. ჩემი ლამაზი მოსწავლის ჩანახატებს გიგზავნი. ვიცი, გულდასმით წაიკითხავთ, შეაფასებთ, შესაფერის ადგილს მიუჩენთ. ამისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

ნიმუ ბილინოქა  
ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნანი ჭელიძე

# ლექსები კროზად

\* \* \*

მე ვებევერები ამ კედლებს... ქვაფენილს, რომელიც ყოველდღე ერთნაირი მადით ჭამს ჩემს ტერფებს...

უვიც ნეკერჩხლებსა და ჭადრებს...  
სიცხიან შენობებს...

ჩემს ყოველ ჩასუნთქვაზე ქალაქი ყმუის... ბლავის...  
მე არ ვუხდები მის ორგანიზმს.

ჩემს დანახვაზე ჭლექიანივით ხროტინებს... ფერი ეკარგება...

ყველა განვიმებაზე მას მე განბანვის რიტუალს ვუტარებ იმ იმედით, რომ „ბოლოჯერ განვიმდება“ და ცოდვებისგან განბანილს გაუშვებ იმქვეყნად, მაგრამ ისევე მიცრუვდება იმედი, როგორც მას, როცა რამდენიმედღიანი განტვირთვის შემდეგ კვლავ გრძნობს ჩემს სურნელს თავის ქუჩებში და ხასიათი ეჭრება...

და მაინც...

მე ყოველთვის ვაკლივარ ქვაფენილს... მაშინაც კი, როცა ის უცვლელი მადით ჭამს ჩემს ტერფებს...

შენობები სიცხეს ჩემ მხარეს იზომავენ...

კედლები სუნთქავენ ჩემით, თუნდაც ამიაკად ვიჭრებოდე მათში.

უვიცი ნეკერჩხლები და ჭადრები თავშეკავებული უვიცობით მიძღვნიან სალამს...

ქალაქი კი... ქალაქი... ისევ ჭლექიანივით ახველებს...

\* \* \*

მე-მობორბლისფრო, ყველაზე მეტად შენს მოლურჯო სვიტერს ვუხდები... და როცა, შენი სუნი ლავად იღვრება ჩემში, კედლებიდან გადმოდიან ხოლმე შენი ხელები...

ამ ანარქიულ წუთებში ის...

ედება ბეჭებს...

კისრის ირგვლივ ხაზავს სივრცეს...

ნების ფალანგებამდე მოწყვეტით მოდის... მერე ანელებს სვლას და ჩემს თითებს შორის ტყვედ ვარდება...

მ'ნებ'დება...

საფეხურებად ჩაირბენს თითოეულ ნეკნს და ბოლო-შენს ნაჩუქარ ნეკნთან ყოვნდება...

ამ დროს, შენით გაჟღენთილი ჩემი ოთახი ჩემში ეტევა...

წყდება ეკვატორული ხაზი ჩემს ნერვებს შორის და მე ვალაპარაკებ შენს სუნს...

ემოციას კი ნამწამებს შორის ვმარხავ...

გადამედე...

\* \* \*

ეს არ ჰგავდა რომეოსა და ჯულიეტას ლეგენდარულ სიყვარულს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. არ იყო Jack-ისა და Rose-ს ტიტანიკის ფსკერზე დამარხული ისტორია, რომელიც მერეც ინამებოდა მსმენელთა ცრემლით. ეს არ ყოფილა ჰიტად ქცეული სიმღერის შექმნის მოტივი, არც



განანერა ლექსის დანერისა. ეს არ იყო მოდაში და არავინ იმეორებდა მის ფრაზებს ისე, როგორც რომელიმე იაფფასიანი ოპერისას. არავინ ღლინებდა მის ჰიტს და მეტსაც გეტყვი, არავინ იცნობდა მის გმირებს. თითქოს არც არსებობდა, მაგრამ იგულისხმებოდა ყველაფერში. არავინ შესწრებია მის შექმნას და არც მის ალბასრულს. ის არ იყო განკუთვნილი არანაირი სივრცისა და განზომილებისთვის. მას არ შეეძლო თანა-არსებობა და თანა-ცხოვრება, არ ჰგავდა არაფერს, არც შეიძლებოდა დამსგავსებოდა. მისი „შემოსავალი“ იყოფოდა 2-ზე და „ბარდებოდა“ მხოლოდ ერთს:) იყო არალეგალურად შემოჭრილი და ფეხმოკიდებული. 2-ვე მხარე ხელს უწყობდა მის რეალიზებას საკუთარ პიროვნებაში, მაგრამ ისინი დროში ვერ ემთხვეოდნენ ერთმანეთს:) ამან განაპირობა მისი რეიტინგის დაცემა, რასაც შემდეგ მისი „საჭიროების სივრციდან“ გაქრობა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, არქივში კარგა ხანს ინახებოდა შემონახული განცდები და სურვილთა გრძელი არია. ჰოდა... ასე რომ, ეს იყო მეტზე მეტი და ნაკლებზე ნაკლებიც. ეს იყო სრული ანარქია!

\* \* \*

ეს მაშინ, როცა შენი დანაოჭებული სიტყვები სალბუნად აღარ მედებია... ველარ გადმოგდის მირონად ღმერთისტოლა სითბო.

ეს მაშინ, როცა საკუთარი ტკივილის ფურცელზე თხაპნას ვეშვები და ხასიათი მეჭრება.

ეს მაშინ, როცა შენს მარჯვენა ხელზე წრფივად მიმართული შრამი ჩემს უმონყალო მზერას ირეკლავს.

ეს მაშინ, როცა ლავასავით ცხელი წვეთები ნიკაპთან... მერე ქვეშ... გეკვირან... და ვატყობ, რომ ფსკერამდე ვეშვები.

ეს მაშინ, როცა ჩემში შენი დვრიტა დევს, მე კი ამას, ბოლომდე მაინც ვერა და ვერ ვხვდები.

ეს მაშინ, როცა ჩემი ლოცვა ხარ. გისმენ... ტანში მცრის, არ ვიცი რა გითხრა.

ეს მაშინ, როცა ჩემი ვედრება ღმერთამდე არ მიდის და შენი თითები-გადარჩენის ალევორია, ნაცრდებიან.

ეს მაშინ, როცა ჟანგიან ლურსმანზე დაკიდული ჩემი სული, ამდენ ტალახს „იხდენს“.

ეს მაშინ, როცა მორალი სისუსტედ გამიხდა, შვებას კვლავ შენთან... შენგან მოველი.

ეს მაშინ როცა სათვალავი მერევა. ტერფების მაგივრად, წვივებზე დავდივარ.

ეს მაშინ, როცა ამრეზილ სახეებს შუალედური მზერით ველარ შევეყურებ. როცა მგონია, რომ მე(ც) ბრბოს ვერევი.

ეს არასრული „ყველაფერი“ კი იმ დღიდან დღემდე, როცა შენში გა(და)ვიზარდე... დედა.

\* \* \*

მოხვალ და ლავინებიდან აკრეფ შენთვის შენახულ სიტბოს...  
 მორიდებული მოურიდებლობით მაკოცებ ღიმილის კუთხეში...  
 აიღებ რამდენიმე მინორულ აკორდს ჩემს მალეხსა და ნეკნებზე...  
 ავტოგრაფად შეარჩენ ჩემს სუსტ მაჯებს შენი ბაგის ნაკვალევს...  
 დამივლი ვენებში...  
 ააღლები...  
 შენი მზერა დაფერვლავს ჩემს მწველ ტერფებს.  
 ორთქლის მსუბუქ წვეთებად დაეშვები წვივებზე...  
 შენის მაგივრად ჩემს ხერხემალს გაიხდი საყრდენად.  
 ხარბად დაენაფები ჩემი თმის სურნელს... ამომიშრობ წყლიან  
 მზერას...  
 შეაკვდები საფეთქელთან გამავალ ძარღვს.  
 თითების ნაკვალევით მოივლი ჩემი სხეულის თითოეულ ნაფ-  
 ლეთს და მარცვალ-მარცვალ ჩაიპნევი ჩემში...  
 თვითმკვლელობამდე...

\* \* \*

როდესმე შევძლებ შენთვის ჩემი სუნთქვის დაწერას...  
 როდესმე შედედდება ჩემი ბაგეებიდან ათილი ყველა სიტყვა  
 და ვენებში უმონყალოდ დაგივლის  
 შენ შეძლებ ნახვიდ, მერე ისევ მოხვალ და კვლავ ჩემი მხრე-  
 ბით გააგრძელებ სუნთქვას...  
 დამიკანრავ ხასიათს...  
 აანაკუნებ შენს ცხოვრებაში შეტანილ ჩემს შტრიხებს.  
 მძაფრი ეგოიზმით შეპყრობილი შეეცდები ჩემს პოვნას სხვაში.  
 თვალებს დაითხრი უშედეგო ძებნაში.  
 გეტკინება, ჩემს პირობებში გაზრდილს, ამ პირობების უცხო  
 ინტერპრეტაცია...  
 გადამაქცევ ნამნამებს შორის წამის მოლოდინად...  
 კენჭად, რომელსაც გარიყვისთანავე უკანვე შთანთქავ...  
 შინ მოსულს ჩვეულებისამებრ მიგიღებ...  
 გასუნთქებ ჩემი მხრებით...  
 გამოვისყიდი ჩემს თავს შენგან და მერე მდორედ ჩამოეშვებიან  
 შენი მხრებიდან ჩემი თითები...  
 გაგეცლები...  
 არა როგორც გზაბნეულს, რომელსაც კომპასი დაჰკარგვია,  
 არამედ სათაკილო ბრძოლის ასპარეზიდან დაბრუნებულ სათაკი-  
 ლოდ დამარცხებულ მებრძოლს.  
 გაგრიყავ...

\* \* \*

მიდი, ამოაფურთხე სულის ყველა ნაპრალიდან...  
 ამოხაპე ემოციების ფიალა...  
 ეთავხედე გრძნობებს, გააწანი სილა...  
 წერე...  
 წერე... „მთელი შენი სიგიჟიდან“, გადალახე ხორცი-ბარიერი...  
 მიდი, როზგვემ გაატარე ცხოვრება...  
 სარკაზმით მიეცი სალამი...  
 უკუაგდე მისი მბრძანებლური ტონი, შეუბრუნე სიტყვა...  
 იგრძენი...  
 ძვლების მტვრევა სულში...  
 უარყავი ყველა ნორმა...  
 გამარადიულდი...  
 გასცდი ათასწლეულებს...  
 იცოცხლე შენსავე ნაწერებში...  
 ისუნთქე...  
 ნება მიეცი დაგიაროს...  
 ძვლებამდე...  
 პათოლოგიურად დაადინე სისხლი ყოველ შენს სიტყვას, ყველა  
 სუნთქვას და ჩაიღვარე სულში... რომ იფეთქოს გულმა...

\* \* \*

არ მენერინება. წინასწარ მაპატიე, თუ ბანალური ვიქნე-  
 ბი, თუმცა ვიცი, რომ ჩემი სიტყვები შენთვის არასოდესაა  
 ბანალური. იმ დროიდან დავინწყებ, ქუჩაზე ხელჩაკიდებული  
 რომ გადმოგყავდი. ჩვენ შორის ერთადერთი, რაც არ ბა-  
 ლანსდებოდა სიმაღლე იყო:) სხვამხრივ ყველაფრით ვგავ-  
 დით ერთმანეთს. მაშინ, როცა რთულცხოვრებაგამოვლილი  
 კაცებისა და ქალების როლებს ვირგებდით, ალბათ, ვერც კი  
 წარმოგვედგინა თუ ასე გავკვირდებოდა ქიშმიშებიანი  
 ფუნთუშის სიტკობიდან წინაქის სიტყვარზე გადასვლა...

სულ სხვაა, როცა ერთი ქოლგაიანი სულელი, თავსხმა  
 წვიმაში, მეორე უქოლგო სულელს სახლში აცილებს და  
 უცებ ხდება ისე, რომ ქოლგაიანი სულელი უქოლგო სუ-  
 ლელივით გალუმპული მიდის სახლში... როცა, სიცოცხ-  
 ლით აღსაგვსე კადრებს, ჩაბნელებულ ოთახში ვუყურებ,  
 ყოველთვის დგება მომენტი, როცა დაბრუნება მინდე-  
 ბა... იქ... შენთან ერთად...

ჩემო... ნერვებზე ვკიდევარ! თავს იმ წერტილად  
 ვგრძნობ, გასაქცევი რომ არსად აქვს, რადგან ყველა  
 წრფე მასზე გადის. მინდოდა მელოდიად შეემდგარიყავი...  
 ამის გაფიქრება და... ოქტავის ყველა ბგერას ხმა ჩაუნყდა.  
 ვიცი, სიყვარულით მოწამლული გგონივარ. არა მასე!  
 სიყვარული და მოუსვენრობა ჩემი ჯვარია, მაგრამ ეს ჯვარი  
 არცერთ უთვისტომო გარეწარს არ იფარავს! ის ზედმეტად  
 ამაღლებულია იმ სივრცისთვის, რომელშიც ეს კაცობრიობა  
 ხამივით სუნთქავს. ის თვითაა განუზომელი განზომილება!  
 ძვლებამდე დავდივარ..... (კიდევ 2 აბი ენის ქვეშ)  
 sms-ად მოსული შენი მზრუნველობა... ანუ (მ)ფიქრობ.  
 ჩუმი სიხარული და რამდენიმე სიტყვაში ჩატეული  
 ღმერთისტოლა სიტბო. (პასუხად)

ჩემი რაღაცნაირი სიყვარული შენი მაგიდის პურია, შე-  
 ნი მაგიდის მარლი და სანამ, შენ ჩემში იგულისხმები, მანამ  
 არ დაკარგავს შენი სუფრა გემოს... მანამ, სანამ ზამთარში  
 ბელურები, თბილ ქვეყნებში გადაფრენას დაისწავლიან...

ჩვენი ერთად ყოფნის ყველა ალევორიამდე... მიყ-  
 ვარხარ...

\* \* \*

გრძნობათა მუზეუმში, თითო „ექსპონატზე“ მტვრად  
 შემორჩენილი მილიონობით უხერხემლო სიტყვა... მელ-  
 ნით მოთხუპნილი თითები და მარტოობის უხეში არომა-  
 ტი. კედლებზე უგულოდ გაკრული რამდენიმე დაუსრუ-  
 ლებელი ტილო და ბგერებჩამომხრჩვავი როიალი. ორი  
 სილუეტი, რომლებიც ილუზიურად ერწყმის, მაგრამ ვერ  
 ქმნის ერთმანეთს. ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ქარების  
 პანტომიმა... ამოღამებული დღე...

ფირზე დასახლებული თანდაყოლილი სევდა ძვლებ-  
 ში ამტვრევს...

ძარღვებს უხეთქავს...  
 სუნთქვას უმოკლებს...

ბოლო დაცემა... თანაგრძნობის სურვილიც არ აქვს,  
 ტკივილს ეჩვევა.

ბეჭები ტკივა... მძიმეტირთნაზიდი ბეჭები.  
 ირონიას უხმობს (უარესს შერება)... ტკივილი აღმა-  
 ტებით ხარისხებში ადის!

კვდომა ნერვებში...  
 დახეთქვამდე მისულ ძარღვებში უმისამართოდ მოძ-  
 რავი ბლანტი სითხე...

ულვაშებგაბურძნვული, გახუნებული სათამაშო,  
 ისევ „იმდროინდელი“, მიყინული ღიმილით სახეზე.

შემანუხებელი მოუსვენრობა.  
 ფილტვებში გაჩხერილი ბოლო ღერი KENT-ი.

იგივე დოზა — ბოლო გასეირნებისთვის...  
 ანუ, „მასთან ყოფნის“ ალევორია...



მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სპარსელი პოეტი დაიბადა 1928 წლის 6 ოქტომბერს, ფარსის პროვინციის ქალაქ ქაშანში, გარდაიცვალა 1980 წლის 21 აპრილს. სოჰრაბ სეფეჰრის სახელს უკავშირდება სპარსული ენის თემატური და სტრუქტურული განახლების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. მან უახლეს სპარსულ ლიტერატურაში ჭვრეტით-მედიტაციური პოეზიის ახალი მიმართულება შემოიტანა და დაამკვიდრა. ქართულად ითარგმნა მეოცე საუკუნის ბოლოს და პირველად დაიბეჭდა კავკასიური სახლის გაზეთში „ალტერნატივა“. ამას მოჰყვა პუბლიკაციები ჟურნალებში „არილი“ და „ომეგა“, 2004 წელს კი გამოცემილია „მერანში“ გამოვიდა სოჰრაბ სეფეჰრის ლექსებისა და პოემების ქართული თარგმანების პირველი კრებული „წყლის ფეხის ჩქამი“. ყველა ეს თარგმანი წინამდებარე პუბლიკაციის ავტორმა გიორგი ლობჟანიძემ შეასრულა. და ამ კონვენციურმა ორეულმა ხელშეკრულებად განგვატყვევინა სეფეჰრის პოეზიის სიღრმე და შთამბეჭდაობა, და თვალნათლივი გახდა მიზეზი, თუ რატომ შეიძლება მოეხდინა მას ამხელა ზეგავლენა თანამედროვე სპარსულ პოეზიაზე. აქ წარმოდგენილი ლექსების თარგმანები დღემდე არსად დაბეჭდილია და პირველად ქვეყნდება, ეს კი ნიშნავს, რომ სოჰრაბ სეფეჰრი უფრო სრულყოფილი კრებულითაც წარდგება ქართველი მკითხველის წინაშე.

სოჰრაბ სეფეჰრი

შუქურა გამირბის.  
როგორღა წამოვდგე?  
ბალახების ცივ ძვლებსლა ვეკვრი და  
ჩემგან შორს,  
შუქურა  
ზღვის მოგუგუნე აკვანში ირეცხება...

სველი შუქურა

ბალახებზე ჩამოვწვეთე.  
მე ერთი ვარსკვლავის ძილმოძალეული ცვარი ვარ,  
ბნელ ბალახებზე რომ დავეწვეთე.  
ჩემი ადგილი აქ არ იყო.  
ბალახების ნამიანი ბუზღუნე ჩამესმის.  
ჩემი ადგილი აქ არ იყო.  
შუქურა  
ზღვის მოგუგუნე აკვანში ირეცხება.  
სად მიდის ეს შუქურა —  
ეს ზღვათა თაყვანისმცემელი, მთვრალი წყურვილით  
აღსავსე შუქურა?!

შორს, ჰორიზონტის ქაშანურიან ბრტყელ ფიცარნაგზე  
ჩემი მზერა ფერიების ნისლიან როკვასთან ერთად ბრუნავს  
და ძარღვებში მცენარესავით მეზრდება ღამის ჩურჩულები.  
სიმთვრალის ფითრით აღსავსე წვიმა  
სულის მწყურვალ კედელზე მომწვეთავს.  
მე ჩამოწვეთებული ვარსკვლავი ვარ —  
შეცდომის უჩინარ თვალს ჩამოწყვეტილი.  
ღამე — თხოვნით სავსე  
და ჰორიზონტის ცხელი ტანი შიშველი იყო,  
ველის მწვანე მარმარილოს სალუქი ძარღვი ბუტბუტებდა  
და ბადრი მთვარე აღმოსავლეთის ცისფერი კიბეებით ამოვიდა.  
ფერიები როკავდნენ  
და იმათი უსამოსობა ჰორიზონტის ფერს ექდობოდა.  
ღამის დუღუნი მათრობდა,  
ხილვის ფანჯარა გამოღებულიყო  
და ის, ნიავევით, შიგნით უბერავდა.  
ახლა ბალახზე ვარ.  
ნიავე გვერდს მივლის,  
ძვერანი ჩანაცრულან.  
ცისფრად შემოსილნი არ როკავენ.  
შუქურა ნელა ტივტივებს აღმა-დაღმა.  
როცა ფანჯრიდან გარეთ მიფრინავდა,  
მას თვალთაგან ძილი დაჰკარგვოდა.  
გზა მძიმედ სუნთქავდა,  
კლდეებმა კი რა ნდომით დაყნოსეს!  
მოჩქარე შუქურავ!  
როდემდე ისრიალებ  
პირზედუქმომდგარ, ჰანგით აღსავსე გზატკეცილის  
აღმართ-დაღმართებზე.

ღამის ყველა დუღუნი ჩამოჭნა,  
დასრულდა ფერიათა როკვა.  
ნეტავი, აქ არ დავეწვეთებულებიყავ!  
როცა მისი ტანის ნიავე ღამის წყვილიადში ჩაიკარგა,  
შუქურა სანაპიროზე გზას დაადგა.  
ნეტავ, აქ — სიბნელის აბალახებულ კალაპოტში —  
არ დავეწვეთებულებიყავ!

უჩინარ ჩიტთან

სიტყვა მაქვს შენთან,  
ჩიტო, თვალთაგან მოფარებულში რომ ჭიკჭიკებ და  
მაგ შენი ხმით დროყამს რომ ალებ...  
რა სნება გტანჯავს,  
შენი მარტოობის საფარიდან რომ ხმინებ...  
და ცხოვრების ნიშატს მტაცებ ხელისგულიდან...  
სად იმალები, ჩიტო? -  
ცვრიან ბალახთა ბადის ქვეშ  
თუ წადილის ტოტთა სიღრმეში?  
გუბის მწვანე თვალს გადაუფრენ  
თუ ფრთებს შემეცნების ნაკადულის პირას დაიბან?  
სადაცა, ხარ, მითხარი — ჩემთან!  
გზაზე არსად ნაფეხური არ არის მტრისა.  
გამობრწყინდი!  
ჭქეა-ქუხილი ფეხებს აღარ აბაკუნებს ღრუბლის სახელით,  
ელვის გველი გარეთ აღარ მოსისინებს თავის ხვრელიდან  
და ველის სხეულს აღარა ჰგვემს ქარიშხლის ჯაჭვი!  
ჩუმი დღეა, წყნარი, ბინარი.  
რალას უფრთხი,  
გარეთ გამო...  
არავინ არი...

მნარე სიზმარი

მთვარის ჩიტი  
გალობს,  
ღრუბელი ჩემს ოთახში ტირის,  
სინანულის თვალის ყვავილები იფურჩქნება...  
ჩემი ფანჯრის კუბოში აღმოსავლეთის სხეული წრიალებს.  
დასავლეთი სულს ღაფავს,  
კვდება.  
მზის ნარინჯისფერი მცენარე  
ჩემი ოთახის გუბეში იზრდება თანდათან.  
მღვიძავს.  
მძინარე არ გეგონოთ.  
ტოტის ჩრდილი გატყდა.  
ნელა მიმადინა.  
ახლა ვუსმენ  
მთვარის ჩიტის ჰანგს  
და სინანულის თვალის ყვავილს ვფურცლავ.

### ქაშანურის ვარდი

ნათლის წვიმა,  
 უსასრულო ტალანის ცხაურიდან რომ იღვრებოდა,  
 ქაშანურით მოკირწყლულ კედელზე  
 ვარდს რეცხავდა.  
 ამ ვარდის ღეროს შავი გველი  
 ცოცხალი იყო  
 ლბილ, საამო როკვაში,  
 თითქოსდა, როკვის ბნელი არსი  
 ამ შავი გველის ყელში ჩანრეტილაო,  
 ცოცხალი იყო ქაშანურის ვარდი  
 იდუმალებით მოცულ სამყაროში,  
 ფსკერუნვდენელი ცისფერის სამყაროში.  
 ბავშვობაში,  
 აივანთა ქერის დაქანებაზე,  
 ფანჯარათა ფერადი შუშების შიგნით,  
 კედლების ლაქათა შორის,  
 ყველგან სადაც ჩემი თვალები, თავისდაუნებურად,  
 შეუცნობელისაკენ მიიწვედნენ,  
 ამ ქაშანურის ვარდის მსგავსს ვხედავდი.  
 და ყოველ ჯერზე, როცა კი მოსანყვეტად ნავეტანე,  
 ხილვის ყვავილიდან ფურცლები ჩამომცვივდა.  
 ჩემი მზერა  
 ვარდის შავი ღეროს ქსოვილს მიეწება  
 და მისი ძარღვების მხურვალეობა იგრძნო.  
 მთელი ჩემი ცხოვრება ქაშანურის ვარდის ყელში ჩაიწრიტა,  
 ქაშანურის ვარდს კი სხვა ცხოვრება ჰქონდა.  
 ნუთუ ეს ვარდი,  
 რომელიც მთელი ჩემი ზმანებების ნიადაგზე  
 გადაშლილიყო,

იცნობდა ძველ ბავშვს ჩემში,  
 თუ მხოლოდ მე ვიყავი,  
 მასში რომ ჩავიღვარე და ჩავიწრიტე?  
 ჩემი მზერა ღეროს ჩამწყდარ ქსოვილს მიწებებულა.  
 მხოლოდ მის ღეროზე შეიძლებოდა მოჭიდება.  
 როგორ უნდა მოგენყვიტა ვარდი,  
 რომელსაც აჭკნობდა წარმოსახვა?  
 ჩემი ჩრდილის ხელი  
 ზემოთ აცოცდა და  
 ქაშანურის ფილათა გული აცახცახდა.  
 ნათლის წვიმა შეწყდა.  
 ჩემს წარმოსახვას ყვავილივით დასცვივდა ფურცლები.

### რეტდასხმული ჯოჯოხეთი

ღამე დავლიე  
 და ამ ჩამომტვრეულ ტოტზე ვტირი.  
 მარტო დამტოვე,  
 სიცხიანო, რეტდასხმული თვალო!  
 მარტო დამტოვე ჭმუნვად ყოფნასთან,  
 ნუ დაუშვებ, ჩემი არსებობის სიზმარში დავიფურცლო...  
 ნუ დაუშვებ, ჩემი მარტოობის ბნელი ბალიშიდან  
 თავი წამოვწიო  
 და ხილვათა უქსოვილო კალთას ჩავეჭიდო.  
 მოტყუების გარიჟრაჟები  
 უჩრდილებო სვეტებზე დუღუნებენ.  
 შეხე ჩემი ძილის დამსხვრეულ თილისმას  
 ფუჭად მომჭიდებია თვალის მარგალიტის ჯაჭვზე.  
 უთხარი:  
 ჯოჯოხეთის კუთვა ხარ, გალემილო!  
 უთხარი:

შენი თვალების შავი ნიავი დავლიე-თქო.  
 დავლიე, რაკი გამუდმებით მშვიდადა ვარ...  
 რეტდასხმული ჯოჯოხეთო,  
 თავი დამანებე!

### შესვლა

სინათლე მინაზე ჩამობრწყინდა  
 და უდაბნოს ქვიშაში ორი ნაფეხური დავინახე.  
 საიდან მოვიდა?  
 საით მიდიოდა?  
 მხოლოდ ორი ნაფეხური ჩანდა,  
 ეგება, შეცდომით დაედგათ მინაზე?  
 უეცრად ნაფეხურები გზას დაადგნენ,  
 სინათლე მათ მხარდამხარ მისხლტებოდა.  
 ნაფეხურები დაიკარგნენ.  
 ჩემი თავი პირისპირ ვიხილე.  
 ორმო სიკვდილით ამოვსებულიყო  
 და მე გზას ჩემს მკვდარში დავადექი.  
 საკუთარი ფეხის ჩქამი შორი გზით ჩამესმოდა.  
 მგონი, უდაბნოს გავდიოდი.  
 დაკარგული მოლოდინი ჩემთან იყო.  
 უეცრად ჩემს მკვდარში სინათლე ჩამოეშვა.  
 და მე ძრწოლაში მკვდრეთით წამოვდექი.  
 ჩემი ყოფნა ორმა ნაფეხურმა ამოავსო.  
 საიდან მოსულიყო?  
 საით მიდიოდა?  
 მხოლოდ ორი ნაფეხური ჩანდა.  
 ეგებ მინაზე შეცდომით დაჩნეული..

### უფრო მაღლა

მიგელავ, მეამბოხე ტყუპისცალო,  
 მიდიხარ ვარსკვლავებზე სანადიროდ.  
 შენი ხელები მშვილდისრის ბრწყინვით ლიცლიცებენ.  
 აქ კი, სადაც მე ვარ, ზეცა პლანეტების მტევანს გადმოჰკიდებს.  
 სად არის მონატრული თვალი?  
 ...  
 შიშით და გაკვირვებით,  
 ფირუზისფერ ტბორში  
 თეთრ ვარდებს კრეფ  
 და ყოველ წამს შავ გველს შესცქერი, უძრავო თაიგულო.  
 აქ კი — ზღაპარს როდი ვყვები! -  
 გველის შხამს ვარდის ბადაგი მოაქვს არმალანად.

შენს სიფხიზლეს ჯადო ეცემა.  
 შენი ბალის ვაშლს დევის ტორი იტაცებს  
 და — არაკს როდი ვყვები! —  
 ჩემს ნალკოტში ნაყოფით დახუნძლული ტოტი დაზნექილა,  
 პასუხს აძლევს ხელთა დაუჭირვებლობას.  
 შენს ხეობაში ირემი მისხლტის,  
 ჩქამსაც კი უფრთხის.  
 ჩემს ტყეში მტაცებლის ალიკვალი არ ჩანს.  
 შენი სამფლობელოს მზვარესა და ჩრდილში „სიკეთისა და სი-  
 ავის” ზღაპარს უსმენ,  
 მე კი გაფურჩქნები მესმის  
 და ნაკადული დროის იქითა მხარეს მირაკრაკებს...

შენ გზაში ხარ,  
 მე უკვე მივედი....

თვალებში მწუხარება ჩაგეფინა, გულჩვილო გზად მავალო!  
 ჩვენ შორის დიდი გზა როდი გვიქვს: ფოთლის ერთი ცახცახი...



**მზავრობა**

ხანგრძლივ წამთა შემდგომ  
ჩემი ფანჯრის ფერფლისფერ ხეზე ფოთოლი აღმოცენდა  
და მწვანე ნიავეს მთელ მძინარე გულგვამში დამიარა.  
მე კი ტანის ფესვი ჯერაც არ გამედგა  
ხილვათა ქვიშაში,  
როცა გზას დავადექი....

ხანგრძლივ წამთა შემდგომ,  
ჩემს არსებას ერთი რაღაც ხელის ჩრდილი დაეფინა  
და მისი თითების ცახცახმა გამაღვიძა.  
მე კი ჯერ ჩემი სხეულის მზვარე  
ჩემივე ნიალის ბნელ უფსკრულში არ გადამეჩეხა,  
როცა გზას დავადექი.

ხანგრძლივ წამთა შემდგომ  
საათის გაყინულ გუბებს თბილი არილი გადაადგა  
და ისრებმა საკუთარი მიმოსვლა სულში ჩამიხვავეს.  
მე კი ჯერაც დავიწყების გუბებში არ ჩამცდენოდა ფეხი,  
როცა გზას დავადექი.

ხანგრძლივ წამთა შემდგომ  
ერთმა წამმა განვლო.  
ჩემი ფანჯრის ფერფლისფერი ხიდან ფოთოლი ჩამოვარდა,  
ხელმა თავისი ჩრდილი  
ჩემი არსებობიდან უკუმიიფინა  
და ისრები საათის გუბებში ჩაიყინნენ.  
მე კი,  
ჯერ თვალის არ გამეხილა,  
რომ სულ სხვა სიზმარში ამიცურდა ფეხი...

**უპასუხო**

დაუსაბამო და უსასრულო სიბნელეში  
ჩემი მოლოდინის სინათლეში  
კარი აღმოცენდა...  
კარს მიღმა თავი მარტო დავადგე  
და თვითონ შიგ შევედი.  
მზერის სიცარიელე ერთმა უჭუჭრუტანებო ოთახმა  
ამომივსო...

ჩემში რაღაც ჩრდილი ჩაეფინა  
და ჩემი ყოველგვარი მსგავსება  
თავის შეუცნობლობაში მიმოკარგა.  
მე სადღა ვიყავი?  
ეგებ ჩემი სიცოცხლე, სადღაც, დაკარგულ ადგილას,  
ცახცახებდა  
და მე ანარეკლი ვიყავი,  
თავისდაუნებურად, მთელ სიხალვათეებს რომ  
ერთმანეთში ურევდა  
და ყველა ხილვათა ბოლოს იძირებოდა გაოგნების ჩრდილში...

კარს მიღმა მარტო ვიყავი დარჩენილი.  
თავს მუდამ მარტოს ვხედავდი  
ერთი კარის მიღმა,  
თითქოს ჩემი არსება ამ კარის წირთხლთან გახევებულიყო  
და მის განგაშში გაედგა ფესვები...  
განა ჩემი ცხოვრება უპასუხო ძახილი არ იყო?

უჭუჭრუტანებო ოთახში  
ანარეკლი ბარბაცებდა თავბრუდახვეული  
და მე ჩემივე სიზმრის ნკვარამში ჩავიყინე.

სიზმრის ფსკერზე ჩემი თავი ვპოვე  
და ამ მღვიძარებამ სიზმრის სიხალვათე შემიბლალა.  
ნუთუ ეს მღვიძარება ჩემი ახალი შეცდომა იყო?

დაუსაბამო და უსასრულო სიბნელეში  
ფიქრი მარტო დარჩენილი იდგა კარის მიღმა.  
მე სადღა ვიყავი?  
ვიგრძენი, სადღაც, მღვიძარებამდე ვალწევ!  
მთელი ჩემი არსება ამ მღვიძარების სიბნელეში  
შევათვალეიერე.  
განა თვითონაც რაღაც დაკარგული შეცდომის ჩრდილი  
არ ვიყავი?

უჭუჭრუტანებო ოთახში  
ანარეკლი ირხეოდა.  
მე სადღა ვიყავი?  
დაუსაბამო და უსასრულო სიბნელეში  
გაოგნება იდგა  
კარს მიღმა დარჩენილი...

**და...**

- დიახ, ჩვენა ვართ სიზმრის კვირტები.
- მაშ, გავიშლებით და გავბრწყინდებით?
- ერთ დღეს, ფოთოლთა უძრავობის მცირედი ხემსით...
- აქ?
- არა, აქ კი არა... სიკვდილის ხევში.
- სიმარტოვე და მრუმე ნკვარამი...
- არა, ლამაზი სიხალვათე გულშემზარავი.
- და სანახავად ვინ მოგვივა? ვინღა დაგვეცოცხლოს?
- ...
- და მერე ნუთუ დაგვეფურცლავენ ქარის ეშვები?
- ...
- და სხვანაირად, სხვა ადგილას ძირს დავეშვებით...

**ოღჳი**

ყველა კარიბჭე ღია იყო... მხოლოდ იმ ნუთას...  
არა — ფოთოლი,  
არა — ტოტი,  
არყოფნის ბალი მოჩანდა მრუდად.  
ადგილის ჩიტნი მდუმარედ ისხდნენ...  
ესეც მდუმარედ,  
ისიც მდუმარედ...  
მდუმარებას აედგა ენა...  
ხოლო ის სივრცე რაღა იყო?  
-ბინდბუნდის ჩენა!  
ხმის ხატი იყო ფერმიმკრთალი,  
ძახილის ხატიც ფერმიმკრთალი...  
ნუთუ ფარდა გადაეკეცათ...

წასული ვიყავ მეც  
და ისიც იყო წასული..  
ჩვენ გამხდარიყო უჩვენოდ ქმნილი,  
ჩვენი წრიდან გასული...  
მშვენიერება მარტო იყო...  
და წამი — მუდამ...  
ყველა მდინარე ზღვად ქმნილიყო,  
არსება — ბუდად!

**სპარსულიდან თარგმნა  
გიორგი ლოპუანიძე**

ვივი გამრეკელი

# ცილისნამებიდან ჭეშმარიტებად

(დავით გურგენიძის  
მონობრაფია  
ანდრია დადიანზე)

ასე დაასათაურა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (და ამჯერად უკვე საჭადრაკო ისტორიკოსმა) დავით გურგენიძემ თავისი მორიგი ნაშრომი, რომელიც გამოჩენილ მოჭადრაკე ანდრია დადიანს მიუძღვნა.

ანდრია დადიანს, როგორც მოჭადრაკეს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი სახელი და სრული აღიარება ჰქონდა საქართველოში, სადაც იგი ბევრს და სიამოვნებით ეთამაშებოდა ცნობილ მოღვაწეებს, რომელთა შორისაც ჭადრაკი ძალზე პოპულარული იყო. ანდრია ძალიან მეგობრობდა ვასილ მაჩაბელთან, ივანე მაჩაბლის ძმასთან. მათ შორის მეტად საინტერესო მატჩიც გაიმართა, თუმცა შემოგვრჩა ერთი პარტია, სადაც დიდი მოჭადრაკე ძალთა გათანასწოების მიზნით (როგორც ეს იმ ხანებში მიღებული იყო) მეტოქეს წინასწარ მხედარს აძლევს. ბევრი პარტია ითამაშა ანდრიამ თავის ბიძასთან, პოეტ გრიგოლ დადიანთან, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „კოლხიდელის“ ფსევდონიმით. გრიგოლ დადიანის ცხოვრებაში ჭადრაკი სერიოზული გატაცება ყოფილა და მას თეორიაც კარგად სცოდნია. ასე რომ, ძმისწულ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა. საინტერესოა ანდრიას შეხვედრები ცნობილ პოეტ მამია გურიელთან, რომლის შემოქმედებაში საჭადრაკო თემატიკაც არის წარმოდგენილი.

ანდრია ბევრს ეთამაშებოდა თბილისში მცხოვრებ რუს მოჭადრაკეებსაც, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ სასამართლო პალატის წევრი ალექსანდრე სმიტენი. სმიტენი იმ დროისათვის კარგი ოსტატის ძალით თამაშობდა. დადიანისა და სმიტენის შეხვედრებზე ბევრს წერდა პეტერბურგის „შახმატნი ლისტოკი“, ხოლო პარიზის ცნობილმა ჟურნალმა „სტრატეჟიე“ მათი მატჩის თორმეტი პარტია გამოაქვეყნა, რომელთაგან დადიანმა 8 პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და ორიც წააგო. ამ მეტოქეების ბევრი სხვა პარტია გამოქვეყნებულია აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის საჭადრაკო ჟურნალებში.

საინტერესოა, რომ ანდრია ჭადრაკით ბავშვობიდანვე იყო გატაცებული, რაც ძალიან მოსწონდა დედამისს, ეკატერინე ჭავჭავაძეს. მამინ, როდესაც დადიანები ზაფხულობით ჰამბურგში ისვენებდნენ, გადაწყდა ანდრიასთვის ჭადრაკის მასწავლებლად მიენივით ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე ტომას ბერნსი, არც მეტი, არც ნაკლები, ლეგენდარული პოლ მორფის ამასწინანდელი ლირსული მეტოქე (მთი მატჩის ანგარიშია +19-7=1). 14 წლის ანდრიამ და ინგლისელმა მაცესტრომ ბევრი პარტია ითამაშეს. ბერნსი ძალიან აქებდა ანდრიას, რომელმაც ჰამბურგში გამართულ მოყვარულთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. ეს ქართველი მოჭადრაკის საჭადრაკო კარიერის ბრწყინვალე დასაწყისი იყო.

ვისთან აღარ უთამაშია მომდევნო წლებში ანდრია დადიანს: მსოფლიოში გამოჩენილ ოსტატებთან: იგნაციო კოლიმინ სამუელ როზენტალთან, ემანუელ შიფერსთან, ჰენრი ფილიამ



უიფორდსა და სხვებთან. საინტერესოა, რომ ანდრიას ყველასთან საპატიო ანგარიში ჰქონდა. მისი პარტიები მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალებში იბეჭდებოდა. ხშირად მათ გაგზავნას მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიც ითხოვდა, რომელიც ანდრიას ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ქართველი თავადის სპონსორობას დიდად აფასებდა (რასაც ბევრი ჟურნალისტი თუ ჭადრაკის ოსტატი მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას რატომღაც არ ანიჭებდა; თუ რატომ, ამას ძალიან მალე შევეხებით).

ბევრი ექსპერტი საგანგებოდ აღნიშნავდა დადიანის დიდ კომბინაციურ ნიჭს, მის მიდრეკილებას იერიშისადმი, იმდროინდელი თეორიის ბრწყინვალე ცოდნას (მეფის გამბიტში, ევანსის გამბიტსა და დღეს ესოდენ პოპულარულ ესპანურ პარტიაში), თუმცა ქართველი მოჭადრაკე ზოგჯერ ჰოლანდიურ დაცვას, ლაზიერის გამბიტსა და ფრანგულ დაცვასაც იყენებდა, რომელთაც მამინ იშვიათად მიმართავდნენ.

საინტერესოა, რომ საჭადრაკო ჟურნალმა „ამერიკან ჩეს მაგაზინ“ 1898 წელს რუბრიკით „ევროპის ჭადრაკის ლიდერები“ გამოაქვეყნა სტატია ანდრია დადიანზე და მას საჭადრაკო სამყაროს ერთ-ერთი მოკაშკაშე ვარსკვლავი უწოდა. აღინიშნა, რომ 1903 წელს მონტე-კარლოში გაიმართა საკონსულტაციო პარტია ჰარი ნელსონ პილსბერისა და ანდრია დადიანის დუეტსა, ხოლო მეორე მხრივ ზაგბერტ ტარაშსა და ლეოპოლდ ჰიფესს შორის. ის ყაიმით დამთავრდა. ვთქვათ ისიც, რომ ამ დროისათვის პილსბერი და ტარაში მსოფლიო ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტები იყვნენ.

იმდროინდელი ქართული პრესა ყოველთვის ეხმაურებოდა თანამემამულის საჭადრაკო მიღწევებს, თუმცა მის პარტიებს არ ბეჭდავდა. მაგრამ დადგა დრო, როცა დადიანის მემკვიდრეობის საკითხი კვლავ წამოიჭრა: ქართული ჭადრაკის მემკვიდრეობა თენგიზ გიორგაძემ მის საჭადრაკო მოღვაწეობას ორი ნიგნი მიუძღვნა: „თამაშობს ანდრია დადიანი“ (1972) და „რანდული სტილის მოჭადრაკე“ (2004). 1990 წელს გაზეთ „მშობლიურ კერაში“ ცნობილმა კრიტიკოსმა და ჭადრაკის დიდმა მოყვარულმა ლევან ბრეგაძემ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ანდრია დადიანს მიუძღვნა. როგორც მან სწორად შენიშნა, „მოსაველეა მისი ყველა პარტია, ყოველი კომბინაცია, ყოველი იდეა, მითუმეტეს, რომ უცხოურ საჭადრაკო ლიტერატურაში ანდრია დადიანის მშვენიერი კომბინაციებისადმი ინტერესი დღემდე არ გამქალა და ეტყობა არც არასოდეს გაქრება“.

უნდა ითქვას, რომ დავით გურგენიძემ ძალიან დიდი საქმე გააკეთა. მან თავი მოუყარა ანდრია დადიანის უამრავ პარტიასა და კომბინაციას, თავის დროზე ამერიკისა თუ ევროპის სპეციალურ პრესაში რომ იბეჭდებოდა. ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებისადმი საოცრად კეთილი (და კეთილშობილური) დამოკიდებულება გამოავლინეს მსოფლიოში ცნობილმა ბიბლიოფილებმა, რომლებიც არამარტო გამოეხმაურნენ დავით გურგენიძის იდეას, შეიძლება ითქვას, მხარში ამოუდგნენ მას და მომავალშიც არაერთი პარტიის გამოგზავნას დაპირდნენ. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიც არაერთი საინტერესო პარტიასა თუ კომბინაციას გავეცნობით, ანდრია დადიანის მართლაც მოკაშკაშე ნიჭს რომ ეკადრება.

ახლა კი, გვინდა თუ არ გვინდა, ერთ უსიამოვნო ამბავს უნდა შევეხეთ, რომლის მიზანიც იყო ანდრია დადიანის მთელი საქმიანობისთვის, როგორც მოჭადრაკისა თუ მეცენატისათვის, ასე ვთქვათ, „ხაზის გადასმა“. დიხ, მაგრამ, ვის მოუვიდა ეს უკეთური აზრი, მამინ, როცა ალბათ არსად დარჩენილა ჭადრაკის მოყვარული, რომელიც ანდრიას ბრწყინვალე პარტიებს არ იცნობდა.

დავუბრუნდეთ დავით გურგენიძის წიგნის სათაურს „ცილისნამებიდან ჭეშმარიტებამდე“, სადაც ეს საკითხი დეტალურად არის განხილული.

ანდრია დადიანს, როგორც ჭადრაკის სამყაროში ესოდენ პატივსაცემ პიროვნებას, ხშირად ირჩევდნენ სხვადასხვა დიდი საერთაშორისო ტურნირის პრეზიდენტად თუ საპატიო პრეზიდენტად. მას ყველა გამოჩენილ მოჭადრაკესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ხშირად აწესებდა სპეციალურ პრიზებს, ყველანაირად ამხნეებდა მათ. შემდეგ ხშირად უგზავნიდა თავის საუკეთესო პარტიებს. ერთი სიტყვით, უაღრესად მეგობრული, ახლო ურთიერთობა ჰქონდა როგორც ევროპელ, ისე ამერიკელ ოსტატებთან.

ეს ყველაფერი შეცვალა თავისებურმა „ყუმბარამ“, რომელიც ანდრიას სრულიად მოულოდნელად დაუდეს 1902 წლის დასაწყისში. საქმე ის არის, რომ ყველა ასე თუ ისე ცნობილი მოჭადრაკე, რომელიც კიევში ჩადიოდა (სწორედ აქ ცხოვრობდა არაერთი წლის მანძილზე არმიის გენერალ-ლეიტენანტი ანდრია დადიანი), აუცილებლად ეწვეოდა ხოლმე ანდრიას, სტუმარს გულუხვად რომ უმასპინძლებოდა, თამაშობდნენ მსუბუქ პარტიებს, ერთმანეთს უცვლიდნენ აზრს ჭადრაკის სამყაროში შექმნილი მდგომარეობის შესახებ... და აი ერთ მშვენიერ დღეს დადიანს ეწვია ახალგაზრდა ოსტატი ფეოდორ დუზ-ხოტიმირსკი, რომელიც კიევებისა და კარპატიების მტვირთავად მუშაობდა. როგორც მოგვიანებით თვით დუზ-ხოტიმირსკი აღნიშნავდა, თავადი მუდამ სტუმართმოყვარულად იღებდა მას და ხშირად თავის ოჯახში სადილადაც ტოვებდა.

ისინი ძალიან ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს. ერთი პარტია სტუმარმაც მოიგო. რა მოხდა მერე? მოიგო და მოიგო! საქმე ის არის, რომ დუზს ვიღაცა მეგობრები შეუჩნდნენ, რომელთაც თავადი არ ეჭაშნიკებოდათ. მანაც აიღო და ეს მოგებული პარტია კიევის ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდა. დადიანს, რომლის პარტიებსაც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გაზეთები ბეჭდავდნენ, როგორც ჩანს, ძალიან ეწყინა. დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ მოულოდნელად ეს ეპიზოდი ძალიან „გაბერეს“. როდესაც კიევში სტუმრად ჩამოვიდა მიხეილ ჩიგორინი, დადიანი მას ეპატიჟებოდა თავის რეზიდენციაში, მაგრამ ჩიგორინმა სოლიდარობა გამოუცხადა დუზ-ხოტიმირსკის, რომელსაც თავადი თითქოს ცემით დაემუქრა, და აღარ ისურვა ანდრიასთან სტუმრობა. ამის შემდეგ ჩიგორინმა, რომელიც სისტემატურად წერდა საჭადრაკო მიმოხილვებს, „ნოვოე ვრემიასა“ და სხვა რუსულ გაზეთებში დაიწყო დადიანის უდიერად მოსხენება, ხშირად აღნიშნავდა მის სერიოზულ თუ ნაკლებად სერიოზულ შეცდომებს (ვის არ მოსვლია!), ყველანაირად აკნინებდა მისი, როგორც მოჭადრაკის ღირსებებს. დაიწყო ხმების გავრცელება (იმავე დუზ-ხოტიმირსკის მეშვეობით), რომ დადიანი საერთოდ არავის ეთამაშება (აბა რა იყო მისი მრავალრიცხოვანი შეხვედრები საკონსულტაციო პარტიებში იმავე ჩიგორინსა ერთად და სხვა კორიფეებთან), არამედ ყველას ფულს აძლევს, ლამაზ პარტიებს აქმნენინებს და შემდეგ ჟურნალებს უგზავნის.

ხომ უაღრესად აბსურდული ამბავია, მაგრამ ჭორს მოგვიანებით მრავალი გამავრცელებელი გამოუჩნდა. ეს მოხალისე მეჭორეები (მათ შორის იყო საერთაშორისო ოსტატი ვასილი პანოვი და კიდევ რამდენიმე ცნობილი რუსი ჟურნალისტი) დადიანს ყოველმხრივ ლაფს ასხამდნენ, თუმცა ქართველი მოჭადრაკეებისაგან სასტიკი პასუხიც მიიღეს. ანდრიას მთელი მოღვაწეობისა და დამსახურების წყალობა გადაყრის და მისი სახით ოდიოზური ფიგურის შექმნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

როგორც ბომარშე და მისი „მუსიკალური მემკვიდრე“ როსინი მშვენივრად წერდნენ, ჭორი (გავიხსენოთ დონ ბაზილიოს განთქმული არია ცილისნამების შესახებ „სევილიელი დალაქიდან“) ყუმბარასავით კი სკდება, მაგრამ მისგან მალე არაფერი რჩება. არც დადიანს დარჩენია რაიმე ბოღმა ჩიგორინთან, რომელმაც არაერთხელ ცილი დასწამა. პირიქით, კეთილშობილმა ანდრიამ ჩიგორინისადმი მიძღვნილ მემორიალში, რომელიც 1909 წელს მოეწყო, სპეციალური პრიზებიც კი დაანესა (იგი მიიღეს ფორგანმა ტარტაკოვერთან მოგებისათვის და ტარტაკოვერმა შლესტერთან გამარჯვებისათვის). რა იყო ეს, თუ არა წარსული წყენის დავიწყება და ჩიგორინისადმი პატივისცემის გამოხატვა, რაც ბევრისათვის უბრალოდ გაუგებარი აღმოჩნდა.

გარდა ანდრია დადიანის ბრწყინვალე პარტიებისა, მკითხველი ამ ნიგნში არაერთ გამოჩენილ დიდოსტატსაც გაეცნობა, რომელთა შემოქმედებასაც ქართველ ვირტუოზთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა. მათი პარტიები წიგნს ჩაროზად დაერთო.

დაბოლოს, სიამოვნებით შევიტყვეთ, რომ დავით გურგენიძე წიგნის ჯერ რუსულად, შემდეგ კი ინგლისურად გამოცემას აპირებს. რაც ქართველი მოჭადრაკეებისა ახალი ჩინებული საჩუქარი იქნება.

როდესაც ალექსანდრე სოლჟენიცინმა წაიკითხა ვარლამ შალამოვის ლექსების კრებული, 1956 წელს ე.წ. „სამიზდატმა“ რომ გამოსცა, იგი არნახულმა ალტაცებამ შეიპყრო. ამბობს: გული ისე ამითრთოდა, თითქოსდა დიდი ხნის უნახავ ძმას შევხვდიო.

რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტად აღფრთოვანდებოდა და გულიც უფრო მძლავრად აუთროლოდებოდა იმავე ავტორის მოთხრობების გაცნობისას, რამეთუ შალამოვის პროზა უდავოდ გაცილებით მაღლა დგას მისსავე პოეზიაზე.

სოლჟენიცინი თავისი „არქიპელაგ გულაგის“ წინათქმვაში მოკრძალებით გვაუწყებს: მე რაც შემეძლო, ის გავაკეთეო, და მკითხველმა შალამოვის „კოლიმურ მოთხრობებში“ ეგებ უფრო ზუსტად შეიგრძნოს არქიპელაგის ულმოხელი სული და ადამიანური სასოწარკვეთილების სიღრმეო.

„კოლიმური მოთხრობების“ წაკითხვის შედეგი ისიც იყო, რომ თავისი უმთავრესი თხზულების „არქიპელაგ გულაგის“ დასაწერად გამზადებული სოლჟენიცინი სწორედ შალამოვს სთავაზობდა თანაავტორობას! ამაოდ დაშვრა... შალამოვს თავისი საკუთარი სათქმელი და საწერი იმდენი ჰქონდა, რომ ათი სიცოცხლე არ ეყოფოდა ამ საზადოს ამოსაწერად. ოღონდ ბედი უჭადა არა სწყალობდა ესოდენ დიდი სიმდიდრის პატრონს და ამ ერთადერთ სიცოცხლესაც უმწარებდა. ხრუშჩოვისეული „დათობა“ სოლჟენიცინს კი მისწავდა 1962 წელს და მისი „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ დღის სინათლეზე გამოიტანა, მაგრამ შალამოვამდე არ მიუღწევია. მისი პროზა სამშობლოში მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, უკვე „პერესტროიკის“ წლებში.

ისტორიამ შემოგვიანხა ამბავი მეგობრული პაექრობისა სოლჟენიცინსა და შალამოვს შორის.

შალამოვი წერდა: „ლაგერი იყო გამოცდა ადამიანის ზნეობრივი ძალებისა და ტუსაღთა 99 პროცენტმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარა... ლაგერი ადამიანები არასოდეს არა რჩებოდნენ ადამიანებად, ლაგერი ამისთვის როდი შეუქმნიათ... ყველა ადამიანური გრძნობა — სიყვარული, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, გულმონყალება, პატიოსნება — ლაგერში ხორცთან ერთად გაგვეცალა“.

და სოლჟენიცინმა საყვარელი თანამოკალმე ასე დატუქსა:

„თუკი არავის ძალუძს ლაგერში ყოფნისას თავიდან აიცილოს გახრწნის თავდაღმართზე დაშვება, თუკი სიმართლე და სიცრუე ღვიძლი დანი არიან, მაშინ, ვარლამ ტინონოვიჩი, თქვენ რატომ არ გახდით ჩამშვები ანდა უწყალო ბრიგადირი? მაშასადამე, რაღაც ტოტს ჩაეჭიდეთ, რაღაც ქვას ჩაებლაუჭეთ და ვერავინ მოგწყვეტდათ. თქვენი პიროვნებითა და თქვენი შემოქმედებით განა თავადვე არ უარყოფთ თქვენსავე კონცეფციას?“

შალამოვი თავისი ნაწერებით კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ადამიანი ჭირშიც უნდა დარჩეს ადამიანად, თორემ ლხინში მოღვინა და მხურვალე სადღეგრძელოები ადამიანის ტყავში გამოსვეულ პირუტყვებსაც ეხერხებათ და მერე როგორ ეხერხებათ!

ხოლო შალამოვი ის კაცი იყო, ამქვეყნიური ჯოჯოხეთის რომელიღაც გარსში უდანაშაულოდ გამწესებული კაცი, რომელიც შვილივით უვლიდა გულქვა თვისტომის ხელით დასახინრებული კატის ნაშიერს, დაობლებულ კნუტს, და იშვიათი მოცალოების ჟამს კითხულობდა მარსელ პრუსტს — უცხო სტუმარს არქიპელაგის ტერიტორიაზე.

ერთიც და მეორეც განა ფანტასმაგორია არ გეგონებათ?

აი, ვინ იყო ვარლამ შალამოვი — მშვენება და სიამაყე თანამედროვე რუსული პროზისა.

ვარლამ შალამოვი

# ორი ნოველა

## უსახელო კატა

კატამ ველარ მოასწრო, რომ ქუჩაში გამშპარიყო და შოფერმა მიშამ ნინკარში ჩაავლო ხელი. ფოლადის მოკლე ძალაყინი სთხლიშა და ხერხემალი გადაუმტვრია, ნეკნებიც დაუჩქქვა. მერე კუდი მოიხელთა, კარი ფხით გააღო და ქუჩაში მოისროლა — თოვლში, წყვდიადში, ორმოცდაათგრაფისიან ყინვაში. კატა კრუგლიაკისა იყო, საავადმყოფოს პარტორგანიზაციის მდივნისა. კრუგლიაკს მთელი ბინა ეჭირა თავისუფალი დასახლების ორსართულიან სახლში და მიშას ოთახის თავზე მდებარე ოთახში გოჭს ინახავდა. მიშას ოთახის ქერზე ბათქაში ინესტებოდა, სივდებოდა, შავდებოდა, გუშინ კი ჩამოიშალა და ნაკელი ქერიდან თავზე დაეღვარა შოფერს. მიშა საქმის გასარჩევად მიადგა თავის ბობოლა მეზობელს, მაგრამ კრუგლიაკმა გამოაპანდურა შოფერი. უბოროტო კაცი იყო მიშა, ოღონდ გული ძალიან რომ ატკინეს, როგორც კი ხელთ ჩაუფარდა კატა, უმაღვე ჯავრი იყარა.

ზემოთ, კრუგლიაკის ბინაში, დუმდნენ — არც ნივილზე, არც კენესაზე, არც კატის კნავილზე, მიშველეთო, არავინ გამოვარდნილა გარეთ. ანკი განა შევლას ითხოვდა კატა? არცა სჯეროდა, რომ ადამიანები მიეშველებოდნენ — სულერთია, კრუგლიაკი იქნებოდა თუ შოფერი.

თოვლში გონს რომ მოეგო, ნამქერიდან გამოძვრა მოყინულ, მთვარის შუქქვეშ ალაპლაპებულ სავალზე. სწორედ იქ ნავანყდი და ნავიმძღვარე საავადმყოფოში, ტუსალთა საავადმყოფოში. ჩვენ ნებას არ გვაძლევდნენ, კატები გვყოლოდა პალატაში — თუმცა ვირთხები ოხრად იყვნენ და ვერავითარი სტრიქონი, ვერავითარი დარიშხანი ვერ გვიშველიდა, აღარავერი რომ არა ვთქვათ სათავაურებსა და ხაფანგზე. დარიშხანი და სტრიქონი ინახებოდა ცხრაკლიტულში და ვირთხებისათვის არ იყო გამიზნული. ნერვულ-ფსიქიატრიული განყოფილების ფერშალს შევევედრე, კატა დაებინავებინა ფსიხებთან. იქ გამოკეთდა და მომარდა. მოყინული კუდი მოძვრა და ტაკვილა დაურჩა, თათი მომტვრეული ჰქონდა, ნეკნები — დაჩქქვილი. მაგრამ გული საღსალამათი იყო, ძვლებიც შეეზარდა. ორივე თვე რომ გავიდა, კატა უკვე ერკინებოდა ვირთხებს და საავადმყოფოს ნერვულ-ფსიქიატრიული განყოფილება პირნიმინდა გაასუფთავა-გაალაზათა.

კატის მფარველი გახდა ლიონეჩკა — სიმულანტი, ვისი მხილება დაგეზარებოდა კიდევ. — არარაობა, მთელი ომის განმავლობაში თავი ქუდში რომ ჰქონდა ექიმის გაუგებარი ახირებას გამოისობით, იმ ექიმისა, რომელიც მფარველობდა ბლატარებს, რომელსაც ყოველი რეციდივისტი თრთოლვას ჰგვრიდა, ოღონდ არა შიშისმიერ თრთოლვას, არამედ — ალტაცების, პატივისცემის, მონინებისა. „დიდი ქურდია“, — ამბობდა დარბაისელი ექიმი თავის პაციენტებზე, აშკარა სიმულანტები რომ იყვნენ. ექიმს განა „კომერციული“ მიზანი ამოძრავებდა — ქრთამები, ბეგარა. არა, ბატონო. უბრალოდ, აკლდა ენერგია სიკეთის თაოსნობისათვის და ამიტომაც თავზე ასხდნენ ქურდები. ნაღდ სნეულზე კი უჭირდათ მოხვედრა საავადმყოფოში. ისიც კი არ ეხერხებოდათ, თვალში მოხვედროდნენ ექიმს. გარდა ამისა — სად არის ზღვარი ნაღდსა და ვითომდა სნეულს შორის, განსაკუთრებით ლაგერში. სიმულანტი, აგრავანტი და ნაღდად შეჭირვებული სნეული — მიდი და გაარჩიე ერთმანეთისგან. ნაღდმა სნეულმა უნდა ისიმულანტოს საავადმყოფოს საწოლის მოსაპოვებლად.

მაგრამ ამ ფსიხების კაპრიზმა სიცოცხლე შეუნარჩუნა კატას. მალე ახურუშდა კიდევ, გაისეირნ-გამოისეირნა და კნუტები დაყარა. ცხოვრება თავისას მოითხოვს.

მერე კი განყოფილებაში გამოჩნდნენ ბლატარები, დაკლეს კატა და ორი კნუტიც ზედ მიაყოლეს. ქვაბუნაში მოხარშეს და ჩემს ძმაკაცს, მორიგე ფერშალს, მხართვეს ქვაბუნა ხორცის სუფით — დუმილისათვის და მეგობრობის ნიშნად. ფერშალმა ერთი კნუტი გადამირჩინა, მესამე კნუტი, რუხი ფერისა, რომლის სახელს ვერც გეტყვით: მეშინოდა სახელის დარქმევა, ვაითუ დავნავსო-მეთქი.


იმხანად მივემგზავრებოდი ტაიგაში, ჩემს უბანზე, და უბეში ჩავისვი კატის კნუტი, ნაშიერი ამ უსახელო სეობარი კატისა, ბლატარებმა რომ შესანსლეს. ჩემს ამბულატორიაში კატა დავაპურე, გაუშვადე ძაფის კოჭი — სათამაშოდ, დაჯუდგი ქილა წყლით. უბედურება ის იყო, რომ სამიმოსვლო სამუშაო მქონდა. ამბულატორიაში რამდენიმე დღით რომ ჩამეკეტა კატა — არ შეიძლებოდა. კატა უნდა ჩამებარებინა ვინმესთვის, ვისი თანამდებობაც ლაგერში ნებას აძლევდა სხვათა გამოკვებას — სულერთია, კაცი იქნებოდა თუ მხეცი. ათისთავი? მაგრამ ათისთავს ცხოველები რომ სძულდა! ზადრაგები? მარტოოდენ ძაღლები ჰყავდათ დაცვის სადგომში, ნაგაზები, და კატის კნუტს ელოდა მუდმივი წვალება, ყოველდღიური აბუჩად აგდება, სიცოცხლის გამწარება, პანდურები...

კნუტი მივავარე ლაგერის მზარეულს — ვალოდია ბუიანოვს. ვალოდია ულუფის დამრიგებელი გახლდათ საავადმყოფოში, სადაც ადრე მეც ვმუშაობდი. ერთხელ ვილაცამ სნეულთა სუფში, ქვაბში, მოხარშული თავი აღმოაჩინა. ვალოდიამ შუხური ატეხა, თუმცა შუხურს კაპიკის ფასი ჰქონდა, ფუჭი იყო, რამეთუ არცერთი სნეული უარს არ იტყოდა ამ თავიანთი სუფის დამატებით ჯამზე. მთელი ეს დავიდარაბა იმით დამთავრდა, რომ ვალოდიას ბრალი დასდეს, შენ ამა და ამ განზრახვითაო და ა.შ. სამზარეულოს გამგე თავისუფლად დაქირავებული ქალი იყო, ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. ჰოდა, ვალოდია მოხსნეს სამსახურიდან, ტყეში გაგზავნეს შემის დამზადებაზე, სწორედ იქ ვმუშაობდი ფერშალად. სამზარეულოს გამგის შურისძიება ტყეშიც დავინა ვალოდიას. მზარეულის თანამდებობა — შესაძური თანამდებობაა. ვალოდიაზე საჩივრებს წერდნენ, მოხალისენი უთვალთვალდნენ დღისით და ღამით. ყველამ იცის, რომ ამ თანამდებობაზე ვერ მოხვდება, მაგრამ მაინც უთვალთვალეებს, აბეზლებს, ამხელს. ბოლოს და ბოლოს ვალოდია მოხსნეს სამსახურიდან და კნუტი დამიბრუნა.

ახლა მებორნეს ჩავაბარე.

მდინარეს ანუ, როგორც კოლიმაზე ამბობენ, „წყაროს“, სახელად დუსკანისას, რომლის ნაპირებზეც მიმდინარეობდა ჩვენი ხე-ტყის დამზადება, ყველა კოლიმური მდინარისა თუ ნაკადულის მსგავსად, გაურკვეველი სიგანე ჰქონდა, მერყევი, წყალზე დამოკიდებული. ხოლო წყალი დამოკიდებული იყო წვიმაზე, თოვლზე, მზეზე. როგორც არ უნდა დამშრალიყო წყარო ზაფხულობით, მაინც აუცილებელი იყო გადაყვანა, ნავს ერთი ნაპირიდან მეორეზე უნდა გადაეყვანა ადამიანები.

ნაკადულთან იდგა პანია ქოხი, სადაც ცხოვრობდა მებორნე, თან მეთევზედაც რომ ვარგოდა.



თანამდებობანი საავადმყოფოში, „ბლატი“ რომ ერგებოდათ, ყოველთვის როდი იყო იოლი. ეს ადამიანები, ჩვეულებრივ, ერთის ნაცვლად სამ სამუშაოს ასრულებდნენ, ხოლო სწულთათვის, მინერლი რომ იყვნენ სანოლზე, „ავადმყოფობის ისტორიაზე“, საქმე უფრო რთულად იყო.

მებორნე ისე შეარჩიეს, რომ თევზი დაეჭირა უფროსობისათვის. საავადმყოფოს უფროსს ცოცხალი ენადა სადილად. დუსკანიას წყაროში თევზი ცოტაოდენი იყო, მაგრამ იყო. ეს მებორნე პირადად საავადმყოფოს უფროსისათვის დიდი მონდომებით იჭერდა თევზს. ყოველდღე, საღამოობით, საავადმყოფოს შოფერი-შემისმზიდავი ართმევდა მეთევზეს ჩამუქებულ სველ ტომარას, გატენილი რომ იყო თევზითა და სველი ბალახით, შეაგორებდა კაბინაში და მანქანა საავადმყოფოსკენ გასწვებდა. მეორე დილით შოფერს ცარიელი ტომარა მიჰქონდა მეთევზესთან.

თუკი ბლომად იყო თევზი, საავადმყოფოს უფროსი თავისთვის საუკეთესოს ამოირჩევდა და მთავარ ექიმს, სხვა ქვემდგომებთან ერთად, მიიხატებდა.

უფროსობა მახორკასაც კი არასოდეს იმეტებდა მეთევზისთვის, ვინაიდან თვლიდა, რომ იმას, ვისაც ავადმყოფობის ისტორია ჰქონდა, უნდა დაეფასებინა მეთევზის თანამდებობა.

ნდობით აღჭურვილი პირნი — ბრიგადირები, კანტორის მუშაკები — ნებაყოფლობით ადევნებდნენ თვალს, რომ მეთევზეს, უფროსის ზურგსუკან, თევზი არ გაეყიდა. და ისევ და ისევ წერდნენ, ამხელდნენ, აბეზლებდნენ.

მეთევზე ძველისძველი ტუსალი იყო და მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ პირველივე იაღლიში გაისტუმრებდა საბადოზე. მაგრამ იაღლიში ჯერ არ მოსვლოდა.

კაპოეტები, ორაგულები, ომულები კლდისქვეშა ჩრდილში მოძრაობდნენ ნათელი ზოლის გასწვრივ, ნაკადის გასწვრივ, სწრაფი დინების გასწვრივ, იყუყუებოდნენ ბნელში, სადაც უფრო ღრმა იყო, სადაც სიმშვიდე და უსაფრთხოება სუფევდა.

მაგრამ აქვე იდგა მეთევზის ნავი, რომლის ცხვირიდან გადმოშვებული ანკესები ალიზიანებდა კაპოეტებს. და კატაც იჯდა, მეთევზესავით გაქვავებული, და შეჰყურებდა ტივტივებს.

და გეგონებოდა, ეს ანკესები, ეს სატყუარები მდინარეზე სწორედ მან გაფინაო. კატა მალე მიჩვეოდა მეთევზეს.

ნავიდან რომ გადაისროდნენ, კატა მსუბუქად და უხალისოდ გასცურავდა ნაპირისაკენ, სახლისაკენ. ცურვის სწავლება არა სჭირდებოდა, ოღონდ ის კი ვერ ისწავლა, რომ თავად მიცურებულყო მეთევზესთან, როდესაც მისი ნავი დაყენებული იყო ორ ჭოკში დინების გარდიგარდმო და მეთევზე თევზაობდა. კატა მოთმინებით ელოდა პატრონის დაბრუნებას ნაპირზე.

მდინარეზე და ნაპირის გასწვრივაც ორმოებში, ამოქვავებულებსა და ნაღვრებში მეთევზე ჭიმავდა საშრობ ბადეებს — კაუჭებიან თოკს, სატყუარას ლიფსიტებით. ასე იჭერდა დიდრონ თევზებს. შემდგომში მეთევზემ ქვებით გადატახრა მდინარის ერთ-ერთი ტოტი, ოთხი სადინარი დატოვა და შემორაგვა გოდორყურებით, თავად რომ დაწნა ტირიფისაგან. კატა ყურადღებით შეჰყურებდა ამ მუშაობას. გოდორყურები კეთდებოდა წინასწარ, რათა, თევზის სამემოდგომო სვლა რომ დაიწყებოდა, ხელიდან არ გაეშვათ ნადავლი.

შემოდგომა ჯერ შორს იყო, მაგრამ მეთევზეს ესმოდა, რომ სამემოდგომო სვლა თევზისა — მისი უკანასკნელი სამუშაო იქნებოდა საავადმყოფოში. ნაღდად გაამწესებდნენ საბადოზე. მართალია, მეთევზეს ერთხანს შეეძლო ეკრიფა კენკრა და სოკო, ასე რომ, ერთ კვირას განელავდა. ეგაც ხეირია. კატამ კი კენკრისა და სოკოს კრეფა არ იცოდა.

მაგრამ შემოდგომა არც ხვალ შემოდგებოდა და არც ზეგ.

ჯერჯერობით კატა თევზს იჭერდა — თათით წყალმარჩხში, და მაგრად ებჯინებოდა ნაპირის ხრემს. ასეთი ნადირობა ერთობ უიღბლო იყო, სამაგიეროდ მეთევზე კატას ჩუქნიდა თევზის მთელ ნარჩენს.

ყოველი თევზაობის შემდეგ მეთევზე ნადავლს ახარისხებდა: მსხვილ-მსხვილი რაც იყო — საავადმყოფოს უფროსს ერგებოდა, წყალში სამალავი ჰქონდა ტირიფისა და იქ ათავსებდა. საშუალო ზომის თევზებს ქვემდგომ უფროსობას ურიგებდა, ყველას ეამებოდა ცოცხალი. წვრილ-წვრილს თავისთვის იტოვებდა და კატასაც უნაწილებდა.

ჩვენი „მივლინების“ მებრძოლნი ახალ ადგილას გაემგზავრნენ და მეთევზეს სამი თვის ლეკვი დაუტოვეს, მერე ნავიყვანთო. მებრძოლებს სურდათ, რომ უფროსობიდან ვინმესთვის მიეყიდათ ლეკვი, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩნდა ანდა ფასზე ვერ მორიგდნენ — ჰოდა, გვიან შემოდგომამდე აღარავინ მოსულა ლეკვის ნასაყვანად.

ლეკვი იოლად შეეთვისა მეთევზის გარემოს, დაუმეგობრდა კატას, რომელიც მასზე უფროსი იყო არა წლებით, არამედ ცხოვრებისეული სიბრძნით. კატას ერთი ბენოზეც არ ეშინოდა ლეკვისა, პირველივე სახუმარო თავდასხმას ბრჭყალები შეაგება და ლეკვს მდუმარედ დაუკანა დრუნჩი. მერე შერიგდნენ და დამეგობრდნენ.

კატა ნადირობას ასწავლიდა ლეკვს. საამისოდ კაი საფუძვლები ჰქონდა. ორი თვის წინათ, როდესაც კატა ჯერ კიდევ მზარეულთან ცხოვრობდა, დათვი მოკლეს, გაატყავეს და კატა დათვის გვამს ეცა ლხენითა, ბრჭყალები ჩასო დათვის წითელ უმ ხორცს. ლეკვი კი ანკმუტუნდა და ბარაკის საწოლქვეშ შეძვრა.

ამ კატას არასდროს უნადირია მშობელთან ერთად. არავის უსწავლებია მისთვის ხელოვნება ნადირობისა. მე რძით გამოვზარდი ის კნუტი, მშობლის სიკვდილის შემდეგ რომ გადარჩა. და დახეთ — ეს იყო მებრძოლი კატა, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც კატამ უნდა იცოდეს.

ჯერ კიდევ მზარეულთან ყოფნისას პანანკინტელა კნუტმა თავი დაიჭირა, თავისი პირველი თავი. კოლიმაზე მინის თავგები დიდრონები არიან, კნუტზე ოდნავ მომცრონი. კატის კნუტმა მოახრჩო მტერი. ვინ ასწავლა მას ეს გაბოროტება, ეს მტრობა? მაძლარი კნუტი იყო, სამზარეულოს ბინადარი.

კატა საათობით იჯდა ხოლმე მინის თავგის სოროსთან და ლეკვიც გაირინდებოდა კატასავით, მის ყოველ მოძრაობას ჰბაძავდა და ელოდა ნადირობის შედეგებს, ნახტომს.

კატა ყველაფერს უნაწილებდა ლეკვს, როგორც კნუტს უნაწილებენ ხოლმე, დაჭერილ თავგს გადაუგდებდა და ლეკვი იღრინებოდა, სწავლობდა თავგების ჭერას.

თავად კატა არაფერსაც არ სწავლობდა. ყველაფერი დაბადებიდანვე იცოდა. რამდენჯერ დამინახავს, როგორ იჩენდა მონადირის ნირს — და არა მარტო ნირს, არამედ ცოდნასა და ოსტატობასაც.

როდესაც კატა დაუდარაჯდებოდა ჩიტებს, უკიდურესად აღგზნებული ლეკვი გაირინდებოდა და ელოდა ნახტომს, დარტყმას.

თავგები და ჩიტები ოხრად იყო. და კატა არ ზარმაცობდა.

კატა ძალიან დაუმეგობრდა ლეკვს. ერთობლივად გამოიგონეს ერთი თამაში, რომელზედაც ბევრს მელაპარაკა მეთევზე, მაგრამ მე თვითონ ეს თამაში ვნახე მხოლოდ სამჯერ თუ ოთხჯერ.

მეთევზის ქობის წინ იყო მოზრდილი მდელო, რომლის შუაგულშიც იდგა ლარიქსის მსხვილი ჯირკი, სიმაღლით სა-

მი მეტრი. თამაში იწყებოდა იმით, რომ ლეკვი და კატა დათარეშობდნენ ტაიგაში და იქიდან ამ მდელივით გამოვლენდნენ ზოლებიან ციყვებს, პატარა თვალსაცერა ცხოველებს — ერთიმეორის მიყოლებით. ლეკვი წრეებს ურტყამდა და ლამობდა ციყვის დაჭერას, ის კი იოლად შველოდა თავს, აძვრებოდა ჯირკზე და ელოდა, როდის გაუშტერდებოდა თვალი ლეკვს, რათა ჩამომხტარიყო და ტაიგაში გაუჩინარებულიყო. ლეკვი წრეებს ურტყამდა, რომ დაენახა მდელი, დაენახა ჯირკვი და მის წვეროზე — ციყვი.

კატა ბალახ-ბალახ მიირბენდა ჯირკვთან და ციყვს ზევით აპყვებოდა. ციყვი გადმობხტებოდა და პირდაპირ ხახაში უფარდებოდა ლეკვს. კატა ხიდან ხტებოდა და ლეკვი ეშვებოდა ნადავლს. კატა ათვალეირებდა მკვდარ ციყვს და თათით გააჩორებდა ლეკვის კენს.

მე ხშირად მინევდა მგზავრობა ამ გზაზე, მეზორნის ქობში „ჩიფირს“ ვიღულებდი, რამეს ვჭამდი, მერე ვიძინებდი შორი გზის წინ, ტაიგაში ფეხით უნდა გამეცლო ოცი კილომეტრი, რომ მიმელნია სახლამდე, ამბულატორიამდე.

შევეყურებდი ხოლმე კატას, ლეკვს, მეთევზეს, მათ მხიარულ თავშეკცევას ერთიმეორესთან და ყოველ ჯერზე მაფიქრებდა შემოდგომის ულმობლობა, სიმყიფე ამ პანია ბედნიერებისა და ყოველი არსების უფლება ამ სიმყიფეზე: მხეცისა, ადამიანისა, ფრინველისა. შემოდგომა დასაშორებს მათ, ვფიქრობდი. მაგრამ განშორება მოვიდა შემოდგომის დადგომამდე. მეთევზე ლაგერში გაემგზავრა პროდუქტების მოსატანად და როცა დაბრუნდა — კატა არ დახვდა სახლში. მეთევზე ორი ღამე ეძებდა მას, მაღლა აპყვებოდა ნაკადულს, გასინჯა თავისი ყველა ხაფანგი, ყველა კაკანათი; გაპყვიროდა, ეძახდა სახელს, რომელიც კატას არ ჰქონდა, რომელიც კატამ არ იცოდა.

ლეკვი სახლში იმყოფებოდა, მაგრამ ვერაფერს იტყოდა. ყმუოდა და ისიც ეძახდა კატას.

მაგრამ კატა აღარ გამოჩენილა.

### მარსელ პრუსტი

ნიგნი გაქრა. ვეება, მძიმე ფოლიანტი, ძელსკამზე რომ იდო, ათობით ავადმყოფის თვალწინ გაქრა. ვინც თვალი მოჰკრა მოპარვას, ხმას არ ამოიღებდა. ამქვეყნად არ არსებობს დანაშაული მონმეთა გარეშე — სულიერ და უსულო მონმეთა გარეშე. და თუკი მაინც არსებობს ამგვარი დანაშაული? მარსელ პრუსტის რომანის მოპარვა ისეთი საიდუმლოება როდეს განსლავთ, რომლის დავინწყება შეუძლებელია. ხმას არ იღებენ ხოლმე მუქარის გამო, ჰაიპარად და უმისამართოდ ნასროლი რომაა და მაინც თავისი გააქვს. ვინც თვალი მოჰკრა, იმას შიში დაამუნჯებდა. ასეთი დუმილის სიკეთეს ადასტურებს მთელი ცხოვრება ლაგერისა და არა მარტო ლაგერისა, სამოქალაქო ცხოვრების მთელი გამოცდილებაც იმასვე მეტყველებს. ნიგნი შეეძლო მოეპარა ნებისმიერ ფრაერს ქურდის მითითებით, რათა დაემტკიცებინა თავისი გამბედაობა, თავისი წადილი — შერწყმოდა დანაშაულებრივ სამყაროს, რომელიც ლაგერის ცხოვრებას ბატონპატრონობდა. შეეძლო მოეპარა ნებისმიერ ფრაერს არაფრის გულისხმავის, რადგანაც ნიგნი ცუდად დევსო. ნიგნი კი მართლაც ცუდად იდო: საავადმყოფოს სამსართულიანი ქვის შენობის ვეებერთელა ეზოში, ძელსკამის სულმთლად კიდზე. მე და ნინა ბოგატირიოვა ძელსკამზე ვისხედით. მე ზურგსუკან დამრჩენოდა კოლიმის გორაკები, ათწლიანი ნაწნალი აქაურ მთა და ბარში, ნინას კი — ფრონტი. ჩვენი იმდღევანდელი საუბარი, ნაღვლიანი და მღელვარე, კარგახანია გასრულებულიყო.



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

მზიან დღეს ავადმყოფები სასეირნოდ გამოჰყავდათ — ქალები ცალკე, — ნინა, როგორც სანიტარი, ყარაულობდა ავადმყოფებს.

ნინა ეზოს კუთხემდე გავაცილე და მოვბრუნდი. ძელსკამში ჯერ ისევ ცარიელი იყო: მოსეირნე ავადმყოფები უფრთხოდნენ ამ სკამზე დაჯდომას, თვლიდნენ, რომ ეს იყო ფერშლების, ექთნების, ზედამხედველთა, ბადრაგთა სკამი.

ნიგნი კი გაქრა. ნეტა ვინ უნდა წაიკითხოს ეს უცნაური პროზა, ლამის უწონო, თითქოსდა გამზადებული კოსმოსში გასაფრენად, სადაც ყველა მასშტაბი გადაწეულ-გადანაცვლებულია, სადაც არ არსებობს დიდი და მცირე? მესხიერების წინაშე, როგორც სიკვდილის წინაშე, — ყველა თანასწორია და ავტორის უფლება არის, რომ დაიმასხოვროს მოახლის კაბა და დაავინწყდეს ქალბატონის ძვირფასი სამკაულები. ამ რომანით უჩვეულოდ გაშლილია სიტყვიერი ხელოვნების ჰორიზონტები. მე, კოლიმელი ტუსალი, გადამაფრინეს დიდხინით დაკარგულ სამყაროში, სხვა ზნე-ჩვეულებებში, დავინწყებული და უსარგებლო რომ იყო. კითხვის დრო კი, იცოცხლეთ, მქონდა. ლამის მორიგე ფერშლად ვმუშაობდი. დამთრგუნა „გერმანტმა“. სწორედ „გერმანტი“, მეოთხე ტომით, დაინყო ჩემი გაცნობა პრუსტისა. ნიგნი გამოუგზავნეს ჩემს ნაცნობ ფერშალ კალიტინსკის, უკვე რომ იპრანჭებოდა პალატაში საგოლფე ხავერდის შარვლით, პირში ჩიბუხით და კეპსტინის დაუჯერებელ სურნელს რომ ფანტავდა. კეპსტინიც და საგოლფე შარვალიც იყო ამანათში პრუსტის „გერმანტთან“ ერთად. ახ, ცოლებო, ჩვენო ძვირფასო მიამიტო მეგობრებო! მახორკის ნაცვლად — კეპსტინი; „ემშაკის ტყავისგან“ შეკერილი შარვლის ნაცვლად — საგოლფე ხავერდის შარვალი; აქლემის მატყლის განიერი, ორმეტრიანი შარვის ნაცვლად — რალაც ჰაეროვანი, ბანტს თუ პეპელას რომ ჰგავდა, აბრეშუმის ფაფუკი შარფი, რომელიც ფანქრის სისქე ბანრად ეხვეოდა ყელს.

ასეთივე ხავერდის შარვალს, ასეთივე აბრეშუმის შარფი ოცდაჩვიდმეტში გამოუგზავნეს ფრიც დავიდს, ჰოლანდიელ კომუნისტს, თუმცა, ვინ იცის, ეგებ სხვა გვარი ჰქონდა ჩემს მეზობელს გაძლიერებული რეჟიმის როტაში. ფრიც დავიდს მუშაობა არ ძალუძდა — ძალიან გამოფიტული იყო, ხოლო ხავერდის შარვალსა და აბრეშუმის ფაფუკ ჰალსტუხ-ბანტს საბადოში პურზეც კი ვერ გადაცვლიდი. და ფრიც დავიდი მოკ-

ვდა — ბარაკის იატაკზე დაცვა და მოკვდა. ოღონდ ისეთი სი-  
ვინროვე იყო, — ყველანი ზეზეურად ვიძინებდით, — რომ  
მიცვალბულმა ერთბაშად ვერც მიაღწია იატაკამდე. ჩემი მე-  
ზობელი ფრიც დავიდი ჯერ მოკვდა და მერეღა დაცვა.

ყოველივე ეს იყო ათი წლის წინათ — რა შუაშია აქ „და-  
კარგული დროის ძიება“? კალიტინსკი და მეც — ორივენი  
ვისხსენებდით ჩვენს სამყაროს, ჩვენს დაკარგულ დროს. ჩემს  
დროში არ იყო საგოლფე შარვალი, მაგრამ პრუსტი იყო და  
ბენდინერი ვიყავი, „გერმანტს“ რომ ვკითხულობდი. საერთო  
საცხოვრებელში დასაძინებლად არ წავსულვარ. პრუსტი  
ძილზე უფრო ძვირი გახლდათ და კალიტინსკიც მარქარბდა.

მაგრამ წიგნი გაქრა. კალიტინსკი გაშმაგდა, პირდაპირ  
ცოფებდა ყრიდა. ხეირიანად არ მიცნობდა და დარწმუნებუ-  
ლი იყო, რომ წიგნი მე მოვიპარე, რათა ძვირად გამეყიდა.  
ქურდობა, ვითომც არაფერიო, კოლიმური ტრადიცია იყო,  
მშვიერთა ტრადიცია. შარფები, ნვიფსახვევები, პირსახოცე-  
ბი, პურის ნაჭრები, მახორკა — უკვალოდ ქრებოდა ხოლმე.  
ქურდობა კოლიმაზე, კალიტინსკის აზრით, ყველას ემარჯ-  
ვებოდა. მეც ეგრე ვფიქრობდი. წიგნი მოიპარეს. საღამომდე  
კიდევ შეიძლებოდა ლოდინი, ეგებ ვინმე მოხალისე, გაბედუ-  
ლი ჩამშვები მოგვადგეს და ჩაგვიკაკლოს, სად იყო წიგნი,  
ვინ იყო ქურდი. მაგრამ ჩაიარა საღამომ, მერე ათობით სა-  
ღამომაც ჩაიარა და „გერმანტის“ კვალი უიმედოდ გაქრა.

თუკი არ მიჰყიდებდნენ მოყვარულს — წარმოგიდგენიათ  
პრუსტის მოყვარულნი ლაგერის უფროსობაში!!! ამ სამყა-  
როში, ჰა და ჰა, ჯეკ ლონდონის თაყვანისმცემელნი კიდევ  
შეიძლება შეგხვდეს, მაგრამ პრუსტისა!!! — მაშინ ბანქოს  
ქალაქად აქცევენ: „გერმანტი“ — მძიმეწონიანი ფოლიან-  
ტია. სწორედ მაგიტომ არ მედო წიგნი მუხლებზე და დავდე  
ძელსკამზე. სქელი ტომია. ბანქოს ქალაქად გაუშვებენ...  
დაჭრიან, მორჩა და გათავდა.

წინა ბოგატრიოვა მზეთუნახავი იყო, რუსი მზეთუნახა-  
ვი, ახლახან ჩამოყვანილი მატერიკიდან, ჩვენს საავადმყო-  
ფოში ჩამოყვანილი. სამშობლოს ლაღატი. ორმოცდამეთვ-  
რამეტე მუხლი, ერთი „ა“ ან ერთი „ბე“.

— ოკუპაციაში მოხვდი?

— არა, ჩვენ არ ვყოფილვართ ოკუპაციაში. ფრონტისპი-  
რას ვცხოვრობდით. ოცდახუთი და ხუთი — ეს უგერმანელე-  
ბოდ არის. ჩვენი მაიორისგანაა. დამაპატიმრეს. მაიორს  
სურდა, რომ მეცხოვრა მასთან. არ ვქენი. და აი, სროკიც ამ-  
კიდეს. კოლიმა. ვზივარ ამ ძელსკამზე. ყველაფერი სიმართ-  
ლეა და ყველაფერი — სიცრუე. უარი ვუთხარი. მიჯობს, ჩე-  
მიანს გავეარშიყო. აი, თუნდაც შენ...

— მე დაკავებული ვარ, წინა.

— მსმენია.

— გაგიჭირდება, წინა. შენი სილამაზის გამო.

— ჭირმა წაიღოს ეს სილამაზე.

— უფროსობა რას გპირდება?

— საავადმყოფოში სანიტრად დაგტოვებთო. ექთნობას  
ვისწავლი.

— წინა, აქ ქალებს არ ტოვებენ. ჯერჯერობით არ ტოვე-  
ბენ.

— მე კი დამპირდნენ, დაგტოვებთო. ერთი კაცი მყავს.  
დამეხმარება.

— ვინ არის?

— საიდუმლოა.

— იცოდე. აქ სახაზინო საავადმყოფოა, ოფიციალური.  
აქ არავისა აქვს ეგეთი ძალაუფლება. ტუსაღთაგან — არა-  
ვის. ექიმი იქნება თუ ფერშალი — სულერთია. ეს საბადოს  
სავადმყოფო არ გეგონოს.

— სულერთია. მე ბენდინერი ვარ. აბაჟურებს გავაკეთებ.  
მერე კი კურსებზე შევალ, შენსავით.

წინა საავადმყოფოში დარჩა, ქალაქის აბაჟურებს აკეთებ-  
და. და როცა აბაჟურები მოთავდა, ისევე ეტაპით გავზავნეს.

— ამ ეტაპით შენი დედაკაცი ხომ არ მიდის?

— ჰო, ჩემია.

მოვიხედე. უკან ვალოდია მედგა, ტაიგის ძველი მგელი,  
ფერშალი სამედიცინო განათლების გარეშე. წარსული სა-  
ხალხო განათლების რაღაც მოღვაწე თუ ქალაქის საბჭოს  
მდივანი ყოფილა.

ვალოდია გვარიანად გადასცდენოდა ორმოცს და კოლი-  
მას დიდხანია იცნობდა. და კოლიმაც დიდხანია იცნობდა  
ვალოდიას. ბლატარებთან ჩალიჩობდა, ექიმებს ქრთამავდა.  
აქ, კურსებზე გამოეგზავნათ, თანამდებობა რომ შეემგრე-  
ბინა ცოდნით. ვალოდიას გვარიც ჰქონდა — მგონი, რაგუ-  
ზინი, მაგრამ ყველანი ვალოდიას ეძახდნენ. ვალოდია წინას  
მფარველობს? ამაზე საშინელს რას გავიგებდი! ზურგსუკან  
ვალოდია მშვიდი ხმით ლაპარაკობდა:

— მატერიკზე ოდესღაც სრული წესრიგი მქონდა ქალე-  
ბის ლაგერში. როგორც კი ატლიკინდებოდნენ, დედაკაცი  
ჰყავსო, მყისვე შევეტენიდი სიაში და ფა-ფუ! პირდაპირ ეტა-  
პით. და ახალს ვმოულობდი. აბაჟურების გასაკეთებლად. და  
ყველაფერი ისევე რიგზე იყო.

წინა გაემგზავრა ეტაპით. საავადმყოფოში რჩებოდა მი-  
სი დაი ტონია. სარფიანი საყვარელი გაიჩინა — პურისმჭრე-  
ლი ზოლოტნიცკი, შავგვრემანი და ლამაზი ვაჟკაცი „ბიტო-  
ვიკებიდან“. საავადმყოფოში პურისმჭრელის თანამდებობი-  
სათვის, მილიონიან შემოსავალს რომ უქადადა, ზოლოტნიც-  
კიმ დიდი ქრთამი გაიღო, როგორც ამბობდნენ, თავად საა-  
ვადმყოფოს უფროსს მიართვა. ყველაფერი რიგზე იყო, მაგ-  
რამ შავგვრემანი და ლამაზი ზოლოტნიცკი სიფილიტიკი აღ-  
მოჩნდა: საჭიროებდა მკურნალობის განახლებას. პურისმჭ-  
რელი მოხსნეს და კაცების ვენზონაში გაისტუმრეს, ვენერი-  
ულ სნეულებათა ლაგერში. ზოლოტნიცკიმ ჩვენს საავადმყო-  
ფოში რამდენიმე თვე დაჰყო, მაგრამ მარტოოდენ ერთი ქა-  
ლის, ტონია ბოგატრიოვას, დასწეულება მოასწრო. და ტო-  
ნიას ქალების ვენზონაში უკრეს თავი.

სავადმყოფო აფორიაქდა. მთელი სამედიცინო პერსო-  
ნალი — ანალიზზე, ვასერმანის რეაქციაზე. ფერშალ ვალო-  
დია რაგუზინს ოთხი ჯვარი აღმოაჩნდა. სიფილიტიკი ვალო-  
დია საავადმყოფოდან გააქრეს.

რამდენიმე თვე რომ გავიდა, ბადრაგმა საავადმყოფოში  
მოიყვანა სნეული ქალები და მათ შორის — წინა ბოგატრიო-  
ვა. მაგრამ საავადმყოფოში მხოლოდ შეასვენეს, ქალთა ვე-  
ნერიულ ზონაში მიჰყავდათ.

გავედი ეტაპთან.

მარტოღა ღრმად ჩაცვენილი დიდრონი თაფლისფერი  
თვალები — მეტი აღარაფერი დარჩენოდა წინას უწინდელი  
იერიდან.

— აი, ვენზონაში მივემგზავრები...

— მაგრამ ვენზონაში რისთვის?

— შენ რაო, ფერშალი ხარ და არ იცი, ვენზონაში რისთ-  
ვის გზავნიან? ეს სულ ვალოდიას აბაჟურებია. ტყუპები გა-  
ვაჩინე. სააქაო პირი არ ჰქონდათ. ორივე მომიკვდა.

— ბავშვები მოგიკვდა? ბედი გქონია, წინა.

— ჰო, ახლა ლალი ჩიტი ვარ. ვიმკურნალებ. წიგნი თუ  
იპოვე?

— არა, არ მიპოვია.

— მე ავიღე. ვალოდიამ მოხოვა, რამე წასაკითხი მომე-  
ციო.

რუსულიდან თარგმნა  
და წინათქმა დაურთო  
თამაზ ნატროშვილი

# მარტყოფი

მარტყოფის აჯანყებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიის ღირსსახსოვარ მოვლენებს შორის. 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართველი ხალხის გამორჩეული სული, მისი დაუცხრომელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მისი ერთგულება წინაპართა წმინდა ანდრძის წინაშე — შეენარჩუნებინა თავისი მეობა, არ გადაგვარებულიყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა დამპყრობელთა უღლის გადასაგდებად და მომავალი საუკუნეებისათვის გადაეცა გაკვეთილი ღირსეული არსებობისა.

მარტყოფის აჯანყება, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, თამამად შეიძლება ამოუდგეს მხარში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატინის ყველაზე დაუვინყარ გამარჯვებებს, იქნება ეს დიდგორისა თუ ბასიანის ომი. ის დიდი გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მეტოქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი იყო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობისა, ხოლო მარტყოფის აჯანყება წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოგვარებას ბიბლიური დავითის შერკინებას უძლეველ და გოროზ გოლიათთან. ალბათ ამიტომაც იმსახურებს სამართლიან გაცემას და აღტაცებას როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა თვალში. ქართველი მემატიანის მიერ დიდგორის ომზე თქმული „ძლევაი საკვირველი“ ეგებ არანაკლები უფლებით შეიძლება ვუნოდოთ მარტყოფს. უკვე ბევრ წყალს ჩაველო დიდგორისა და ბასიანის დროიდან მარტყოფამდე; მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე ჩამომდგარი „დიდი ღამე“ საცაა უსასრულო ღამედ გადაიქცეოდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული და არაერთგზის აოხრებული ქვეყანა ღამის სულს ღაფავდა და თავის გადარჩენაზელა ფიქრობდა. XVI საუკუნიდან ორ მაჰმადიანურ იმპერიას შორის მოქცეული საქართველო თითქოსდა უკვე განწირული იყო საიმისოდ, რომ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და გათქვეფილიყო ორივე მხრიდან მონოლილ მაჰმადიანურ ზღვაში.

მაგრამ მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა გალალეულ დამპყრობელს, რომ კიდევაც დაიზრდებოდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი და მტრის ჯავრს არ შეჭამდნენ. ყველამ დაინახა და იგრძნო, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველ ხალხს აღარ ეწერა „გათათრება“ თუ გადაშენება. იმედი, ნალვერდელივით რომ ბუჭუტავად მორჩილების წყვიდადში, თავისუფლების ჩირაღდნად აბრიალდა მარტყოფის ველზე 25 მარტს — ღვთისმშობლის ხარების დღეს. ცხადია, შემთხვევით როდი აურჩევიათ აჯანყების დღედ ქრისტიანული დღესასწაული. სჯეროდათ, რომ ხორცს შეასხამდნენ გამარჯვების რწმენას და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას მიულოცავდნენ: გიხაროდეს მიმადლებულო, უფალაი შენთან.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შეუპოვარი და ქედუხრელი მესაჭე თეიმურაზ პირველი თავის პოემამი „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოიხსენიებს მარტყოფის გამარჯვებას, როგორც „სასწაულსა მეტისმეტსა“. მართლაც სასწაულს ჰგავდა თერთმეტი წლის მანძილზე „ნაჭამი“ ქვეყნის წელში გამართვა და მხრების გაშლა. მართლაც სასწაული ერქვა ამდენი დამარცხებისა და დამცირების შემდეგ უზადლო გამარჯვების მოხვეჭას.

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირვალა, ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალ“, — წარმოთქვამს თეიმურაზ პირველი არჩილ მეფის პოემამი „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მთელი ხალხი მონაწილეობდა ამ აჯანყებაში, საყოველთაო იყო საოცნებო გამარჯვების

წყურვილიც და თავგანწირვისათვის მზადყოფნაც. არავის ენანებოდა, რომ თავისი წილი სისხლი გაელო საძულველ მტერთან ბრძოლაში, მაგრამ შემოქმედი ამ დიდი გამარჯვებისა იყო დიდი მოურავი. მისი სახელი ამიტომაც სამარადისოდ დაუკავშირდა მარტყოფის აჯანყებას.

...სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ 1624 წელს კახეთის გამგებელმა ფეიქარ-ხანმა აცნობა შაჰ-აბასს: კახეთის აზნაურებსა და თეიმურაზს შორის მისვლა-მოსვლა და ფარული მიმონერა მიმდინარეობსო. ფეიქარ-ხანის ვარაუდით, მოსალოდნელი იყო არეულობა.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა გვაუწყებს, რომ საგონებელში ჩავარდნილი ფეიქარ-ხანი სწერდა შაჰ-აბასს: „ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორ იქნება?“

ჰორმუზის, ყანდაარისა და ბალდადის გამარჯვებებით თავბრუდახვეულ შაჰ-აბასს ეგებ აღარც ახსოვდა საქართველო, რომელმაც თავად შეახსენა თავი და ამცნო სეფიანთა ირანის ძლევაშობილ ხელმწიფეს, რომ „გურჯისტანის საკითხი“ გადაუჭრელი რჩებოდა. დაუმორჩილებელი ქვეყანა, მიუხედავად ამდენი აოხრებისა და სისხლისღვრისა, განაგრძობდა ფიქრს წინააღმდეგობაზე.

საქართველოზე გალაშქრება დაევალა ირანის სპასალარს ყარჩილა-ხანს („მეტად გულადი, ხალისიანი, შორსმჭვრეტელი, მართებულად მოაზროვნე და ომში შეუდრეკელი“, — ამგვარად ახასიათებს მას სპარსელი ისტორიკოსი).

შაჰ-აბასის ბრძანებით, ყარჩილა-ხანთან ერთად საქართველოში უნდა წასულიყო ქართველი მოურავი, ვინაიდან მან იცოდა ამ ქვეყნის ავი და კარგი, ხოლო თავისი დიდი ერთგულებითა და მორჩილებით მოპოვებული ჰქონდა ხელმწიფის ნდობა, ამიტომაც შაჰის ღრმა რწმენით, ყველაფერს გააკეთებდა, რასაც შესაფერისად მიიჩნევდა სეფიანთა სახელმწიფოსათვის.

ლაშქრობის ნამდვილი მიზანი ოსტატურად იყო შენიღბული. ქართლის გამაჰმადიანებულ გამგებელს სიმონ-ხანს ცოლად ატანდნენ შაჰ-აბასის შვილიშვილს და ქორწილი უნდა გადაეხადათ საქართველოში. ირანის წარჩინებული ხანები, თავისი ჯარით, საპატიო მაცურებად მიჰყვაროდნენ მას.

მაგრამ სინამდვილეში ყარჩილა-ხანს ევალებოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება...

მუსტაფა ნაიმას სიტყვით, შაჰ-აბასმა სხვების გასაგონად უბრძანა ყარჩილა-ხანს, მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, მაგრამ მალულად გააფრთხილა, ელოდე საიდუმლო წერილს და ახალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედო. ჩანს, შაჰ-აბასი ბოლომდე არ ენდობოდა გიორგი სააკაძეს.

როდესაც ყარჩილა-ხანს კახეთის მოლაშქრეთა გაუღების მუხანათური ეგემა ჩაეშალა, ქართველი მოურავის მიმართ აღძრული ეჭვი შეატყობინა შაჰ-აბასს და ახალმა ბრძანებამაც არ დააყოვნა. შაჰ-აბასი სწერდა თავის სპასალარს: „გმართებს, დათვალე რების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა“.

როგორც ცნობილია, ყარჩილა-ხანთან გამოგზავნილი შიკრიკი ლოჭინის მიდამოებში შეიპყრეს ქართველებმა და გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასის საიდუმლო ბარათში გამოტანილი განაჩენი ქართველ დიდებულებს გააცნო. გადაწყვედა აჯანყება. დიდი მოურავი, თავის ოთხ უერთგულეს თანამებრძოლთან ერთად, ყიზილბაშთა ბანაკში დარჩა, რათა ერთი დარტყმით მოეკვეტა თავი მტრის ლაშქრისათვის.

1625 წლის 25 მარტს, გამთენიისას მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა ჯარს მიუახლოვდა აჯანყებულთა მხედრობა — ზურაბ არაგვის ერისთავის წინამძღოლობით.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, მოურავი ამხედრდა, შუბი აიღო და ყარჩილა-ხანის კარავთან მიიჭრა. „ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო“ — ასე მიმართა მას



და მერე ცხენზე ამხედრებულს თავისი შუბი ილღის ქვეშ ისე აძგერა, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. „ჰე, შე გაურო, არამი იყოს შენზე შაჰის პური“ — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ყარჩილა-ხანისა. სხვა ხანები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს. თურქი ისტორიკოსის მტკიცებით, ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ სამი ათასმა მოახერხა გაქცევა.

ისქანდერ მუნში წერს: „დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქით გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გადახცულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ“.

ყიზილბაშებს ვერ წარმოედგინათ „ღალატი“ ქართველი მოურავისა, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში და თავისი შვილი ირანში ჰყავდა მძევლად. მარტოოდენ მას, ყიზილბაშთაგან ერთგულ და სანდო პირად მიჩნეულს, შეეძლო ამ აჯანყების განხორციელება. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად დიდი იყო მარტყოფის აჯანყების მთავარი გმირი და ამოწვეული აღფრთოვანება საქართველოში, რომ ხალხს გურდა გიორგი სააკაძის გამოცხადება მეფედ (როგორც გვაუწყებს დასავლეთ ევროპაში ელჩად წარგზავნილი ნიკიფორე ირბახი), მაგრამ თავად მოურავმა არ ინება მეფობა და ქართლ-კახეთის ტახტი თეიმურაზ პირველს ჩააბარაო.

ხოლო შაჰ-აბასსა და ყიზილბაშებს სხვა აღარავინ შეეძლოთ ესხენებინათ უფრო დიდი სიძულვილით, ვიდრე ქართველი მოურავი. სეფიანთა ირანის სახელგანთქმულ ხელმწიფეს თურმე საჯაროდ უთქვამს: ჩემს ნახევარ სამეფოს ვუსწყალობებ იმას, ვინც მოღალატე მოურავს დაატყვევებს და შებორკილს მომგვრისო.

ხელმწიფის მეხოტბე ისქანდერ მუნში ათასგვარი სალანძღავი სიტყვებით ამკობს გიორგი სააკაძეს: ბედდაბნელებული და ბოროტი მოურავიო... ბედუკულმართი მოურავიო... არამზადა მოღალატეო...

თორმეტი წლის შემდეგ შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი თავის ერთ ფირმანში სააკაძეს მოიხსენიებს, როგორც „წყეულ მოურავს“.

მშობელი ხალხის სიყვარული და გადამთეილი მტრის სიძულვილი იყო ღირსეული ჯილდო თავისი ცხოვრების მწვერვალზე ასული დიდი მოურავისა.

არჩილ მეფის ზემოხსენებულ პოემაში ხაზგასმულია მარტყოფის აჯანყების მთავარი ორგანიზატორის გიორგი სააკაძისა და მისი მარჯვენა ხელის — ზურაბ ერისთავის სამაგალითო გმირობა: „სახელისთვის მათ ცოლ-შვილი, ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ! ვინ არ მიჰყვით მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ? რჯულისა და ქვეყნისათვის არ იქნების, რასაც ჰყოფდეთ? ანც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძავით შვილს ეტყოდეთ!“

ნუ დაგვიწყდებათ, რომ ამ სიტყვებს წარმოთქვამს თეიმურაზ მეფე.

რა იქნებოდა, რომ მარტყოფი გადაქცეულიყო ჩვენი წარსულის მთავარ ნიშანსვეტად, ორიენტირად და ბარომეტრად?! მუდამ ემარტყოფა ქვეყანას, მარტოოდენ მარაბდა ამოსდგომოდა მხარში მარტყოფს, ახლოს არ გაეკარებინა არც ზაზაღეთი, არც ცხვილოსი და არც საფურცლე — სამარცხვინო და შემზარავი ფურცლები საქართველოს ისტორიისა: ბაზალეთი, სადაც ერთმანეთს თავდაუზოგავად შეებნენ მარტყოფისა და მარაბდის გმირები, სადაც სახელოვანი ქართველი სარდალი ორთაბრძოლაში ინვევდა სახელოვან ქართველ მეფეს, ღვთიკურთხეულსა და მირონცხებულს, სადაც არც საბრძოლო ყიჟინა ისმოდა და არც ჩვეული „ჰკა მაგასო“, უხმო, მდუმარე მუნჯური ომი გაჩაღებულიყო, სადაც მძიმედ დაიჭრა სამივე გმირი მარაბდისა; ახლა ცხვილოსის ციხე თქვით, სადაც მძინარე მეფე ქართლისა მოკლა იმან, ვისაც

მამას ეძახდა მოკლული; საფურცლე ხომ მწვერვალია მუხანათობისა — ქართული სუფრა, მთელს დუნიაზე სახელმობხვეჭილი ქართული ღვინო, ტკბილი ქართული სადღეგრძელოები ჰაეროვანი ჩანგის თანხლებით და ხალხის პოეტურ მეხსიერებაში წარუშლელ დალად აღბეჭდილი შეძახილი: დაჰკარით კახპის შვილსაო! (ანუ — ზურაბ არაგვის ერისთავს).

მაგრამ რა გაეწყობოდა, რომ ყოველ საამურ ჰანგს, ყოველ სანატრელ სიზმარს, ყოველ სიხარულს გამარჯვებისას და კეთილშობილების ბურანში გახვევას ჩრდილავდა, აკნინებდა და ლამის მასხრად იგდებდა ყველაზე მძაფრი, ყველაზე მომინაურებული და ყველაზე მჭევრმეტყველი გამოთქმა — გარდუვალი და განუყოფელი ნიშანი ეროვნული ბუნებისა: უჩემოთ ვინ იმღერეთა?

დიდი ხანია იმქვეყნად განისვენებენ ამ სიტყვების მთქმელიცა და ჩამწერიც, მაგრამ თავად თქმულმა ისეთი უკვდავეება მოიხვეჭა, ვეფხისტყაოსანსაც რომ შეშურდებოდა. ექოსავით მოჰყვება საუკუნეებს და ვერაფერს აკლებენ ვერც კატასტროფები და ვერც კატაკლიზმები.

კეთილი და პატიოსანი. ახლა პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. მარტყოფი გვერჩინოს ბაზალეთსაც და საფურცლესაც. მარტყოფის აჯანყების ამბავი, ცხადია, გასცდებოდა საქართველოს ფარგლებს.

შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერი, იმავე წლის 18 ივნისით დათარიღებულ წერილში, რომს ამცნობდა, საქართველოში „მოულოდნელი და დიდი აჯანყება“ მოხდაო. ნიკიფორე ირბახისა და უცნობი ჯულფელი ვაჭრის რელაციები, ჩანერილი ვატიკანში 1628 წელს, საინტერესო დეტალებით ავსებენ სხვა წყაროების ინფორმაციას ზემოხსენებულ მოვლენათა შესახებ.

მარტყოფის აჯანყების ამბავს მოგვითხრობენ ინგლისელი ტომას ჰერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე და ფრანგი კლოდ მალენგრი. სწორედ ამ უკანასკნელის ნაშრომს ეყრდნობოდა ცნობილი გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი, რომლის ხუთმოქმედებიან ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ აღწერილია მარტყოფის აჯანყებაც და საკმაოდ დანვრილებით არის გაშუქებული დიდი მოურავის სახე (გრიფიუსს, მხატვრული მიზნით, დარღვეული აქვს მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. მის ნაწარმოებში მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს ქეთევან დედოფლის ნამებას და საქართველოდან ჩასული ელჩები უამბობენ დატყვევებულ დედოფალს ქართველი ხალხის გამარჯვების ამბავს). აი, რას ვკითხულობთ გიორგი სააკაძის შესახებ მონათხრობში: „ახლად აღანთო უწინდელი სახელ-დიდება, ლტოლვა-განდგომით რომ მოუკლა ჟამთა დინებამ. ამბობდნენ, მამულს შეეკრაო წმინდა ფიცითა, რომ შაჰის უღელს დაამსხრევდა, მამულს იხსნიდა“ (თარგმანი აკაკი გელოვანისა).

1625 წელს აყრა-გადასახლება ემოქრებოდა ქართლ-კახეთს. საქართველოს მიწაზე უცხო ტომი უნდა ჩამოთესლიყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა, თავისი საამაყო შვილის მეთაურობით, ყირაზე დააყენა ისპაანში შეთხზული სცენარი და, მიუხედავად იმავე წლის ზაფხულში გადახდილი სისხლისმღვრელი მარაბდის ომისა, სულ სხვა გეზით წარმართა ბედი ქართლისა.

აკადემიკოსი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავდა: „ქართველობისათვის“ ბრძოლა ძირითადად მაინც მოგებული იყო. ქართველი ხალხის შეუდრეკელმა წინააღმდეგობამ და თავდადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა, ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაჰი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა“ მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. შაჰი იძულებული იყო, თავი დამარცხებულად ეცნო“.

მარტყოფის გმირულმა აჯანყებამ დასაბამი მისცა საქართველოს აღორძინებას. 1625 წლის 25 მარტი, უდავოდ, მიეკუთვნება ჩვენი წარსულის ყველაზე ძვირფას თარიღებს.